ფუცუ დგებუაძე-ფულარია

მოლვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა
სოხუმი — 1957

ავტორისაგან

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მამაკაცებთან ერთად ქალებს საპატიო ადგილი უკავია. ქართველი ქალი იყო არა მარტო მზრუნველი დედა, საშობლოს სიყვარულით გულანთებული შვილების აღმზრდელი ოჯახის ბურჯი, არამედ სახელმწიფოს მმართველიც, საზოგადო მოღვაწეც, მწიგნობარიც, მეომარიც, უსამართლობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლიც. არა ერთსა და ორ პატრიოტ ქართველ ქალს შეუწირავს თავი საშობლოსათვის, გულდაგულ დახვედრია მოძალებულ მტერს, ღამეები უთენებია შემოქმედებით შრომაში, ლიტერატურის იშვიათი ძეგლების გადაწერასა და მხატვრული გაფორმებისათვის.

ჩვენს მატიანეებსა და სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებს საკმაოდ შემოუნახავთ მწიგნობარ, მებრძოლ და სამშობლოსათვის თავდადებულ ქალთა სახელები. ამ მხრივ შედარებით მდიდარია ხალხური ზეპირსიტყვაობა, რომელსაც ოქროს მძივებად აუკინძავს სამშობლოს მტერთა და სოციალურ უსამართლობათა წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა სახეები.

ქალს ჩვენი სახელოვანი წინაპრები დიდი პატივისცემითა და კდემამოსილებით ეპყრობოდნენ. ცნობილია, რომ წარსულში მოსისხლე მტერთა აელვარებულ მახვილს ქალის უბრალო მანდილი, მათ შორის დროზედ გადაგდებული, უსისხლოდ ქარქაშში ჩააგებდა.

ჩვენი ისტორიის წინაშე ქალის—აღმზრდელი დედისა და ოჯახის ბურჯის — დამსახურებამ ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს, რომ „ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი „გუთნის-დედას“. რამოდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!...“ (ილია ჭავჭავაძე, პატარა საუბარი თხზ. ტ. IX „ქართული წიგნი“, 1928 წ. გვ. 245).

სამწუხაროდ, წარსულში ქართველი ქალების დამსახურება სამშობლოს წინაშე ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი

და გაშუქებული. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაშია ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა. ამ გარემოებამ მოგვცა სითამამე ხელი მოგვეკიდა ესოდენ რთული, მაგრამ კეთილშობილური საქმისათვის. ჩვენი წიგნის მიზანს არ წარმოადგენს დასმული საკითხის—სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ყველა ქართველი ქალის საქმიანობის სრულყოფილი გადაჭრა. ეს, ჭეშმარიტად, ჩვენს ძალღონეს აღემატება. ჩვენი ამოცანაა ნოველებისა და მხატვრული ნარკვევების სახით ისტორიის მცირეოდენი ამონარიდი მივაწოდოთ საბჭოთა მკითხველს.

ჩვენი წიგნი ქართველი ქალის ისტორიული პროფილის მხატვრული განსახიერების პირველ ცდას წარმოადგენს და, ბუნებრივია, როგორც ყოველ ახალ წამოწყებას, მასაც ექნება ნაკლი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველთა ობიექტური შენიშვნების საფუძველზე მათ თანდათან ავიცილებთ თავიდან.

პაჭარაც ასეთი იყო

საქართველოს სახელმწიფოს მპყრობელს მეფე გიორგი მესამეს ძე არ ესვა.

გადიოდა ჟამი. ისედაც მკაცრი, საგონებელში ჩავარდნილი მეფე კიდევ უფრო გაკერპდა, გაგულცივდა. სასახლეში მხოლოდ ჩურჩულიღა ისმოდა. შემაღლებულ ხმას ბაზიერი თუ აკადრებდა მეფეს, ისიც იმიტომ, რომ ყრუ იყო ბერიკაცი და საკუთარ ხმას ვერ ზომავდა. ასეთი საუბარი თავისებური ნიშანი იყო სასახლისათვის. „მეფე ბაზიერს ესიტყვება, ალბად კარგ გუნებაზეა, სანადიროდ ემზადებაო“.

უებრო სარდალი და მტკიცე ნებისყოფის გამგებელი დაუნდობლად უსწორდებოდა გარეშე და შინაურ მტერს მუსლიმანსა თუ ქრისტიანს, ნათესავსა თუ უცხოს.

და იყო თამარი ნუგეში მეფისა, ვინც მეფეს თვალს უსწორებდა, ხმამაღლა შეესიტყვებოდა და მის ხასიათს ალმობიერებდა. თვით მეფის ჩათვლით, ყველაზე უფროსად სახელმწიფოში თითქოს კეთილსახიერი ასული მეფისა პატარა თამარი ითვლებოდა.

ანებივრებდნენ ბავშვს სასახლეში.

გზა არ ჰქონდა მეფეს, უნდა შერიგებოდა ბედს.

იგი, ვინც შემოიმტკიცა საზღვარი საქართველოსი დარუბანდიდან ნიკოფსიამდე, გააძლიერა ტახტი და სარწმუნოება, ჯანი და მკლავი შეალია წინაპართა დადგენილი ჭეშმარიტების შენარჩუნებასა: — „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულისა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

იგი, ვინც თავისი წონა ოფლი და სისხლი დაანთხია საქართველოსა და პირად განდიდებას, უძეოდ უნდა გარდასულიყო! ტახტი ძმისშვილისათვის—დავითის ძის დემნასთვის უნდა ჩაებარებინა, თავისი ხელით დაედგა გვირგვინი, სკიპტრა ხელში მიეცა, ხმალი უნდა შემოერტყა და შემდეგ... ვაი სირცხვილო, პირტიტველა ჭაბუკისათვის თითონ უნდა ეცა თაყვანი. თაყვანი... ვის? მეფეს, რომელსაც ჯერ ქედი არ მოუდრეკია გარდა წინაშე ჯვარცმისა და საღოცავისა... და... და წინაშე ყოვლისა საქართველოს კათალიკოსისა...

— მომგვარეთ დემნა! — ბრძანა მბრძანებელმა.

რვა ცხენი დაიოთხა. ოთხი მალემსრბოლისა და ოთხიც დემნასი და მისი აღმზრდელისა, ვიდრე სასახლეს მიაღწევდნენ ლორის ციხიდან, სადაც დემნა მცირე ხნის წინათ გააგზავნეს რაინდის ზნეობათა შესასწავლად.

ნამგზავრი დემნა მეფეს მიჰგვარეს. ყრმა დაღლილი იყო, ფერგამკრთალი.

გიორგიმ სასტიკი თვალები მიაპყრო ყრმას. დემნა არ შეკრთა: მეფე-ბიძას მეფურივე სალამი მისცა, თავი ვერ შეიკავა, ახლოს მიეპრა.

— დაიღალე? — ცივად შეეკითხა გიორგი.

— არა, ბიძავ ბატონო! გავძელ. თუმც წვრთნის ამდენი გზა აროდეს მივლია.

დემნას მოძრაობაში, აღნაგობასა და გამოხედვაში ბაგრატოვანთა სისხლი იგრძნობოდა. ვაჟი ჯერ ნორჩი იყო, გაშლილი მხრები, ბრტყელი ბეჭები, წვრილი წელი, მტკიცე ნაბიჯი, ძვალმსხვილი მაჯები, ნატიფი ხელები აღვირის ზიდვით ოდნავ შეწითლებული, ცისფერი თვალები, წარბთა შუა სიამაყის მაუწყებელი ღარი და მტკიცე გამოხედვა, დასრულებული ვაჟკაცის იერს აძლევდნენ ჭაბუკს.

გიორგის ეამა გულში: „დემნა იქნება სარდალი დიდი, ალბათ მწიგნობარიც, მაგრამ არა ისეთი მკაცრი, როგორც მე“.

— დემნა, დღეეს როგორ ატარებ, როგორ ირჯები. — გიორგის ხმას სიტკბო დაეტყო, მკაცრი თვალებიც სიყვარულით აციმციმდნენ.

— მეციხოვნეთა დაფიონზე ვდგები. უკვე აღარ ვბუზღუნებ, ბიძავ ბატონო, შემდეგ მსუბუქი საუზმე და ჯირითი, შუბის ტყორცნა, მძიმე ქვების სროლაც. ცურვა უკვე კარგად ვისწავლე.

— თხრილებზე ხტომა?! — გაიკვირვა გიორგიმ. დემნამ მორცხვად დახარა თავი: — ყველას ვჯობნი და ვერვინ მასწავლის, შემდეგ ფარიკაობა, ყველა მეკენწლავება, ჩვენთან ბევრი ცაცია მეომარი. მეც ორივე ხელს ვიწრთვნი... — დემნა გაჩუმდა. თვალები ბიძას მიაპყრო.

— მერე შვილო? — ღიმილით მიმართა დემნას და გაამხნევა.

— მოხუცი სპარაზენნი ამბობენ, რომ ხმალში, ლახტის ხმარებასა და შუბის ტყორცნაში მხოლოდ გურზს მხარგრძელისას იტყვიან, მშვილდსა და სატევარს დადიანისას.

გიორგის მოეწონა ყრმის გულახდილობა.

— შემდეგ!

დემნა დადუმდა. თავი ჩაღუნა.

— სიმშილსა და სიცხეს ადვილად ვუძლებ, წყურვილსაც, მხოლოდ სიბნელეს ვერ შევეჩვიე და-ვერა, მძულს, მეფევ ბატონო!

გიორგი შეიშმუშნა, ისე მტკიცედ თქვა დემნამ სიტყვა „მძულს“. გიორგის მხოლოდ გუნებაში გაეღიმა.

— რა ვუყოთ, შვილო, ასეთია ბედი... და გიორგიმ თითქოს ჩაახველა, სინამდვილეში ხელოვნურად მოწყვიტა საუბარი. გაუძნელდა სიტყვა „მეფის“ თქმა და გააგრძელა, — ასეთია ბედი დიდებულ რაინდთა, ისინი ყველაფერს უნდა შეეჩვიონ.

მოულოდნელად ტალანიდან აღტაცებული ბავშვის შეძახილი გაისმა: „დემნა მოსულა, დემნა დემნაააა“? ყვიროდა ბავშვი და სირბილით მიჰქროდა ტალანში. გადიაც გამალებით მოსდევდა, მაგრამ ბავშვმა მოასწრო და მამის ოთახში ამოჰყო თავი, დემნას მივარდა, კისერს ვერ მისწვდა და მხრებზე წაეპოტინა.

გიორგიმ სათიკონიდან წამოიწია და თავის ერთას თამარს სიამის სხივით სავსე თვალები მიაპყრო.

— დემნა, დემნა, სად იყავი?—შემდეგ შეჩერდა. უკან დაიხია. დემნას მაღალქუსლიანი ფეხსამოსი შეათვალიერა, ვაჟკაცთ ყაიდაზე შეკერილი მოკაზმულობაც და მამას გაკვირვებით მიუბრუნდა; „რა დიდიაა? არა, მამა! ხომ“. შემდეგ მამის მუხლებზე მოიკალათა. ულვაშები გაუსწორა, გულში ჩაეკრა და თხოვა, დემნა არსად გაეშვა.

— დემნა მინდა, არსად გაუშვა. კარგი მამა? დემნა, ჩემი შველი ნახე? არც გედები გინახავს? უუ, რა კარგია, რომ იცოდე, სულ დაცურავენ და ჩუმად არიან, ჩუმად. წამო, ვნახოთ!

თამარმა მამას შეხედა, თითი ტუჩზე მიიღო და თავი დაუქნია. გიორგის გაეღიმა და დასტური მისცა.

გაცოცხლდა სასახლის კედელ-ყურე. საჩეხებსა და ტბორებში, ბაღებსა და თალარებში ბავშვების კისკისი და ყიჟინა დაბუდდა. ლაღობდა პატარა თამარ, მარტოობით გაბეზრებული, ლაღობდა ბავშობადაბრუნებული დემნაც.

თამარის თხოვნით გიორგიმ ლორის ციხეში დემნას გამგზავრება გადასდო. გადასდო ერთხელ, ორჯერ, მრავალჯერ. რამდენჯერაც მოინდომა, იმდენჯერვე თამარის თვალცრემლიანმა თხოვნამ გადაათქმევინა სურვილი. „მტკიცეა ასული ჩემი. მგავს, მხოლოდ ქალია და ქალური სინაზით ძლიერი: „ძლიერი“. ეს სიტყვები რამდენიმეჯერ გაიმეორა. ანდაზა გაახსენდა ქართული: „ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო“. დიდად დააფიქრა ანდაზამ. საგონებელში ჩააგდო. აზრიც დაებადა ახირებული, მაგრამ თვითონვე უკუაგდო. მაინც ადგა, თამარის ოთახისაკენ გაემართა...

„და აღიმაღლა ხრმალი სვიანმა მეფემ ყოვლისა ქართველთა... სამგორის ველზე გამართა ფრიად ფიცხელი ომი“... კარებთან ჩაესმა. თამარი კითხულობდა ოდნავ წამღერებით, ფსალმუნივით. მეფემ კარი შეაღო. ოთახში იყო ორი დედოფალი: ბურდუხან და რუსუდან, მათ ახლდნენ ხვაშაქი, ცოქალი და დემნა.

მეფის შესვლაზე ყველა ფეხზე წამოდგა, თვით მეუღლე მისი ბურდუხანიც. თამარის ფერმიხდილ სახეს სიწითლემ გადაჰკრა.

მამა მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა:

— ხომ არ დაიღალე, შვილო?

— არა, მამა, — შემდეგ მატიანე აიღო და მამას გაკვირვებით გაუწოდა.

— რა ცოტაა?!

— ღვაწლმან... „შეწმან“, ლამის წამოცდა მეფეს (სხვათა რაინდთა უნდა გაზარდოს, სრულჰაგოს წიგნი ესე. — დემნას თვალი გადაკრა, ღიმილით უთხრა: მწიგნობრობას არ გადაჰყვე, ბიჭო, — დემნას ესიამოვნა „ბიჭო“. უნდოდა ბიძისთვის ეთქვა, რომ ის აქ სასახლეში ყოველდღე ვარჯიშობს, რომ ორი ცხენი დაიურვა, რომ უკვე სინჯა ნამდვილი ხმლით ფარიკაობა, ლახტის ხმარებაც და მშვილდის ტყორცნაც, რომ მას კარის რაინდები და მცველები ისე ასწავლიან, როგორც თავიანთ ტოლს. უსწორებენ შეცდომებს და არა საბრძლო ილეთებს, რადგან მათ უკვე დაეუფლა. უნდოდა ეთქვა, რომ ახლა ლორის ციხეში მას უკვე შეხედავენ, როგორც ვაჟკაცს და თვითონაც აღარ შერცხვებოდა მცირე ზომის იარაღის ტარებისა, მაგრამ ქალებთან მოერიდა მრავალსიტყვაობას და თავის ქებას:

— არა, ბატონო! — ესღა თქვა და სახეალეწილმა თავი დახარა. გიორგი ისევე მოულოდელად წავიდა, როგორადაც შემოვიდა. ცხენი მოითხოვა, ორი მხლებელი იახლა და დაოთხილი ცხენი დიდხანს აჭენა.

ანაზდად შეჩერდა. ხმა არ ამოუღია. არც დგომის დროს, არც უკან დაბრუნებისას. კარის ეკლესიასთან მცირედ დააყოვნა. ცხენიდან გადმოვიდა. სამლოცველოში შევიდა; დიდხანს იდგა. შემდეგ მუხლი მოიყარა და ღმერთს არც თუ დიდის მოწიწებით სთხოვა: „ყოვლად ძლიერო, მომიმართე ხელი შენს განსადიდებლად“. გიორგი ეკლესიიდან მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა. თვის პალატებში დამარტოვდა და ორთავე დედოფალი აწვევინა მწუხრის შემდეგ.

მწუხრი გათავდა. დაბინდულ საბრძანებელში მსახური ჩრდილივით შემოვიდა, ჭაღები აანთო და გაუჩინარდა.

მეფემ რაღაც გრაგნილები გვერდზე გადასდო, დედოფლების შესახვედრად მოემზადა. მას ოდნავ ღელვა ეტყობოდა, დარბაზში ბოლთის ცემას შეუდგა.

ბურდუხან და რუსუდან მოუხსენებლად შემოვიდნენ, მეფეს მიესალმენ, თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

გიორგიმ ორივე შეათვალიერა, „ვერა, უარს ვერ გამიბედავენ, თუმც ვინ უწყის. ქალნი არიან, მაგრამ ძლიერნი“. — ამ შემთხვევაში მას უფრო რუსუდანი აფიქრებდა, ვიდრე მისი თანამეცხედრე დედოფალი ბურდუხან, რადგან კდემამოსილი, უაღრესად უსიტყვო, მორჩილი და მწყაზარი დედოფალი სახელმწიფო საქმეებში

არასოდეს ერეოდა. „ბოლოს დაი ჩემი გამიგებს ნაზრახს“, კიდევ ერთხელ გაიფიქრა მეფემ და... მაინც საწადელი ვერ თქვა.

თავის ყოყმანზე თითონვე ჩაეცინა, დედოფლებს მიუახლოვდა, მათ ახლო ჩამოჯდა. ბურდუხანის ხელი აიღო და რუსუდანს პირდაპირ შეხედა.

— იცი, რუსუდან, დაო ჩემო, გადავწყვიტე, ტახტის მემკვიდრედ ჩემი თამარი შევამზადო. დეე იყოს ერთი ქალი სამეფო ხმალ-მოსილი ამ კეთილ ქვეყანაზე.

ბურდუხანი წამოწითლდა, რუსუდანი შეკრთა, ის ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ასეთ უჩვეულო ამბავს კი არა.

— დემნა? მას რაღას უპირებ? — აღელვებით ჰკითხა ძმას. ამ სიტყვაზე გიორგის სახეზე წამით ისეთმა ბოროტებამ გადაირბინა, რომ რუსუდანი ფეხზე წამოიჭრა:

— რა განგიზრახავს, გიორგი, ძმაო! გონს მოეგე!..

რუსუდანმა მირონცხებულ მეფეს კინაღამ ისეთი სიტყვა აკადრა, რაც მის ბაგეს არასდროს არ დაცდენია. გიორგი სწრაფად წამოდგა და ღიმილით უთხრა:

— სპასალართ სპასალარი საქართველოისა და დიდი ვეზირი.

რუსუდანი მოკვეთილივით დაეშვა სავარძელზე. ბურდუხანი კი ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ მის მშვიდ სახეს, სრულიად ფერდაკარგულს, ორი ნაკადული ჩამოდიოდა. ცრემლის შეშრობაც ვერ მოეხერხებინა.

— რა არ ვიფიქრე. — ყრუდ გაისმა რუსუდანის ხმა და ბურდუხანს მიეყრდნო.

— მეც — ჩაიჩურჩულა დედოფალმა.

გიორგის ოფლმა დაასხა. თვისი ხელმანდილი მიაწოდა ბურდუხანს და სამივე დაემსგავსნენ სრულიად უბრალო მომაკვდავ ადამიანებს, რომელთაც ამ წუთს მეტად დიდი ამბავი გადაიტანეს.

გიორგიმ იმავ საღამოს დაასკვნა.

ორივე დედოფალი თამარის აღზრდას ისურვებდნენ.

დემნა კვლავ ლორის ციხეს დაუბრუნდებოდა. მას ეახლებოდნენ ფრიად განსწავლული პიიტიკოსნი, რიტორნი, ბრძენნი, რათა სწავლა და წვრთნა სრულყოფილიყო დემნას აწ უკვე ყოფილი ტახტის მემკვიდრის, მომავალი სპასალარისა და დიდი ვეზირის.

ვერვინ გაბედა წინაღდგომოდა მეფე გიორგის სურვილს; აღელდა სასახლე, ეკლესია, მაგრამ მღელვარება თავისთავად დაცხრა და გარემოებას ყველა შეეჩვია.

მეფე გიორგი ხშირად ესიტყვებოდა ბაზიერს, სხვებსაც. ოდნავ დამშვიდდა, დაცხრა.

არა ცხრებოდნენ მხოლოდ ბურდუხანი და რუსუდანი. ზრდიდნენ და წრთვნიდნენ თამარს სამეფოდ. მომავალი მეფე საქართვე-

ლოსი დიდ ნიჭსა და გამჭრიახობას იჩედნა, ერთხელ გაგონილის ან წაკითხულის განმეორება არ სჭირდებოდა. იღვწოდა, სწავლობდა...

და კვლავ მარტო დარჩა თამარ, ბავშვობა განაწამები.

ლორის ციხეში კვლავ რაინდობდა დემნა, ტახტდაკარგული.

განვლო ჟამმა. მიიწურა მრავალი შემოდგომა.

ივსებოდა, ღონიერდებოდა საქართველო. სვიანად იჯდა ტახტზე მეფე გიორგი.

იზრდებოდა, ყოველმხრივ იმკობოდა თამარი. ხშირად დედოფლებთან სტუმრად იყვნენ დიდებულნი, ხვაშაქი, ცოქალი, კრავაი ჯაყელი. მათი შემწეობით ბევრ რამეს იგებდა თამარ, მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ აზრი ნასწავლისა. ის ყოველთვის იძიებდა მიზეზს — აზრის დედასა.

დედოფლები ხშირად თამარს გადასაწყვეტად განზრახ რაიმე შეკითხვას მისცემდნენ, რაც სახელმწიფო საქმეს შეეხებოდა. თამარი თითქმის დაუფიქრებლად უპასუხებდა. ერთხელ, როდესაც გიორგიმ მოისურვა გაეგო მისი ასულის წარმატებანი, ორივე დედოფალმა ასე მოახსენა:

— ყოველი სახელმწიფო საქმე, რაც კი მას ვანდეთ, გადასჭრა, მაგრამ ერთთავად კეთილად. ყველა მის მიზანს, ყველა მის სწრაფვას, — შეიცნოს მმართველობა ქვეყნისაი და იდუმალებანი ადამიანის ქცევისა,—დედაბოძად სიკეთე და კაცთმოყვარეობა აქვს.

— კეთილზე კეთილი და მოყვასთმოყვარეა ასული ჩვენი, მეფევ! — ჰკადრა ბურდუხანმა, და ეს სიკეთე მასში ისე ძლიერია, ვითარცა მზე შუადღისას.

„დეე იყოს, ცოდვანი ჩვენნი და მით უფრო სიმკაცრე ჩემი მოშუშდების ამ მალამოს ცხებით“, — გაიფიქრა გიორგიმ, კმაყოფილი დარჩა.

* * *

დემნას მოახსენეს, რომ რუსუდან დედოფალი მის სამყოფელშია. დემნა მიუახლოვდა ნაცნობ კარებს, დაურიდებლად შეაღო. თამარი იჯდა, კითხულობდა. რუსუდანი ჩვეულებრივ კრიალოსანს მარცვლავდა. „თამარ სულ სწავლობს“, გაიფიქრა დემნამ და ზღურბლზე შესდგა.

„ამაღლდა მზე.

და მთვარე დადგა წესსა ზედა მისსა.

ნათლად სატყორცნი შენნი ვიდოდინ. ბრწყინვალებად ელვისა საჭურველნი შენნი“. თამარმა უნებლიედ მოიხედა. შეკრთა. კარებში დემნა შეიცნო უსაჭურველოდ, ბრწყინვალე მისი თვალები იმდენ სითბოს და სიხარულს აშუქებდა, თამარს ხმა არ ეყო და ჩურჩულით წარმოთქვა:

— დემნა!..

რუსუდანმა მოიხედა. ვერცერთმა ვერ მოახერხა მოპატიჟება.

კარგებში იდგა მაღალი, ბეჭებში გაშლილი, თითქმის ზრდამომთავრებული ჭაბუკი, მუქი წაბლისფერი თმები უკან გადაეყარა, საულვაშე ოდნავ შეფითქოდა. მძლავრი მკერდი აბურთვოდა და მხოლოდ თვალებითა და ბაგეთა კუთხეებით იღიმებოდა.

რუსუდანი გონს მოეგო.

— დემნა, მამიდა გენაცვალოს, როდის მოხველ? — რუსუდანი თავის ძმისწულს გადაეხვია, ვაჟმაც ხელები დაუკოცნა. თამარს მდაბალი სალამი მისცა.

— ძლივს გიცანი, დემნა, — თამარი სწრაფად მიუახლოვდა. ხუთი წლის უნახავი თამარის სიმშვენიერემ ისე გააკვირვა ვაჟი, სხვა სიტყვა თითქოს შეშოელია და ქალს ესღა უთხრა:

— აქ რომ არა, სხვაგან ვერ გიცნობდი. ან ასე რა ძალამ დაგამშვენა. არ არის კარგი, ცოტანი ვართ პაპაჩვენის შთამამავალნი და ერთმანეთსაც წლობით ვერ ვხედავთ.

— ასეა, ჩემო შვილო; მეფეებსა და მათ შვილებს ორმაგი ძალა გმართებთ... დემნამ ღიმილით სიტყვა წაართვა:

— დაიცვათ და გაამდიდროთ სამშობლო თქვენი, ხოლო ქალებს ევალებათ იზრუნონ და იშრომონ ქრისტიანობის განმტკიცებისათვის, გლახაკთა და მაშვრალთა დახმარებისათვის.

— რამდენი ხანი დარჩებით ჩვენთან, დემნა. — შეეკითხა თამარ. დემნამ შეამჩნია, რომ ეს ხმა მას აჯადოებდა, სურდა სულ ესმინა.

— დღეს არა, ალბათ ხვალ დილით გავბრუნდები, როგორც მეფე მიბრძანებს.

— ასე ჩქარა? უთხარით, მამიდა ბატონო, დარჩეს ჩვენთან დიდხანს. დემნა, მაშინ მე ცხენის ჭენების მეშინოდა, ახლა კი თამამად შეგეჯიბრები.

თამარს ბავშვობა ჯერ კიდევ ვერ გადაელახა. ამ წუთში ბავშვიც და ქალიშვილიც ერთად ლაპარაკობდა, ეს ხომ მისი დემნა იყო, რომელთანაც ხუთი წელია, რაც არ უთამაშნია.

რუსუდანს არ გამოეპარა თამარის სახის უჩვეულო გამომეტყველება და თვალებში ჩაბნეული ახალი სხივი.

— მაშ, შვილო ჩემო, უჩემოდ ნუ წახვალ, მარტო მინდა გნახო.

— გეახლებით.— ის იყო დემნა ადგა, თამარს შეხედა და შეჰღიმა: — შენ რაღას მეტყვი, თამარ!

— დარჩი დარჩი, დემნა! — დემნამ უხმოდ გაიცინა და თამარს ხელი მოხვია. ესეც რაღაც სხვაგვარად შეიგრძნო თამარმა და ძალაუნებურად შეკრთა.

ვაჟი ორთავეს ხელზე ეამბორა და ოთახიდან გავიდა.

თამარს მოწყენა შეატყო რუსუდანმა. ადგა, თაროდან ჩამოიღო ოქრომკედით ნაქარგი ატლასი და მისცა.

— რა კარგს იქმ, თამარ, ამ სახეებს რომ ან თითონ, ან ვინმეს გადააღებინებდე. ხომ ხედავ, რა მშვენიერი ნამუშევარია.

„რა დროს ქარგვაა“. — გაიფიქრა თამარმა. მაინც მორჩილად გამოართვა და ოთახიდან გავიდა. რუსუდანს ენიშნა დემნას სიტყვები. „ცუდად ეზრდით ჩვენს ახალგაზრდებს. აი როგორ გარეშედ შეხვდნენ ერთმანეთს მკვიდრნი, თითქმის და-ძმა. და ეს ხდება მხოლოდ მისთვის, რომ მათ შუა ტახტია აღმართული საქიშპოდ. რა ნათესაური გრძნობა შეიძლება ექნეთ ერთმანეთთან მრავალწლის უნახავ დემნასა და თამარს? ღმერთო, დაგვიფარე ავისაგან! — გაიფიქრა რუსუდანმა და პირჯვარი გადაიწერა.

დღეები გადიოდა. თამარი დაქალიშვილდა, ხშირად უხმობდა მამა და სახელმწიფო საქმეს არჩევდნენ.

დარბაზში ჯერ არ დაჰყავდა—არ უნდოდა ახალგაზრდა თამარი ადრე დაეტვირთა დიდი საგონებლით.

რაც უფრო ემატებოდა წლები, თამარს მეტი სურვილი უჩნდებოდა მოქმედების, საქმიანობის. ლოცულობდა თამარი, ხელსაქმეობდა, კითხულობდა სასულიერო წიგნებს, განიკითხავდა ღარიბთა და გლახაკთა.

ხშირად აგონდებოდა დემნა, უკვირდა, რად ჩამოშორდა ის მეფის სასახლეს. ერთხელ სრულიად მოულოდნელად მამიდა მისს შეეკითხა:

— მამიდა ბატონო! სად არის ჩემი ბიძაშვილი დემნა? მისი არა ისმის რა.

რუსუდანი მოელოდა ამ შეკითხვას, უპასუხა:

— ალბათ თავის სასახლეში, საქმეები ექნება, ის ხომ პატარა ალარ არის.

— როგორ მწყურია ნახვა მისი. რამდენი ხანია მასთან ცხენით არ გამივლია, მომწყინდა ძლიერ.

— გებრძანა! თუ გსურს, ხვალვე წავიდეთ სასეირნოდ. ამ სალამოს მეფეს ნებართვას გამოვთხოვ.

— არავინ მყავს ახლობელი, არც მამას სცალია ჩემთვის.

— სახელმწიფო საქმეები აქვს, შვილო. რა ქნას. მგონი ამ დღეებში ჩვენ ორივეს მოგვიწვევენ დარბაზში, ამბობენ დიდი საქმეები არისო გადასაწყვეტი.

ახალგაზრდა ქალს ამბავი ეამა. მან არ იცოდა, რაც სასახლის ირგვლივ ხდებოდა.

დაჯავრიანებული რუსუდანი სდუმდა. მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდა. არამცდაარამც თამარს არ შეეტყო უბედურება, რაც იმ ჟამად საქართველოში ხდებოდა. მას თამართან თავი ჩვეულებრივად ეჭირა. მხოლოდ თავის მეგობრებს — კრავაისა და ხვაშაგს გადუშლიდა გულს და ცრემლებს აფრთქვევდნენ.

თამარს უშალავდნენ, რომ საქართველოს ფეოდალებმა აჯანყება დაიწყეს იმ მიზნით, რომ გიორგი მეფე ჩამოეგდოთ ტახტი-

დან, მის მაგივრად აეყვანათ კანონით ტახტის მემკვიდრე. დემნა მეფე გიორგის უფროსი ძმის, დავითის შვილი. საბაბიც ჰქონდათ, გიორგის ვაჟი არ ჰყავდა. განა მარტო კანონის დარღვევა აწუხებდათ დიდებულებს? არა, მათ უნდოდათ მკაცრი გიორგი მეფე მოეშორებინათ თავიდან. მის მაგივრად გამეფებული ახალგაზრდა დემნა მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო, იმედი ჰქონდათ, მას თავიანთ ნებაზე ატარებდნენ.

* * *

დარბაზში მოწვეულნი მეფის ტახტის ორივე მხარეს წოდებისა და სამსახურის მიხედვით განლაგდნენ. მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

— დიდებულნო! — გაისმა მეფის ხმა, — მე დღეს დარბაზში მომიწვევია ასული ჩემი, რომელიც ახლო მომავალში ჩემი თანამრჩეველი უნდა იქნეს. საჭიროა; ის ესწრებოდეს სახელმწიფო და საქვეყნო. საქმეების გარჩევას.

დარბაზი ალბათ დასტურს მომცემს თამარისა და სეფე ქალების აქ დასწრებას.

მეფე გიორგიმ სიჩუმე დასტურად ჩასთვალა და განაგრძო:

— მინდა გაცნობოთ მდგომარეობა ქვეყნისა ჩვენისა. როგორც ჩვენ უკვე ვიცოდით, იოანე ორბელს, ჩემი ძმისწული დემნას სიმამრს, ოცდაათიათასი მეომარი მოეგროვებია ჩემს წინააღმდეგ და ლორის ციხეში გამაგრებულიყო, მათ ჩემგან ტახტის მიღება განეზრახათ, ჩვენმა ჯარმა ისინი გააბნია—დავამარცხეთ.

— დიდება მეფეს! — გაისმა დარბაზში.

— დამარცხების შემდეგ გამრეკელი და თორელი ჩემთან გამოცხადდნენ, პატიება მთხოვეს, მცირე ჟამით ადრე მივიღე ცნობა — მოდის ჩემთან იოანე ორბელიც. ლორის ციხეში ახლა მხოლოდ ის, მცირე ჭკუის ჩემი ძმისშვილი დემნაღა დარჩა; არ გაუმართლდა საწადელი.

წესრიგში მოვიყვან სახელმწიფოს და შემდეგ ხანდაზმულს მსურს ვამეფო ასული ჩემი თამარ. დახმარებითა ღვთისა და ჩვენითა ის უნდა წარუძღვეს ჩვენს ქვეყანას საკეთილდღეოდ, მეფემ ამის დასტურიც მიიღო.

თამარმა ეს ამბები არ იცოდა. პირი გაუშრა; თავს ძლივს იკავებდა.

თოროსანი რაინდი დარბაზში შემოვიდა:

— სასახლეში გამოცხადდა თქვენი ძმისშვილი დემნა, მიღებასა გთხოვს, დიდო მეფეო.

ჩუმი ოხვრა აღმოხდა დარბაზს.

— შემოიყვანეთ, რას მეტყვის, ვნახოთ! — ბრძანა მეფემ.

დემნა სრულებით არ გავდა იმ დემნას, რომელიც თამარმა ორი წლის წინად ნახა. მას ახლა რაინდის სრული საჭურველი

ემოსა. რა ლამაზი და მიმზიდველი იყო იგი! ნუთუ ის მეფის წინაალმდეგ იბრძოდა? არა, ის შეაცდინეს დიდებულებმა, თორემ ეს კეთილი დემნა სახელმწიფოს როგორ არევდა. სახეშეშლილი, სულაფორიაქებული თამარი შეჰყურებდა ვაჟს და შვლის ნუკრივით თრთოდა. დემნა შემოვიდა თუ არა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ცალ მუხლზე წამოიჩოქა.

— მაპატიე, მეფევ და ბიძავ, ვფიცავ წმინდა გიორგის, აი აქ, დარბაზთან, შენთან, მამიდასთან და თამართან — ვიყო ერთგული შენი ტახტისა, აროდეს ჩავიდო გულში ღალატი შენი და ჩემი ქვეყნისა, არა მსურს ტახტი, კიდეც რომ მომცეთ, ვინც გსურთ ამეფეთ, ოღონ იყოს ურყევი და ძლიერი ფრიად საქართველო და ტახტი მისი.

თამარმა სიხარულით ლამის შეჰკივლა: იხილა რაინდი არა სულით გატეხილი და სასოწარკვეთილი, პირიქით, მხნე და ძლიერი იხილა არა გლახა, მოაჯე მოწყალებისა, არამედ დამარცხებული რაინდი, რომელმაც სულის სიღრმემდე შეიგნო თავისი მძიმე დანაშაული, რაც სიჯაბუკითა და სხვათა ნებით მოუვიდა. თამარმა ხელის საშინელი ტკივილი იგრძნო: დახედა — ისე ჩასჭიდებოდა სავარძლის სამკლაურს, რომ სისხლი ფრჩხილებში გამოხეთქას ლამობდა. ხელი უშვა. ღრმად ამოისუნთქა. მწუხარების ქარიშხლით ამორეცხილი და ამომშრალი თვალები მამიდას მიაპყრო. რუსუდანმა ფერი დაჰკარგა და თვალებით ეაჯა თამარს „მცირე ხანსაც გასძელო“.

თამარი უღონოდ მიეყრდნო სავარძლის ზურგს, თვალები დახუჭა და გაირინდა.

— ოო, როგორ გაგრძელდა ეს დრო, როგორ მიღიმღამობს ჟამის სათვალი, ღმერთო! მოიღე მოწყალება და შთააგონე მამასა ჩემსა.

მეფემ ტაში შემოკრა, ტაში არა მტკიცე, მერყევი. შემოვიდა კარისკაცი.

— წაიყვანეთ... საპყრობილეში, — გიორგი მეფე შეტოკდა, მკაცრი თვალი დარბაზს მოავლო, დემნასაც შეხედა, თავისთავს ვერ უღალატა.

დემნა შემოტრიალდა, უკანასკნელი ხედვა თამარს ესროლა. ამ გამოხედვაში თამარმა თითქოს ამოიკითხა: „იქნებ ვეღარ ვიხილოთ ერთმანეთი“. ქალი გაფითრდა, ლამის ადგეს და მამას მუხლებზე მოეხვიოს, თხოვოს: მეფევ და მამავ ჩემო, დამითმე, აპატიე დემნას, ის ერთგული იქნება. წამოდგა კიდეც...

რუსუდანმა შეამჩნია ქალის ღელვა, მიუხვდა გუმანს, ხელი მოავლო აშოლტილ ტანზე, ისევ სკამზე დასვა.

— დავიშალოთ! ამ დღეებში კიდევ შევიკრიბებით. გიორგი მეფემ უნდილად ჩაათავა თავისი სიტყვა.

დარბაზი თანდათან იცლებოდა. მხოლოდ მეფე, რუსუდანი და თამარი დარჩნენ.

მეფემ იგრძნო თამარის თვალები, მოიხედა და განცვიფრდა, არასოდეს არ ენახა თამარის თვალები ასეთი მუდარითა და მწუხარებით სავსე.

— შეგიძლიათ წაბრძანდეთ და მოისვენოთ — მკაცრად თქვა გიორგი მეფემ და კარისკაცის დასასაქმებლად გატრიალდა.

თამარმა მამის შეკრული შუბლის დანახვის შემდეგ გაიფიქრა: კარგი ჰქნა მამიდამ, ადრე შემაჩერა, მამაჩემი ისეა განრისხებული, არას დამითმობდა.

ქალების გასვლის შემდეგ მეფემ დარბაზში გაიარ-გამოიარა. „პატარაც ასეთი იყო, გულჩვილი, გულნაზი, ნუთუ თამარი გულჩვილი დარჩა. მაშ სახელმწიფოს მმართველად ვერ გამოდგება. ეაი თუ ფუჭად ჩამიაროს ამდენმა შრომამ“.

„არა, მალე ვაკურთხებ მეფედ და მეც ხომ ჯერ დიდხანს შემიძლია სახელმწიფო საქმეებში დავეხმარო“.

..დემნას თვალები დათხარეს, ის სიკვდილის კარზეა. ამ ზარმა თამარის სამყოფელოშიაც შეაღწია. კარის მოძრღვარმა, ვინაც უს თამარს აცნობა, მის მწუხარებას ვერ გაუძლო, ტირილი მორთო და პირის ხოკვით შორს გადასახლდა, შემდეგ სრულიად გაშორდა სასახლეს, შიომღვიმეში დაეყუდა ბერად და ღმერთს ერთ რამესა სთხოვდა: „ღმერთო, ისე ჰქმენ, რომ ამბავი ასეთი აღარ მიწვდესო ღვთისმოსავ თამარის ყურს“.

ორჯერ ეახლა რუსუდან დედოფლის ფარეში, მაგრამ ვერაფერი აკადრა ცრემლად დაღვრილ თამარს. თითონ მოვიდა დედოფალი. საკუთარი დარდი დაავიწყდა თამარის მნახველს. შიშმა შეიპყრო „დარდს არ გადაყვესო“. ათასნაირად დაუყვავა, ნუგეში სცა, მკურნალიც აწვია. თამარ ოდნავ გონს მოეგო, მაგრამ ვერ იქნა, ცრემლი ვერ შეაშრეს დაწითლებულ თვალებზე.

— მამიდა ბატონო, მამიდავ, — გულამოვარდნილი ამბობდა თამარი. ეს რა უბედურება დაგვატყდა თავზე! ნეტავ მოვმკვდარიყავ და მამაჩემის სიმკაცრეში ასე არ დავრწმუნებულიყავ. — თამარი სავარძელში ჩამჯდარ მამიდას მკერდზე მიეკრა, კვლავ აქვითინდა. თვალთაგან ცრემლის ნაკადული ღაპაღუპით ჩამოდიოდა, მამიდას გულისპირს უსველებდა. თან ლუღლუღით მოთქვამდა: ოხ, მამავ, რა ჰქენი. სიმკაცრე, სიმკაცრე, ადამიანის შეუბრალებლობა, როდესაც ის შეწყნარებას თხოულობს. რუსუდანმა თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ თავი გადაუწია და შუბლზე აკოცა.

— ასწიე თავი, თამარ! შემომხედე თვალებში, — თამარმა ვერ შეასრულა მამიდის ბრძანება. სახე ისევ მის მკერდში ჩარგო. — შენ საქართველოს მეფედ გამზადებენ. ამ გრძნობებით და რწმენით აპირებ ქვეყნის გაძღოლას? არ ივარგებს! განა მამაშენის ბოროტებით ახსენი მისი მოქმედება? ასე არ არის. როგორ ფიქრობ,

ისა ჯობს, ერთი კაცი ემსხვერპლოს მოღალატეთა ზრახვებს, თუ საქართველო აღირიოს, დიდებულნი გადაუდგნენ მეფეს, ყოველმა დიდებულმა თავისი მამულის შემომტკიცებისათვის, პირადი განდიდებისათვის საქართველო დააქუცმაცოს? ეს ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ერთმანეთს გადამტერებული დიდებულნი ცალ-ცალკე უფრო ადვილი დასამარცხებელნი იქნებიან გარეშე მტერთათვის. ისარგებლებენ რა ამით, უსჯულონი საქართველოს ნაწილ-ნაწილ დაფლეთენ. შეირყვნება სარწმუნეობა, იავარქმნილი იქნება ტაძრები, სოფლები, დაბა-ქალაქები, რაც დიდ პაპაჩვენს დავით აღმაშენებელს უშენებია და უკეთებია, უნდა გაწყდეს ხალხში ქართველი, ვინც სიხარულით უცქერის ძლიერ მომავალს. მეფეს, ძმას ჩემსას, არ გაემტყუნება, ის ყოველთვის საქართველოს კეთილდღეობისათვის იღვწის, — ძლივს წარმოსთქვა ბოლო სიტყვები რუსუდანმ.

უსმენდა თამარი თავის აღმზრდელ მამიდას, ყველაფერში ეთანხმებოდა, მაგრამ გული მაინც უკვნესოდა: დემნას მშვენიერი თვალები, დღეს ამოთხრილი? როგორ უყვარდა მას ეს თვალები ბავშვობიდანვე. შემდეგ 12-13 წლის გოგონა აღტაცებით შეჰყურებდა დემნას თვალებსა და აღნაგობას. მას დემნა თანდათან განარიდეს. შემდეგ კვლავ ერთად ყოფნა, კვლავ განრიდება. დემნას ქორწილი ორბელის ქალთან. როგორ გაუკვირდა თამარს დემნას ცოლის შერთვა, რაღაც დიდი, ძლიერი, გაურკვეველი მოსწყდა მის ნორჩ გულს.

მხოლოდ დღეს იგრძნო თამარმა, რა ძვირფასი იყო მისთვის დემნა. „მე ძმა არ მყავდა, ის ძმასავით მიყვარდა. ბოროტმა ენამ და მამამ მისი განდიდებისათვის ჯერ განმარიდეს, ახლა მოჰკლეს. ნუთუ რუსუდან მამიდა მართალია, მმართველს გულისა და გრძნობის ქონების უფლება არა აქვს? ღმერთო, მომეცი ძალა ვძლიო ცდუნებანი ჩემნი, მხოლოდ და მხოლოდ ვემსახურო სამშობლოს, მაგრამ არა ისე, როგორც მამა—სისასტიკით, არამედ სიკეთით; სიკეთით და კაცთმოყვარეობით ქმნილი საქმე უფრო მარადიულია, ხანგრძლივი და საღვთო, კეთილი პირველადია, ღვთისეულია, სიმკაცრე კი ეშმაკისეული. ღმერთო, მიშველე, რომ ბოროტს სიკეთით ვძლიო, მტერი მოყვრად ვაქციო“.

ასე გადაწყდა ბედი ორი უფლისწულისა.

* * *

დიდი სამზადისის შემდეგ თამარის გამეფების წინაღამით გიორგი ესაუბრა თავის პირმშოს, მომავალ თანამეფეს, მეფე ჩვეულებრივად დინჯი იყო, ღრმად დარწმუნებული თამარის მეფურ ღირსებაში, ცოდნასა და ჭკუაში.

თამარ ფერდაკარგული იყო, მაგრამ მშვიდი, ფხიზელი. ის

შეურიგდა თავის ბედს, ბედს რომელიც აშორებდა ყოველივე პირადს, ყოველდღიურ სიხარულს.

მეფე გიორგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, უჩვეულო მოტეხაც ეტყობოდა, ასაკზე მეტად მოხუცი ჩანდა.

— დიდი ხნის სიცოცხლე მე არ მიწერია, გრჩება რჩეული ჯარი და ერთგული სარდლობა, აი ვისაც შეგიძლია ყველაფერში ენდო. მცირეოდენი აღრევისას მეტი სიმტკიცე გმართებს, მკაცრად უნდა იმოქმედო. სიმკაცრეა საწინდარი ტახტის სიმაგრისა, ქვეშევრდომთა ერთგულებისა, მტერზე გამარჯვებისა შინ და გარეთ. რას იტყვი შვილო? — თვითონვე უპასუხა, — მე სწორი ვარ, ჩემი გზით იარე, უფრორე შემოიმტკიცებ ქვეყანასა შენსა, მხოლოდ გახსოვდეს—სიმტკიცე, სიმკაცრე, კვლავაც სიმკაცრე, რაც შენ არ გიყვარს ასულო ჩემო. — თამარმა პირველად ამოიღო ხმა ჩუმი და მშვიდი, მაგრამ მტკიცე.

— არა, მეფეო და მამავ ჩემო, ჩემი სურვილია სისასტიკის წილ სიკეთე, სასჯელის წილ—მოტევება, რამე თუ არა უწყიან...

— არა, შვილო, — შეაწყვეტინა გვირგვინოსანმა, — კიდეც უწყიან და კიდეც იქმნიან. ყოველი დიდებული მეზობელ დიდებულს მტრობს, მისი განადგურება სურს, — პირადი აღზევება, თავის განდიდება ყველაფერზე მაღლა აყენებს, მის სამშობლოზე ერთი მტკაველი მიწისათვის და ერთი სათიკანით ჩემსკენ გადმონაცვლებისათვის, სულს გაჰყიდის და მევე ზურგს უკან საფლავს ამომითხრის. და არც შერცხვება, რომ იმ ტახტზე თითონ დასკუპდეს, ან მისი კაცი გაამეფოს, რათა თვისი ზრახვანი, სურვილები განახორციელოს და თავისუფლად იპარპაშოს; ერიდე მეთქი ჩვენს დიდებულებს, ვითარცა იუდა, შვილს არ დაინდობენ, მით უმეტეს შენ—მეფეს, ისიც ქალს, თუ ოდნავ სისუსტე შეგამჩნიეს. ისინი უმეტესნი, პირად განდიდებას არა თუ მეფეს თვისას, საქართველოს მთლიანობასა და სიკეთეს ანაცვალებენ, საუკუნეებით სისხლითა და ოფლით კეთილ ნაშენსა და ნაზარდს სიბოროტე ერთი ჟამის გასვლამდე მოსპობს, ერიდე მეთქი, ერიდე, თამარ! თუ გსურს შენს წინაპრებს მშვიდად გვეძინოს ჩვენს საფლავებში. თუ გსურს აყვავდეს ღვთის კალთანაბერტყი საქართველო და ერი მისი. ვიცი, შენ ბევრი რამ არ მაპატიე, მაგრამ მე არ მწყინს, თვითონ იმეფებ, შეიგრძნობ, მაპატიებ. შენს წინაშე, ქვეყნისა და ღვთის წინაშე, წინაშე წინაპართა მე მხარგაშლილად ვიტყვი: ვიმეფე, ვაკეთე, შეეუქმენი. მომყევი—შენც, ასევე იქნები.

თამარი სდუმდა. მას მამისათვის ცრემლიანი თვალი მიეპყრო.

— ვერ შევძლებ მამავ, შენს გზაზე სვლას. მე ბავშვობიდანვე სიკეთის ქმნასა ვარ ჩვეული. ჩემი გზა სხვარიგად წარმართეს, სწავლამ ჩემმან, გამზრდელებმან ჩემმან. მძულს სისხლი. ჩვენს ტახტს საკმაოდ სცხია იგი, რათა მე არ დავემატო, პირიქით ვეცდები, სინანულის საკუთარი ცრემლით განვბანო იგი. ამაში

ღვაწლს დაიდებს ყველა ქვრივ-ობოლი, გლახა და შეწყალებული მტერიც კი. ამჟამად საქართველოს შინაურ მტერთან არა სურს საქმირო სისასტიკე რამეთუ ძლიერია საქართველო და ერთგული სპა ურიცხვი მისი.

გიორგი შეკრთა სიხარულით, არ მოელოდა ამდენ სიმტკიცეს ასულისაგან. „პატარაც ასეთი იყო; ასევე დარჩების, ღმერთო, მოუმართე ხელი“. გაიფიქრა მან და შვილს თვალი მოაშორა.

— მე მომავალი მეფე საქართველოსი. — განაგრძობდა თამარ, შენს შემდეგ მარტო ვიქნები, სრულიად მარტო, მამაჩემო. — თამარს ხმა ჩაუწყდა და ძლივს მოიბრუნა, — უნათესაო, მარტო-შთომილი და, თუ ერი მე არ შემიყვარებს სიკეთითა ჩემითა, რაღათ ვიცხოვრო, რისი სიხარულით.

გიორგი მიუხვდა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თამარმა ასე აშკარად უსაყვედურა მას, ჰო მას... დემნას დასჯის გამო. გიორგისთვის ახლა სჯობდა თამარს სახელი ეხსენებინა დემნასი და დაეჰგმო მისი საქციელი, თუნდაც ხმა აემაღლებინა კიდეც, ისეთი ამაზრზენი და სინიდისის მქენჯნელი იყო თამარის ხმა, ქცევა და გამოხედვა.

— რაკი ასე ისურვე, მამაჩემო, მომეც უფლება მივყვე გზასა ჩემსა და ღვთის სმასა, რათა ვიხელმწიფო და ვილოცო ამ ქვეყნის ცოდვილთათვის და შენთვის უფროორე.

თამარი ადგა. მის სახეზე ერთი კუნთი არ ირხეოდა და ქანდაკებასავით უძრავი იყო. მეფეს ემთხვია და გიორგიმ შეიგრძნო, რომ მას ეამბორა ხელმწიფე საქართველოსი და არა მისი შვილი თამარ.

დიდმა თამარმა მამის პალატა დასტოვა.

პალატაში დარჩა მეფისსამოსელით მორთული მამა გიორგი. დემნას ამბოხების შემდეგ გიორგი მეფემ ფეოდალები ალაგმა. მრავალი გადააყენა, შესცვალა ისინი პირადი ღირსებით გამოჩენილი დაბალი გვარის კაცებით. მათ შორის იყო ყუთლუ არსლანიც.

* * *

თამარი მამის სიცოცხლეშივე გამეფდა. ერთიორად გამშვენიერდა მეფურ სამოსელში, განადიდა სკიპტრა-გვირგვინმა.

ისედაც ბრძენ, მეტყველ სახეს და მის აღნაგობას შესამოსელი ძლიერებას ჰმატებდა. ნარნარ წელს სამეფო ხმალი ერთგულად შეფარებოდა.

გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მმართველის სიმძიმე მთლიანად თამარს დააწვა.

დიდგვარიანებმა ხელგახსნილად იგრძნეს თავი. ახალგაზრდა ქალის თავიანთი ნებისათვის დამორჩილება მოისურვეს. მოსთხოვეს: უგვარონი, რომელნიც მეფე გიორგიმ დიდ საპასუხისმგებლო თა-

ნამდებობაზე წამოწია გადაეყენებინა, ხოლო სახელმწიფოში თავკაცებად ისევ დიდგვაროვანები დაენიშნა.

დიდ ხანს ორჭოფობდა თამარი თუ როგორ გადაეჭრა საქმე. მის არსებაში ბუნებრივია გამომჟღავნდა სურვილი დიდგვაროვანთათვის არა ეწყენინებინა რა. დიდებულთა მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. სასწორი მაინც დიდგვაროვანებისაკენ გადაიხარა. სათნო თამარშიაც კლასობრივმა ინტერესებმა დასძლია სამართლიანობას.

თამარმა იგრძნო თავისი მოქმედების უსამართლობა. „ოხ, ღმერთო ჩემო“, აღმოხდა მას. — რა მალე ამიხდა მამის სიტყვები, უკვე დავარღვიე კაცთმოყვარეობის გრძნობა, და ვინ იცის კვლავაც რამდენჯერ გავხდები უსამართლო... ასეთი ყოფილა მმართველის ბედი...

პირველი რიგში ყუთლუ არსლანა იქნა გათავისუფლებული მეჭურჭლეთუხუცესობის მოვალეობისაგან. ყუთლუ არსლანმა არ დათმო. ბევრი თანამგრძნობიც გაუჩნდა. შესდგა მთელი დასი, რომელიც საბრძოლველად ემზადებოდა. მათი მოთხოვნა იყო, სახელმწიფო დარბაზის გვერდით, ისანში დაედგათ „კარავი“, აქ ამ „კარავში“ დარბაზის წევრების დამოუკიდებლად უნდა განეხილათ სახელმწიფო საქმეები, ხოლო მათი გადაწყვეტილება დარბაზსა და მეფეს შეესრულებინა. ყუთლუ არსლანისა დასი ცდილობდა შეეზღუდა მეფის უფლებები და სურვილები, მეფისათვის დაეტოვებინათ მხოლოდ შემსრულებლის მოვალეობა.

დიდებულთ' ჰპოვეს მიზეზი შურისგებისა. მკაცრად გაუსწორდნენ მეამბოხეებს, დააპატიმრეს. მეთაურნი ფიქრობდნენ ამ საშუალებით ჩააქრობდნენ ამბოხებას.

ყუთლუ არსლანის დაპატიმრებამ მისი მიმდევარნი კიდევ უფრო ააღელვა. მათ გადაწყვეტით მოითხოვეს ამბოხების მეთაურის განთავისუფლება. შეიარაღდნენ და თამარ მეფე ძმათასისხლის ღვრის წინაშე აღმოჩნდა.

ღელავდა თამარ, არ იცოდა, რითი დაეშოშმინებია აღზევებულნი უგვარონი, მას დიდგვარიანების რჩევა-დარიგებაც ხელს უშლიდა, ვინაიდან ისინი ძალით მოქმედების მომხრენი იყვნენ.

ღელავდა თამარი, მასთან ერთად აღმზრდელი მამიდა რუსუდანი და სეფე-ქალები. დარბაზი კარგს არ უქადდა ხალხს. „კარავის“ მომხრენი იქ ნაკლებად აღმოჩნდნენ. გაისმა თამარის ნარნარი ხმა. დარბაზი სიჩუმემ მოიცვა.

— დიდებულნო! მე მხოლოდ ერთად-ერთ გამოსავალს ვხედავ. ჩვენ ბევრი რამ უნდა დავთმოთ, მაშინ ისინიც დაგვითმობენ, ამისათვის საჭიროა დასის წევრები, ეგზომ აღელვებულნი თავიანთი მეთაურის დაჭერით, დავამშვიდოთ, გამოვნახოთ საერთო ენა.

— მეფევ, მათთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია. ჩვენ დათმობაზე ვერ წავალთ, თვითონ დაგვითმონ. ეს უგვარონი

ჩვენ ისედაც ერთობ გავანებივრეთ ჯერ კიდევ ნეტარხსენებული მეფისა ჩვენისა გიორგის სიცოცხლეში. ჩვენ მათ ძალა უნდა ვაჩვენოთ! — გაისმა დაბრაზში.

დარბაზის სხდომებზე სეფე-ქალებიც იშვიათად გამოთქვამდნენ თავის აზრს, მაგრამ ახლა კრავაი ჯაყელმა თავი ვერ შეიკავა და სიტყვა ითხოვა:

— მეფეთა მეფევ თამარ და დიდებულნო! ეძნელა სმენასა ჩემსა ნაბრძანევი დიდებულისა, რომელიც გვირჩევს საკითხი ესე რთული გადავწყვიტოთ ამოღებული ხმლით და არა გონებით — ერთურთის დაჯერებით. განა ჩვენ გარეშე მტრებს ვებრძვით? რა ასეთ საშიშარ რასმეს მოითხოვენ ამბოხებულნი? პატარა უფლებები, რაც აუცილებლად საჭიროა ნაწილობრივ მაინც იქნეს დაკმაყოფილებული. ეს სახელმწიფოს სარგებლობას მოუტანს. „კარავის“ საშუალებით დარბაზში უფრო მოვა ცნობა, თუ რა უჭირთ და ულხინთ მაშვრალთა საქართველოისასა.

ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ უკვე ჭაღარა კრავაისთამარი სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა მას, შემდეგ დარბაზს მიმართა:

— დიდებულნო! ჩემი გადაწყვეტილება ამ წუთიდან ასეთია: გავანთავისუფლო ყუთლუ არსლანი, ხოლო დასის ხელმძღვანელებს მიუგზავნო მოსალაპარაკებლად კრავაი ჯაყელი და ხვაშაგ ცოქალი, რომელნიც მათ ააცდენენ ცუდსა გზასა. დარბაზი ამას დასტურს დასდებს, ყუთლუს დღესვე დაუბრუნდება თავისუფლება, ხოლო ხვალ დილით ჩვენი საპატიო ქართველი მანდილოსნები მივლენ მათთან მოსალაპარაკებლად.

არცთუ დიდი ხალისით მისცეს დასტური „დარბაზის“ დიდგვაროვანთა თამარს... მაინც თამარის სურვილი გადაწყდა. ქალების მისვლა მეამბოხეებთან დადასტურდა.

იმ ღამეს გვიანამდე ისხდნენ პალატაში თვით მეფე თამარ, რუსუდან და მოციქულად განკუთვნილნი კრავაი და ხვაშაგ. იქვე იჯდა მეფის პირადი მდივანი, ზომავდნენ და წონიდნენ როგორ მივიდოდნენ ქალები და რას ეტყოდნენ მეთაურებს.

მეორე დღეს, დილით ადრე რუსუდან დედოფალი, სეფე-ქალები ამბოხებულთა ბანაკისაკენ გაემგზავრნენ. მოულოდნელი სტუმრების მისვლამ დამხდურნი ააღელვა. უჩვეულო ელჩებმა დააბნიეს მეთაური. საუბარი მათი დიდხანს გაგრძელდა.

გულთბილად და მშობლიური გრძნობით შეაგნებინეს სამშობლოს მოყვარულმა ქალებმა, თუ რამდენ უბედურებას მოუტანდა ქვეყანას მათი საქციელი. ამ მოლაპარაკების შედეგი დიდათ სასარგებლო შეიქმნა საქართველოსათვის.

ქვეყანა ძმათა ჟლეტას და სისხლის ღვრას აცდა, სახელმწიფოს წესწყობილებაში ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი.

ოქრომკედი

თამარმა სასახლე ააშენა.

ხელდალოცვილმა ხუროთმოძღვარმა მას ბოლნისის მოქარვისფრო თლილი ქვის პერანგი ჩააცვა, წერწეტა ბოძები ეკლარის თეთრი ქვით შემოსა, სარკმლის ჩარჩონი, ბოძების საყრდენები ეკლარითვე მოაჩუქურთმა და შექმნა ზღაპრული სურათები ჩრდილისა და სინათლის თამაშით.

წარმტაცი გამოვიდა სასახლე, ლაღი და დიდებული: ბოძები და მსუბუქი თაღები მას დიდ ჰაეროვნებას მატებდა. ძუნწად ნახმარი ნაირჩუქურთმებით ნამშვენი დიდი კარები, დაწყვილებული სარკმელები სადა სიდიადეს აძლევდა ოსტატის ზომიერებას. და ყოველივე ეს ისე იყო ერთმანეთში შერწყმული, როგორც დალოცვილი საქართველოს იგავმიუწდომი ბუნება.

სასახლე აკურთხეს.

კუთხევის დღეს თამარმა მრავალი დიდებული, დესპანი და წარჩინებულნი აწვია. თვალი დაატკბო და გული დაამა დარბაზებმა, მათმა სიდიადემ, მორთულობამ, მოხდენილობამ. არსად ზედმეტი ჩუქურთმა, ან ყალმის მონასმი, ან ზედმეტი ოქროვარაყი, ცუდვილი. თვალს არა სჭრიდა რა, მხოლოდ ღრმად გაგრძნობინებდა ოსტატისა და პატრონის სიკეთესა და თავდაჭერილობას.

— სასახლეში ხშირად აწვიე სულისხუთვით დაავადებულნი, მეფეო, — ღიმილით შეჰკადრა სარდალმა ზაქარია მხარგრძელმა თამარს,—ისე თავისუფლად სუნთქავს აქ ადამიანი, რომ უეჭველად განიკურნების.

თამარმა თავი დახარა, სარდლის სიტყვამ მეტად ასიამოვნა. იცოდა, მისი თვალი სასახლეებშიც ისეთივე გამჭრიახი იყო, როგორც ბრძოლის ველზე.

დარბაზს ჩურჩულმა ნიავივით გადაუარა; ყველამ მოუწონა ნათქვამი სარდალს. მეფემ კი ბეჭედი წაიძრო და სახელოვან თანამებრძოლს გადასცა. ზაქარიამ მუხლი დაკრა ძვირფას ნოხს.

თამარმა თვალით მონახა ხუროთმოძღვარი, მიუახლოვდა. ცალთვალა ყველაზე უკან იდგა. ყოველ მოწონებასა და თავდაჭერილი სიხარულით წამოძახილს მისთვის უკვდავება მოჰქონდა.

— ქუჯი! ხუროთ მოძღვარო, ჯილდოთ რასა მთხოვ.

— შენს სიცოცხლეს, პირიმზეო, შენს დღეგრძელობას, ქვრივ

ობილთა გამკითხაო! — ქუჯი შეჩერდა, ცალი თვალი ძირს დახარა. მიუხვდა თამარ.

— მითხარ ოსტატო! — ხმამ თავი ააღებინა ხუროთმოძღვარს.

— ჩემი რჩევა რად გინდათ, მზეთასწორო, დღეისწორს დავრდომილთათვის ხანგის აშენებას ვიწყებ ვარძიაში, ადგილი აკურთხებინეთ.

— ნება შენი. შენ თითონ რას მთხოვ, მამისტოლო!

დარბაზში შეკრებილთა ყურადღება ერთი-ორად მიიზიდა საუბარმა. ქუჯიმ აღარ აკადრა დაყოვნება მის პირიმზეს და ალალად უთხრა:

— შენი კურთხევა და მადლობა, ცათასწორო.

ქუჯი გაფითრდა. მრავალი ციხე და კოშკი, მონასტერი და ქარვასლი, ხიდი და სასახლე ააშენა მან საქართველოში, მაგრამ ასეთი დიდი სათხოვარი თამარისათვის ვერ შეეხედნა, მისგან სიკეთით ყელამდე სავსეს.

— შენი მადლიანი მარჯვენა, — ოქროს ზარივით დაიწკრიალა თამარის მტკიცე და მკაფიო ხმამა დარბაზის თაღებში, — შენი გარჯა ჩვენი სამშობლოს შეუვალობის განმტკიცებისათვის ღირსეულ მოწაფეთა აღზრდისათვის ფასდაუდებელია. კურთხეულ იყოს გონება და გულისყური შენი. გმადლობ, ჭირნახულო ხუროთმოძღვარო.

ქუჯიმ დაიმუხლა, თამარის კალთას წაეტანა საამბოროდ.

თამარმა ფეხზე წამოაყენა და მამისტოლ ხუროთმოძღვარს შუბლზე ეამბორა. ქუჯიმ წესი დაიცვა და თამარს მარჯვენა მხარზე ემთხვია. მეფეს ხელზე ცხელი კურცხალი დაეცა, ხელი მკერდზე მიიკრა და ხუროთმოძღვარს თავდახრით მადლობა მოახსენა.

* * *

თამარისა და რუსუდან. დედოფლის ახალ სასახლეში დიდი პალატა დაეთმო ხელსაქმის ოთახს. მის სიმყუდროვეს მხოლოდ ფრინველთა გალობა, ან შორეულ საჩეხში შურთხის ხავილი, ან ირმის ყვირილი თუ დაარღვევდა.

აქ ცხოვრება დუღდა.

აპრილს ვარდობისთვე ენაცვლებოდა.

ნათელ დარბაზში შენივთებული შრომა სუფევდა. მზის სხივები ძვირფას ქსოვილებზე დანავარდობდა, დიბა-ფარჩაზე ამზეურებულ სირმებს და ყაითანზე განწყობილ ძაფებს ახხივოსნებდა. ალმასნი, ბრილიანტი და თვალნი პატიოსანნი მზერას სჭირდა. მათი ანარეკლი მზიან დღეში ელვასავით ციაგობდა კამარებში.

ტახტზე ისხდნენ თამარ მეფე, მისი აღმზრდელი მამიდა რუსუდანი, იქვე სათიკანში იჯდა კრავაი ჯაყელი.

თამარ მეფე ოქრომკედით ჰქარგავდა, კრავაი ძვირფასი მძივით ქსოვდა, რუსუდანი კრიალოსანს მარცვლავდა.

ნელი საუბარი ნაკადულობდა.

თამარი ხშირად შემოსასვლელ კარებს ესროდა მზერას...

და უეცრივ სადღაც კუთხეში, მოურიდებლად, მაგრამ დაბალი ხმით, რომელიც თითქოს ნებას ითხოვდა, სამაია არაკრაკდა. თამარმა გაღიმებული თვალთა მზერა იმ მხარეს მიაპყრო. ხმა გათამამდა, მაგრამ არ გაზრდილა. მას მეორე აჰყვა, ღიღინა ხმებიც ჩაეხლართა და სამაიამ მთელი დარბაზი მოიცვა.

მღეროდნენ ასულნი თავადთა და აზნაურთა, გლეხთა და აზატთა. დარბაისელნი თავს იკავებდნენ, მაგრამ დიდი იყო ცდუნება. ხანდისხან თითო-ორ ხლართში თავიანთ ხმებს ჩაურთავდნენ, ურთიერთ ღიმილს ესროდნენ და ახსენდებოდათ უდარდელი ბავშვობა, გადიების კალთა, სასახლის საქალებოთა სილაღე.

ილაღა სიმღერამ. შებრუნდა მუხლი.

„სამაია მდადე, მდადე, ჰეადა, ჰეა“, ჰე ხმა შეამაღლა დამწყებმა გიშრისთმიანმა ქართულმა წერწეტამ.

„სამაია სამგანაო“, წკრიალით წამოეწია ქერა ლამაზი და...

— თამარ ქალო! ლამის სამაია ჰკრან! — ჩაიღიმა რუსუდანმა.

თამარმა თავი გააქნია უარის ნიშნად და ანთებული თვალებით დარბაზს გადახედა. სიხარულის ნამმა მხედველობა დაუბინდა.

მღეროდა ყველა და ყველა თამარს უყურებდა აღტკინებით. მიხვდნენ, რომ ააძეს; მიხვდნენ, რომ პირიმზე კმაყოფილია მათიეე ბედით, ქართველ დედათა და ასულთა ხვედრით, მომავალით.

სიმღერა დასასრულისაკენ დაექანა.

თამარის ანაზდად წამოდგომამ სამაია კრინში მოსხიპა. კარებში ხვაშაგ ცოქალი შემოდიოდა.

თამარი მიეჩქარა ხვაშაგს. თითქმის შუადარბაზში შეხვდნენ ერთმანეთს.

თამარი უსიტყვოდ გადაეხვია ძვირფას სტუმარს. დარბაზში სიხარულის სიჩუმე ჩამოწვა.

— სალამი მაღირსე, ჩემო მეფეო, — თავშეკავებული ღიმილით შეახსენა ხვაშაგმა მეფეს, ოო, რა ხმა იყო, დაბალი, ხავერდოვანი, დინჯი, ღირსებიანი, ახლა თავდაჭერილი, სიხარულით ამეტყველებული. თამარი გონს მოეგო, სადღაც გულის სიღრმეში შეკრთა, დანაშაულს მიხვდა, მაგრამ სწრაფად გამოსავალი ჰპოვა.

— სალამი შენ გეკუთვნის, ქალბატონო ხვაშაგ! ჩვენ მრავალნი ვართ, შენ ერთი და ახლა მობრძანდით, დაგვილოცე გარჯილობა და მშვიდობა, — უთხრა და თვალის უპეებსა და ბაგეთა კუთხეებში ანცი ღიმილის ნატამალი მიიჩრდილა. იაძა ხვაშაგს, რომ გაზრდილი ასე კარგად დაუხვდა. თამარს კვლავ ეამბორა.

— მშვიდობა თქვენდა, დანო ჩემნო! მადლი და ბარაქა თქვენს

გარჯას, დღეგრძელობა პირიმზეს, ბრძანებელსა ყოვლად საქართველოისა.

— ამინ, — ჩაიღუღუნა ქალთა კრებულმა. თამარმა თავი დახარა.

— მშვიდობა შენს მოსვლას, ხვაშაგ ბატონო, მრავალ წელს თქვენი წვეა, სასიხარულოთ ჩვენდა წაღმა გეაროთ შენცა და დალოცვილთა შენსა ქვეყნისა დიდებულად უკუნითი უკუნისამდე, — დაასრულა თამარმა ისეთი ხმით, რომ თითქოს სიხარული მკერდში არ ეტეოდა.

— ამინ, — კვლავ უპასუხა ქალთა გუნდმა და სიჩუმე ჩამოვარდა. თამარს სურდა ხვაშაგს შემოვდომოდა, მაგრამ იცოდა, რომ მკაცრი ხვაშაგი არ აპატიებდა მეფეს „ბავშვობას“.

ადგილისაკენ გაემართნენ. თამარმა ძლივს დაიოკა სიხარული. საამო იყო დარბაისელთა შეხვედრა.

რუსუდან და ხვაშაგ ურთიერთს დარბაისლურად მიესალმენ, დინჯად იამბორეს. თავიანთი წოდების შესაფერი ქცევით განშორდნენ.

სულ სხვა იყო კრავაისთან მისალმება. საკვირველად უბრალო, უსიტყვო. დიდხანს უცქირეს ურთიერთს თვალებში, სადაც სიხარულთან ერთად ხანდაზმულობის ბინდი დგებოდა. ორთავე ჭირნახულმა ღრმად და შვებით, თითქოს მხოლოდ ახლა ამოისუნთქა და ძალაუნებურად თამარს შეავლეს თვალი. კვლავ ერთმანეთს შეხედეს და მიუხვდნენ გულის თქმას: ამაოდ არ ჩაუვლია მათ ღვაწლს და შრომას თამარისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დასხდნენ დარბაისელნი.

დალაგდა დარბაზი. კვლავ გაიმართა ხელსაქმე.

— დიდად გვაამე, ბატონო ხვაშაგ, შენი მობრძანებით. აღარც იმედი გვქონდა, რომ გვეწვეოდით, გარდა იმისა, რომ ხილვა შენი ჩვენთვის მარადჟამს სანუკვარია, ჩვენ ყოველთვის გვქირდება თქვენი რჩევა-დარიგება, ბრძნული და სასიკეთო, — წამოიწყო თამარმა.

— მოვხუცდი, მეფევ ჩემო და ბრძანებულო, აღარც ძალა შემწევს, რაღა სარგებლობა შემიძლია მოგიტანოთ.

— „ახალსა ნამუდრაგალსა, ბერი სჯობიან ჩანჩალი“.

— „ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო“, — თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს რუსუდანმა და კრავაიმ.

ღიმილმა მოიცვა ოთხივე.

გაგრძელდა ურთიერთ მოკითხვა, მგზავრობის, ახალი ამბების ცნობა. ხვაშაგმა ითავა საქმეზე საუბარი.

— რით შემიძლია ვემსახურო ჩემს ბრძანებელს. — თქვა ხვაშაგმა და ყურადღებად იქცა.

— მე ძლიერ მსურდა, ბატონო ჩემო, შემეტყო შენი აზრი ჩვენი ქალების მუშაობის შესახებ და, თუ ისურვებდი ჩვენს დახ-

მარებას, მეთხოვა, ასეთი ხასიათის მუშაობა შენს კუთხეშიაც გაგემართა, მუშაობაში ჩაგება ახალგაზრდა ქალები როგორც დიდ აზნაურთა ცოლშვილნი, ისე მდაბიონიც.

ხვაშაგი გულდასმით უსმენდა გულთამხილავ თამარს, მისი მშვენებით სტკბებოდა.

— ჩემის ფიქრით, ხვაშაგი გულისყურს არ დააკლებს შენს მიერ წამოწყებულ საქმეს, — ჩაურთო სიტყვა რუსუდანმა.

— თქვენი ნამოქმედარი ვის არ მოსწონებია, მზისადარო! მაინც საკოდინარია, რა მიზანს ემსახურება თქვენი ამდენი შრომა? თქვენი გონება და ჯანი ისედაც გადატვირთულია სახელმწიფო საქმეებით.

— მე ეს საქმეც მეტად დიდად მიმაჩნია, ძვირფასო ხვაშაგ! ჩვენმა შრომამ იმდენი სარგებლობა უნდა მოიტანოს, რომ სახელმწიფო სალარო აღარ შევაწუხოთ პატარა შინაური ხარჯებით. ქალები შეისწავლიან ხელობას, გადაეჩვევიან დროის დაკარგვას, უბრალო ლაყბობას და მრავალ სხვას.

— ბრძენი ხარ, თამარ! — ხვაშაგს ერთ წუთს დააავიწყდა თამარის მეფობა, კიდევ პატარა გოგონად აესახა თამარის უმანკო სახე, სიტყვა „მეფე“ გვიან დაუმატა? ხვაშაგი მტლად დაგდებოდესო, უთხრა და ახალგაზრდულად შეწითლდა.

— ერთად-ერთი სიმდიდრე ადამიანისათვის და განსაკუთრებით მეფისა და მმართველისათვის არის კაცთმოყვარეობა...

შეკრთა რუსუდანი. თამარის სახეზე ჩრდილმა გადაიქროლა. დარბაისელს სწორედ ის სიტყვა წასცდა, რასაც მუდამ ერიდებოდა თამართან. კაცთმოყვარეობაზე საუბარი თამარში საშინელ მოგონებებს იწვევდა, რაც ყველა ახლო მყოფს გულს უსერავდა. რუსუდანმა საუბარი ახალ აზრში გადააგდო:

— კაცთმოყვარეობა (კვლავ მოუხდა ამ სიტყვის განმეორება) ეს ულეველი წყაროა, შვილნო ჩემნო, ბედნიერების. ქართველ ქალს ეს ღირსება ღვთით არ აკლია, ცოდნის შეძენა კი ამ ღირსებას აამაღლებს.

— ჰოდა მეც მიტომ, მამიდა ბატონო.

რუსუდანმა შენიშნა, თამარის ბრწყინვალე თვალებს სევდის ბინდი გადაეკრა, რომ წამწამთა ტევრი არა, თვალებიდან ციური ნამი დაიღვრებოდა. ყველა მათგანმა იცოდა, რისი მოგონება სტანჯავდა მწარედ.

ეს იყო მამის, გიორგი III-ის მიერ დემნას თვალების დათხრა, რაც თამარმა თავის გულში მამას ვერ აპატია. რუსუდანის ტანჯვაც აუწერელი იყო მაშინ. ძმამ გიორგი III ღვიძლი ძმის დავით V შვილს დემნას თვალები დათხარა.

ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი თამარი გულამოსკვნილი დასტიროდა ბიძაშვილის უბედურებას. განა ვინმემ იცოდა რუსუდანზე კარგად, რომ მისი ძმის მიერ ჩადენილი სისასტიკის მოგონება, მის

მიერ აღზრდილ თამარს მთელი ცხოვრების მანძილზე გულს რომ უსერავდა, საუკეთესო წუთებს უწამლავდა გონებით და ნებისყოფით აღჭურვილი, სახელმწიფო საქმეებით დატვირთული თამარი უძლური იყო ამ ამბავს შერიგებოდა, დავიწყებას მისცემოდა.

რუსუდანს ქალი შეებრალა, ხელი მოხვია. ფიქალ შუბლზე ეამბორა. თამარმა კალთაში თავი ჩაუდო მამიდას, ნუკრივით გაინაბა.

ყველანი სდუმდნენ.

თამარი ადგა. სახეზე სევდა გამეფებოდა, დარბაისლებს მოშორდა, ხელსაქმით გართულ ქალებს მიაშურა.

— მართა, ეს რა მშვენიერი რამ გისაქმია! — დააკვირდა ფართო დიბაფარჩას, რომელზედაც უხვად გაბნეულიყო სირმა ოქროსფერი, სირმა ვერცხლის ფერი. მქარგავს მიწა მწვანედ მოუფენია, მწვანე თანდათან მაღლდება, მთად იმართება, რომელიც კალთების შუალედიდან თეთრი თოვლით დაფარულია, მთის მწერვალისავის მზეს სხივები უტყორცნია.

მზის სხივებით გალხობილი თოვლი ვერცხლისფრად სერავდა ბუჩქოვან მთების კალთებს და ბარისაკენ ნაკადულებად აგზავნიდა.

— დიდებულია, მართა! — აღტაცებით განაგრძო თამარმა, აბა დამეხმარე, კარგად გავხედოთ, კედელთან მოვიტანოთ, შორიდან მთლად წარმტაცი იქნება.

— ბატონებო, შეხედეთ. — მოიწვია მეფემ ბანოვანნი. ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ. მართა გაწითლდა. მოკრძალებული ბლეხის ქალი მეფის მოწონებამ გაამხნევა, გაახარა.

თავადთა და აზნაურთა ქალებმა შურით გადახედეს აქარგულ ფარჩას. თვით თამარმა კი ამ ქალებს საყვედურის გამომხატველი მზერა მიაწვდინა, რომ მათ ასეთი საგულისხმო ვერა შექმნეს რა. გულშიაც გაკვირვებას და სიამოვნებას გვრიდა, მერე კი რაღაც უხილავმა, გაურკვეველმა წყენამ გაურბინა, გული დაწყდა, რომ იგი რომელიმე დიდგვარიანი ქალიშვილის მიერ არ იყო გაკეთებული.

— მინდოდა მთლად გამეთავებინა, ჩარჩოებზე დამეკრა მწყალობელო მეფევ!

— ჩარჩოები მზად გაქვს, მართა?

— კი, მწყალობელო, მხოლოდ ვერ მოვასწარი შენს მობრძანებამდე გაკეთება.

— გავაკეთოთ, ახლავ ყველანი დაგეხმარებით, — შეესიტყვა თამარი, რამდენიმე წამის შემდეგ ჩარჩოებში ჩასმული, აქარგული ფარჩა ამშვენებდა დარბაზის ერთ-ერთ კედელს.

რამდენიმე ხანს გაგრძელდა საუბარი მართას მიერ მოქარგულ ფარჩაზე.

— ყველაფერი მშვენიერად არის, მართა, გაკეთებული —

უთხრა თამარმა დიდი დაკვირვების შემდეგ, მაგრამ ოქრომკედით ნაქარგი ადგილები უფრო ხორცშესხმული უნდა იყოს, მაგალითად მდინარე. — თამარს ყველა დაეთანხმა.

— წამოდი ჩემს ქარგასთან, — უთხრა თამარმა მართას და წაიყვანა იქ, სადაც გულისპირს ქარგავდა თამარი ოქრომკერდით...

— შენს ნახელავს ეს ნაკლი არც ისე ემჩნევა, მხოლოდ კარგი მცოდნე და დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს. წადი, შეისვენე, ჩემო მართა. კაცი რომ ასეთ დიდ დაძაბულ მუშაობას მორჩება, დაღლილობას მერმედ უფრო იგრძნობს—თქვა თამარმა, სხვათა ხელსაქნარებს დაუწყო სინჯვა.

— კატო, შენ ცხენზე ჯდომა და თოფის სროლა უფრო გემარჯვება, ვიდრე ნემსი და ქარგვა! — მის სახეზე ღიმილი აცისკროვნდა.

— რა ვქნა, დიდებულო მეფევ, ბავშვობიდან იმას შევჩვეივარ.

— თუ არ გიყვარს ეს საქმე, სხვა რამეს მოჰკიდე ხელი.

— არა. მწყალობელო, მე უზომო სურვილი მაქვს თქვენთან ახლოს ყოფნისა და მუშაობის.

— ვითომ მარტო ჩემი სიყვარულით შეგიყვარდა ხელსაქმე, თუ გინდა კარგი ქარგვა ისწავლო, მზითევი გამოიწყო, ვინმეს სამახსოვრო ქისა უნდა მოუქარგო.

კატო გაწითლდა, თავი დაღუნა. პასუხი ვერ შებედა. თამარმა თავზე გადაუსვა ხელი.

— განა რა არის აუგი, ახალგაზრდა ქალს თუ გრძნობა გაუჩნდება, მას სპეტაკად მოუვლის და ბოლომდის მიიყვანს. გრძნობისა და მოვალეობის სიმტკიცე ქალის დანიშნულებაა, ჩემო კატო. მაჩვენე, რას ქარგავ? — მეფემ გაიღიმა. კატო მართლა მათარას ქარგავდა, — განაგრძე, ასეთებს ბევრს დაგაქარგვინებ, სხვებისთვისაც მოგვინდება. — შემდეგ მოზარდ გოგონებს მიუახლოვდა, რომელნიც ქსოვაზე და ადვილად შესასრულებელ საქარგავებზე მუშაობდნენ. თამარმა უზადო ხელი თავზე გადაუსვა მათ, დედობრივი ზრუნვით გაესაუბრა.

— შენ, წერა-კითხვა თუ იცი, შვილო ჩემო? შეეკითხა ის გოგონას.

— ცოტა, მწყალობელო,—მკვირცხლი გოგონები უეცრად თითქოს ბრძენ ქალებად გადაიქცნენ. ნატიფი ზრდილობა სანიმუშო იყო.

— ვიცი, ბატონო მეფევ.

— ვინ გასწავლის სახლში წერა-კითხვას?

— დედა მასწავლის.

ყველას მრავალი რამ გამოკითხა. ზოგს დაუბარა მოცლილობისას დედაშენმა მინახულოსო. ისევ სეფე ქალებისაკენ გამობრუნდა.

— სანამ შენ, შვილო ჩემო, ქალების ნაშრომს ამოწმებდი, ჩვენ კიდევ ძველი ამბები მოვიგონეთ. — უთხრა რუსუდანმა.

— აბა, რა მოიგონეთ, მე რომ არ მახსოვს ისეთი რამ?

— ყურთლუ არსლანის ამბოხება, შენ რომ სრულიად ახალგაზრდა იყავ, მაინც არ დაიბენი, საქმე გონიერად გაათავე.

— განა ჩემი გონიერებით ხსნით იმ ბედნიერებას, რომელიც მაშინ მე მეწვია გამოუცდელსა და აღელვებულს? იმ დროს მამიდა, აუცილებლად თქვენ, ბატონმა ხვაშაგ ცოქალმა და კრავაი ჯაყელმა იხსენით ჩვენი ქვეყნა აღრევისა და ძმათა სისხლის ღვრისაგან, ჭეშმარიტად თქვენი სახელი ნათელივით მოიხსენება მარადჟამს.

— მეფეე ჩვენო, ადამიანი როდესაც მიზანს მიაღწევს, განვლილი ცოდვა და ვარამი ავიწყდება. რა სანახავი იყვნენ ჟამსაშინა არეულობას განდგომილნი. დაღვრემილი სახეები, სასოწარკვეთილნი. გამხმარი და დალურჯებული სჩანდნენ მათი ბაგენი.

— მაინც დიდია ზრდილობა ქართველთა. განდგომილთ, როგორც კი გაიგეს რუსუდან დედოფალი მობრძანდებაო, იმ წუთსავე მუხლები მოიდრიკეს.

კრავაი ჯაყელს ჯერ კიდევ არ გაეთავებინა თხრობა, თუ როგორ მიიღეს ისინი განდგომილთ, რომ კარი გაიღო, თამარის პირადი მსახური შემოვიდა, თაყვანი სცა მეფესა და დიდებულთ, შემდეგ მოკრძალებით მოახსენა:

— პირიმზეო, ნანა გეახლათ.

— თან მოაქვს რამე? სწრაფად, ცნობისმოყვარეობით ჰკითხა თამარმა.

— დიახ, მბრძანებელო, მოზრდილი ფუთა.

— მამიდა! ნანა შინ ჰქარგავდა რაღაც სურათს, არ მითხრა, თუ რას. წელიწადზე მეტია, ნეტავ რა არის?

ის ქალურმა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა. დარწმუნებული იყო, რომ ნანა ახირებულ რამეს არ გააკეთებდა, ბავშვობიდანვე იცნობდა მის ნიჭსა და ხელსაქმეს.

ნანამ დიდი კარები განვლო, თამარი შენიშნა და მისკენ გამოემართა. ქალი იყო მაღალი. თავთუხისფერი დალალები კოქებამდე სცემდა, ფერმკრთალ სახეს შავი წარბ-წამწამი და ცისფერი თვალები უმშვენებდა, მოზიდულ წარბთა შუა ღარი აჩნდა ნაპრალივით, რაც მის ამაყ შუბლს დიდებულ შესახედაობასთან ერთად, განვლილი მწუხარების იერს აძლევდა. სადად ეცვა, სამოსი რუხი ფერისა იყო, სამგლოვიაროს ჰგავდა.

მთელი დარბაზი მიინაბა. თვალს არ აშორებდა მტკიცე ნაბიჯებით მომავალი ქალის ჯავარიან შეხედულებას.

ნანა გააზატებული კახელი გლეხის ურწემესი შვილი იყო. მამა სოფლის გუთნისდედა, თამარის მხედრობის გუნდისთავი და საქვეყნოდ ცნობილი მეომარი ვაქკაცი, მკლავმაგარი მშრომელი

იყო. ბრძოლაში შვიდი ვაჟიშვილი, შვიდი ლომგული, მხარს უმშვენებდა ჭარმაგ დედაბოძს. საამო იყო მათი ცქერა, პურის მკისა და თიბვის დროს, მათი ლაღი პურის ჭამა და ლხინი, ასპარეზობა და დარბაისლობა.

ვერაგად მომხტარი მტერი ხვნის დროს რისხვასავით დაატყდა თავზე სოფელს. მუშახელმა ჯარის მოძრაობა გულმკერდით შეაკავა. მაშველმა მოუსწრო და ამბის წამღები არ დაბრუნებულა.

ნანას სახლიდან რვა კუბო გაიტანეს, მოხუცი დედა ჯავრს გადაჰყვა.

გახვლო ჟამმა. ოჯახის ერთერთ მემკვიდრეს თამარი ეურვა. ნანა თან წამოიყვანა და დედობა გაუწია. ხელსაქმე შეასწავლა და გაათხოვა. ნანამ სანიმუშო ოჯახი შექმნა, სოფლის თვალი გახდა. სოფელში არ იყო ახალგაზრდა, რომ წერა-კითხვა არ ცოდნოდა, ხელსაქმეს არ დაუფლებოდა. ნანას უებრო ნახელავს არა ერთი ეკლესია და თამარის პალატა დაუმშვენებია.

ნანა თამარს მუხლებში ჩაუვარდა და კალთაზე ეამბორა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ თამარმა ვერ მოასწრო წინააღმდეგობა გაეწია.

— ვერ გადაგაჩვიე, — შეჰღიმა თამარმა და თვალებში აკოცა. როგორა ხართ, ჩემო ნანა, რასა იქმ, ოჯახი, ბავშვები.

— შენი წყალობით, პირიმზეო, და ღვთით ვცხოვრობთ.—ნანამ მოკითხვა ვერ შეჰბედა დიდ მეფეს. თამარი მიუხვდა.

— კარგად, ნანა კარგად. მხოლოდ გვივიწყებთ შენ და სხვანიც.

— შენი დავიწყება ვით ეგების, პირიმზეო, მაგრამ ხშირი შეწუხება გვიმძიმს. ახლაც ძლივს გავბედე, მოგართვით ჩემი ნაცოდვილარი.

სამი დარბაისელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა დიდიხნის ნაცნობ ნანას, რომელიც ქართველი დედის განსახიერება იყო მათ თვალში.

— აბა გვასიამოვნე, — მიმართა მას რუსუდანმა და მხარზე ხელი მიუთათუნა წასაქეზებლად.

ნანამ დიდი მღელვარებით გახსნა შეკრული. თამარი დაეხმარა. ნაქარგი დიდი იყო და მტკიცე ხელით ნაკეთი.

მოშორებით ცის კაბადონზე საქართველოს ტყით მოსილი მთები სჩანდა. მზის დისკოში თამარის სახე იყო ოსტატურად ჩამტკიცული. გაშლილ ველზე სურათის შუა ადგილას გუთანს მოკიდებული ჭარმაგი გუთნიდედა ბარაქიან მიწას ხნავდა. მარჯვენაში სახრის ნაცვლად ხმალი ეპყრა, შესცქეროდა. შორს თეთრმანდილიანი ქალი მოსჩანდა კალათით, ალბათ სამხარი თუ მოჰქონდა ყანაში. სურათი იყო სადა. ხმლიანი გუთნისდედა სურათში უმთავრესი იყო, დანარჩენი — მხატვრის შთანაფიქრის დასასრულებელი.

ცერებზე შემდგარი ქალები ახლოს მოსვლას ვერ ბედავდნენ. რუსუდანმა ანიშნა და ყველა სურათს შემოეხვია.

სიჩუმე გამეფდა.

მოწონების ჩურჩულმა სიჩუმე შეარხია.

— აი, ეს არის საქართველო! ეს, არის ხვედრი ჩვენი. — ისე წარმოთქვა თამარმა, თითქოს თავისთავს ესაუბრებოდა, — წარმავალია ყოველი, წარმავალი ვართ ჩვენც, ცოდვილნი, მაგრამ იცოცხლებს საქართველო, იქნება ესე ქვეყანა ღვთით ნაკურთხი წყალობითა გუთნისდედითა და მიწითა მისით.—ქალებში ამინმა ჩაიჩურჩულა და თაღებმაც თითქოს გაიმეორა.

— ეგრეა, მეფეო, აგრეც იქნების. — ძლივს გაბედა ნანამ.

— ნანა ჩემო, რატომ მზეში მე?

— მზე მუდმივ გვინათებს, პირიმზეო, შენ ჩვენი მზე ხარ, ჩვენ კი შენი ფეხთა მტვერი. მსურს, მეფეო, ისმინოს აჯა ღვთისმშობელმა და სხვანიც — მეფენია ჩვენი და საქართველოსისი გედაროს სიკეთითა შენ, დარჩენილიყოს სახელი შენი საზღაპროდ, რამეთუ მოგბაძონ შენ ყოველ კარგ საქმეში ამიერიდან უკუნით უკუნისამდე. მიწყდა ძლიერი ხმა ნანასი.

— ამინ! — ხვაშაგის ხმა იყო მტკიცე და საზეიმო. თამარმა თვალით აზომა ნანა, გულში ჩაწვდა და ფიქრს მიუხვდა.

მის წინ იდგა ქართველი დედა, ხელმადლიანი, სამშობლოს მოყვარული, მანდილუმწიკვლო და ერთგული.

თამარმა ფიქრისტოლს ხელი მოჰხვია, გვერდით მოისვა და დასავით აკოცა. ახალგაზრდა გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და ნელი ჩურჩული გაიბნა თამარის მოშორებით.

— რა კეთილია, რა თავმდაბალი, კეთილიც არის და თავმდაბალიც, მაინც მეფეა, აბა გაბედე, რაც მას არ ეამება, გააკეთე — იმ მშვენიერ სახეზე ისეთი რისხვა გადაუვლის, მამა მისი მოგაგონდება, — უპასუხა ქალიშვილთან შედარებით ხანში შესულმა ქალმა.

კედელზე კი ოქრომკედით ნაქარგი გუთნისდედა კიაფობდა, გუთნითა და მახვილით, მტკიცე და კეთილი ვით საქართველო და მეფე მისი თამარ.

ზ ვ ა ვ ი

ფართო და გაშლილი იყო თამარ მეფის სასახლის ეზო. გარდა თვით სასახლის დიდი დარბაზებისა და საცხოვრებელი ოთახებისა, მრავალად იყო პალატა, სასტუმრო, სალხინო. ყველაზე უფრო თვალს ეცემოდა ცადაზიდული კოშკი, რომელიც დაშენებული იყო პატარა, კოხტად მოწყობილ სახლზე. სადგომის დერეფანი, კიბით უერთდებოდა კოშკს. აქ ცხოვრობდა ვარსკვლავთმრიცხველი, რომელიც თავის ოთახში მთელი დღე ღამის მანძილზე 5-6 საათსაც არ გაატარებდა, ის ზევით კოშკში იყო მუდამ. კოშკი მრავალსარკმლიანი იყო და ნათელი. მაგიდაზე ეწყო: ჭოგრიტები, სტროლაბები. კოშკის კედლებზე სხვადასხვა ნახაზები ეკიდა, ჩარჩოებში ჩასმული. მხცოვანი ვარსკვლავთმრიცხველი ცას უკვრეტდა. ცა ერთი მხრით ცუდათ მოღრუბლული ეჩვენებოდა, გაიფიქრა: ეს არის კარგის მომასწავებელი. მთას თავზე ღრუბელი დასტრიალებს, ეს წინამორბედია ჭექა-ქუხილის, რომელიც მეტ შემთხვევაში ძლიერი წვიმით, ნიაღვრით თავდება ხოლმე. ახლა ივნისია—საშიშარია, მთებში თოვლი ისედაც ლხვება, მან ფიქრი ვერ დაამთავრა, რომ ვიღაცამ შემოსვლის ნება ითხოვა.

— მობრძანდით!—ისე დაიძახა, არც განძრეულა. თავი მხოლოდ მაშინ აიღო, როდესაც ახლოს მოსული თამარ მეფის ხმა გაიგონა.

— სულ მუშაობ, ჩემო ვამეხ, სულ ცას ესაუბრები, ლამის მიწა სულ დაივიწყო, — ვამეხი სწრაფად წამოდგა, მეფეს თაყვანი სცა და მოახსენა:

— მეფეთ მეფეო! მე, შენი მორჩილი, ვცდილობ, როგორმე დავძლიო საქმე ჯერ დაუძლეველი. ცა ცუდად გამოიყურება, ჰაერის ასეთი არევა, ცუდს გვიქადის, შეიძლება დიდი გრიგალი იქნეს, ან მუდმივი წვიმები, მიწისძვრა. მოგეხსენებათ, მწყალობელო, ყველა ეს მოვლენა მტერია ადამიანის.

— ყოველი ასეთი შემთხვევა გაანადგურებს სოფლებს, შეაწუხებს ხალხს. — ამოოხვრით თქვა თამარმა.

— რა ვქნათ, მწყალობელო, უბედურებაც მაგაშია, უძლურნი ვართ, ყოველთვის გამოვიცნოთ იდუმალება ბუნებისა.

— ყოველ შემთხვევაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ხალხის საშველად. ხომ არაფერი გაკლიათ, ვამეხ.

— არა, მწყალობელო! პირიქით, ჩემი ბედი ყოველ-მეცნიერს შეშურდება, ღირსი არა ვარ.

— ჩვენ, გამგებელნი, ვალდებულნი ვართ ხელი შეგიწყოთ. ფრიად დიდი მოვალეობა გაწევთ, შეუმსუბუქოთ ხვედრი მაშვრალთა.

— ბრძენი ხართ, მეფეთა მეფევ, ჭეშმარიტად, ბუნების შეცნობა-დამორჩილებაზე უნდა აშენდეს ადამიანის სანეტარო და ბედნიერი ცხოვრება.

— მასმინე, ბრძენო, ამჟამად ხომ არ მოგველის რაიმე საფრთხე, რაც შეგვიწუხებს მოსახლეობას, შეაფერხებს მოსავალს ჭირნახულს ქვეყნისას.

— დიდებულო მეფევ, მე თვით მინდოდა გხლებოდით დღესვე, რათა მომეხსენებია ჩემი დაკვირვება. თვით მოგეხსენება, მწყალობელო, მეტად ძნელია გადაჭრით შეიცნოს მოკვდავმა ღვთის სურვილები და ბუნების კანონი,ხშირად შევეცდები კიდეც, მაგრამ ახლანდელი დაკვირვება და ჩემი დასკვნა, მეშინია, მართალი გამოდგეს. მესმა საქმე საშინელი—რუმის სულთანის ელჩის წარმოგზავნისა და მის მიერ მოტანილი მუქარისა. ასე სჩვევია, ბატონო, ქვეყანას, რომელსაც ერთი ჭირი ეწვიოს, მეორეც უნდა დაერთოს მას. ომიანობას მუდამჟამს ემთხვევა ცუდი ამიდი, ჭირნახულის გაცუდება, მავნებელი კალის შემოსევა და სნეულება მრავალი.

თამარ მეფე ჩააფიქრა ვამეხის სიტყვებმა.

— წარმატება და გამარჯვება კეთილ საქმეში, ვამეხ, — უთხრა მეფემ და გამობრუნდა.

— გამარჯვება და სიხარული ნუ მოაკლოს ჩვენს მეფესა და მის სამწყემსოს. — მოახსენა ვამეხმა და კოშკის კიბემდის ჩააცილა თაყვანცემული.

კოშკიდან დაბრუნებული თამარი ვერ ისვენებდა, გულზე ლოდივით აწვა შიში. ვაი თუ მართლა ცუდი ამიდი წამოვიდეს, სოფლები ზვავმა წაგვილეკოს, როგორც ათი წლის წინათ მოხდა.

ასე უგუნებოდ მყოფ თამართან რუსუდანი შემოვიდა. თამარს ოდნავ გულზე მოეშვა. ამღზრდელ მამიდას გულზე ეამბორა.

— რა კარგი ინებე, რომ მობრძანდი. მე კიდევ გული მერჩოდა, გხლებოდი, შემდეგ ჩემს პაწიებს.

— მე კი მეგონა, ისვენებდი. მითხრეს, თამარი ვარსკვლავთმრიცხველის კოშკში ბრძანდებაო, შენსკენ მოვეშურე, რომ დამეტუქსე, შენ თავს სრულებით აღარ ზოგავ, მეშინიან არ დამისნეულდე, იმ სიმაღლე კოშკშიც თითქმის ყოველდღე ადიხარ.

— ბატონო მამიდა, ძლიერ მიყვარს ვარსკვლავთმრიცხველობა. ხომ პაპას ჩემსას დიდ დავითსაც უყვარდა იგი. მე ვალდებულად

ვრაცხ თავს ყოველთვის ვიცოდე, რა ხდება ჩემს სახელმწიფოში, რა მოგველის, რა ვიღონოთ.

— მართალია, მეფე ხარ, დიდი მოვალეობა ღირსეულად უნდა შეასრულო, წარუძღვე ქვეყანას შენი სიმართლით და დედობრივი ზრუნვით. ყოველი მმართველი საპირადო სიამოვნებას უნდა თმობდეს, შენც ასე იქმოდე, შეძლებისდაგვარად კი თავს უვლიდე, ისევ იმისათვის, რომ დიდხანს შეგწევდეს ძალა ხალხის სამსახურად.

— ძვირფასო მამიდა, მე ყოველ წუთს ვსწავლობ შენგან სიბრძნეს. — ხელი მოხვია მამიდას და ააყენა.

— წამობრძანდი, ბავშვები ვინახულოთ, ვინ იცის, სულ მალე მომიხდეს სასახლიდან გასვლა, დღეს სულ ვერ დავტკბი მათი ცქერით. — ისინი რუსუდანის — თამარის ასულის ოთახისაკენ გაეშურნენ.

საბავშვო ოთახში მშვენიერი სურათი დახვდათ: ბუთხუზა, ლამაზი 7-მ წლის ლაშა გიორგი „შეიარაღებული" მოსულიყო პატარა დის, რუსუდანის ოთახში. მის იარაღს შეადგენდა შვილდ-ისარი, რომელიც ვერავის გაგმირავდა, ხმალ-ხანჯალი, ისიც უვნებელი, მსუბუქი და სათამაშო. პაწია რუსუდანი სათამაშო აკვანში ჩაკრულ დედოფალას „აძინებდა", დამღერიოდა. ძმა აჯავრებდა, ხელს უშლიდა, ანცობდა, აკვანს თავზე დაჰყვიროდა. ლაშა ისე გაეტაცებინა დის გამოჯავრებას, რომ გადიას სიტყვები არ ესმოდა, რომელიც მის ოთახში იწვევდა. ოთახში შემოსული თამარი სიამოვნებით უყურებდა ბავშვებს, რომლებმაც გვიან დაინახეს დედა. ისინი შემოეხვივნენ მას, არც პაპისდა დატოვეს უყურადღებოდ.

თამარი ნაზად ეალერსებოდა შვილებს, პაწია რუსუდანი მუხლებზე დაისვა, ლაშა ფიცხლად განიარაღდა, ყველაფერი ხალიჩაზე დაჰყარა, დედის მეორე მუხლზე ჩამოჯდომა მოინდომა, ბროლის კისერს მოეხვია, რუსუდანს წაართვა ადგილი დედის მკერდთან.

— დედა ჩემია, — ჰყვიროდა ხმამაღლა. რუსუდანი სატირლად მოემზადა. — ლაშა, ლაშა, შენ ხომ დიდი ბიჭი ხარ, რად მოიხსენი იარაღი, ან როგორ დაჰყარე, განა ვაჟკაცი ასე უვლის იარაღს?

— ახლა ომში ხომ არა ვარ, არც ვფარიკაობ, მე ახლა ჩემი დედა მინდა, — თამარს გაეცინა, გულში იკრავდა ხან ერთს, ხან მეორეს. შემდეგ გიორგის გადიას მიუბრუნდა:

— როგორ ნიჭს იჩენს შენი გაზრდილი სწავლაში, ფარიკაობაში, როგორ ატყობ, როგორი ვაჟკაცი დადგება?

— მწყალობელო მეფეო, მემკვიდრე დიდ მისწრაფებას იჩენს რაინდობისკენ. 3-4 წლით უფროს ვაჟებს ჯობნის ღონითა და სიმარდით, მოსაზრებით. ძლიერ უყვარს აგრეთვე მეფის ძეს წიგნი, მაგრამ მე ჯერ საჭიროდ არ მიმაჩნია მისი საქმით დატვირთვა.

— შენ როგორ ფიქრობ, მამიდა ბატონო, წიგნს ჯერ ვითომ განვერიდოთ?

— არა მგონია! საჭიროა ყოველდღე მცირე ჟამი დაეთმოს წიგნს.

— მწყალობელო დედოფალო, მეფისწული კარგად ითვისებს ანგარიშს, ძლიერ უყვარს სმენა საღმრთო სჯულის ამბებისა.

— უფალი იყოს შენი შემწე, პირნათლად შეგესრულებიოს მოვალეობა ხალხისა და ტახტის წინაშე. გაუზრდელი და უვიცი, უბრალო კაცი არ ვარგა, ხოლო მეფე გაუზრდელი, უვიცი და მხდალი თავისთავსაც და ქვეყანასაც დაღუპავს.— თქვა რუსუდანმა.

* * *

დღე და ღამე გაყრას ლამობდა.

სასახლის კარიბჭეს მხედარი მოადგა. დაღლილი და აღელვებული ვაჟი ოფლში გათქვირულ ცხენს ძლივს აჩერებდა. ის სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან; მეკარეს ესოდა უთხრა: მეფე თამარს უნდა ვეახლო, პირადათ უნდა მოვახსენო ჩემი გაჭირვებაო.

ვაჟს კარი გაუღეს.

თამარ მეფეს ასე ჰქონდა დაწესებული: შორიდან მოსულ კაცს არ დაალოდინებდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, იმ წუთსავე მიიღებდა.

ახლაც პატარა სასტუმრო ოთახში სავარძელში იჯდა, ხელში წიგნი ეპყრა რომ მის წინაშე ახოვანი ვაჟკაცი წარსდგა.

— რა დაგმართნია, შვილო ჩემო, რა ამბავი მოგაქვს?

— ძალიან ცუდი, მეფეთა მეფეო. ჩვენი სოფელი ამ დილით ზვავმა გაიტანა.

თამარი შეკრთა.

მსხვერპლი არის?

— არ უნდა იყოს, მწყალობელო, მხოლოდ პირუტყვის ზარალი გახლავთ. განადგურდა ოჯახები და თუ რამ გადარჩა, მეფეო, კიდევ მოხუც მამუკას უნდა დაუმადლოთ, ვინც დაუჯერა, არ წაუგიათ.

— ბარაქალა, ჩემო მამუკა, კიდევ მხნედ არის? მიამბე როგორ იყო საქმე.

— მწყალობელო მეფევ! დილიდანვე დაიწყო მამუკამ სოფლად სიარული, ყველას ეძახდა: დღეს აუცილებლად ზვავი ჩამოვა, თავს უშველეთ, სოფელს გაცილდითო. ბევრმა დაიჯერა— გაყვა მამუკას, რომელიც თავისი ჯალაბით ყველაზე ადრე აიყარა. მო-

გეხსენება დიდი ჯალაბი ჰყავს, მეც მისი შვილიშვილი გახლავარ.

— მამუკას შვილიშვილი ხარ?

— გახლავარ, მეფეო. იმას მოგახსენებდით, ბევრი გაგვყვა, ბევრმა არ დაიჯერა, ახლა კი ნანობენ, მაგრამ გვიანღაა. მეფევ ბატონო, ხალხმა და მამუკამ ეს მოგახსენათ, ცის ქვეშ დავრჩით, რას ვეწიოთ, გვიბრძანეო.

მეფემ პირად მდივანს უხმო და უბრძანა:

— დაღლილ მხედარს მოუსვენეთ, ცხენს მიხედეთ, არაფერი მოაკლდეს. გადაეცით ნინოს დაუყოვნებლივ შეკრიბოს ქალთა რაზმი.

შუაღამე მოახლოებული იყო. სასახლის კარიბჭის გადაღმა, დიდ მინდორზე მწყობრად იდგა სამასი ქალი. ყოველ მათგანს ხელთ ეპყრა შეკაზმული ცხენის ლაგამი, გასცქეროდნენ ცას და თავიანთ სარდალს—მეფე თამარს ელოდებოდნენ.

ბაზალეთის მხარეზე გრგვინვა-ქუხილი მოისმა. წუთიც და თამარი სასახლიდან გამობრძანდა. მეფე ქალი მინდვრისაკენ გაეშურა, ქალთა რაზმს მიუახლოვდა. მას რაზმის მეთაური ეახლა, თაყვანი სცა.

თამარს თმის დიდი ნაწნავები შეეკრა, თეთრი დარაიის ყაბალახში დაემალა. მაღალი ტანი ამორძალების ტანსაცმელში ნარნარობდა. თვალებიდან სხივები კრთოდა, გედივით მოღერებული ყელიდან ამოსული სიტყვები იმედითა და სიხარულით ავსებდნენ რაზმეულთ.

— შვილნო ჩემნო, ერთი სოფელი უკვე წაულეკავს ზვავს, ალბათ სხვა სოფლებსაც ელის საფრთხე, ახლა საჭიროა დედების ზრუნვა და ამაგი ქვეყნისათვის.—ის თავის ლურჯ მერანთან გაჩნდა, ოქროთი და ვერცხლით შეჭედილ რახტს ალმასებით და მარგალიტებით აქარგული ასალი ამშვენებდა, ცხენის სამკერდეზე უხვად ეყარა თვალი პატიოსანი.

ტაიჭი მორჩილად ელოდებოდა თავის მხედარს.

თამარმა პირჯვარი გადაიწერა, მარჯვენა ხელი ამართა ჰაერში, თლილი თითები საოცნებოდ დაიკეცა. რაზმსაც ჯვარი გადასახა, კარის მოძღვარმა ლოცვა აღავლინა. დახმარება არავის დასჭირებია, სწრაფად ცხენს მოევლო.

სამასი ქალი ერთ წამში ცხენზე იჯდა. თითქოს ნიავმა დაუქროლაო, ერთდაიმავე დროს გაიფრიალა სამასმა მანდილმა. რამდენიმე წუთში ცხენები, თქარა-თქურით, მწყობრად მოწყდნენ ადგილს.

შეუსვენებლად და ჭენებით მიჰქროდნენ მოძმეთა დასახმარებლად ქართველი ქალები, მათი განთქმული მანდილები დროშებივით ფრიალებდნენ ღამის წყვდიადში.

წვიმამ იძალა. განთიადის წინ საშინლად ჩამობნელდა, არც მთვარე, არც ვარსკვლავები. დაბურული ტყეებიდან ჭოტების ხმა

მოისმოდა, რომელიც უსიამოდ აპობდა ჰაერს. ხან ცხენების ფეხის ხმით დამფრთხალი ნადირი გაიელვებდა გზაზე. რომ არა ბამოცდილი მეგზური და ნაცადი ცხენები, გაძნელდებოდა გზის გაგნება.

ქალთა ასაბია მხოლოდ გათენებისას მიუახლოვდა დაზარალებულ სოფელს, ხალხი იქვე სოფლის ახლოს, ტყის პირად გაშლილიყო თავისი ბარგი-ბარხანით. ცეცხლი ენთო მრავალ ადგილას, წვიმით დასველებულ ტანისამოსს იშრობდნენ.

გულმოსაკლავ სურათს წარმოადგენდა ასხრიალებული ბავშვები, აბღავლებული პირუტყვი; შიშნახული ძაღლები ღმუოდნენ და წკმუტუნებდნენ. მამლების განუწყვეტელი ყივილი ისმოდა ტყიდან, ნასოფლარიდან.

სასოწარკვეთილ ხალხთან თამარმა შეაჩერა გაქაფული ცხენი. სხივი მოჰფინა იქაობას.

მისი მშვენებისა და უამრავ ცხენოსან ქალთა მნახველები განცვიფრდნენ, დაიბნენ, ისევ თამარის ხმამ გამოაფხიზლა ისინი.

— გამარჯვება ხალხო! გული ნუ შეგიშინდებათ, რაკი ადამიანის მსხვერპლი არ არის, სხვას ყველაფერს ეშველება.

— გამარჯვება ნუ მოგაკლოს, მეფევ!—შესძახა ხალხმა. ცისკარს ამოყოლილი თამარის თვალთელვარება განადგურებული სოფლელების გულში იმედათ დასადგურდა.

თამარ მეფემ ხალხში ჭარმაგი მოხუცი შეამჩნია, რომელიც ბერ მუხასავით ამართულიყო, ცისაკენ იცქერებოდა.

— მამუკა! კიდევ ცას გასცქერი? — მამუკა მიუახლოვდა, თაყვანი სცა მეფეს. წესი და ადათი დაიცვა.

— კურთხევა, მეფეო!

— მარჯვენა და გონება გიკურთხოს უფალმა, რა მოგველის.

— რა ვქნა, შენი კვნესამე. მოგვილია ამ შეჩვენებულმა, აგვყარა, გაგვანადგურა, შეიძლება კიდევ გვიმუხთლოს, თუ არ გადაიკარა.

— როგორც მომახსენეს, შენ გიყოჩაღნია, სოფელი გიხსნია.

— ადამიანის მსხვერპლი არ არის, მეფეთა მეფეო, მაგრამ საქონელი, ნაშრომი, ეზო-კარი დაგვეღუპა: როდისღა მოვიდგამთ სულს, სად მოვიკიდებთ ფეხს სიბერის დროს. კაცი მაშინ ვიყავი, მწყალობელო მეფევ, ბაბუა თქვენი დიმიტრი მეფის ლაშქარში რომ ვიბრძოდით, მოვხუცდი, დიდო მეფევ, ახლა, რაკი მარჯვენა აღარ მერჩის, არც მიჯერებენ, თორემ ერთი ქათამიც კი არ დაგვეკარგებოდა, ყველაფერს გამოვიყვანდით და გამოვიტანდით.

— ნუ გეშინიათ, დაწყნარდება ბუნება, გავთხრით ღორღებს. ნასახლარებზე დაყრილს ყველაფერს გამოვიტანთ. ახლა მთავარია ვიზრუნოთ — სად დავასახლოთ სოფელი? ეს საქმე არ გადაიდება, რაც შეიძლება მალე უნდა შევიყვანოთ გადახურულში ბავშვები, მოხუცნი—ვერ გაუძლებენ მინდვრად ცხოვრებას.

— რა ვქნათ, მეფე ბატონო, ისევ ჩვენს ნაფუძვარს დავუბრუნდეთ, თუ რას გვიბრძანებთ?

— არა, მაგ ფუძეს ენდა განშორდეთ, არ არის საიმედო. ჯერ ჩემს მახსოვრობაში აქ ზვავის ჩამოწოლის ეს მეორე შემთხვევაა. მსურს ეს სოფელი სრულიად უშიშარ ადგილას გაშენდეს. დაუძახე გამოცდილთ, ხანში შესულთ. სად გეგულებათ კარგი ადგილი. თამარს მოწიწებით წარუდგა ამ სოფლის მფლობელი ხანდაზმული აზნაური, მან დედოფლის წინაშე თავი ღრმად დახარა და ასე მოახსენა: თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება.

მცირე ხანში ასეთი ადგილი მოინახა. ხალხიც დაიძრა.

თამარმა თბილისს მალემსრბოლი აფრინა ბრძანებით, რომ მაშველი მამაკაცთა რაზმი და ცხენოსნები ხორაგით სასწრაფოდ გამოეგზავნათ. უბრძანა რაზმელებს, ბავშვები და მოხუცები ცხენებზე შეესხათ.

— ისეთი სოფელი აგიშენოთ, ზვავს ლოცავდეთ! — მდივანს უბრძანა ყოველგვარი დახმარება მიეცა დაზარალებულთათვის როგორც სახელმწიფო, ისე პირადი სალაროდან.

თამარ მეფე გამგზავრებულ სოფლელებს უკან მოექცა, მამუკას არ იშორებდა.

— მამუკა, როგორ დარწმუნდი, რომ ზვავი ჩამოვიდოდა.

— მწყალობელო მეფეო, კაცი ას წელიწადს ვუახლოვდები, ჩემს სიცოცხლეში რამდენჯერ შევსწრებივარ ზვავის ჩამოწოლას, მიწისძვრას, მზისა და მთვარის დაბნელებას, ამინდის შეცვლას, როგორ ვერ ვიცნობ. ამბობენ მეფემ კოშკი გააკეთებინა, შიგ მეცნიერი უზის, ვარსკვლავებს უთვალთვალებს, ყველაფერი იცის ცაში რა ხდებაო. თუ იცოდა, დალოცვილმა, რაზე ადრე არ ბრძანა!

თამარს გაეღიმა, მიუხვდა მამუკას, რომ მეცნიერი არ მოსწონდა, მისი რწმენა არ ჰქონდა.

— ყველაფერი როგორ იცის, ჩემო მამუკა, მაგრამ მაინც ბევრი იცის, მასაც ეშინოდა ამინდის შეცვლისა. იცი, რას გეტყვი, მამუკა? ცხენი გუაკვს, ჯანიც მოგდევს, რომ დაბინავდებით. სასახლეში მესტუმრე, ის კოშკიც ნახე, მეცნიერსაც ედავე და ესაუბრე.

მამუკას სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— ვინ არის ღირსი, ბატონო, თქვენი ყურადღებისა. რამდენჯერ მინატრია თქვენი ხილვა, კოშკის ამბავიც ძლიერ მწადია, გეახლებით, — მივიდა თამარის ცხენთან და გრძლად ჩამოშვებულ კალთას ეამბორა.

მეფემ და რაზმელებმა ერთად იმგზავრეს დანგრეული სოფლიდან ახალ სამოსახლომდე.

ძვირფასი სტუმარი

ივნისის თვე იდგა, თბილისში სიცხეები დაიჭირა. თამარ მეფის სასახლიდან თანდათან მიდიოდნენ ახლო აგარაკებზე. თამარმა თავისი შვილები და მამიდა რუსუდანიც გაისტუმრა წინა დღეებში. დღეს მეფეს თათბირი მოეწვია, რათა „დიდებულნიც განეტევებია მოსვენებად". ეს საკითხიც მოთავდა და თამარმა დარბაზს განუცხადა:

— დიდებულნო, მე გადავწყვიტე ამ ზაფხულზე ლიხთიმერი შემოვიარო. დიდი ხანია იქეთ არ გხლებივართ. გული იწევს, ვნახო ხანგრძლივ უნახავი საფლავი ძვირფასი პაპისა ჩვენისა დიდი დავითისა.

— წელს, მეფეთმეფეო, მეტად დამაშვრალი ხარ. მომავალი წლისათვის ვიზრუნოთ. ეს შორი და ძნელი მგზავრობა ასე სწრაფად ვერ მოხერხდება: — უთხრა მისმა მეუღლემ დავითმა.

დავითის წინადადებას ყველამ მხარი დაუჭირა.

— მეფევ ჩემო და დიდებულნო, ჩემი გამგზავრება აუცილებელია. ჩვენ ერთობ ძვირი სტუმარი გავხდით ლიხთიმერისა. ვალად გვაძევს, ვნახოთ გადაუდებლად. დიდი დავითი, ქუთათისი და გეგუთი სიშორემ არ უნდა ჩამოგვაშოროს ჩვენს ძმებს, დაარღვიოს საქართველოს მთლიანობა. თუნდაც სვანეთი: წარმომშობელი გოლიათთა და მართალ ვაჟკაცთა, უპატრონოდ გვყავს მიტოვებული, არას ვაკეთებთ ჩვენ მათთვის, ვერც ვზრუნავთ მათ გზებზე, ტაძრებზე, ხიდების გადებაზე.

— კიდეც რომ ბევრი ვიზრუნოთ, დიდო მეფევ, არაფრის გასაკეთებლად არ მიგვიკარებენ. სვანებზე გავლენის მოხდენა ძნელია, ორი-სამი ახალ წვერულვაშაშლილი ჭაბუკი ხუთიათას მეომარს დაამარცხებს. სვანეთის ვიწრო ბილიკებს, რომელთ უზარმაზარი მთები დაუსერავს, არ უყვართ ბარიდან ასული სტუმრები, ისიც იარაღით ხელში.— განმარტა ივანე მხარგრძელმა.

— მე საჭიროდ მიმაჩნია მათი ნახვა, მეტი ნდობის დამსახურება. ერთმორწმუნე და თვისტომ ხალხთან დაშორების მიზეზად ჩვენ კავკასიონის მთებიც გვეყოფა, რომელნიც ჯებირად ამართულან მოძმეთა შორის. აუცილებელია დიდი გულისყური მივაპყრათ სვანეთს.

— მწყალობელო მეფევ, წელს სვანეთში ასვლა, ჩემის აზრით, შეუძლებელია. სანამ იმერეთს მოივლი, შემოდგომა მოგისწრებს, სვანეთში კი ხშირად ადრე შემოდგომაზედაც ჩამოთოვს ხოლმე.— დინჯად თქვა დავითმა.

— სვანეთს ნუ, მეფევ ჩემო, რაც შეეხება იმერეთში წასვლას, ამის დაშლა არ ეგების!

— მე უკვე მზად ვარ! — ესა სთქვა თამარმა მხოლოდ და დადუმდა. სდუმდა დარბაზიც.

მიხვდნენ, მეფის გადაწყვეტილება არ დაირღვეოდა, მორჩილად თავი დახარეს.

თამარი სულ მოკლე ხანში გაემგზავრა მცირე ამალით იმერეთს. არ უყვარდა დიდი ამალის ხლება, როდესაც საქმეზე ისიც შორი გზით მიდიოდა. დაბა-სოფლებში მცირე ხანს ჩერდებოდა. ერიდებოდა, არ შეეწუხებინა თავისი სტუმრებით, არ დაწოლოდა დიდი ხარჯები სახელმწიფოს.

მგზავრობდა საქართველოს მეფე თამარი იმერეთში, გზადაგზა ათვალიერებდა სოფლებს, გზებსა და ხიდებს.

დასავლეთ საქართველო, ზაფხულში განსაკუთრებით ლამაზი და მდიდარი, გულგაშლილად ეგებებოდა სანუკვარ სტუმარს. მწვანით შემოსილი ტყიანი გორაკები უმსუბუქებდნენ მეფეს სიცხეში მოგზაურობას. ხავერდოვანი მოლი ფეხით ეფინებოდა, ხშირად სიცხეების გამო, დღისით დაისვენებდნენ ფართო ჩრდილოვან ხეთა ქვეშ, განთიადს, მწუხრის ჟამსა და მთვარიან ღამეებს არჩევდნენ სამგზავროდ.

მეფეს უყვარდა ბუნების წიაღი, კვლავ მოიხიბლა იმერეთის სანახების ხილვით. მისი კაშკაშა ცის კაბადონი დაბურულ ტყეებს რომ ასხივოსნებდა. პატარა ჩხრიალა მდინარეები, მათი ნაპირები მგალობელ ფრინველთა სიუხვით, ბულბულთა გალობით, შაშვთა ჭახჭახით გულს ახარებდა.

მგზავრობა სიამოვნებით მიმდინარეობდა, მეფე ქალი ყოველ კუთხეს ათვალიერებდა, ეცნობოდა, ბრძანებდა:

— აქ გაიკაფოს ტყე, გაშენდეს სოფელი ეკლესიით.— მდივან-ბეგი იქვე სწერდა მეფის ნება-სურვილს. აგერ კვერთხით ჩაჭრა მიწა. შემდეგ ხელით არე მოხაზა.

— აქ გაშენდეს ციხე-ქალაქი და ტაძარი. ჩუქურთმით შეიმკოს ტაძარი ესე, ძვირფასი ხატებითა და იქიდან მის კედლებზე სახენი წმინდანი, რომელთ ქვეყნისა და სჯულის სამსახურისათვის უწამებიათ თავნი თვისნი, ვითარცა დედოფალ შუშანიკსა, ჰაბო თბილელსა და სხვათა. და, მართლაც, ტაძართა კედლები იმოსებოდა თამარისა და შუშანიკის სახეების მსგავსი თვალწარმტაცი ფრესკებით.

თამარი მიუახლოვდა გელათის მონასტერს. არ ელოდნენ მეფის მობრძანებას. სავანის კარი გაიღო. ცხენებიდან ჩამომხტარი მეფე და მისი ამალა ჩუმად იდგენ, პირჯვარს იწერდნენ.

თამარ მეფე მონასტრის გალავანში შებრძანდა, მიუახლოვდა ტაძრის ზღუდეს, მუხლი მოიყარა.

ტაძრის გუმბათს გაბადრული მთვარე დაჰყურებდა. იქ, სადაც მეფე თამარი და მისი ამალა დაჩოქილნი ლოცულობდნენ, დაჩრდილული იყო. თითონაც აჩრდილებივით ჩახდნენ მლოცველნი. მონასტრის წინამძღოლს ტაძრის გაღება და პარაკლისის გადახდა უნდოდა. მეფემ ნება არ მისცა.

— მამაო ჩემო, არ არს საჭირო დავარღვიოთ მონასტრის წესი. ყოველივე ეს ხვალ მოესწრება, ნურც გააღვიძებთ მორჩილთა თქვენთა ძმათა, მაშვრალნი იქნებიან, განისვენონ ტკბილად, ჩვენც დაღლილნი ვართ.—ბრძანა მეფემ და დასასვენებლად წავიდა დიდი დავითის საწოლ ოთახში, სადაც გარდა მეფეთა არავინ შევიდოდა.

გელათიდან მეფე რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისს გაემგზავრა. მეფის ქალაქში მობრძანება ბაგრატის ტაძრის დიდმა ზარებმა ამცნეს მკვიდრთ. არც ქუთაისში დარჩა დიდხანს მეფე, მას კოლხიდისაკენ ეჩქარებოდა, რომ იქედან ჯვარში ასულიყო. მან მხოლოდ წალენჯიხაში დაისვენა.

მთიან ადგილებში თამარ მეფე ჯორით მოგზაურობდა. ერთ დილას ჯორი ვერ ნახეს, შეწუხდნენ მასპინძლები და მეფის მხლებლები. მოახსენეს მეფეს ჯორის შესახებ, მან მოისურვა მიეღო მონაწილეობა მის ძებნაში. ერთ-ერთი ვიწრო გზა, მაღალი ტყით დაბურული გორაკისაკენ მიდიოდა, მეფემ ამ გორაკს ჯერ კიდევ ჯორის დაკარგვამდე მიაქცია ყურადღება. ახლა თითონ აიღო გეზი გორაკისაკენ. მხიარულად მიაბიჯებდა სწორუპოვარი ნარნარ პაწია ფეხებს ქვიან ბილიკზე, თანამხლებლებს ღიმილით ეუბნებოდა:

— აბა ნახეთ, თუ თქვენზე ადრე მე არ მოვძებნო ჩემი ერთგული პირუტყვი.—მასპინძლები წინ უსწრებდნენ, ეკალბარდს უკაფავდნენ.

მეფე გორაკის კალთებს აჰყვა, ასწლოვანი ცაცხვებით და წაბლისხეებით დაბურულიყო ფერდობები, ხშირფოთლოვანი ტოტები მზის სხივებს მიწამდე არ უშვებდა, ტყის ყვავილთა სურნელება იდგა.

ამ სურათით მოხიბლული მეფე გარემოს ათვალიერებდა, რომ ხმამაღალი ძახილი შემოესმა: „აგერ არის ჯორი, აგერ არის“, „ჰიჰე დიხას დოფულე, ხვამილი“.[1] მეფე იქეთ გაემართა, საიდანაც ხმაური მოესმა. სიტყვა „ჰიჰე დიხა“ მოხვდა ყურში და მოეწონა. გადაეთარგმნეს, თან მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ჯორი ენახათ.

---

[1]. ჰიჰე დიხას დოფულე ხვამილი—პატარა მიწასთან დამალულა, დალოცვილი-

ტყის შუაგულში ხეთა შორის ზურმუხტივით ჩამჯდარიყო პატარა მინდორი, ჩამოპარულ მზის სხივებზე ბრწყინავდა ცვარით აელმასებული. აქ მოვიდა არხეინად მეფის ჯორი. მეფემ ბრძანა:

— დავარქვათ ამ ადგილს „ჰედიხა"! ავაგოთ აქ ტაძარი უფლისა ჩვენისა, ვინაიდან ამაზე ლამაზსა და მომხიბვლელ სავანეს ძვირად იხილავს თვალი.

მართლაც, ამ გორაკიდან თვალწარმტაცი სურათი იშლებოდა. მდინარე წენის წყალი შუაზე ჭრიდა ფართოდ დაცემულ ჭალებს. შუა ჭალაში დიდი სასახლე იდგა დადიანისა. სასახლის ცოტა მოშორებით გაღმა-გამოღმა სოფლები იყო გამართული. არც ისე დიდი მანძილი აშორებდა ვაკესა და ტყიან გორაკს ერთმანეთს. აქ ყოველ დილით სანადიროთ ამოდიოდნენ ბატონიშვილები.

გლეხები კი სასახლისათვის შეშას ეზიდებოდნენ. გზის გაკეთებისათვის არავის ეზრუნა.

თამარ მეფის ბრძანებით იმ დღესვე დაიწყეს გზის გაყვანა „ჰედიხამდე". დიდი ტაძარი ააგეს შემკული გუმბათებით, ფრესკებით და მრავალი ეკუტელით.

თამარ მეფემ ტაძართან ერთად სკოლაც დააარსა. შემდეგში მან მრავალი საჩუქრები გამოუგზავნა ტაძარს. სხვა საჩუქრებთან ერთად იყო ჯვარცმა, თითქოს გაკეთებული იმ ლურსმნებისგან, რომლითაც ჯვარზე მიაჭედეს იესე ნაზარეველი, ქრისტედ წოდებული. ეს პატარა რკინის ჯვარცმა ოქროს ყუთში იდო.

წალენჯიხიდან თამარ მეფემ სვანეთში გამგზავრება ბრძანა. ასაბიას გამოცდილი მეგზური სვანი გელა მიუძღვებოდა. რომელიც სასახლეშიაც ხლებია მეფეს ხშირად, გელას ხელით თამარ მეფეს მრავალჯერ დიდი საჩუქრები გაუგზავნია სვანეთში.

მეფეს უჭირდა გაუვალ გზებზე სიარული. კლდეებზე გაბმული ბილიკები და ჩანჩქერები, მართალია, თვალს იტაცებდნენ, მაგრამ თამარს ნაზ ტერფებს საგრძნობლად ატკენდნენ. ძნელი იყო ქვა-ხრიოკზე მგზავრობა, მაგრამ მეფე თანამგზავრებს თავს დაღლილად არ აჩვენებდა, პირიქით, ამხნევებდა კიდეც მათ.

ცაში აზიდულ მთებს გარშემო უვლიდნენ, მთის პიტალო კიდეებზე მიტმასნილ თოკივით დაკიდებულ ბილიკებზე თითო თითოდ მიდიოდნენ. ერთი ფეხის დაცდენა და შეიძლებოდა უფსკრულში გადაკარგულიყო საქართველოს მეფე თამარი.

* * *

სვანებმა გულწრფელი სიხარულით მიიღეს თამარ მეფე, მისი მშვენებით, უბრალო მოქცევით და კეთილი გულით მოიხიბლნენ. ნდობით აღიჭურვენ, დარწმუნდნენ, რომ სამტროდ არ იყო მოსული.

მეფემ მისვლისთანავე მოსძებნა საერთო ენა სვანებთან. ნახულობდა გამოქვაბულებს, ეკლესიებს, სალოცავ ადგილებს. შემოიარა თითქმის მთელი სვანეთი, დაუახლოვდა სასულიერო პირებს, სოფლის თავკაცებს.

ადრე ჩამოთოვა იმ წელს სვანეთში. ბარში წამოსვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. აგუგუნდა ცეცხლი დიდ სვანურ კოშკში, სადაც საქართველოს მეფე დაბანაკდა. მეფესთან ხშირად დადიოდნენ სვანი მანდილოსნები, თამარიც ხშირად ეპატიჟებოდა მათ ქმარ-შვილით.

თამარმა ერთ დღეს მხოლოდ ქალები და მათი ქალიშვილები მოიწვია. ბრძანა გაეხსნათ ბოღჩები. საიდანაც თვალის მომჭრელი ნივთები ამოიღეს. ოქრო-ვერცხლის აზარფეშები, სურები, ჭიქები, სათითურ-ქინძისთავები, ბეჭდები სამაჯურები, სირმა, აბრეშუმის ფერადი ძაფები, სხვადასხვაფერი მძივები, იაგუნდი და ლალი, ქარგები, წიგნები, ქაღალდები. ყველა ესენი გაასაჩუქრა... ახალგაზრდებს წერა-კითხვისა და ხელსაქმის შესწავლა შესთავაზა. გაჩაღდა მუშაობა. თამარ მეფე და მისი ამალის ქალები გულმოდგინეობდნენ.

— ისე კარგად უნდა შეისწავლოთ, შვილებო, წერა-კითხვა, რომ წერილები მომწეროთ და, რაც გაჭირვება გექნებათ, მაცნობოთ.

მოსწავლე ახალგაზრდებიდან განირჩეოდა 13-14 წლის ობოლი გოგონა, რომელიც განსაკუთრებულ გარეგნობასთან ერთად სწავლისადმი დიდ გულისყურს იჩენდა.

— ეშხა, მე შენ ისეთ მონდომებას გატყობ, რომ თან წაგიყვან დედაქალაქში.

ეშხა მხოლოდ გაწითლდა თამარის სიტყვებზე და პირიმზის სადღეგრძელოდ გულში ლოცულობდა, ეს იყო მისი პასუხი.

ხშირად შუაღამე გადასულზე კიდევ ისხდნენ თამარ მეფის სამყოფელში ხანშიშესული სვანები მეუღლეებით, მოზრდილი შვილებით, საუბრობდნენ მეფესთან თავიანთ ჭირვარამზე.

— ძალიან შეგვაწუხა ცუდმა გზებმა, მეფევ, მარილიც ვერ ამოგვიტანია სამყოფი. აბა რამდენი უნდა მოიტანოს მხარით კაცმა, რომ შვიდი და რვა თვე გვეყოს, — ჩიოდა მოხუცი სვანი.

— ვერ მოვერიეთ მთა-კლდეებს. ჩვენი მამა-პაპაც ასე წვალობდა, ჩვენც არ გვეშველა, — კვერს აძლევდა მეორე.

— მოვერევით, დავძლევთ, — ბრძანებდა თამარი. — თუ ადამიანმა გონება და ძალა მოიხმარა, დაუძლეველი არა არის რა ქვეყანაზე. მისთვის გაუჩენია უფალს ადამიანი ბუნების ბატონად და მფლობელად.

— ოდესმე, მეფევ, ალბათ გაკეთდება ყველაფერი, ვაი რომ ჩვენ ვერ მოვესწრებით.

—ყოველ ღონეს ვიხმარ გზების გაკეთებაზე. ბარელებსაც დაგახმართ!

რამდენი ზღაპარი მოისმინა მეფემ და ჩააწერინა ქალებს, თითონაც რამდენი უამბო სვანებს საქართველოს სახელმწიფოს დაარსებასა და წარმოშობაზე, მეფეების მოღვაწეობაზე, გმირთა და რაინდთა თავგადასავალი, ხალხთა ზნეჩვეულებანი. ყოველ მის სიტყვას არა მარტო უსმენდნენ მთელი არსებით, გულში იბეჭდავდნენ სვანები. თამარის ოთახის წინკარი მრავალნაირი თხილამურებით იყო სავსე. ყველაზე ლამაზი თხილამური თამარისთვის კეთდებოდა.

თამარი ხშირად დადიოდა სოფლებში, შუაგულ ზამთარშიაც.

—სოთრანის ოჯახში უფროსი ვაჟი—თენგიზ გამხდარა ავად, უნდა წავიდე.

თან გამოცდილ მკურნალს იახლებდა მეფე, დაბრუნებულზე კარაბადინიდან წამლებს ამზადებდა, ავადმყოფებს უგზავნიდა. ბევრი რამ ასწავლეს მკურნალობის სვან ქალებს. ბევრი ჩააწერინეს. თვითონაც მრავალი რამ გაიგეს.

თამარ მეფის სტუმრობამ სვანეთი დიდათ აამაღლა.

მეფე ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობდა ქალების მდგომარეობას. მის ყურამდე ჭორად მისულიყო თქმულება, თუ ოჯახში რამდენიმე ქალი დაიბადებოდა, ერთის მეტს ცოცხლად არ დაარჩენდნენ. ის ხშირად საუბრობდა ქალის დიდ მნიშვნელობაზე.

—განა უფალს კაცი და ქალი ერთნაირად არ გაუჩენია?

აბა დააკვირდით ქალს, რამდენი სარგებლობა მოაქვს ოჯახში. ბუნებას მისთვის მოუცია დიდი მოვალეობა, კაცობრიობის გამრავლებისა და აღზრდისა.

—ნუ მიწყენთ, მეფეე, ყველა ქალი ხომ ერთი არ არის, თქვენც ქალი ხართ, აბა რომელი ვაჟკაცი შეგედრებათ. საერთოდ ხომ მოგახსენებენ, ეშმაკის კერძია ქალი და მათი გამრავლება არ ვარგაო, — გაეხუმრებოდა რომელიმე მოხუცი მეფეს ღიმილით.

—სავალალო აზრია. ერთად-ერთი უპირატესობა, რაც მამაკაცისათვის მიუნიჭებია ბუნებას, არის მეტი ხორციელი ძალღონე, დანარჩენში ისინი თანასწორი არიან ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

როდესაც გაზაფხული მოახლოვდა, თამარმა ბარში დაბრუნებაზე დაიწყო ზრუნვა. სვანებმა მოიწყინეს, ქალები ატირდნენ.

—თუ კარგად არ გამოთბა და გზები არ შევაკეთეთ, ისე ვერ გაგიშვებთ, მეფეო! — ეუბნებოდნენ თავკაცები. თამარსაც გული წყდებოდა, ბავშვებივით უმანკო გოლიათ ხალხზე. დედაშვილური გრძნობით შეიყვარა ბუმბერაზი ვაჟკაცები, გულუბრყვილონი და კეთილნი.

თამარი გაზაფხულის დასაწყისში ავად გახდა. მისი უქეიფობის ამბავი თვით სვანებს ჩაეტანათ ბარში. თავი არ ეზოგათ რაინდებსა და მეომრებს, სვანეთისკენ მიეშურებოდნენ.

ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ დიდი მეფის სანახავად. მომავალ სტუმრებს ახლა სვანები უნდობლად აღარ ხვდებოდნენ.

საკმარისი იყო თამარის სახელი ეხსენებინათ ბარელებს, ყველას სიამით ეგებებოდნენ. დიდსა და პატარას ყველას პირზე ერთი სიტყვა ეკერა: სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით. აღტაცებაში მოჰყავდა სვანები ქართველების იარაღს, ჩაცმა-დახურვას, სიმდიდრეს.

კლდეებით ჩაკეტილი სვანეთის კარები თანდათან იღებოდა. თამარ მეფის სახეს სვანეთის ხალხი ლექსავდა და ამ ლექსებს ფანდურზე დამღეროდა.

ბარიდან ამოსულების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სვანეთი აგრე მოშინაურებული ნახეს. თამარ მეფის ჭკუასა და გულკეთილობას გაელხო ყინულოვანი კლდეები, რომელიც სვანეთს საქართველოდან მოწყვეტას უპირებდა. სვანები თამარის მზეს იფიცებდნენ, მასთან განშორებას სწუხდნენ, მანძილის სიშორე არ მისცემდათ საშუალებას, ხშირად ეხილათ სწორუპოვარი.

მეფე თამარი გამოჯანსაღდა, ადგა, განაგრძო თავკაცებთან საუბარი, სვანების დასაჩუქრება. რაინდები ძმად ეფიცებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ სამხედრო გამოცდილებას, საომარ ხერხებს, ჩვევებს, მართავდნენ ასპარეზობას, ბურთაობას, ჯირითს.

თამარ მეფისა და მისი სტუმრების სვანეთში ყოფნამ საზეიმო ხასიათი მიიღო, წამოსვლის წინა დღეებში მრავალი თათბირი ეწყობოდა, სვანები ხან ცალკე, ხან დიდებულების თანდასწრებით ბჭობდნენ.

მეფე თამარმა მრავალი საგანძური გასცა, მრავალი თანხა დახარჯა სვანეთის კეთილმოწყობისათვის. თხოვა სვანებს თავიანთი ახალგაზრდები ბარში ჩამოეყვანათ სწავლის მისაღებად, სამხედრო ცოდნის შესაძენად. რამდენიმე ქალ-ვაჟი თან წაიყვანა, სიხარულით მიჰყვებოდა მას ეშხა, რომელიც სილამაზით გამოირჩეოდა, ხოლო ვაჟებში ყველას მოსოსტრი სოთრანისძე სჯობდა თვალტანად და იარაღის ხმარებით.

ცრემლითა და თაყვანისცემით გააცილეს სვანებმა მეფე თამარი, დედასავით ეხვეოდნენ მას, კაბის კალთებს უკოცნიდნენ, გაყვნენ ძვირფასს სტუმარს, წინ დიდი ჯგუფი მიდიოდა, ბარებით და წერაქვებით შეიარაღებული, გზას უკაფავდნენ, აფართოებდნენ. ამ გზას საუკუნოდ შერჩა სახელი „თამარის გზა“.

ენგურის სათავესთან, სადაც მდინარის კალაპოტი ვიწროა და ღრმა, სადაც ენგური გუგუნით არე-მარეს აყრუებს და გრგვინავს, ჰიდია, მასაც დღეს თამარის ხიდს უწოდებენ.

ქეთევან წამებული

მაღლობზე გადმომდგარი თეიმურაზ მეფის სასახლე უდიდეს სევდას მოეცვა. დარბაზებსა და აივნებზე დილიდანვე ჩქამი არ ისმოდა. ხეივნებითა და ყვავილებით დასერილ-აჩუქურთმებული ეზო-ყარი გულს არ ახარებდა. მორაკრაკე წყაროც თითქოს მიყუჩებულიყო. და ეს სიჩუმე ამაზრზენი იყო ყველასათვის, ვინც სასახლეში იმყოფებოდა, მეფიდან დაწყებული უმდაბლეს მოახლემდე.

იმ დღეს სახლთუხუცესს, საზეიმო კილოთი არ უცნობებია ვეზირ-დიდებულებისათვის თეიმურაზ მეფესთან სათათბიროდ დარბაზს წვევა, არც კვერთხი აღუმართავს მეფის გამობრძანებისა და თათბირის დაწყების მაუწყებელი.

ყოველივე მოხდა ჩუმად, უსიტყვოდ. დიდებულებს მეფე უკვე დარბაზში დახვდათ, იჯდა ტახტზე სასოწარკვეთილი და გაფითრებული. მხოლოდ ქეთევან დედოფალს, მეფის დედას ეწერა სახეზე უდრტვინველი სიმშვიდე. ადგილები დაიკავეს. ადამიანის ფერი არცერთ მათგანს არ ედო. ეს უფრო პანაშვიდს გავდა, ვიდრე თათბირს, თითქოს დარბაზი მათთვის ძვირფას ადამიანს ეთხოვებოდა.

ამ ღრმა, აუწერელ სევდასთან ყველა დიდებული დარცხვენილი იყო, მათ შორის მეფეც. ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ, მუნჯებივით ისხდნენ, ყველამ იცოდა სირცხვილის და გულის გამყინავი შიშის მიზეზი, მაგრამ არავინ არ იცოდა, თუ რითი უნდა დამთავრებულიყო ყოველივე ეს.

სიჩუმე ისევ თეიმურაზ მეფემ დაარღვია:

— ფრიად სამწუხარო ამბავი უნდა გაუწყოთ, — თეიმურაზი შეჩერდა, მისი ჩავარდნილი ხმა, უფრო მომაკვდავისას ჰგავდა, ვიდრე ყოვლის შემძლე მეფისას. — მივიღე შაჰ აბასის წერილი, სპარსეთში მიწვევს, უარის შემთხვევაში მძევლად დატოვებულ ჩემს შვილებს, სიკვდილით დასჯის, საქართველოს ააოხრებს.—დიდებულებმა თავები უფრო მეტად დაჰხარეს,—ის ვერ იტანს ჩემსა და ჩემი ქვეყნის სურვილს—დავუახლოვდეთ ერთმორწმუნე რუსეთს. შაჰი იმას გარდა, რომ საშინელი ბოროტია, ეშმაკი და გამჭრიახია, მან კარგად იცის საქართველოს რუსეთთან დაკავშირება სპარსეთს დაუკარგავს შესაძლებლობას საქართველო თავისი

ველური ურდოებით აღავსოს. ჩვენი მშვენიერი ქვეყანა მოხარკეთ გაიხადოს.

ჩვენი ახალგაზრდობა სპარსეთში გარეკოს, სჯული შეაცვლევინოს, ქართველ ქალთა მშვენიერებით თავისი ბილწი ჰარამხანები აავსოს.—ვერც ერთი ხმას ვერ იღებდა. დარბაზში კვლავ დუმილი ჩამოწვა.

—განსაჯეთ! — თეიმურაზი შეჩერდა, თვალები უაზროთ დარბაზს გადაავლო და ისეთი ხმით განაგრძო, თითქოს თავის თავს ებაასებოდა.

—ასე სჯობს... ასე სჯობს, საქართველოსთვის ასე, მე უნდა წავიდე.

გულში არც ერთი დიდებული არ ეთანხმებოდა მეფეს, არ უნდოდათ, სამშობლოს ერთგულ მეფის სასიკვდილოთ განწირვა.

წაუსვლელობა, შაჰ აბასის რისხვას გამოიწვევდა, წასვლა აშლილ საქართველოს უფრო არევდა. სინდისგარეცხილი, ტახტისა და ქვეყნის ორგული ფეოდალები მთლად აიწყვეტდნენ და იავარ იქმნებოდა, ისედაც სისხლიდან დაცლილი ქვეყანა.

თავისი აზრის თქმა ვერავინ ვერ გაბედა, ან რა უნდა ეთქვათ, როდესაც არც ერთი მათგანი რაიმე დასკვნამდე არ მისულა.

—ვაი სირცხვილო! — ჩაიჩურჩულა ვიღაც დიდებულმა. — დარბაზი შეკრთა, ყველამ გონების თვალით შეათვალიერა დარბაზი. ყველა მათგანი საუკუნეებით ითვლიდა თავის წარმოშობასა და გვარიშვილობას, და მათ რცხვენოდათ.

რცხვენოდათ დაკარგული დიდების.

რცხვენოდათ დაკარგული მთლიანობის.

რცხვენოდათ სახელოვან წინაპართა სახელთან, ვინც საქართველო გაამძლავრა და გააერთიანა მტკიცე საზღვრებში ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

და ახლა კი დაკნინებული, დაქუცმაცებული საქართველოს უკულმართი ბედის მომსწრენი გამოუვალ ჩიხში იყვნენ და ეს ჩიხი გრძელდება ხვარაზმელი ჯელალედინის შემოსევიდან დღემდე.

სათქმელი მრავალი იყო—მთქმელი არავინ.

და ესეთ დროს, მეფე თეიმურაზი, სამშობლოს მოყვარული და მისი გულშემატკივარი პატრონი, სპარსეთს უნდა გამგზავრებულიყო იმისათვის, რომ აქეთ არასოდეს დაბრუნებულიყო.

დიდი იყო ჩუმი გოდება და სევდა.

—ვაი ჩვენს ხვედრს, — ეს დედოფლის ხმა იყო.

მკაცრი და თანაც მოქმედი.

ეს ხმა იმდენათ მოულოდნელი იყო, რომ ყველა შეკრთა, თვალები მას მიაპყრეს.

ქეთევან დედოფალი სარკმელთან იდგა.

მის მუდამ მშვიდსა და ლმობიერ სახეს ღელვა დაუფლებოდა. მარადჟამს კეთილი თვალები, მრისხანედ კვესავდნენ. ქეთევანის სახის გამომეტყველებამ ყველანი გააკვირვა; მხოლოდ ერთხელ ენახათ დიდებულებს ქეთევან დედოფალი ასეთი მკაცრი და განრისხებული. ეს მაშინ, როდესაც შაჰ აბასის შემოჩენილმა, გათათრებულმა მისმა მაზლმა კონსტანტინემ ღვიძლი მამა და ძმა მოკლა. სამეფო ტახტზე ავიდა და თავისი ქვრივი რძლის, ქეთევან დედოფლის, ცოლად შერთვა მოინდომა.

დიდებულებს თვალწინ წარმოუდგათ ის დაუვიწყარი ღამე, როდესაც ქეთევან დედოფალი, ვერაგი მაზლის წინააღმდეგ, შუა ღამისას თეთრ ტაიჭს ვაჟკაცურად მიაგელვებდა, ჯარს წინ მიუძღოდა. მაშინ გაიმარჯვა დედოფალმა, უკუაქცია კონსტანტინეს ჯარი.

ბევრ დიდებულს გულში ახლაც იმედი ჩაესახა.

იქნებ ისევ ქეთევანმა იხსნას საქართველო; მის ხმაში გადამწყვეტი და მკვეთრი აზრი შეიგრძნეს დიდებულებმა.

მან ჯერ თვალი ვაჟს მიაპყრო, მერე დიდებულთ. ის იდგა, ის იდგა დიადი, გასხივოსნებული სახით, მისი სიტყვები ყველას გულში ლოდებად ხვდებოდა.

— შაჰაბასს ამ წერილით საქართველოს მეფის მიტყუება უნდა ირანში, იქ მასაც ისე დაღუპავს, როგორც ლუარსაბ მეფე დაღუპა. მისი მიზანი ცხადია. მას უნდა ამოწყვიტოს ჩვენი სამეფო საგვარეულო, რომ უმეფოდ დარჩენილი საქართველო ააოხროს და მოსპოს. საქართველოს ყავს მეფე, მას ევალება უფლიდეს თავის ქვეყანას, იბრძოდეს მისი კეთილდღეობისათვის. — დედოფალი წუთით შეჩერდა და შემდეგ მტკიცე, შეუვალი ხმით წარმოსთქვა: მეფის წასვლა არ ეგების, შაჰაბასთან მე წავალ. თუ საჭირო იქნა, ისევ მე შევეწირები სამშობლოს, სანამ ცოცხალი ვიქნები ვიზრუნებ თქვენზე და შენს.—მიმართა თეიმურაზს,—საცოლიც შვილებზე, როძღებიც აქ დამხვდებიან.

შენ, ჩემო, შვილო აქ იყავ. სამშობლოს მოუარე, ხალხს მიხედე. თქვენ კი დიდებულნო, რომელთ არა ერთხელ დაგიღვრიათ სისხლი ქვეყნის სამსახურად, ახლაც გულწმინდათ ამოუდექით ერთურთს სამშობლოს საკეთილდღეოდ. სიმტკიცე სჯულისა განამტკიცებს მამულსა ჩვენსა! — ერთხელ და სამუდამოდ ჩაიბეჭდეთ გულში ეს მცნება. სიცოცხლე ამა ქვეყნიური წარმავალია, ხოლო კეთილი საქმე რჩება. — დედოფალი დარბაზიდან გამობრძანდა.

მოკლე ხანში ქეთევან დედოფალი ირანში წასასვლელად მოემზადა, გამოეთხოვა საყვარელ სამშობლოს, გასცა მრავალი საბოძვარი, ხოლო მრავალი თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი თან წაიტანა, რომ იქ ირანშიაც, საქართველოსათვის რაიმე სასარგებლო საქმე გაეკეთებინა.

თეიმურაზთან გამოთხოვების დროს დედოფალი შედრკა. შვილი გულში ჩაიკრა, ცრემლები აფრქვია.

— ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიხილავთ ერთმანეთს, შვილო.

— ნუ ბრძანებ, დედა-ბატონო, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ და ძენი ჩემნი ერთად გიხილოთ სულ მალე.

— ღმერთმა ქნას შვილო, ღმერთმა, მაგრამ როგორ მოვკითხო ღმერთი უსჯულო შაჰ აბასს.

— შენი მიზანი, შვილო, ქვეყნის მოვლა და ხალხის კეთილდღეობა უნდა იყოს. სამშობლოსათვის განწირული მსხვერპლი, ვინც არ უნდა იყოს, — დედა თუ შვილი, მეტად მწარეა, მაგრამ მივბაძოთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, რწმენისათვის წამებულთ, სამშობლოსათვის თავდადებულთ. საქართველო უნდა აღსდგეს, უნდა განთავისუფლდეს, მცირე მსხვერპლი ანგარიშში ჩასაგდები არ არის. შენ მოიკრიფე სულიერი სიმშვიდე, მორსმჭვრეტელობა და ძალა სამშობლოს გადასარჩენად. დედისა და შვილების ნაცვლად სამშობლოზე იზრუნე, მას ემსახურე. საქართველო გაანთავისუფლე სპარსეთის უღლისაგან. მე იქ, ირანში, ვიბრძოლებ სამშობლოს კეთილდღეობისათვის და, როცა დრო დადგება, მტრის წინაშე ქედს არ მოვიხრი და მსხვერპლად შევეწირები ჩემს ქვეყანას.

ქეთევან დედოფალმა საქართველო დატოვა, მცირე მხლებელნი წარიტანა, თეირანში ჩავიდა და უშიშრად წარსდგა მრისხანე შაჰის წინ. თუმცა შაჰი განრისხდა თეიმურაზის მოუსვლელობით, ის ქეთევან დედოფალს მაინც ტკბილად შეხვდა, უნდოდა ქეთევან დედოფლის საშუალებით მიეღწია მიზნისათვის, მეფური ღირსებით მიიღო და მოუსვენა.

ქეთევანმა შაჰს მხოლოდ ერთი თხოვნით მიმართა:

— დიდო შაჰო! ნორჩნი არიან შვილიშვილნი ჩემნი, მოგლეჯილნი თავის ოჯახს, დედა-მამას. დამრთე ნება ჩემთან ვიყოლიო.

— შაჰმა თხოვნა შუსრულა, თან ასე უთხრა:

— დედოფალო, ხომ ხედავ, მე ყველა თქვენს სურვილს ვასრულებ, მინდა საქართველოს მფარველად გავუხდე, მე ხომ ქართველი ქალის შვილი ვარ, თქვენი სისხლი და ხორცი, მე მღალატობთ, რუსეთთან კავშირს ეძებთ. რად გინდათ რუსეთი, რა გაერთებთ მასთან?

— რუსეთთან გვაერთებს სარწმუნოება, სჯული.

როდესაც ჩვენ ქვეყანას აოხრებენ, ხალხს აწიოკებენ და სჯულს შეგვიბღალავენ, მსხვერპლად ვეწირებით ჩვენს რწმენას.

— მე ხომ თქვენს სჯულს არ ვეხები, არც „შევხებივარ“. თუ შენ, დედოფალო, სიტყვას მომცემ, რომ საქართველოს მეფეს, თეიმურაზს უარს აყოფინებ რუსეთთან კავშირზე, თუ დაითანხმებ, რომ ჩემთან კავშირი იქონიოს, მაშინ დიდის პატივით და საჩუქრებით გაგისტუმრებ საქართველოში, შვილიშვილებსაც გაგატან.

აგავსებ ყოველ სიკეთით, დაგეხმარებით საქართველოს გაერთიანებაში, ხოლო გაერთიანებულ საქართველოში შენს შვილს, თეიმურაზს გავამეფებ.

— ეს ყველაფერი დიდი მოწყალებაა, მაგრამ მეშინია, ნაცვლად ისეთი რამ მოითხოვოთ, ჩვენს ღონეს აღემატებოდეს.

— დიდს არაფერს მოგთხოვთ, მხოლოდ ერთგულებას, ხარკიც არ მინდა, და რაც მთავარია, ეთხელ და სამუდამოდ ხელი აიღეთ რუსეთთან დაახლოებაზე. მისწერე შენს შვილს, რომ ამ გზით უვნებელი იქნება საქართველო, მეფე მისი, შენც და შვილიშვილნი შენნი, მივუტევებ დანაშაულს, რომ ჩემი ბრძანება არ შეასრულა, რომ არ გამოცხადდა ჩემს წინაშე. ჩემი თხოვნა შეასრულე, თუ გინდა გავაბედნიერო შენი შვილი და შვილიშვილნი, მთელი საქართველო, თქვენ ტყუილა ფიქრობთ, რომ რუსთხელმწიფე უანგაროდ გემეგობრებათ. ხელმწიფე გაუმაძღარია, მთელი ქვეყანა უნდა დაიპყროს. როგორ ვერ გაიგეთ, რომ რუსეთს თქვენ გზად და ხიდათ უნდიხართ აზიის ქვეყნების ასაღებად. თქვენ ის მხოლოდ მისთვის გეფერებათ, გატკბობთ დაპირებებით, რომ სპარსეთ-ოსმალეთის დასაპყრობ იარაღად გამოგიყენონ. მას თავისი საქმეების მოგვარება აწუხებს და არა თქვენი ერთმორწმუნეობის პატივისცემა და სიყვარული. განა მე კი ვფიქრობ შევბღალო თქვენი სარწმუნოება? მე ქართველები ნაკლებ რად მეყვარება. ჩემს ტანში ქართველის სისხლი დუღს.

ქეთევანს სათქმელი ყელში გარჩა. უნდოდა ეპასუხნა: „თქვენ კი ჩვენი სიყვარული გამოქმედებთ? დაუნდობელო, ბილწო ყიზილბაშო, შენ ვინ გაგათელინებს ჩვენს წმიდა სარწმუნოებას და ჩვენს სახელოვან ერს“. ყველა ეს სიტყვები გულში ჩაიკლა, ხმამაღლა კი საუბარი სხვა გზით მიმართა:

— დიდო შაჰო, როდის გაგზავნი საქართველოში ელჩს?

— ორი-სამი თვის შემდეგ. საჩქარო რა არის, ხომ არაფერი გაკლია, დედოფალო?

— არა, ბატონო, სავსე ვარ შენი ყურადღებით! — გულში კი ფიქრობდა, „ეს გაიძვერა კვლავ ტკბილის ენით გვიპირებს გათოკვას, ხოლო, როდესაც მიზანს მიაღწევს, სჯულს წაგვართმევს, საქართველოს სპარსეთის სათამაშოდ და საჯიჯგნათ გახდის, ამას ვერ ეღირსები; ვერა, ვერა“! ხოლო შაჰს მოახსენა — თქვენს წერილთან ერთად, ჩემს წერილსაც ვაახლებო თეიმურაზს.

დიდებულ სამყოფელოში მოათავსა შაჰმა საქართველოს დედოფალი. იატაკზე ეფინა ძვირფასი ხალიჩები, მაგიდებზე უხვად იყო გაბნეული ოქროს ნივთები, პატიოსანი თვლებით მოჭედილი. ქეთევანს სისხლად და ცრემლად სავსე ეჩვენებოდა ყველაფერი. გარს ეხვია მსახურები, რომლებიც ყოველ მის სურვილს ასრულებდნენ, მაგრამ ისინი ქეთევანის სულს შფოთვით ავსებდნენ,

რადგან ყოველი მისი ნაბიჯი, მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა შაჰმა უკვე იცოდა. ყოველივე ეს ხდებოდა სპარსული „თაყვანისცემით“, „ღიმილითა“ და „პატივისცემით“.

მსახურთა შორის ერთმა მხევალმა ქალმა მიიქცია დედოფლის ყურადღება. მხევლის დაღვრემილი, ნაწამები სახე და თვალები ვედრებით მისჩერებოდნენ მას.

ამ თვალებმა მიიზიდეს ტყვედქმნილი დედოფალი.

— რა გქვიან, შვილო ჩემო?

— ბაბალე, დედოფალო.

— ქართველი ხარ?

— ვიყავ ოდესღაც.

დიდი დედოფალი და უბრალო მხევალი ერთის გრძნობით გაიმსჭვალნენ. ტყვედ ყოფნამ მათ შორის არსებული ზღუდე გაარღვია, გაათანასწორა. ბაბალემ ვეღარ მოითმინა, საკინძე გაიხსნა, გული გამოიჩინა, გულზე დაკიდებული ჯვარი უჩვენა დედოფალს, მუხლებზე მოეხვია და შეევედრა:

— დედოფალო, ილოცე ჩემთვის, მე უბედური ვარ, ჩემი განვლილი ცხოვრება გოლგოთაა, არ ვიცი, როგორ დავიმშვიდო გული. მე სრულიად ახალგაზრდა მომიყვანეს ირანში. კახეთში ქმარი მყავდა, პატარა გოგონაც, ყველაფერს გამომასალმეს, მას აქეთ თითქმის ოცი წელია, არ ვიცი ცოცხალი არიან, თუ დაიხოცნენ და ასე ვიტანჯები სულით და ხორცით. — დედოფალმა მოახლე ქალი გულში ჩაიკრა, ატირდა.

— ჩვენს უბედურებას ისევ, ჩვენ უნდა შევებათ, ვილოცოთ, შვილო, და „ჭირსა შიგან გამაგრება“ გახსოვდეს. მოთმინებითა შენითა, შვილო, მოთმინებითა, მაგრამ ისიც რომ მიილია! არა, ჩვენ ქრისტეს მსახურნი ვართ, სასოწარკვეთა არ გვარგებს. ვილოცოთ, შვილო, ჯერ საქართველოსთვის, შემდეგ მისი შვილების ბედნიერებისათვის—და ცრემლებსა ღვრიდა დედოფალი.—ილოცე, დაო ჩემო, შენ ხომ დაგრჩა შენი სარწმუნოება, ხომ არ გიღალატია სჯულისათვის, სამშობლოსათვის, მაშ უფალი მოგიტევებს ყოველივეს, რაც შენდა უნებურად შეგხვედრია, წერა-კითხვა თუ იცი ქართული?

— ძლიერ ცოტა, რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყდა.

— გაქვს თუ არა სურვილი საქართველოში დაბრუნებისა? — ბაბალემ ქეთევანს დაუჩოქა:

— დედოფალო, წამიყვანეთ საქართველოში, თუნდა მათხოვრად ვიქნები სადმე უდაბნოში, ოღონდ ჩემი უბედური დედ-მამის საფლავი ვნახო, ჩემი უბედური ნაფუძვარის ამბავი გავიგო, იქ დავიმარხო.

— მე არ ვიცი, როდის წავალ, როდის გამიშვებს შაჰი, შენ თუ კი გსურს გულით, ვეცადოთ, მხოლოდ არავისთან წამოგცდეს, რაც ვილაპარაკეთ.

— მე როგორ წამომცდება, ქალბატონო, ჩემსავით ვინ იცის მაგათი უსინდისობა. თქვენ გარშემო ჯაშუშები გახვევიათ, მეც მაქვს დავალებული, ყოველი თქვენი სიტყვა გადავცე შაჰის კარის ყაცებს.

— კარგი, შვილო, მე რა მაქვს დასამალი, ყველამ იცის, სამშობლოსა და სჯულს არ ვუღალატებ, მეტი მე რა შემიძლია.

ეს იყო მათი პირველი გულთბილი, საიდუმლო საუბარი.

* * *

გადიოდა წლები. შაჰ აბასი არ ჩქარობდა ელჩისა და წერილების გამოგზავნას საქართველოში. ქეთევანი ბევრს ფიქრობდა, ვარაუდობდა, მაგრამ ვერავითარი დასკვნა ვერ გამოეტანა.

სამშობლოზე და შვილზე ფიქრით განაწამები ქალი, ან ლოცულობდა ან შვილიშვილებთან საუბარით ირთობდა განაწამებ სულს, უყვებოდა მათ საქართველოს ბრწყინვალე წარსულისა და მძიმე დღეების ამბებს, ამკვიდრებდა მათში სამშობლოსადმი სიყვარულს.

შაჰ აბასმა მიიწვია ქეთევან დედოფალი. როგორც ყოველთვის, ტკბილად მიიღო, დაუყვავა, სთხოვა:

— დედოფალო, მისწერეთ წერილი შვილსა თქვენსა თეიმურაზს მენდოს, ჩამოვიდეს თეირანში, რუსეთთან შესწყვიტოს ყოველივე კავშირი.

ქეთევანი შეკრთა, ფერი ეცვალა, მთელი მისი არსება შიშმა მოიცვა.

— ისიც მისწერეთ როგორი მეფური მიღება ვიცი მე ჩემი სტუმრებისა, რა კარგი მეგობარი ვარ და მწყალობელი, ვინც დამენდობა.

საწერ-კალამი იქვე მაგიდაზე იდო, შაჰ აბასმა გაუწოდა ქეთევანს:

— აი,აქ მობრძანდით და დასწერეთ, — შეამჩნია ქალს ფერი დაკარგოდა, ხელი უკანკალებდა. შაჰის მაცდურ თვალს აბა რა გამოეპარებოდა.

— ნუ ღელავთ, დედოფალო. მე მომენდეთ, მე თქვენ გაგაბედნიერებთ, საქართველოსაც ავაყვავებ, მხოლოდ ისიც მისწერეთ, თუ არ ჩამოვა, განრისხებული მეფეთა მეფე შაჰი მძევლებსაც დახოცავს და საქართველოსაც ააოხრებსთქო.

შაჰ აბასმა, რა თქმა უნდა, დედოფლის წერილი წაიკითხა, ნასიამოვნები დარჩა, თავი გამარჯვებულად მიაჩნდა. მას ერთს წუთს არ უფიქრია და ვერც წარმოიდგენდა, თუ რა მოხდა 15-20 დღის წინათ მის სასახლეში.

ქეთევან დედოფალმა ტყვე ქალი ბაბალე დაიახლოვა, დასავით შეიყვარა, დარწმუნდა მის გულწრფელობაში, საიდუმლო გაანდო მას.

— ბაბალე, ძლიერ მესაჭიროება საქართველოში გასაგზავნად საიმედო პირი, რომელიც ჩემს საიდუმლო დავალებას არავითარი ქონებისათვის არ გასცემს, რასაც დავაბარებ, სიტყვა სიტყვით მოახსენებს ჩემს შვილს, თეიმურაზ მეფეს. თან გავატან ოქროს, ვერცხლს და ძვირფას ნივთებს, რომ გზაში გაჭირვების დროს თავი იხსნას.

ბაბალე აღელდა. თავი სიზმარში ეგონა „ნუთუ ამდენი წლის ნატვრა აღსრულდება, ნუთუ საქართველოს ვიხილავ და რაიმე სამსახურს გაუწევ მას“, ფიქრობდა იგი. ერთის მხრით, დედოფალზე გული წყდებოდა, მისი აქ დატოვება ეძნელებოდა. რა ქნას? რა უპასუხოს? საქართველოში დაბრუნების სურვილი ყველაფერზე უფრო ძლიერი იყო. ის დედოფალს მუხლებზე მოეხვია:

— მწყალობელო დედოფალო, რაღა სხვაგან ვეძებოთ სანდო პირი. მე თქვენი ერთგული, მორჩილი, თუ რამეში გამოვადგები ჩემს სამშობლოსა და პირადათ თქვენ, დედოფალო, მიმსახურეთ, მზად ვარ თავი შეგწიროთ, მე წავალ საქართველოში, თუ კი შეეძლება იმ საქმის მოგვარებას, რასაც თქვენ დამავალებთ!

— მაგ საქმის მოგვარება შეიძლება მხოლოდ შენი სიმტკიცით, მოხერხებითა და ოქროთი.

— მართალს ბრძანებთ, დედოფალო, მარტო თავგანწირულობა არ კმარა. საქმის მოსაგვარებლად ფულიცაა საჭირო. ქრთამი, ნათქვამია, ჯოჯოხეთსაც ანათებსო.

— თუ გაქვს თავის იმედი, ჩემო ბაბალე, წადი, წაიღე ფული, ოქროს ნივთები და სადაც არ იყოს, მეფე მოსძებნე და მოახსენე, რომ შაჰის წერილთან ერთად ის მიიღებს ჩემს წერილს, რაც შიგ სწერია არ დაიჯეროს და არ შეასრულოს. არასგზით არ წამოვიდეს სპარსეთში, არ ენდოს შაჰს, ეცადონ აჯანყების მოწყობას, საქართველოს განთავისუფლებას.

— დედოფალო, არ აჯობებს თქვენ მისწეროთ წერილი?

— წერილი საშიშია, რომ გინახონ, გაწამებენ, მოგკლავენ, საქმეც გაფუჭდება.

— კარგი, დედოფალო, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც თქვენ მიბრძანეთ, მხოლოდ გული მწყდება თქვენს მოშორებაზე.

— ერთი მე მკითხე, ჩემო ბაბალვ, როგორ მეხარბება შენი ხვედრი. შენ ხომ საქართველოს ნახავ, თავისუფლად ივლი მშობლიურ ქვეყანაში, გაიგონებ ქართულ ენაზე ლაპარაკს. ჩემს მოშორებაზე გული ნუ დაგწყდება. შენ ამ წუთში დიდ საქმეს აკეთებ საქართველოსათვის. მხოლოდ მეფისთვის გადასაცემი სიტყვები კარგად დაიზეპირე.

ქისა ოქროს ფულებით და ნივთებით აუვსო. ყოველგვარი საჭირო დარიგება მისცა: — გადაეცი თეიმურაზ მეფეს, თუ მოუხერხდება, აქეთაც მაცნობოს რაიმე.

ბაბალეს ფერი დაეკარგა, ვაი თუ ისევ აქეთ შემექნეს წამოსვლაო და შეშინებული შეეკითხა:

— ისევ ჩემი პირით, დედოფალო?

— შენ, შვილო, აქეთ რაღა გინდა, დავალება პირნათლად შეასრულე, შემდეგ შენს თავს მიხედე, მეფეც მწყალობელი გეყოლება.

ორი დედაკაცი, ერთი დედოფალი—ოდესღაც ყოვლის შემძლე, მეორე გლეხის ქალი სპარსეთში გაყიდული, ნაწამები, ნამუსშებღალული ლანდებივით სჩანდნენ მთვარით განათებულ ოთახში. ერთმანეთს ეხვეოდნენ, გასაჭირს მათ შორის თითქოს წოდებრივი საზღვარიც კი წაეშალა, ორთავეს ცრემლის ნაკადი ჩამოსდიოდათ ღაწვებზე.

მეფესა და ყმა ქალში მხოლოდ ადამიანები იტანჯებოდნენ.

* * *

მეფე თეიმურაზი, ქართლის დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და სხვა შეთქმულები იმერეთში იყვნენ, აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ხშირი იყო თათბირი და საკუთარ ძალთა შემოწმება.

ერთხელ დილით თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე და რამდენიმე დიდებული ოთახში ისხდნენ და ქვეყნის საქმეებზე მსჯელობდნენ, რომ აღელვებული კარისკაცი შემოვიდა და მეფეს მოახსენა:

— დიდებულო მეფევ! ვიღაც დედეკაცი გეახლათ, დაღლილობისაგან ძლივს ლაპარაკობს, თხოულობს თქვენს ნახვას, ამბობს, რომ ძალიან დიდი საქმე აქვს თქვენთან. არც სახელი სთქვა, არც გვარი, არც ის, თუ საიდან მოდის.

— შემოიყვანეთ! რას ნიშნავს ეს? ვითომ... მეფემ...—სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ კარებში ახოვანი ქალი შემოვიდა. მის განაწამებსა და გაცრეცილ სახეს, კიდევ აჩნდა სილამაზის კვალი. ქალმა უმწეოდ მიმოიხედა, არ იცოდა, რომელი იყო მეფე. მღელვარებისაგან და დაღლილობისაგან მთელი მისი ტანი თრთოდა.

— ვინა ხარ, ქალო, რა ამბავი მოგაქვს? — შეეკითხა მას თეიმურაზი.

— მეფე უნდა ვნახო მარტოდ მარტო, სხვებთან ლაპარაკის ნება არა მაქვს.

— წამოდი.—უბრძანა მეფემ, თან იარაღი ხელში მოიმარჯვა. ისეთი დრო იყო, მეფე უცნობს ვერ დაენდობოდა.

მეფემ ბაბალე მეორე ოთახში შეიყვანა. აქ ქალმა ქეთევან დედოფლისაგან დაბარებული გადასცა, მეფეს კალთა დაუკოცნა, დედოფლის ლოცვა-კურთხევაც არ დავიწყნია. მეფე დარწმუნდა ქალის ნაამბობის სიმართლეში, ძალიან კი გააკვირვა მისმა გამბედაობამ და მგზავრობამ ამ არეულ დროში.

— როგორ გამოიპარე და აქამდე როგორ მოაღწიე, ქალო?

— დედოფლის წყალობით, მეფეო, მან მომცა ფული და ოქროს ნივთები, გზაში გაჭირვებისაგან თავის დასახსნელად.

ქალმა ჯიბიდან ამოიღო ქეთევან დედოფლის ლალის ბეჭედი და მეფეს გაუწოდა.

— ეს თითზე წაიძრო ქეთევან დედოფალმა და თქვენ მოგართვათ, — თეიმურაზმა მწარედ ამოიოხრა და ბეჭედი თითზე გაიკეთა.

— ყოჩაღ, ქალო, მიკვირს, როგორ იმგზავრე.

— ვინც გზაში ამეკიდებოდა, ქრთამს ვაძლევდი, მეფეო, გულმა კახეთისაკენ გამიწია, მიტოვებული კერის ნახვა მომინდა, მაგრამ იმ წუთში ყურში თითქოს დედოფლის სიტყვები ჩამესმა: „ჯერ სამშობლოს სამსახური და მერე პირადი ბედნიერებაო“, მეც იმ ხმას გავყევი და თქვენ გეახელით.

მეფემ კარის კაცს დაუძახა, გასცა ბრძანება, ბაბალე მოესვენებინათ, მოევლოთ და დესაჩუქრებინათ, შემდეგ მხლებელით კახეთში გაესტუმრებინათ.

ბაბალემ მეფეს თაყვანი სცა, მასთან ახლოს მივიდა და ხმადაბლა სთხოვა:

— მოწყალეო მეფევ, ნება მიბოძეთ, რა კახეთს მოვივლი, ისევ თქვენ გეახლოთ.

* * *

საქართველოში აჯანყება დაიწყო. თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე მოულოდნელად თავს დაესხნენ მომხდურთ. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა ყიზილბაშებსა და ქართველებს შორის.

მეფე თეიმურაზმა ბრძოლის დროს შეამჩნია, რომ ერთი მხედარი განსაკუთრებული შეუპოვრობითა და თავგანწირვით ებრძოდა ყიზილბაშებს. როდესაც ქართველებმა მტერი ქალაქიდან განდევნეს, ეს მხედარი მეფესა და დიდებულებს მიუახლოვდა. მას ხელში მტრის დაფლეთილი დროშა ეჭირა, მეფეს გამარჯვება მიულოცა და დროშა მიართვა. თეიმურაზს მხედრის სახე ეცნაურა, დააკვირდა, მაგრამ ვერ მოიგონა.

— მე ბაბალე გახლავართ, მოწყალეო მეფევ, ბედნიერი ვარ დღევანდელი დღით, მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, ქეთევან დედოფალი რომ აქ ყოფილიყო.

გამარჯვებულმა ქართველებმა სამეფო ტახტზე თეიმურაზი დასვეს, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს გამარჯვება, ქართველებმა ვერ მოიგერიეს მოზვავებული სპარსთა ჯარი.

თვით თეიმურაზი, რომ ტყვედ არ ჩავარდნილიყო, კვლავ იმერეთში გადავიდა. თბილისი ისევ მტერმა დაიკავა.

შაჰ აბასის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. მეფე თეიმურაზი და გიორგი სააკაძე რომ ხელში ვერ ჩაიგდო გამმაგებულმა შაჰმა, მათ შვილებზე იყარა ჯავრი.

დიდი იყო ტანჯვა ქეთევან დედოფლისა, როდესაც შაჰის ბრძანებით მისი შვილიშვილები დაასაჭურისეს, ხოლო გიორგი სააკაძის ვაჟს, პაატას, თავი მოჰკვეთეს.

საქართველოში მომხდარი ამბების შემდეგ შაჰ აბასმა ქეთევან დედოფლის წამებით მოკვლა გადაწყვიტა.

წამებამდე თვითონ დაჰკითხა. შაჰს სურდა, რაიმე საიდუმლო ცნობა გამოეტყუებინა ქეთევანისათვის, იქნებ გაეტეხა მისი ნებისყოფა და რჯულისადმი ერთგულება.

— იცი, დედოფალო, რა მოგელის? — მიაპყრო სისხლიანი თვალები შაჰმა დედოფალს.

— ვიცი, წამებით სიკვდილი. — მტკიცეთ უპასუხა მან.

— უკანასკნელად გირჩევ, გონს მოდი, მითხარ ყოველივე საიდუმლო, ქართველთაგან ჩემს წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებისა, შეიცვალე რჯული და სიცოცხლეს გაჩუქებ, წადი საქართველოში, მომგვარე შენი თეიმურაზი, გაძლევთ სიტყვას, მოგიტევოთ ყველაფერი. საქართველოს ტახტზე ისევ შენს ვაჟს გავამეფებ.

— მე რჯულს არ შევიცვლი, არც სამშობლოს ხვაშიადს განგიცხადებ, ან რაღა დარჩა გასაცხადებელი. შენთვის ცნობილია, რომ საქართველომ უნდა მოიშოროს მაჰმადიანობის უღელი, უნდა დაუკავშირდეს ერთმორწმუნე რუსეთს.

— მაშ შენ ისევ შენს აზრზე დგახარ?

— შეურყევლად, შენ უძლური ხარ მოაბრუნო ისტორიის ჩარხი შენს სასარგებლოდ. შევწყვიტოთ უშედეგო ბაასი. განმიტევე სასიკვდილოდ.

— იცი, როგორი საშინელი წამება მოგელის, ქალო?

— ვიცი და არ მეშინია, — მეუფე ჩემი მაძლევს ძალას, სიყვარული ჩემი სამშობლოსი აღმაფრთოვანებს, განმიტევე!

შაჰ აბასი განრისხდა, ბრძანა, დედოფალი იმავე დღეს ეწამებინათ.

დიდ მოედანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ჯალათები გამზადებულან ქეთევანის საწამებლად. მოედანზე დედოფლის მხლებელნი შემოჰყავთ. შაჰის ბრძანებით, მათ უფლება აჰყარეს და ყოველ მსურველს შეეძლო ისინი ეყიდა და მოეხმარა, როგორც ნივთი.

ფრანგი მოგზაური დევალიე, რომელიც შემთხვევით იმ დროს სპარსეთში იყო, ღელავდა, ყველას და ყველაფერს აკვირდებოდა. სულ მალე დედოფალი ქეთევანი უნდა მოეყვანათ. კოცონს ამზადებდნენ. იქვე ახლოს ქეთევანის მსახურნი და მხლებელი ქალვაჟები ეყარნენ მიწაზე. ისინი ტყვეთა გამყიდველ სპარსელებისათვის ჩაებარებინათ.

დაჩოქილი ტყვეები ხელაპყრობილნი ლოცულობდნენ, თან მკერდზე ხელს ირტყამდნენ, ხმის აწევის ერიდებოდათ, ჩუმად ბუტბუტებდნენ, იცრემლებოდნენ.

მათ შორის ახალგაზრდა, პირმშვენიერი ქალიშვილი იდგა, ხმას არ იღებდა, ხოლო ფიქალ ღაწვებს ცრემლის ნაკადული უსველებდა, ნარნარი ტანი უცახცახებდა.

დევალიეს ყურადღება ქალის მშვენიერებამ მიიპყრო. სადღაც ნახულს შეადარა, ვერ მოიგონა, ახლოს მივიდა და აღტაცებისა და გაკვირვებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. მის წინ ქანდაკება გაცოცხლდა, როდესაც მტირალი ქალი მარიამ მაგდალინელს შეადარა. თავი ვეღარ შეიკავა, გამყიდველს ნიშნებით ყიდვის სურვილი გააგებინა. მას აუხსნეს; რომ ეს ქალი, სახელად წიბა დედოფლის უახლოესი პირადი მხლებელია. ტყვე მას ძვირად დაუფასეს, მაგრამ მაინც იყიდა. სასოწარკვეთილი წიბა შიშმა მოიცვა. არასოდეს არ ენახა ასეთ ყაიდაზე ჩაცმული კაცი. „ალბად ცოცხალი ჯოჯოხეთი იქნება“, გაიფიქრა მან და ცრემლები ახლა უფრო ჩქერად გადმოდიოდა. მაგრამ კაცი ტკბილად იღიმებოდა, გაუგებარ ენაზე რაღაცას ელაპარაკებოდა. შემდეგ ამ კაცმა მკერდი გაიხსნა და ჯვარი ამოიღო.

წიბას სახე გაუნათლდა, თითონაც ჯვარი ამოიღო, პირჯვარი გამოისახა და ემთხვია ჯვარს. მისმა პატრონმა მას წაბაძა, მაგრამ პირჯვარი უკუღმა დაიწერა. რა ბედენაა, გაიფიქრა წიბამ, რომ პირჯვარს უკუღმა იწერს. ის მაინც ბედნიერია; რომ ქრისტიანის ხელში ჩავარდა. ფრანგმა მას ხელი მოხვია და გვერდში ამოიყენა.

ეს ქართველი ქალი შემდეგში ამ კეთილშობილი ფრანგი მოგზაურის — დევალიეს მეუღლე გახდა.

მოედნის საუკეთესო ადგილზე შაჰის ახლობელნი და საპატიო სტუმრები მოვიდნენ. აქ იყვნენ კომერსანტები, კათოლიკე მისიონერები, ელჩები, მოგზაურები და სხვები. ბრბო ხალხად იქცა, ატორტმანდა, აღელდა, ლამის ყველაფერი წალეკოს. ამ დროს მცველებით გარსშემორტყმულმა, შავად შესუდრულმა ტახტრევანმა ხალხის ზღვა შუაზე გააპო და გამზადებულ კოცონთან გაჩერდა. ტახტრევანიდან ქეთევანი გადმოვიდა. დინჯად, ამაყად და ზეიმით გაემართა იქითკენ, სადაც უნდა განეტევა სული და ხორცი კი გვემილი, ნატანჯი უნდა დაფერფლილიყო. „მიწა ხარ, მიწად იქეც“, გაიფიქრა მან. გრძელი შავი მანდილი გაფითრებულ შუბლს ვერ უფარავდა. ნატიფი ხელები გულზე დაეკრიფა. ხელში ოქროს ჯვარი ეპყრა. ჯვარი თითქოს სირცხვილით იწოდა, თავისი უძლურების გამო.

ქეთევანის ციური სიმშვიდე, მეფური თავდაჭერა და უდრტვინველობა ჯერ გაკვირვებას იწვევდა, შემდეგ მოწონებას და ზღვა ხალხი საბედისწეროდ ირხეოდა. ამ დროს თითქოს ელოდაო, გაისმა მოლას გამყივანი ხმა: „ალაჰ, ილ ალაჰ, რასულ ალაჰ, მაჰმად ალი“, ბრბო უფრო ატოკდა, რელიგიურ ექსტაზში შევიდა და აყვირდა „გიაურის“ სიკვდილის დაჩქარებას მოითხოვდა.

გაოგნებული უცხოელები, თითქოს თვალებით ერთმანეთს ეკითხებიან: „გინახავთ ასეთი სანახაობა?“ და თითქოს თვითონვე პასუხობენ: „არა, არა ეს გონებამიუწვდომელია, ამას მხოლოდ

სატანა თუ მოიგონებს, დიახ, დიახ, თვით ინკვიზიტორთა კოცონი ამასთან შედარებით გულუბრყვილო ბავშვის თამაშია“.

ყველას ჭირის ოფლი ასხამდა, დედოფალი პირჯვარს იწერდა, ყველას სურდა ამ გმირი ქალის სახე დაემახსოვრებინა, რომელსაც შეეერცხლილი თმა კოპებამდე სცემდა. მას ამქვეყნიური არა ჰქონდა რა, ხორციელი ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ არა, უცხოელები უსაზღვროდ გაკვირვებულნი იყვნენ. ქეთევანი ბაგეებს ოდნავ ამოძრავებდა, საქართველოზე ლოცულობდა.

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“, ჩურჩულებდა ფრანგი მოგზაური დევალიე და ერთ ადგილს ვერ ჩერდებოდა. დედოფლის თვალების სიძლიერემ, ოქროს ჯვარის ბრწყინვალებას სძლია, ამ თვალებს თვით ჯალათი თვალს ვერ უსწორებდა.

და დაიწყო... კოცონის ალი ავარდა, ცეცხლი გაღვივდა, გაძლიერდა და გახურებული შანთები და მარწუხები გამოჩნდა. ქეთევანს მანდილი წააგლიჯეს, ტანსაცმელი შემოაძარცვეს, და ჰოი საკვირველებავ! ნაქანდაკარი ტანი, ისეთი ნაზი, ნარნარი და ჰაეროვანი იყო, რომ სირცხვილით თვალს ვერვინ უსწორებდა...

ზღვა ხალხი მიინაბა, როგორც ქარიშხლის მოლოდინში ზღვამ იცის ხოლმე. გავარვარებული შანთი დედოფლის ფიქალ გულმკერდს უახლოვდება. წამი საუკუნეთ იქცა, შანთი ვერ აღწევს... ყველას ყრუ კვნესა აღმოხდა... დედოფლის მკერდზე კვამლი ავარდა, შანთმა მიაღწია და თავისი საქმე დაიწყო, მაგრამ ქანდაკება არ შეინძრა, ხმა არ ამოიღო, ბედუკულმართ საქართველოზე ლოცვა არ შეწყვიტა.

პირველმა ტკივილებმა ეს ნაზი ქალი ვერ მოდრიკა, შანთს მარწუხები წამოეშველნენ, ლერწმის წელსა და მკლავებს ცეცხლის ზოლვები შემოეკდო. ავარდნილი კვამლი დედოფალს ისე ევლებოდა ვით საკმეველი.

აღელვებულმა ფრანგმა ცრემლიანი თვალები წიბას მიაბყრო, წიბა ისევ დაჩოქილია. მის მშვენიერ სახეზე ორი ნაკადული მოჩქეფს, მთელი სხეული კვლავ უცახცახებს, თითქოს ტკივილები მას სტანჯავენ, შანთით თითქოს ისიც დადაღეს. დევალიეს მწარედ გაეღიმა. გენიალური მხატვრის—ტიციანის სურათი „მომნანიებელი მარია მაგდალინა“ მას ისე უსუსურად ეჩვენა წიბასთან შედარებით, როგორც ცეცხლი დედოფლის სიმტკიცესთან.

— უარყავ რჯული! — ჩაესმის დედოფალს ჯალათის ხმა, და ეს ხმა ისე ისმის, ვითარცა გველის სისინი.

მოედანი პასუხის მოლოდინში ინაბება.

— არ უარვყოფ! — ამბობს დედოფალი და მისი ხმა მოედანს ფარავს. ხმა დინჯია, მშვიდი და საზეიმო.

— გადაეცი შაჰს, რომ სულმდაბალია, სულმოკლე, რადგან მას არა აქვს რწმენა და რაინდობა. მე ვკვდები ჩემი საშობლოსათვის და რჯულისათვის ტანჯული...

მოედანი დაცარიელდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ყველა განცვიფრებული იყო ქეთევანის სიმტკიცით, გამძლეობით, ადამიანის წვალებაში გამოცდილ ჯალათებსაც არ უნახავთ ამგვარი რამ. შაჰი წამებას არ დასწრებია, ის თავისი სასახლის აივნიდან ჭოგრიტით უთვალთვალებდა ყოველივეს.

როდესაც მან მოედანზე ცეცხლის ალს მოჰკრა თვალი, დარწმუნდა, რომ ქეთევანი ვერ გასტეხა წამებამ და კოცონმა, რომ ის ერთგული დარჩა თავისი რჯულისა და თავისი სამშობლოსი.

შაჰი შეიჭმუხნა: ერთ დედაკაცს ვერ სძლია, ვერ დაიმორჩილა მისი ნებისყოფა, რა მოუხერხოს მთელს ერს, მთელს საქართველოს. დედოფლის სულიერ ძალაში მან მთელი ერის ძლევამოსილება დაინახა.

რომ შავი ფიქრები მოეშორებინა, ბრძანა მოეყვანათ მომღერალნი, მუტრიბნი, მაგრამ ვერც ამით გაერთო. ქეთევან დედოფლის სახე ვერ განედევნა გონებიდან. ბრძანა, ყველანი გასულიყვნენ და მარტო დაეტოვებინათ.

დარბაზი დაიცალა. შიშით მოცული კარისკაცები და მომღერლები ჩუმად გაიკრიბნენ. არავინ იცოდა, ვისზე იყრიდა ჯავრს გაბოროტებული შაჰი.

შაჰ აბასი კი მხოლოდ ქეთევან დედოფლის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებზე ფიქრობდა.

ის თავდაღმა დაემხო. ერთხელ კიდევ იგრძნო თავისი უღონობა და არარაობა...

ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ

მეხუთმეტე საუკუნეში დანგრეული საქართველოს აღდგენის საქმეს ჯერ კიდევ ალექსანდრეს ბებიამ რუსა დედოფალმა მიჰყო ხელი, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენას შეუდგა. შემდეგ მცირეწლოვანი ალექსანდრეს დედა ნესტანდარეჯანი განაგრძობდა დედამთილის მიერ წამოწყებულ საქმეს.

საქვეყნო საქმეებთან ერთად, ის თავის მცირეწლოვან შვილს, ალექსანდრეს, სამეფო ტახტისთვის ზრდიდა, უნერგავდა მას სახელმწიფო მართვის ჩვევებს, სამშობლოს ერთგულებას და კაცთმოყვარეობას.

როდესაც ძემ მისმა ალექსანდრემ შეიუღლა ანა დედოფალი, მეფის ოჯახის კულტურული მოღვაწეობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

ლმობიერმა, მშრომელმა და მგრძნობიერმა ანამ კახეთის აღდგენის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. მისი ხელმძღვანელობით სეფექალები თავიანთ ნაკერ-ნაქარგით აღდგენილ ტაძრებს ამკობდნენ, თვით ანა მრავალ საქველმოქმედო საქმეს აკეთებდა. იყო გამკითხავი გლახაკთა და მაშვრალთა. ანა აგრეთვე იყო დიდი მოყვარული წიგნებისა.

შემდეგ საუკუნეების მკვლევართა შორის ხმა ვრცელდებოდა, რომ მეხუთმეტე საუკუნეს ყავდა მოღვაწეები, რომელთ დარჩათ ჩანაწერები „ქართლის ცხოვრების" ირგვლივ.

დიდი ქართველი მკვლევარი ისტორიკოსი დიდხანს ეძებდა და ირკვევდა წარსულ საუკუნეთა ისტორიას. მას დიდი ხანია აწუხებდა საკითხი ვინ დაიწყო პირველად ნუსხების წერა?

სწორია თუ არა „ქართლის ცხოვრების" რედაქციები, სწორია თუ არა თეიმურაზ ბატონიშვილისა და ბროსეს მიერ გამოტანილი დასკვნა, თითქოს „ქართლის ცხოვრება" მთლიანად ვახტანგ მეფის სწავლულთა მიერ იყო შედგენილი.

მკვლევარის მიზანი იყო აღედგინა სიმართლე. ის ძალ-ღონეს არ იშურებდა, წარსულ მოღვაწეთა ნაშრომებს ფაქიზად და სიყვარულით ეკეკეოდა, ნაამაგარს არ უკარგავდა.

არა ერთსა და ორ ძველ საგვარეულო წიგნსაცავს სტუმრებია ის. იქ ულამებია და უთეხებია. სინჯავდა წიგნებით სავსე კარადებს, იძირებოდა საქართველოს წარსულში, ეძებდა სიმართლეს.

მკვლევარი იმ დროს ლამისყანაში იყო. ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახს წვეოდა. საგვარეულო წიგნსაცავს სინჯავდა, რაც მისთვის საჭირო აღმოჩნდებოდა· ერთ ადგილზე აწყობდა, სხვებს თავის ძველ ადგილზე ტოვებდა.

დიდი კარადები სავსე ძველთა-ძველი და თანამედროვე წიგნებით მკვლევარისაგან დიდ ყურადღებას თხოულობდა. ის დაუზარებლად სინჯავდა ყოველ წიგნს, თან ღელავდა. აბა რა შეხვდა წაუკითხავი და უცნობი.

კარადის დაბლა თაროზე კუთხეში მან ერთ ძველ წიგნს მოჰკრა თვალი. ხელთნაწერს ტყავის ყდა ჰქონდა სრულიად დაზიანებული. წიგნი სასწრაფოდ გამოიტანა. დასაჯდომადაც არ დაკარგა დრო. ფეხზე დამდგარი ათვალიერებდა მას. წიგნის გახსნა და ყვითელი ფოლიანტის გამოვარდნა ერთი იყო. მან ფურცელი აიღო, იქვე სავარძელში ჩაჯდა.

გატაცებით დაუწყო წიგნს სინჯვა: ხელთნაწერია თავიდან ბოლომდე. ოჰ, როგორ დაზიანებულა ყდაც და ხელნაწერიც ჟამთა-მსვლელობის გამო, ფიქრობს... აკვირდება... „თვით ქაღალდი ოდნავ წვრილი ზოლებიანია და ზემოდან ქვევით ჩამოვლებული, ხუთი, ექვსი გამჭვირვალე ნიშანი აქვს, ხოლო შუაგულში ჩამჯდარი ნიშანი ბევრის მთქმელია“.

ამ ნიშნის ზედა ნაწილი არის ჯვრის გამოხატულება, რომელიც ეყრდნობა, თითქოს უერთდება ბურთივით საგანს—მსოფლიოს.

„ცუდია,—ფიქრობს მკვლევარი,—ხელთნაწერს თავში და ბოლოში ფურცლები აკლია, მაგრამ ქ-ცა ხელთნაწერის ბოლო ნაწილზე უწინარეს თავდება და ამიტომ ქ-ცა ბოლო არ დაზიანებულა“.

უბედურებად მიაჩნდა მკვლევარს, რომ დასაწყისში ფურცლები თაგვებისაგანაც იყო შეჭმული.

მკვლევარისათვის აშკარა შეიქმნა, რომ ამჟამად მის მიერ კარადაში აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება“ წინ უძღოდა ვახტანგ მე-6 სწავლულ კაცთა მიერ შედგენილ ქართლის ცხოვრებას. მაგრამ სიმართლის დადგენა არ შეიძლება, სანამ მთელ ხელთნაწერს არ წაიკითხავს.

კარადასთან უწესრიგოდ დაწყობილ წიგნებს მოშორდა. საწერ მაგიდასთან დაჯდა და ხელნაწერის კითხვას შეუდგა.

ისე გატაცებით მუშაობდა, რომ მასპინძლებთან სასადილოდ გასვლა ძლივს გადაწყვიტა.

რვეულებს გამალებით კითხულობდა. თითო რვეულში რვა ფურცელი იყო, თვითეულ გვერდზე კიდევ ჩვიდმეტი სტრიქონი და ჰაა! მეოცდაათე რვეულის მესამე გვერდზე ხელთნაწერის გა-

დამწერი სხვათაშორის წერდა: „ღმერთო და ყოველნო წმინდანო მისნო და წმინდაო გიორგი ალავერდისაო მთავარ მოწამეო; მცველ და მფარველ, მჯარსა მდგომელ და განმარჯუებელ ექმნენით ორთა ცხოვრებათა შინა პატრონთა დედოფალთა ნესტანდარეჯანს და ძესა მათსა ღვთივ გუირგუინოსანსა მეფესა ალექსანდრეს და დედოფალს ანას, რომლის მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა“.

მკვლევარი სიხარულმა მოიცვა, ნუთუ ეს სიმართლე არ დაიკარგა და აღმოჩნდა. ის მაინც არ დასჯერდა ამ ერთ საბუთს. ხელთნაწერის კითხვა განაგრძო, მეორე საბუთი კი ასე ღაღადებდა.

„ადიდენ ღმერთმან და დაამყარე ორთავე ცხოვრებათა შინა პატრონი დედოფალთა დედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი ალექსანდრე და დედოფალი ანა“.

იქვე მოხსენებული იყო ამ სამთა მოღვაწეობა. წარმართობასთან ბრძოლაში, ტაძრების აღდგენისა და მრავალ სხვა კეთილ საქმეთა კეთება.

მკვლევარი გახარებული მოდიოდა ლამისყანიდან, ის ამ დიდი შრომის ჩატარების შემდეგ დაღლილობას ვერ გრძნობდა. გულში შემდეგ სიტყვებს იმეორებდა: „მაშასადამე ახლა ჩვენ ქართლის ცხოვრების XV საუკუნის ხელთნაწერი გვაქვს“.

ეს ხელთნაწერი იყო „ქართლის ცხოვრება“, რომელიც გადაწერილი და შევსებული იქნა ანა დედოფლის უახლოესი მონაწილეობით.

თვით წიგნიდან სჩანს, რომ დედაშვილი ნესტანდარეჯანი და ალექსანდრე „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ, მაგრამ წიგნს დარქმევია ანასეული „ქართლის ცხოვრება“.

ეს სახელი მოწმობს, რომ ანას მეტი ღვაწლი უდევს ამ საქმეში, ვიდრე მის მეუღლესა და დედამთილს.

ანა დედოფალს განსაკუთრებული შრომა და ენერგია ჩაუქსოვია წიგნის კულტურისა და ქართლის ცხოვრების შედგენაში.

ანა აუცილებლად თვითონ ყოფილა წიგნის დიდი მოყვარული. სხვაფრივ არ გაუჩნდებოდა სურვილი დაბნეული მასალების წაკითხვისა და აღდგენა-გადაწერისა, რათა საქართველოს ისტორიის საგანძურში თავისი წვლილიც შეეტანა, რის გამო ქართლის ცხოვრების ამ რედაქციას დაერქვა „ანასეული“.

შალიკაშვილის ქალი

მეხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაპყო. ოსმალნი და სპარსნი ერთმანეთს ედავებოდნენ საქართველოს დანაწილებაში.

ბევრი დავისა და ქართველთ სოფელ-ქალაქების აკლების შემდეგ, ოსმალნი და სპარსნი ასე მორიგდნენ: ქართლ-კახეთი და სამცხე-საათაბაგო სპარსელებმა მიიკუთვნეს, ხოლო საქართველოს დასავლეთი ნაწილი: იმერეთი, გურია, ოდიში და აფხაზეთი—ოსმალებმა.

საქართველო საშინლად დაიქსაქსა, მას სრული გადაგვარება მოელოდა. ფეოდალები გართული იყვნენ ერთმანეთის შუღლით, სამეფო ტახტისა და მამულების მიტაცებით.

ქართლში ლუარსაბ პირველის შემდეგ გამეფდა სვიმონი. იგი გამეფებამდე დატყვევებული იყო ყაზმინს. ყაენმა სჯულის უარყოფა მოსთხოვა, მრავალი საჩუქარი მისცა, მაგრამ ვერ დაითანხმა, გაცოფებულმა გაგზავნა ის ალამუტის ციხეში.

რამდენიმე ყაენი გამოიცვალა, ვიდრე სვიმონს განთავისუფლება ეღირსა. ის ციხიდან მხოლოდ ისმაილ ხანმა გამოუშვა, რომელიც მას ციხეში გაცნობოდა. ეს ხანი თითონაც პატიმრად მჯდარა. ეს ისმაილიც მალე მოუკლავთ, ახლა ყაენად შაჰხუთაბანდე დასვეს. მისი დედა ოთარ შალიკაშვილის ქალიშვილი იყო.

ამ ქალს ქართლის ბედი სტანჯავდა. თუ როგორ გახდა ის შაჰის ცოლი, ადვილი წარმოსადგენია.

ჩვენთვის ამ ფაქტში საყურადღებო ის არის, რომ დიდი ყაენის შაჰათამაზის ცოლი და შაჰხუთაბანდეს დედა, ქართველი ქალი სპარსეთში შვილის ბატონობის დროსაც მწარედ განიცდიდა სამშობლოს ჭირ-ვარამს. ის საქართველოს ინტერესების ერთგული დარაჯი ყოფილა.

შალიკაშვილის ქალის პირმშო შვილმა შაჰხუთაბანდემ მეფე სვიმონი აიძულა მიეღო მაჰმადიანობა, თუ ამ მოთხოვნას შეასრულებდა, მხოლოდ მაშინ გაგზავნიდა ქართლის მეფედ.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდა სვიმონი; ალბათ ის იმედს არ კარგავდა, რომ საქართველოში ჩასული, სპარსეთთან კარგ განწყობილებაში მყოფი, თავის ქვეყანას რამეში გამოადგებოდა, თითონაც დაისვენებდა ამდენი პირფერობიდან. მას მაჰმადიანობა მიუღია გარეგნულად.

შალიკაშვილის ქალი დიდად ეხმარებოდა სვიმონის განთავისუფლებას. როდესაც მან გაიგო სვიმონის საქციელი, მისი ნებისყოფის გატეხა, ის აღელდა; კიდევ ერთხელ შეილახა მისი თავმოყვარეობა.

აბობოქრდა მასში გულიდან მოწყვეტილი სამშობლოს სიყვარული. მისცა სვიმონ მეფეს მრავალი საჩუქარი. შემდეგ შემოახვია სვიმონის ხმალს ლეჩაქი და ასე უთხრა: „მომიმხვევია ხმალისა შენისა ზე ტარსა ზედა. შენ იცი და ხმალმან შენმან. მოგვიცია შენთვის სამეფო შენი საქართველო და სხვა მრავალი საბოძვარი. წარვედ და განამაგრე საქართველო, რათა არ წაგვიღოს ოსმალთა და იყავ თანაშემწე და ერთგული სახელმწიფოსა ჩვენთა“.

ყაენმა დედის გავლენით მისცა სვიმონს ბევრი ფული, გამოატანა მრავალი ტყვე. მათ შორის არჩილ ბატონიშვილი.

ასეთი იყო ქართველი ქალის გავლენა დესპოტ სპარსთა შორისაც.

დიმიტრი ჯანაშვილი მოგვითხრობს სვიმონ მეფის ცოლმა ნესტან დარეჯანმა როგორ იხსნა სიკვდილისაგან ბარძიმ ამილახვარი, ვახტანგ ბუხრან-ბატონი, ქსნის ერისთავი ელიზბარი, ისინი თავის მეუღლეს შეაფიცა. ამით მან სამშობლოს ააცილა მრავალი უბედურება, რაც ყოველთვის თან სდევდა შინაბრძოლებს და განხეთქილებებს.

1634 წ. კახეთის მეფემ თეიმურაზმა ბარათაშვილის ცოლისა და შვილთათვის ცხვირ-პირის დაჭრა გადაწყვიტა, მათ შორის ჩამომდგარი შუღლის გამო, მაგრამ მისმა მეუღლემ ხორეშან დედოფალმა ქმარს ამის ნება არ მისცა. იგივე ხორეშანი ეახლა ქართლის მეფეს როსტომს; რათა მეუღლე მისი თეიმურაზი იმ დროს თიანეთში მომწყვდეული, გაენთავისუფლებინა, მიეცა მისთვის იმერეთს წასვლის საშუალება.

მეფე ვახტანგ მეხუთეს ერეკლე პირველი ტახტისათვის ებრძოდა.

ვახტანგს ერეკლე დაპატიმრებული ჰყავდა, ბევრმა დიდებულმა მიიღო მონაწილეობა ერეკლეს განთავისუფლებაში, რომელიც შეიძლებოდა სასტიკად დასჯილიყო, მეფემ ყველას უარი უთხრა. მაშინ ერეკლეს დედა მივიდა მეფესთან, შესთხოვა შვილი მისი ერეკლე ფარულად გაეშვა, რათა მის აშკარად გაშვებას კიდევ აურზაური არ აეტეხა. მეფემ მისი თხოვნა შეიწყნარა. ერეკლე დუშეთში გააპარეს.

1726 წ. ვახტანგ მეექვსის ცოლმა. რუსუდანმა კათალიკოსი დომენტი და იესე მეფის სპასპეტი დასჯისაგან იხსნა. თუნდ ის ჩვეულება: რაც უნდა ფიცხელი ბრძოლა ყოფილიყო ვაჟკაცთა შორის, თუ ქალი მანდილს ჩააგდებდა, ვაჟკაცები იმ წამსვე ხმლებს ქარქაშში ჩააგებდნენ. ყველა ეს ფაქტი თავისთავად მოწმობს, რომ საქართველოში ქალი დიდი პატივით სარგებლობდა, დედაქალის თხოვნის შეუწყნარებლობა დანაშაულად ითვლებოდა.

რაღა თქმა უნდა ეს პატივისცემა ქალის მიერ დამსახურებული იყო.

თინათინ გურიელი

ნებივრად იზრდებოდა გურიის მთავრის—მამია გურიელის ასული თინათინ.

წარმტაცი გარეგნობის, ჭკვიან და სათნო თინათინს არა ერთი რაინდისათვის აუძგერებია გული. ხოლო გრძნობათა ქველობითა და გარეგნობით შეუდარებელი ნოშრევანი თინათინის ნამდვილი რაინდი იყო.

არასოდეს გაუმხელია და არც არავისთვის შეუმჩნევინებია ნოშრევანს თუ როგორ იწოდა მისი არსება ქალის სიყვარულით.

განა მისთვის ვერ შებედა, რომ ბატონიშვილის შიში ჰქონდა, არა, არ უნდოდა ფიქრსა და დარდში ჩაეგდო უმანკო ქალი. ნოშრევანმა თითონაც კარგად იცოდა, თუ რა აურზაური მოყვებოდა მათი გამიჯნურების ამბის გახმაურებას, მან ისიც კარგად იცოდა, თუ რა დიდი ზღვარი იდო თინათინსა და მას შორის. მართალია, დაჯილდოებული იყო მრავალი ღირსებით, მაგრამ ის იყო უბრალო, ღარიბი თავადიშვილი, თინათინის მამის მხლებელთაგანი.

ვინ არ იცოდა, რომ გულზვიადი მამია თავის ქალიშვილს სადედოფლოდ ამზადებდა. ნოშრევანი ცდილობდა როგორმე თავისი გრძნობები აელაგმა. თინათინი კი გარკვეულიც არ იყო, თუ რისთვის ხიბლავდა მას ნოშრევანი, რად უძგერებდა ნორჩ გულს მისი შეხვედრა, რისთვის წვდებოდა გულს მისი ლმობიერი, მეტყველი თვალების შუქი.

სიყვარულმა თავი არ დამალა. თინათინი მხოლოდ მაშინ გაერკვა თავის გრძნობებში, როდესაც ნოშრევანის ძლიერი მკლავების რკალში მოექცა. გონზე მოსული ახალგაზრდები სირცხვილის გრძნობამ მოიცვა. ამ შემთხვევამ თითქოს ორივე დააფრთხო. ცდილობდნენ შორი-შორ ყოფნას.

—თვალის სინათლევ, შვილო ჩემო,—მიმართა მამიამ თავის ასულს.—კარგად უწყი, შენი დაშორება მე არ მეჩქარება, მაგრამ ამ არეულ დროში ძლიერი მფარველი დიახ საჭიროა შენთვის. მე მოგივიდა ცნობა ბაგრატ მეფისა, რომელიც მირჩევს შენი თავი მივათხოვო კახთა მეფეს ლეონს, ვაჟკაცს აღჭურვილს ყოველივე ღირსებით და მშვენიერი გარეგნობით.

თინათინს გულში ტყვიასავით მოხვდა მამის ნათქვამი. ჯერ მან აღშფოთებით შეხედა მამას თვალებში, კიდევაც გაოცდა, გაიფიქრა: „ვინ ლეონზე მიპირებენ გათხოვებას, როდესაც მისი გული აღსავსეა სიყვარულით“. მალე გამოერკვა. თავი მორჩილად დაბლა დახარა და მამას ეს ღა უპასუხა:

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რა როგორ ჯობია, — და აქედან დაიწყო თინათინის ტანჯვა.

თუ ფეოდალი ქალის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებდა დედოფლად გამხდარიყო, გული დახშული ჰქონდა ხალისისათვის.

ნოშრევანის იდუმალი ტრფობით ანთებული გრძნობა დროდროთი მტკივნეულად კაწრავდა მის გულს. ვინ იცის, რამდენ გეგმას აწყობდა, რომელნიც პატივმოყვარეობისა და ფეოდალური ტრადიციების სქელ კედლებზე იმსხვრეოდა.

თინათინი კახთა მეფე ლეონის მეუღლე გახდა. პირველ ხანებში თითქოს გაიტაცა დედოფლის სიდიადემ, სამშობლოზე ზრუნვამ. მაგრამ, როდესაც ის დარწმუნდა, რომ მეფე ლეონი მისდამი ფრიად გულგრილი იყო თავიდანვე, ხოლო თანდათან მისი გულცივობა სხვა ქალებისადმი ტრფიალებაში გამოიხატა, თინათინს გული ჩაწყდა. ხშირად აგონდებოდა თავისი მიჯნური რაინდი ნოშრევანი.

უკუღმართი ხვედრით გულგატეხილმა თინათინმა ცხოვრების მიზანი შესცვალა. გრძნობები სადღაც გულის სიღრმეში მიმალა. ახალ მოღვაწეობას შეუდგა. მან გადაწყვიტა მონაზვნად აღკვეცილიყო. ის წინასწარ ცხრაკარში აბრძანდა თავისი მსახურებით, ხოლო სულ მოკლე ხანში ალავერდელს თავი მონაზვნად აკურთხებინა.

ვისაც თელავიდან გომბორის მხრივ უმგზავრია, თანათინის მიერ აშენებულ შუამთის მონასტერს გვერდს ვერ აუვლის.

რა სიყვარულითა და დაუღალავი ძალ-ღონით აშენებდა თინათინ ამ მონასტერს. მისი განვლილი ტანჯვა რწმენითა და მაშვრალთა ნუგეშით იფარებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეს გაეყარა, თინათინ დიდი გავლენით სარგებლობდა კახეთში. საუკეთესო ოსტატები აშენებდნენ შუამთის მონასტერს, შემკულს იშვიათი მხატვრობით.

ეამთა სვლაში „ვინმე უვიცებს ყაზარმასავით გაუთეთრებიათ“, რის გამო მაღალი კულტურის და გემოვნების მაჩვენებელი მხატვრობა დაკარგულა.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში ეპისკოპოს კირიონმა მონასტრის კედლები გააწმენდინა. აღმოჩნდა ხელოვნების მრავალი ძვირფასი ნიმუში და აგრეთვე თვით თინათინ დედოფლის მონასტრის აღმშენებლისა და მისი მეუღლის ლეონ მეფის სურათები.

ეს მონასტერი კიდევ იმით რჩება ქართველთა გულის სითბოსა და დარდის მომგვრელად, რომ აქ დასაფლავებულია ალექსანდ-

რე ჭავჭავაძე, რომლის იერი და ქართველკაცობა თითქოს ახლაც დაჰქრის საქართველოში.

თინათინ დედოფლის დასაფლავების ორმოცდახუთი წლის შემდეგ შუამთის მონასტერში მისულა ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, მას უნახავს ეს საფლავი და უთქვამს შემდეგი ლექსი:

ხახულისა ყოვლად წმინდა დედოფალსა აუგია,
მისი მზითვის საჭურჭლენი სრულად მაზედ წაუგია,
დაუგდია აქ სახელი, საიქიო მოუგია.

მარიამ ბაგონიშვილი

მარიამ ბატონიშვილი, მთავარ მანუჩარის ქალიშვილი, ფიქალ ლოყებს ნარნარი თითებით იხოკავდა.

ლაჟვარდისფერი თვალებიდან წამოსული ცრემლის ნაკადს წამწამთა ტევრი დაესველებია, გრძელი ნაწნავები გაშლოდა, დაბურდოდა.

სასახლის სეფე ქალები და ნათესავები წარმტაც ხელმკლავზე ეტანებოდნენ, აკავებდნენ, პირი არ დაესახიჩრებინა და მშვენიერი თმები უმოწყალოდ არ დაეგლიჯა. ასე გამწარებული ტიროდა და მოსთქვამდა, კვიდრი ქალიშვილივით, მამამთილს მამია გურიელს მარიამ დადიანის ქალი.

— რა უბედურება დატრიალდა ჩვენს ოჯახში, გაგონილა, ბატონებო, ასეთი. ჩემმა მეუღლემ, შეჩვენებულმა და ბოროტმა, მამა მოჰკლა და გარდაიხვეწა. მამის მკვლელის სულიერი მეგობრობა როგორ ღა შემიძლია. — შესტიროდა ის სამძიმარზე მოსულ ნათესავთა და ქვეშევრდომებს.

— დამშვიდდით, ბატონიშვილო, ასეთი ამბები კვლავაც მომხდარა ქვეყნად. იმაშიც დარწმუნდით, ეს საცოდავ სვიმონს სულ ყიზილბაშების შთაგონებით დაემართა. — ეუბნება ერთი თავადთაგანი.

— ვაი სირცხვილო, მათი ჩაგონებით რომ იმოქმედებს ადამიანი, ის რაღა კაცია. მან მამაზე, სარწმუნეობაზე, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებაზე ხელი აიღო, რომ ირანის შახისათვის ესიამოვნებინა, თვით სამეფო ტახტი დარჩენოდა და ამისთვის მოჰკლა მოხუცი მამა, პატიოსანი და ღირსეული მშობელი. განა მოხუცნი ვიყავით, ვერ მოვესწრებოდით სამთავროს უფროსობას? არა, აღარ შემიძლია დარჩენა გურიაში. გთხოვთ, ჩემს ძმას—სამეგრელოს მთავარს—ლევანს აცნობოთ ჩვენი უბედურება, რათა მობრძანდეს და მიპატრონოს, როგორც კი მამა-ბატონს პატივით და დიდებით დავასაფლავებთ. ამ ცოდვით სავსე სახლს უნდა განვშორდე მალე.

მამია დაიტირეს, დაასაფლავეს. მარიამი ქმარს გაშორდა. ლევან დადიანმა იშოვა მიზეზი, გურიელი დაატყვევა, გურია კი სამეგრელოს შემოუერთა, ხოლო და თავის სახლში წაიყვანა. ის ხშირად შედიოდა დის სამყოფელოში. გურიის სამთავროში მომხდარი

უბედურების შემდეგ ის თავისი დის საშუალებით კიდევ დიდ მიზნებს ისახავდა. ერთხელ ლევანი ჩვეულებრივად დის სამყოფელოში იყო და ასეთი საუბარი გაუმართა მარიამს:

— რათ მოგიწყენია, დაო ჩემო. ბედი კარზე მოგვადგა. ხომ გაგიგონია, ქართლის მეფე როსტომ ბაგრატიონი რომ გამაჰმადიანდა...

— დიახ, მსმენია, ის ხომ ირანის შახმა გამოგზავნა და ქართლის მეფედ დასვა.

— ხო და ახლა მოგახსენებთ, მოვიდნენ მოციქულები, ის თქვენს თავს მთხოვს. მე დიდი სურვილი მაქვს ჩვენი ოჯახი როსტომს დაემოყვროს. იმედი მაქვს, თქვენც ამ აზრის იქნებით.

— ძვირფასო ძმაო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი შეუღლების სურვილზე ყველანი ხელს აიღებდეთ. დავრჩებოდი აქ, თქვენთან, მშვიდად, წყნარად, ვიკითხავდი, ვწერდი, შენს შვილებს და ჩემს უბედო შვილს ოტიას, თქვენის შემწეობით, აღვზრდიდი.

— არ ივარგებს აგრე, ბატონო ჩემო, თქვენ ჯერ სულ ახალგაზრდა ხართ. თქვენი გაუთხოვრობა არ ეგების. ყოველ შემთხვევაში იფიქრეთ როსტომზე. თან ისიც გაითვალისწინეთ, რამდენად წინ წასწევს ჩვენს სამთავროს. ამ საქმის გადაწყვეტა.

მარიამმა შეატყო მის შეუბრალებელ ძმას, როგორ თანდათან ეუფლებოდა მღელვარება. ძმის ხასიათი და სიფიცხე მან კარგად იცოდა.

ძმა გავიდა ოთახიდან.

მარტოდ დარჩენილი მარიამი თავჩაქინდრული იჯდა, მომავალზე ფიქრობდა. ძმის მკაცრი ხასიათი მას კარგს არ უქადდა.

კარები გაიღო და მისი პირადი მსახური მნათობისა შემოვიდა. დაღვრემილი რომ ნახა ქალბატონი, შეცბა, შეხვეული ქაღალდი მოშორებით მდგარ მაგიდაზე დადო და მოკრძალებულად მოახსენა:

— მწყალობელო, რისთვის ხართ ასე დაღვრემილი? მე, მგონი, მიმხვდარი ვარ თქვენი გულის დარდს, თქვენ ის გაწუხებთ, მთავართან მრავალი მოციქული რომ მოდის თქვენი ხელის სათხოვნელად.

— რას ამბობენ საქალებოში, იქ ხომ პირველად გაიგებენ ტყვილსა და მართალს. მითხარი გულახდილად. მე და შენ ხომ თანშეზრდილნი ვართ.

მართლაც კი იყვნენ თანშეზრდილნი, წერა-კითხვასაც ერთად სწავლობდნენ. ის მარიამს არ შორდებოდა, თავისით დაისწავლა ყველაფერი, არც ქალბატონს ჩამორჩებოდა ნიჭით. მნათობისას დედა ეკა, სასახლეში პირვარდისად წოდებული, მარიამის დედას თამარ აბაშიძის ქალს მოჰყოლოდა სხვა ყმებთან ერთად.

ფრიად მწიგნობარი და ქართული მატიანეს მცოდნე ყოფილიყო იმერელი ყმა-ქალი, აბაშიძეთა ოჯახში განსწავლულიყო წერა-კითხვაში. ის თამარს გაეთხოვებინა. ადრე დაქვრივებული პირვარ-

დისა პატარა გოგონათი ისევ დაბრუნებია თამარს სასახლეში. ის ერთგულად ემსახურებოდა თვით თამარს, თან დიდათ ეხმარებოდა შვილის აღზრდა-განსწავლაში. მარიამ რომ გურიელს მიათხოვეს, მნათობისა თან წაიყვანა. ახლაც უბედურების გამო სამეგრელოში დაბრუნებული მარიამი მნათობისას უზიარებდა თავის გულის ნადებს. რომ ბატონიშვილი გაერთო, მნათობისა მას უკითხავდა წიგნებს, უყვებოდა დედისაგან გაგონილ ზღაპრებს და ქვეყნის ამბებსაც ხშირად მოუთხრობდა ხოლმე. ახლა აგრე მოწყენილი რომ დაინახა მარიამი, მზინდომა ეამბნა გაგონილი, რაც თვით მარიამს შეეხებოდა და რაც იყო მისი დადარდიანების მიზეზი.

— ბატონიშვილო, მეშინია მთავარმა რომ გამიგოს, მკაცრია, ენას მომჭრის, თორემ მოგახსენებ, რაც გავიგე და რასაც ვხედავ.

— მართალი ხარ, მთავარს რა დაუშლის ბოროტებას, თუ ისე აღტაცებით შერთულს, მშვენიერსა და უმანკო თავის მეუღლე შარვაშიძის ქალს ცხვირი მოსჭრა უბრალო განუკითხავი ჰორისათვის, ჩვენ მისგან უარესს უნდა ველოდეთ სწორედ.

— ჰო და, ბატონიშვილო, მოგახსენებ, რაც გავიგონე: მთავარს თურმე გადაწყვეტილი აქვს თქვენ როსტომ ქართლის მეფეს მიგათხოვოსთ. მთავარი ისეთ დიდ მიზნებს ისახავს თურმე, რომ თქვენც დაგიყოლიებთ. დიდ სახელმწიფო საქმეებს უჭირსო. მოგახსენებენ, იმერეთში გამეფების იმედიც აქვსო.

— უფალმა გაუმართლოს, თუ რამ კარგი უნდა ქვეყნისთვის, მხოლოდ, რაც ჩაიდინა, იმას არც ღმერთი აპატიებს და არც კაცი. ციდან ჩამოსული ანგელოზი არაადამიანურად დასაჯა, აფხაზეთის სამთავრო მტრად გადაიკიდა. ყველაფერზე საშინელება ისაა, ბიძას ცოლი წაართვა, დედოფლად დასვა, რა ვქნა, თორემ მეზარება სასახლე, როდესაც ეს ყველაფერი მომაგონდება.

— დიდკაცებს დიდი აღტკინება სჩვევიათ, მწყალობელო, თქვენ თუ ყველაფერი გულთან ახლოს მიიტანეთ, დასნეულდებით. სჯობია იფიქროთ თქვენს მომავალზე. — მარიამმა გაიღიმა.

— განა შენც იმას მირჩევ, რასაც ჩემი ძმა ლევანი?! ვაი თუ მაჰმადიან ქართლის მეფის კარზე კიდევ მეტი სიმკაცრე და სისხლის ღვრა დამხვდეს.

— ნუ ღელავ, მწყალობელო, მე კიდევ დღეს თქვენთვის სასიამოვნო ამბავიც მაქვს სათქმელი, თუ ნებას დამრთავთ.

— თუ, კარგი რამ იცი, მნათობისავ, გამიზიარე. გული წაიღო დღე-მუდამ სამწუხაროს გაგებამ.

მნათობისა ადგა. მაგიდაზე დადებული ფუთა გაშალა და მარიამს სიხარულით გაბრწყინვებული ლამაზი თვალები შეანათა.

— ნახეთ, რა საუნჯე ვიპოვე, თქვენი აღმზრდელი დედაჩემის ძველ კიდობანში.

მარიამი გამოცოცხლდა, ხალისიანად შეეკითხა:

— მითხარ, რა იპოვე?

— ბატონიშვილო, მე ვიპოვე დიდი რამ განძი. ეს კიდობანი მე გურიაში არ წამიღია, აქ მოხუც ტუფსახარს მივაბარე. დღეს დედაჩემის სიკვდილის დღეა, გულმა მითხრა ის კიდობანი გამეხსნა, დედის ხსოვნა თაფლის წმინდა სანთელით აღმენიშნა, მოულოდნელად ამ კიდობანში ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ აღმოვაჩინე ,საბრალო დედაჩემს ვერ მოუსწრია გადაწერა ბოლომდის. შეხედეთ რა სწერია თავში—და წაიკითხა მნათობისამ:

„პატრონსა ჩემსა მარიამ ბატონიშვილსა მოსაგონებლად ჩემდა, მისი გამზრდელი ეკა-პირვარდისასაგან“.—ორივენი ათვალიერებდნენ ნაწერებს ზოგს დამთავრებულს, ზოგს დაუმთავრებელს. აგერ ერთი ფურცელი ცალკე დევს ობლად, ლამაზი ხელით აწერია. „შვილო ჩემო მნათობისავ, თუ მე სიკვდილმან ულმობელმან არ მომცეს საშუალებაი დავამთავრო გადაწერა „ქართლის ცხოვრებისა“ შედგენილი სულმნათი დედოფალი ანას ბრძანებით, გვედრებ დაასრულო შენ, ბატონისა ჩემისა მარიამის შემწეობით და მფარველობითა. გამომიგზავნიდეთ შენდობასა მონასა ღვთისა ეკას“.

კითხვა რომ დაასრულეს, ვით ქანდაკება ისე გაქვავდნენ.

ერთ ადგილზე უძრავად მდგომნი, ფერ დაკარგულნი უსიცოცხლოდ იცქირებოდნენ. მხოლოდ თვალთაგან ჩამონადენი ცრემლიღა ამჟღავნებდა მათ სიცოცხლეს.

ძვირფასი დედები, მუდამ სამშობლოს წარმატების გუშაგნი, ნათლად ამართულიყვნენ მათ წარმოდგენაში, დედებზე ფიქრს გაეტაცნა ისინი. სიჩუმე მნათობისამ დაარღვია.

— ბატონიშვილო, თუ თქვენი ნება იქნება, მე დავამთავრებ თქვენი გამზრდელის ხელნაწერს, შევუსრულებ სურვილს.

— რა საკითხავია, მისი ანდერძი უნდა ასრულდეს, თუნდაც მე თვითონ საკუთარი ხელით მომიხდეს გადაწერა. მნათობისა, რამდენჯერ მინდოდა მეთქვა შენთვის. აწ განსვენებულ დედაბატონს ჩემსას ჰქონდა სამკურნალო კარაბადინი, რომლით, თუ არ ვცდები, ჩემი აღმზრდელი დედაშენი დიდათ კურნავდა დაავადებულთ, იქნებ იპოვო ის წიგნი. ის ფრიად საჭიროა. მადლიც არის და კარაბადინიც დარჩება მომავალთ.

— კი ბატონიშვილო, აუცილებლად მოვძებნი, თუმცა ჩვენს შემდეგ სასახლეში იმდენი რამ შეცვლილა, ვეჭვობ რაც თქვენ სასახლეს განშორდით, აქ ვისმეს წიგნის პატივი ესმოდა.

— ლევანს ოდესღაც ძლიერ უყვარდა წიგნი, ნიჭიერიც იყო, მაგრამ შემდეგ ის გაიტაცა პატივმოყვარეობამ, სიმკაცრემ და ავხორცობამ, ამის გამო ალბათ წიგნები მთლად დაავიწყდა.

— ალბათ მოუცლელია მთავარი, ბატონო ჩემო, თორემ მას დიდ ჭკვიანს და ვაჟკაცს ამბობენ.

— სიმკაცრეს არ ამბობენ? ძალით რომ გათხოვებას მიპირებს, არც იმას ამბობენ! ჩემო ერთგულო, შენ მაინც არ გებრალები?

— მე როგორ შეგბედო, ბატონიშვილო, რჩევა-დარიგება. არა მგონია, ქართლის დედოფლობა დასაწუნი იყოს. მართალია, მოგახსენებენ, როსტომ მეფე ხანდაზმულიაო, მაგრამ მშვენიერი ვაჟკაცია თურმე. ის ხომ მეფეა, რამდენი სიკეთის მოტანას შესძლებთ ქვეყნისათვის. მე ერთ რამეს ვფიქრობ, მაგრამ სანამ ქართლში არ მივალთ, დედოფალო, მანამდის არ მოგახსენებ.

— დიდი მეოცნებე ხარ, მნათობისავ, მე ჯერ დედოფალი არა ვარ, და მერე და ქართლში წასვლამდე ჯერ დიდი დროა.

— ენამ მიყივლა, ბატონიშვილო, აუცილებლად დედოფალი გახდებით.

ლევან დადიანმა თავისი და მარიამი მისი მხლებლებით ჩუმად გააპარა სამეგრელოდან, მხოლოდ უერთგულესმა პირებმა იცოდნენ, რომ მარიამი როსტომ მეფის საცოლოდ ამაღამ მიჰყავდათ ქართლში. შიში გამოწვეული იყო იმით, რომ სიმონ გურიელი, უკვე ტყვეობიდან გამოშვებული, მარიამის ყოფილი ქმარი, არ დახვედროდა მათ გზაში. ლევანმა ისიც იცოდა, რომ ეხმარებოდა იმერეთის მეფე გიორგი.

აღელვებული მარიამი ცხენზე შესვეს. ვერცხლის აბჯანდში ფეხი გაუყარა, უნაგირზე ჩიტივით შეფრთხიალდა, გულიც ჩიტივით აუძგერდა. არ ჰქონდა იმედი, ოდესმე კვლავ ნახავდა თავის საყვარელ კუთხეს, ძვირფასი დედის საფლავს. მნათობისა არ შორდებოდა მას, ახლოს მიჰყვებოდა.

ასაბიას წინ ლევანი მიუძღოდა ფარხმალითა და მუზარადით აღჭურვილი, რამდენიმე შეიარაღებული მხლებელი მიჰყვებოდა, ხოლო მარიამს და მის მხლებლებს მრავალი შეიარაღებული ვაჟკაცი ერტყა გარს. ყველანი იმის მოლოდინში იყვნენ, სადმე ჩასაფრებულ სიმონ გურიელს გადაეყრებოდნენ.

ზეკარის ხეობას მთვარე დაჰყურებდა, დაბურული ტყეც გაეშუქებია ბადრ მნათობს. ეს ხეობა იყო ყველაზე საშიშარი, ამასაც გადარჩენ. ლევანმა თავისი და მარიამი როსტომს ჩააბარა.

როსტომ მეფეს მთელი აღმოსავლეთ საქართველო თავის გავლენის ქვეშ მოექცია.

ლევანი დას გულახდილად ესაუბრებოდა წამოსვლის წინ.

— მე დიდი საქმე უნდა გამიკეთოს შენმა მეუღლემ როსტომმა, ის მართალია, გამაჰმადიანებულია, მაგრამ დიდად ლმობიერი და შენზე ძლიერ შეყვარებულია. ჩემი მთავარი მიზანია ირანის შახთან კავშირის დაჭერა. ადვილად მოხერხდება ეს საქმე, როდესაც როსტომი მხარს დამიჭერს.

— მე თუ რამ ძალმიძს გულსა და ცდას არ დავშურავ. ჩემს სამშობლოსა და ძმასა ჩემსა, რითაც შევძლებ, თავს შევსწირავ.

დიდი ხანი არ დასჭირდა ლევანის მიზნების განხორციელებას. ის გაბატონდა ქუთაისში, მთელ დასავლეთ საქართველოზე გავლენას აღწევდა, თანდათან სვანეთი და აფხაზეთი შემოიმტკიცა.

სულ სხვა რიგ წაემართა მარიამის ცხოვრება, მას მეუღლე ძლიერ ფაქიზად ექცეოდა. პატარა, ოთხი წლის ოტია გურიელი, რომელიც მარიამს თან მოყავდა, როსტომმა იშვილა, მას საქართველოს ტახტს უმზადებდა.

როსტომს ხომ წინათ ჰარამხანა ჰქონდა, მან ის გაუქმებულად გამოაცხადა, ხოლო მარიამი — ქართლის დედოფლად.

— ძვირფასო ჩემო, — ეუბნებოდა ის მარიამს, — რაკი მე უფლება მოვიპოვე, შენ დედოფლად გამომეცხადებინე, შენვე უნდა მიიღო შინაურ საქმეთა გამგებლობა.

— გმადლობ, მბრძანებელო, ნდობისა და პატივისათვის. დარწმუნდით, მე პირნათლად ვიშრომებ დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, ოღონდაც თქვენგან მეენას ნებართვა ჩემი სურვილების შესრულების საქმეში.

მარიამი, რომელიც შიშით მიდიოდა ქართლში, რომელსაც წარმოდგენილი არ ჰქონდა, რომ გამაჰმადიანებული როსტომი ეგზომ კეთილი აღმოჩნდებოდა, დიდი პატივისცემით განიმსჭვალა მეუღლისადმი. მეუღლეს მოეხვია და თან დასძინა: — ბედნიერი ვარ, ბატონო ჩემო, თქვენ მე დაწყლულებული გული გამიმრთელეთ, თქვენ მაძლევთ საშუალებას, მრავალჯერ აოხრებული საქართველოს ტკივილები მოვუშუშო. რა კეთილი და სათნო ყოფილახრთ, ძვირფასო, ტყვილად არა ხართ ბაგრატოვანთა ჩამომავალი, ჩვენი გულიდან სათნოებას ვინ ამოწვავს.

— მარიამ დედოფალო, რაც უნდა ულმობელი კაცი იყოს, ვინც შენს გვერდით არა თუ თვეებსა და წლებს, დღეებსაც გაატარებს, არ შეიძლება ადამიანად არ გადაიქცეს. თუ სადმე სათნოების ნაპერწკალი დარჩენია მის გულს, ის თქვენ შეგიცნობს და თქვენი სურვილების მოზიარე გახდება.

იმ დღიდან შეიცვალა მარიამის დაღვრემილი ცხოვრება, სინათლით აივსო მისი არსება. მან მალე გამოსთხოვა როსტომს ნებართვა, დაებარებია სასულიერო წოდების პირნი, კალატოზები, მეჩუქურთმენი. ეს გადაწყვეტილება როსტომს განუცხადა, შემდეგ მიუბრუნდა შეკრებილთ და ასე უთხრა:

— თქვენ ქრისტიანები ხართ, ამაზე სასიამოს რას გაიგონებთ: მეფემან ჩემმა მომცა უფლება და ფულადი საშუალება, რათა განვაახლოთ ურჯულოთა მიერ დანგრეული ტაძრები მცხეთის, სიონის, თბილისისა და ალავერდის.

— იყოს ნება უფლისა და თქვენი—მოახსენეს მას პასუხად და ყველანი თავთავიანთ საქმეს შეუდგნენ. თუ მარიამის მიერ დანიშნული სასულიერო მამები და თავკაცები ეკლესიების. აღდგენით იყვნენ გატაცებულნი, მარიამს არც ქალები ყავდა უსაქმოდ დატოვებული: სეფე ქალები და ყმა ქალები მან სასარგებლო შრომაში ჩააბა. საკუთარი პალატების ორი დიდი ოთახი მან მოხელსაქნარე

ქალებს მიუჩინა. თითონაც ხშირად იყო მათთან. ამოწმებდა მათ ნამუშევარს.

— ეს ოლარი მშვენიერი აქარგულია, — ეუბნება რომელიმე მქარგავს მარიამი,—ეს შენს ნახელავს გავს, ჩემო კარგო, წმინდანებიანი ჯვარის ბჯდე.—მიმართავს ის მეორეს. ერთ მოხელესაქნარეს მოაქვს მის საჩვენებლად ჭურჭლებზე საფენლები, ძვირფასი ოქრომკედით აქარგული. ის გახარებული ათვალიერებს მას და ეუბნება:

— მშვენიერია, ჩემო კარგო, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ. ოქრომკედით ქარგვაში მიღწეული გაუმჯობესება აქაც ავითვისოთ. ერთ-ერთი ერისთავის ცოლი, სხვა მრავალთა შორის, და ქალიშვილი მისი ჩემის შეკვეთით მუშაობენ შესამოსელზე და ფილონზე, დღეისთვის დამპირდნენ მოტანას.

ასე უხვად კეთდებოდა დაცარიელებული ეკლესიების ჭურჭლების შესამკობი, მრავალი ახალი ხუროთმოძღვრებითი ნახელავი.

მდიდრდებოდა ნამეხარი და ნატყვიარი საქართველო. მარიამი ყოველთვის სარგებლობდა შემთხვევით, მეუღლეზე გავლენა მოეხდინა.

— მბრძანებელო ჩემო, თქვენის მოწყალებით ქართლი ფეხზე დგება, თანდათან მდიდრდება და მშვენიერდება, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ძლიერ გავრცელდა ტყვეთა სყიდვა, თუ ჩვენ ჰარამხანების აკრძალვას ვანხორციელებთ, იქ ძლიერ ხშირია მრუშობა, ქალთა გატაცება. დაჰკარგეს სამშობლოს სიყვარული. თქვენის ნებართვით მინდა ქრისტიანობის აღსადგენად ქუთაისში მოვიწვიო მღვდელმთავართა კრება.

— როგორც გენებოს, დედოფალო, თქვენი სურვილი ჩემთვის კანონია.

— დიდი სახსრები მიდის, მეფეო ჩემო, და ამად მერიდება თქვენი.

— აკი მითქვამს შენთვის, ჩემო მშვენიერო, ქართლი არ არის ღარიბი. სპარსეთის შაჰი ყოველწლიურად მიგზავნის რვა ათას ოქროს. აგრეთვე გაჰშეფი, რომელსაც მე მამასავით ვუყვარვარ და კიდეც მამას მეძახის, აუარებელი სიმდიდრით მასაჩუქრებს. ეს ხომ ჩემი პირადი შემოსავალია, რომელიც მე თქვენი ხარჯებისათვის განვაკუთვნე. — მარიამი მადლობის ნიშნად მოხუც მეუღლეს გულზე ეამბორა. მეორე დღესვე დედოფალმა გასცა ბრძანება, ქუთაისში მღვდელმთავართა კრება მოეწვიათ.

კრებაში მონაწილეობას იღებდნენ ქართლის კათალიკოსი მალაქია, აფხაზეთის კათალიკოსი ევდომინ, ქუთათელი სვიმონი, გელათელი ანტონი, ჰყონდიდელი ბედაელი, მოქველ-დრანდელი ფილიპე და სხვ. საეკლესიო საქმეების მართვის შემდეგ ამ კრებამ დაჰგმო სჯულის მოღალატენი, ბოროტი საქმეების მკეთებელნი:

მრუშნი, ტყვების გამყიდველნი, დაწერეს, დამტკიცების ბეჭედი დასვეს. ამ კრებაზევე გამოირკვა სასულიერო წიგნების სინაკლულე.

კრების დადგენილებანი დედოფალ მარიამს მოახსენეს სათანადო ზომების მისაღებად.

მარიამი ახლა წიგნების გადაწერისა და გავრცელების საქმეს შეუდგა. ამ საქმეში მას დიდათ ეხმარებოდა მნათობისა, რომელსაც ადრევე დედოფალთან შეუთანხმებლადაც მუდამ დღე დედის მიერ დატოვებულ ხელნაწერებში იქექებოდა. ხან ქართლის ცხოვრების მასალებს აგროვებდა, ხან კარაბადინს ჩაჰკირკიტებდა. საჩქაროდ მოეწყო სახელსაქნარო პალატის გვერდით დიდი პალატი; სადაც სასულიერო და სამგალობელო წიგნები უნდა გადაწერილიყო აღდგენილი ტაძრებისათვის და საერთოდ მორწმუნეთა საკითხავად. მარიამი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საეკლესიო საქმეების მოგვარებაში. ხელს უწყობდა წირვა-ლოცვის შესრულებას, „თანდათან გავიმართებით წელშიო“. ხშირად იტყოდა ის და გამოცოცხლება ემჩნეოდა.

სათნო მარიამს, მიუხედავად დიდად სასარგებლო მოღვაწეობისა, პირად ცხოვრებაში ბედი არ წყალობდა. ტახტის მემკვიდრედ გამზადებული მარიამის ვაჟი, 19 წლის ოტია გარდაიცვალა. დამწუხრდა მთელი სასახლე, განსაკუთრებით მარიამი. ის ლოცვასა და ცრემლში ათენებდა ღამეებს. დღისით კი საქვეყნო საქმეებს დასტრიალებდა თავს. მოხუცი როსტომიც მოტეხა მარიამის მწუხარებამ და თავისი აღზრდილი ოტიას უდროოდ სიკვდილმა. დაღვრემილი ისხდნენ საღამოობით ცოლ-ქმარი. აღარ გაისმოდა სასახლეში მუტრიბთა და დამკვრელთა ხმები.

როსტომმა ერთ საღამოს მარიამი გვერდით მოისვა და უთხრა:

— თვალის ჩინო, დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, დავკარგეთ ოტია, რომელსაც მე აწი მალე უნდა შევეცვალე, შენ პატიოსანი და ჭკვიანი ქალი შვილს დაიხმარებდი, აღდგენილ საქართველოს აღარ დასცემდით. ჩემი სურვილი უწყალო სიკვდილმა დაარღვია. ახლა საჭიროა ვინმე ვიშვილოთ, რომელიც გაუძღვება ქართლს. მე შევჩერდი ვახტანგ მუხრან ბაგრატიონზე, რომელიც შაჰნავაზად არის წოდებული. თქვენ რა აზრის იქნებით, დედოფალო.

— სიკვდილი ღმერთმა გაშოროს, ძვირფასო, მხოლოდ თუ თავს კარგად არ გრძნობთ, დაისვენეთ, რაც შეეხება შაჰნავაზის შვილად მოგებას, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. სანამ სული გვიდგას მას ჩვენ პატივში ვიყოლიებთ, ხოლო შემდეგ უნდა ვიმედოვნოთ ის საქართველოს საქმეებს არ წაახდენს, ჩვენს ამდენი წლის ნაშრომსა და ნაამაგარ საქართველოს არ დააქვეითებს. როგორც მრავალჯერ მიხსენებია, ბევრი გავაკეთეთ წიგნების გადაწერისა და გავრცელების საქმეში. შაჰნავაზი, ვინც ჩვენი შვილის სახელს ატარებს, არ გაგვიორგულდება, მას ირანის შაჰი წყალობს.

მეფე როსტომი ცოლის ლაპარაკს სიამოვნებით ისმენდა, შემდეგ მოსვენება ინება. მარიამი თავის ოთახში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა, მის სახეს სევდა გადაჰკვროდა, აგონდებოდა დავაქკაცებული შვილი ოტია, ახლა კიდევ როსტომთან საუბარი, რა ეშველება საქართველოს. ნუთუ შეძლებს შაჰნავაზი იმდენი თავაზიანობისა და ადამიანობის გამოჩენას, რომ ისევ არ დასცეს საქართველოს ღირსება, დააფასოს მარიამის მოღვაწეობა. მარიამმა სულიერი სიმარტოვე იგრძო როსტომივით.

— მნათობისამ როგორ დამიძვირა ამ ბოლო დროს ნახვა. მხოლოდ მას შეუძლია გამიგოს, ის ხომ თავიდან ბოლომდის მოწამეა ჩემი ტანჯვის. — ფიქრიც არ დაუთავებია, რომ კარები გაიღო, ოთახში მნათობისა შემოვიდა. მარიამს მიესალმა და ასე მიმართა:

— დედოფალო, დავასრულე გადაწერა ანასეული ქართლის ცხოვრებისა, ისე მივეჩვიე წერას და ისეთი სურვილი მაქვს წერის, ნეტავ მიბრძანებდეთ, კიდევ რამე გადავწერო.

— საწერი ფრიად ბევრია, ჩემო მნათობისავ. ყოველივე, რაც ახლა საქართველოში ხდება, უნდა დაიწეროს, მე ეს უკვე მოვახსენე პატრონსა ჩემსა, მეფე როსტომსა. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ანასეული ქართლის ცხოვრება დღემდის. — მნათობისას სახე გაუბრწყინდა.

— დედოფალო, აქ ქართლში მრავლად ყოფილან ქალები, რომელნიც შესანიშნავად სწერენ. სასულიერო წიგნები ბევრი დაგროვდება, მხოლოდ ქართლის ცხოვრების წერა და შევსება, დღემდე მისი მოტანა მარტო გამიძნელდება. დამხმარე მინდა, დედოფალო, ახალგაზრდა უდედმამო ქალიშვილი ტუფსახართან, იმას ავიყვან, მან წერა-კითხვა იცის ჩინებული.

— კარგია, ჩემო მნათობისავ, ყოველთვის მავიწყდება გითხრა, „უძველესი ნუსხა“ უნდა შევავსოთ და დავამზადოთ გამოსაცემად.

* * *

ქართლის მეფის როსტომის სასახლის ქვედა სართულის დიდ ოთახში, სადაც სასახლის ხმაური ძვირად მიაღწევდა, რამდენიმე მაგიდა იდგა. მაგიდებთან ერთ მხარეზე ისხდნენ თეთრწვერულვაშით შემოსილნი გადამწერი მამები, მეორე მხრით რამდენიმე ქალი, მათ შორის მნათობისა.

ოთახში ისეთი სიჩუმე იყო, კაცი ბუზის გაფრენას გაიგონებდა. მხოლოდ კალმის წვერის ხმა თუ დაარღვევდა ხანდახან გამეფებულ დუმილს. დიდი ხანია დაღამდა, მაგრამ ოთახში არავინ იცოდა რა დრო იყო. ისინი გატაცებით მუშაობდნენ.

მეფე როსტომის სამყოფელში დიდი ლხინია, სპარსეთიდან სტუმრები ყავს მეფეს, სუფრა სავსეა ავლა-დიდებით.

დედოფალი მარიამი ლხინს განწორებოდა, უქეიფობა მოემ-ზეზებინა.

— აბა რა მელხინება, — ფიქრობდა ის, — ლამის წაგვლეკო[illegible] ურჯულოთა, ვერ გაძღნენ ქართველთა სისხლით. ჩემი პირმშო და-მეკარგა, როსტომი მოხუცდა, სიკვდილის ეშინია. კარგია შაჰნავაზ[illegible] ვითომ? მაგრამ ვინ იცის, რა იქნება, როცა გამეფდება... ფიქრებით დატვირთული დედოფალი კიბეზე დაეშვა. სასახლის ქვედა სარ-თულში შევიდა. გადამწერთ დაღლილი თვალები გაღებული კარე-ბისაკენ მიაპყრეს. რა დედოფალი იხილეს, ყველანი ადგნენ, თა-ყვანი სცეს.

— დასხედით, ძმანო და დანო ჩემნო.—ის ჯერ მოხუცი მამაკა-ცებისაკენ წავიდა, რომელთა წინ აუარებელი მასალა ეწყო. შემდეგ ქალების ნაშრომს დახედა. მოიწონა.

— დაგროვილ მასალას ერთ წიგნად რომელი გადაწერს, მამაო, — შეეკითხა ის ყველაზე მოხუცს.

— ვცდილობ, დედოფალო, თუ მეუფემან ჩემმა მომცა ღონე ამის შესრულებად—შემდეგ მნათობისას შეეკითხა:

— შენ რას წერ ამჟამად?

— მე, დედოფალო, ქეთევან დედოფლის წამებას; — დედო-ფალს სკამი მოართვეს, დაჯდა, ერთ-ერთ რვეულს დაწვდა. დაუ-წყო ფურცვლა და კეცვა წარსულ ჟამს.

საქართველოს წარსულს სანთლებთან ეჩურჩულება. გარეთ კი უკუნი ბნელია. ზევიდან მოისმის ლხინის ხმაურ-სიმღერები.

ბნელად ეჩვენება დედოფალს საქართველოს წარსული ცხოვ-რება. დედოფლის თვალწინ ჩაიარეს მრავალ ქართველ გმირთა სახეებმა, მიზანმიუღწევლად რომ დაიღუპნენ. აგერ თვალწინ წარ-მოუდგა სჯულისა და სამშობლოსათვის წამებული დედოფალი ქეთევანი. ის ფიქრებს მიეცა: რად ვკრებ და ვაკრებინებ, რად ვწერ და ვაწერინებ საშინელ ამბებს. წუთუ ჩემი დაკვეთით შედ-გენილ საქართველოს მატიანეს წიგნსაც ქართლის ცხოვრება უნდა დავარქვა, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა წიგნის წაკითხვის დროს, ქართლის მრავალი უბედურება შიგ ამოიკითხონ. თვალთა დათხრა, ქალთა და ბავშვთა აწიოკება, ტყვეების წამება ცეცხლის ალით. კალიით აღსავსე ველები, მათ მიერ მუსრგავლებული ჭირ-ნახული. ყველაფერი ამის გაგონებამ და გაცნობამ, შეიძლება, ჩემ-დამი უმადურებით ააავსოს მომავალი თაობა. მოსალოდნელია ნე-ტარხსენებული ანა დედოფალი და მე ორთავენი გაგვიცხონ. რომ ქართლის მომაკვდინებელ მკაცრ ამბებს ქართლის ცხოვრება ვუ-წოდეთ.

დედოფლის მძიმე ფიქრები, უსიტყვოდ გაიბნა ოთახში.

ყველამ იგრძნო ფიქრთა მძიმე ტვირთი, რომელსაც დედოფალი დაეპყრო.

სიჩუმე ისევ მნათობისამ დაარღვია, დედოფალს მოკრძალებით მოახსენა:

— მწყალობელო დედოფალო, მგონი თქვენს დაკვეთას ვერ ვასრულებთ რიგიანათ, იქნება ხელნაწერები არ მოგწონთ, გვიბრძანეთ.

— პირიქით, მე ძლიერ მომწონს თქვენი ნაშრომი, მხოლოდ მაწუხებს, რომ ქართველთა მომავალსა თაობას ვუმზადებთ სისხლისღვრის მატიანეს.

გადამწერნი დაღვრემილი შესცქეროდენ დედოფალს.

— დედოფალო, არ არის საჭირო, კაეშანი მთელი ერისა განიცადოთ მხოლოდ თქვენ მარტოდ. თქვენ საჭირო ხართ ქვეყნისათვის, დარწმუნდით, ჩვენი გულიც ღელავს, როდესაც ვწერთ ამბავთა ამას მძიმესა და საზარსა. მაგრამ დაწერა ყოველივე ამისა აუცილებელია. ტანჯვა თვისის ერისა, განვლილი უსჯულოთა შემოსევით და ბოროტებითა — უნდა იცოდნენ მომავალთა მათ, რათა მუდამ ჟამს იდგნენ მცველად თავის სამშობლოსსა. — შეჰკადრა ხნიერმა განსწავლულმა გადამწერმა ქალმა.

დედოფალი ჩაფიქრებული უსმენდა. შემდეგ თავი აიღო და თქვა: „ჭეშმარიტებას ღაღადებენ ბაგენი შენნი, უფლის მსახური მართა და მეც გეტყვი: ამინ, ამინ...

გაისმა მამლების ყივილი.

დედოფალი ადგა, წასვლა დააპირა, ყველას თვალი გადაავლო.

გეყოფათ შრომა ამჟამად... ბრძანა მან.

* * *

როსტომი გარდაიცვალა. მარიამ დედოფალი ისევ ფლასი ძაძებით შეიმოსა. ხშირად ღვრიდა ცრემლს მფარველი მეუღლის დაკარგვის გამო. საზოგადო მოღვაწეობას მაინც არ ღალატობდა. მთელი ენერგიით უმსახურებოდა საქართველოს ძეგლებისა და ტაძრების აღდგენას, გზებისა და ხიდების გადებას, სასახლეების მოწყობას, დამწერლობის გაუმჯობესებისა და გავრცელების საქმეს. კმაყოფილი იყო, შვილადწოდებული შაჰნავაზი რომ განაგრძობდა დედოფლისადმი ყურადღებას, არ ავიწროებდა მას თასების შემცირებით. მხოლოდ ერთ დღეს შაჰნავაზი დედოფალთან აღელვებული შევიდა, ასე მოახსენა:

— ბატონიშვილო, დედაო ჩემო ძვირფასო, ახირებული წერილი მოვიდა თქვენს სახელზე, დაწერილია წმინდა ქართულის ენით. ხელს აწერს შაჰი. — მარიამი შეკრთა.

— რა საქმე აქვს ჩემთან შაჰს, ან ვინ მოიტანა წერილი?

— წერილი ამ წუთს ქართველმა მოიტანა. მხოლოდ იქიდან ვინ მოიტანა, არ ვიცი. განა ცოტა ყავს მოკეთე შაჰს ქართლში, მთელი ქართლი ხელში ჰყავს ჩაჭერილი. — აღელვებულმა ქალმა წერილი გახსნა. იგი მოკლე იყო. შაჰი სწერდა: „მზის დარო მარიამ ბატონიშვილო, თქვენი მშვენების ამბავმა მოაღწია ირანამდე, უმშვენიერესო და უკეკლუცესო ასულო კოლხიდისა, გამაბედნიერეთ, მესტუმრეთ ირანში. გარწმუნებთ, თქვენზე უბედნიერესი დედათ შობილი არავინ იქნება ამ ქვეყანაზე.

მარიამ ბატონიშვილი გაბრაზდა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი; შვილობილს მრისხანე თვალებით შეხედა და ასე უთხრა:

— აი რა თავხედია ის შეჩვენებული, როგორ მხევალივით მიბარებს.

— რამ შეგაწუხათ, ბატონო ჩემო, თქვენ ამას არ ისურვებთ, ცხადია, ხოლო უარის თქმით ჩვენ არავითარი საფრთხე არ მოგველის. თქვენ უფლება გაქვთ უარით უპასუხოთ შაჰს.

— მე ვიცი, მას როგორ ვუპასუხებ, — თქვა მარიამმა. — შახნავაზმა ერთხელ კიდევ სცადა დედობილის დამშვიდება და ოთახიდან გავიდა.

ოთახში მარტო დარჩენილმა მარიამმა ჯერ შავი მანდილი მოიხსნა. სახელსაქნარო ყუთთან მივიდა, მაკრატელი ამოიღო. ექვსი გრძელი ნაწნავი, საკმაოდ შევერცხლილი ასაკითა და დარდით გულმკერდზე გადმოიყარა, მაკრატელი მოიმარჯვა და ის იყო, თმების ბოლოები წააჭრა ორ ნაწნავს, რომ კარები გაიღო და მნათობისა შემოვიდა. მან საშინლად შეჰკივლა...

— რას შვრებით, ბატონიშვილო?

— არაფერს ცუდს. მინდა ჩემი თეთრი თმები ამ წერილის პასუხად შაჰს გავუგზავნო, იმ ვერაგს, რომელიც ჩვენი სისხლითა და დამცირებით ვერ ძღება.—წერილი მნათობისას გადასცა. ის კითხულობდა.

— როგორ მოგწონს იმ ჯალათის აზრი.

— უი, თვალი კი დაუდგა იმ სისხლისმსმელს, — თქვა მნათობისამ. თავის ქალბატონს თმები ისევ უკან გადაუგდო, საყვედურით მიმართა:

— როგორ იკადრეთ იმ ოხერტიალისათვის თმის მოჭრა.

მარიამ ბატონიშვილმა შაჰს ასე უპასუხა:

— გმადლობთ მოპატიჟებისათვის, მაგრამ გაცნობებთ, რომ ძლიერ მოხუცი ვარ, რაშიდაც ჩემი თმები დაგარწმუნებთ, მე თქვენი ჰარამხანის დასამშვენებლად არ გამოგადგებით.

წერილი და თმა მნათობისას გადასცა, დაავალა წერილის მომტანისათვის ჩაებარებია შაჰის გადასაცემად.

ამ ამბის მერე მარიამი კიდევ უფრო თავგანწირვით შეუდგა საქართველოს გამაგრებას და წინსვლას. წიგნებზე მომუშავეთ, მშენებლებს, მოხელესაქნარეებს ხშირად ეტყოდა:

— ჩვენ ისეთ გარემოცვაში ვართ, რომ მხოლოდდამხოლოდ გონებითა და შრომით, სარწმუნოების განმტკიცებით შევძლებთ შევინარჩუნოთ არსებობა საქართველოსი.

მარიამი უკვე ახალ სასახლეში ცხოვრობდა, როდესაც მას ესტუმრა მოგზაური შარდენი. ის გააკვირვა სახლის არქიტექტურამ. არ ელოდა, მრავალჯერ დანგრეული თბილისი თუ ასე კარგად მოიკაზმებოდა. მას ბევრი სურათი გადაეღო თბილისში და საერთოდ საქართველოში, თვით მარიამის სასახლეც გადაიღო. შემდეგ თარჯიმანის საშუალებით დედოფალს თხოვა:

— მიბოძეთ ნება, სურათი გადაგიღოთ, თქვენი მშვენება ქვეყანას ვამცნო.

ბევრი ჭირვარამის მნახველ მარიამს უხერხულად მიაჩნდა სურათის გადაღება. დაიყოლიეს შაჰნავაზმა და კარისკაცებმა. მარიამი მიღწევებით გახალისებული, თანდათან ურიგდებოდა განვლილ მწუხარებას. მაგრამ შაჰის ახალი უმსგავსო ბრძანება მეხივით დაეცა. შაჰი შაჰნავაზს უბრძანებდა, რომ მას ცოლად შეერთო თვისი დედობილი მარიამი. ბრძანებას დიდხანს საიდუმლოდ ინახავდა. როსტომისა და მარიამის მემკვიდრე შაჰნავაზი დიდ შიშს განიცდიდა. ურჩობისათვის მას პასუხს მოთხოვდნენ და ვინ იცის, მის ადგილას ვის გამოგზავნიდნენ მეფედ.

შაჰნავაზი დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. მან ერთ ძველ კარის კაცს გაანდო ეს ამბავი და თხოვა, დედოფლის ყურამდე არ მისულიყო ყოველივე ეს.

— არა, სჯობია ვუთხრათ, ის ჭკვიანი ქალია, რამე საშუალებას გამონახავს — უპასუხა მოხუცმა.

— ვერ გადიტანს დედოფალი ასეთ საძაგელ წინადადებას. ჩვენ დედაშვილი ვართ — ამბობდა შაჰნავაზი. არ იცოდა როგორ ემოქმედნა. ბოლოს მაინც აუცილებელი შეიქმნა დედოფლისათვის სიმართლე ეთქვათ, რადგან ბრძანება გამეორდა. ვინ ეტყვისო, ეკითხებოდა ის ერთ თავადს.

— ისევ მისი ერთგული და თანშეზრდილი მნათობისა, მეფევ— უპასუხა თავადმა.

თავზარდაცემულმა მნათობისამ მარიამს სიტყვა ასე შეაპარა: — რა მხეცი ვინმეა ის შაჰი, რა წერილებს იწერება. — რას! მითხარი ღვთისგულისათვის, იქნებ კიდევ მეძახის მოხუცს, სიკვდილს არ მაცლის.

— თქვენ მოხუცი დიახაც არ ხართ, მხოლოდ მისი ბოროტება ახლა აღარაფერს არ ჰგავს. — ლაპარაკობს მნათობისა, და თან საშინლად ღელავს.

— თქვი, ქალო! — სიკვდილი ხომ არ მომისაჯა.

— არა, ბატონო, სიკვდილი მისი გაგეგონოს. შაჰნავაზს სწერს: გინდა თუ არა მარიამ დედოფალი, შენი დედობილი ცოლად შეირთეო— მარიამმა ისე საშინლად შეჰკივლა: „მიშველეთ, ეს რა მეს-

მის“ და ტახტზე დავარდა. მშვენიერ-თვალთაგან ცრემლი ნაკადად დიოდა და არ შრებოდა.

— ოხ, რა უბედური ვარ, შაჰნავაზი ხომ შვილია ჩემი. ჩემი ოტიას მაგიერი. ბოროტო, შეუბრალებელო შაჰო! შენ არ მოგწყინდა წვალება და სამასხროდ აგდება. თუ ქალი ვარ, შენ ოითონ გაგამასხრებ. წადი, მნათობისა, აქ მომგვარე შვილი ჩემი შაჰნავაზი.

— შვილო ჩემო, — მიმართა თან შაჰნავაზს, — კიდევ გვიპირებს შაჰი წარყვნას და გადაგვარებას. შენსა და ჩემს დედაშვილობას ვერ შებღალავს ვერავითარი ჰორი და ბოროტება. მისწერე, რომ შენ მის სურვილს აღასრულებ, ხოლო აქ დაარხიეთ ხმა მათი მოენეების გასაგონად, რომ ჩვენ შაჰის ბრძანებას ვერ ვეწინააღმდეგებით. შენ, შვილო ჩემო, უფლება გაქვს რამდენიმე ცოლის ყოლის, შეირთე სატრფიალო და აბალგაზრდა ქალი. გაუჩნდება შვილები, მიგულვებდე, როგორც მკვიდრ დედას, მათ აღმზრდელად.

ᲓᲐᲩᲘᲐ—ᲐᲩᲩᲘᲚ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ

არჩილ მეფე, შახნაზარხანად წოდებული, იყო ძე ვახტანგ მეხუთისა, ანუ შახნავაზისა, როგორც მას უწოდებდნენ სპარსელები.

სპარსეთის ყაენმა თავისთან მიიხმო, მუსლიმანური სარწმუნოების მიღება შესთავაზა. არჩილი გულისტკივილით დათანხმდა. არ უნდოდა სპარსეთი საქართველოს წინააღმდეგ აემხედრებია. არჩილი შაჰმა კახეთის მეფედ დანიშნა. ის მაშინ მხოლოდ ცამეტი წლის იყო. არჩილი გულმოდგინედ შეუდგა დანგრეული კახეთის წესრიგში მოყვანას. გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას. უკვე დამოწიფებული მეფე შაჰისთვის საშიში გახდა, ვინაიდან ის ხედავდა არჩილი შემოქმედი კაცი იყო.

იმასგარდა, რომ ის აღადგენდა კახეთს, წერა-კითხვასა და წიგნების გამოშვებასაც დიდ ყურადღებას აქცევდა. რომ კახეთში არჩილის მოღვაწეობისათვის ხელი შეეშალა, შაჰმა ის იმერეთში გაგზავნა მეფედ.

იმერეთში მას კიდევ ახალი მტერი გაუჩნდა ოსმალეთის სახით.

არჩილმა გადაწყვიტა თავი რუსეთისათვის შეეფარებია.

მოღვაწეობისათვის განწყობილი მეფე გარბოდა სამშობლოდან გულდაწყვეტილი და დარწმუნებული იმაში, რომ ყოველივე მისი ნაღვაწი კახეთსა და იმერეთში კვლავ განადგურდებოდა.

არჩილი გაემგზავრა რუსეთში. იქ დამკვიდრდა და შვილები იქ დაზარდა.

არჩილის მეუღლე ქეთევანი იყო შვილიშვილი ქეთევან წამებულისა და მკვიდრი დაი ირაკლი დავითის ძისა. ქეთევანმა იცოდა მიზეზი, თუ რად წავიდა მისი ძმა ირაკლი ამ გზით, რად დაუთმო ყაენს. ელოდა, მისი ნაბიჯი სამშობლოს რამე სარგებლობას მოუტანდა, მაგრამ ძმის შემდეგი საქციელი სპარსეთში, ძლიერ აწუხებდა.

ირაკლიმ ასეთი დიდი მსხვერპლი გაიღო, თავისი სარწმუნოება დაჰგმო, თავის ქვეყანას ვერაფერი გაუკეთა. ქეთევანი თავის ძმა ირაკლის აბრალებდა მთელ რიგ უბედურებას, რაც არჩილის ოჯახს შეხვდა.

არჩილი ცოლშვილით მოსკოვს ჩავიდა. მან მოახერხა მჭიდრო კავშირი დაეჭირა რუსეთის მეფესთან და მის ოჯახთან.

არჩილის მეუღლე ქეთევანი ქალიშვილთან — დარეჯანთან ერთად გართული იყო მრავალი საქველმოქმედო საქმით და ხელ-საქნარით, აგრეთვე მონასტრების მშენებლობაზეც ბევრ ენერგიას ხარჯავდა.

არჩილ მეფე მიზნის მიუღწევლად გარდაიცვალა. მან ვერ მოაგვარა საქართველოს და რუსეთის ურთიერთობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. მისი ვაჟი ალექსანდრე სულ განუყრელად პეტრე დიდთან იმყოფებოდა, მრავალი ბრძოლები გადაიტანეს ერთად.

დაქვრივებული ქეთევანი და მისი უკვე დაქალებული დარეჯანი კიდევ უფრო გულმხურვალედ შეუდგნენ მონასტრის მშენებლობის დამთავრებას და მის კეთილმოწყობას...

მონასტრის სალოცავების შესამკობი, სუკეთესო ნაქარგებით და ნაქსოვებით, ჯერ კიდევ არჩილის სიცოცხლეში მიართვეს მათ კიევოპეჩორის ლავრას.

ოქრომკედით ნაქარგი და ძვირფასი ქსოვილები, ქართველი ქალის დამახასიათებელი წარწერებით, დიდი ყურადღებით სარგებლობდა. ერთი მათგანი ასეთი იყო: „დედაღვთისავ, შენ ხარ მფარველი არა მარტო მოსკოვისა-ჩრდილო-ქვეყნებისა, შენ ხარ მფარველი მთელი ქვეყნისა, რომელიც მუხლს იდრეკს შენი ძის წინაშე, ნუ შეგვარცხვენ მას დღეს განკითხვისას“. ეს ქალები განუწყვეტლივ ცდილობდნენ ივერიის მონასტრის დამშვენება-გაფართოებაზე. არქიმანდრიტი ლავრენტი, რომელიც არჩილ მეფეს საქართველოდან მიყვებოდა, იმ მონასტრის მშენებლობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა და საერთოდ მეტი ესმოდა ასეთი საქმეების, ვიდრე არჩილის ქვრივსა და ქალიშვილს.

არქიმანდრიტმა გაიგო, რომ ივერიის მონასტრის ხარისხი გაეუქმეს და ის პეტრე დიდის მიერ ახლად აშენებულ ალექსანდრე ნეველის მონასტერს მიაწერეს, რაც მას დიდ ხარისხს აძლევდა, ხოლო ივერიის მონასტერს კი ხარისხს უკარგავდა. ეს ამბავი არქიმანდრიტმა მაშინვე აუწყა ქეთევანსა და დარეჯანს, რომლებმაც გადაწყვიტეს, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეენარჩუნებიათ ეს ხარისხი ივერიის მონასტრისათვის. არქიმანდრიტმა როდესაც მიმართა თხოვნით პეტრე დიდს, ამ უკანასკნელმა შეიწყნარა თხოვნა, დაუბრუნა ხარისხი ივერიის მონასტერს მით უფრო, რომ იქ იყო დასაფლავებული არჩილ მეფე.

ქეთევანი და დარეჯანი კვლავ დაუღალავად განაგრძობენ ამ მონასტრის მოვლა-პატრონობას თავიანთი დანაზოგი ხარჯებიდან.

მონასტერი ბერ-მონაზნების სენაკებით გაამდიდრეს. დიდი მეცადინეობის შემდეგ დააარსეს არჩილის სახელით სტამბა, ფურნე, სამზარეულო და მარანი.

სტამბაში იბეჭდებოდა წიგნები ქართულ ენაზე.

ქეთევანმა და დარეჯანმა დიდი ენერგია დახარჯეს იმაზედაც, რომ თავისი შრომით და საკუთარი ხარჯით მოსკოვში შეექმნათ „საქართველოს კუთხე". ეს კუთხე მოსკოვში ჩასულ ქართველებს დიდ სამსახურს უწევდა. პირდაპირ ამ მონასტერში ქეთევანთან და დარეჯანთან ჩერდებოდნენ ვახტანგ VI, ბაქარი, ვახუშტი, კათალიკოსი ანტონი თავის ბერ-მონაზნებით. ანტონის დედა ელისაბედი, დედოფალი რუსუდანი, ყოფილან ამ მონასტერში, მათ დაიტირეს არჩილის საფლავი.

როდესაც ქეთევანი გარდაიცვალა, ისიც ამ მონასტრის გალავანში დაასაფლავეს დიდი პატივით. ის ხომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ზრუნავდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი აღორძინება-აყვავებისათვის.

მშობლების სიკვდილის შემდეგ დარეჯანმა განაგრძო დაწყებული საქმე, რაც საქართველოს ჭირ-ვარამს შეეხებოდა, ერთგულად და ენერგიულად უძღვებოდა ყოველივე საძნელო საქმესაც კი.

ის პეტრე დიდის ყურადღებას თავისი ოჯახისა და ქართული კუთხისადმი გონიერად და ნაყოფიერად იყენებდა.

დარეჯანი, მოწმე თავისი ძმის ალექსანდრესა და პეტრე დიდის ბავშვური თამაშობანის, შემდეგ კი მათი ერთგული მეგობარი, დიდ იმედებს ამყარებდა პეტრეზე. მართალია, აღარ იყო ძმა ალექსანდრე, რომელიც შვედებს ტყვედ ჩაუვარდათ და იქ დაიღუპა, მაგრამ დარეჯანი დარწმუნებული იყო, რომ პეტრე ალექსანდრეს სამშობლოს, ესოდენ პატარას რუსეთთან შედარებით, მაგრამ ცნობილს გულადობით, სულიერად გაუტეხელს, ვაჟკაცობით სავსეს, უყურადღებოდ არ დასტოვებდა, მის კულტურას და ლამაზ მხარეს, გარშემორტყმულს სპარსეთ-ოსმალეთის ურდოებით, არ გაათელინებდა. მით უფრო, რომ მეგობრობის გარდა, პეტრე დიდი თითონაც დაინტერესებული იყო საქართველო განეწყო რუსეთისადმი ნდობით. მას საქართველო ძლიერ ესაჭიროებოდა, როგორც თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ისე კავკასიის ხალხების დამორჩილების დამხმარე გზად და ძალად.

სამშობლოსა და ოჯახის უბედურებით დატვირთული დარეჯანი ხშირად თავისთავს ეკითხებოდა: „ნუთუ ჩემი ძმის დამსახურება, რომელიც პეტრეს ბრძანებით გეგმავდა და ქმნიდა ახალ რუსულ არტილერიას — ყველაზე ძლიერს მთელს ევროპაში, დავიწყებული და მიჩქმალული გახდება? ალექსანდრეს შრომა და ერთ-

გულება ტყუილად ჩაივლის, დაღუპული ძმის ხსოვნაც დაიკარგება?“.

პეტრე, როგორც სჩანს, არ ივიწყებდა თავის პირველ გენერალ ფელდცეიხმეისტერს რუსეთის არმიისას, საქართველოს მეფე არჩილის შვილს ალექსანდრეს.

როდესაც შვედებზე გამარჯვებული პეტრე მოსკოვში დაბრუნდა, მან ზეიმი თავისი მეგობრის ალექსანდრეს ოჯახიდან დაიწყო.

რადგან დარეჯანი. ძმაზე მგლოვიარე. ზეიმში მონაწილეობას არ ღებულობდა, პეტრე მასთან მისულიყო სანახავად. საპირადო და მეგობრული ურთიერთპატივისცემის გარდა პეტრესა და დარეჯანის შეხვედრას საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მათი საუბარი ეხებოდა რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებას.

პეტრე და მისი ამალა დილით მიწვეული იყვნენ არჩილის სასახლეში, სადაც დარეჯანმა შვედებთან გამარჯვების გამო მათ საზეიმო საუზმე გაუმართა.

სუფრაზე არაერთხელ იქნა მოხსენებული ალექსანდრეს სახელი და მისი ხსოვნის სადღეგრძელო დიდებით და პატივისცემით იცლებოდა.

დარეჯანი, მართალია, ოფიციალურად ელჩის სახელს არ ატარებდა, მაგრამ ის თავის მდგომარეობით იყო რწმუნებული საქართველოსი, აღჭურვილი სრული ნდობით, პეტრე დიდის მთავრობის წინაშე ეწარმოებინა მოლაპარაკება საქართველოს მდგომარეობის გარშემო.

დარეჯანს თავისი ბიძაშვილი ვახტანგ VI ავალებდა ამ რწმუნებულობას და დიდ იმედებსაც ამყარებდა ამ ქალის ჭკუა-გამჭრიახობაზე, სამშობლოსადმი მის ერთგულებაზე.

დარეჯანის მოღვაწეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მაშინ. როდესაც პეტრე დიდმა სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. მან გამართა მოლაპარაკება ქართველებთან, რომელშიაც დარეჯანმა ცხოველი მონაწილეობა მიიღო. მის სიტყვას კი დიდად აფასებდნენ როგორც პეტრე პირველი, ისე თანამემამულეები.

ქართველებს იმედი გაუჩნდათ. რომ სპარსეთში მიმავალ რუსეთის ჯარს. თავის ჯარსაც შეუერთებდნენ და მათთან ერთად ალაგმავდნენ ძველთა-ძველ მტერს, ერთხელ და სამუდამოდ მოსპობდნენ საქართველოში მტერთა. ურდოების თარეშს.

ამ დიადი საქმისათვის იღწვოდა სამშობლოსათვის თავდადებული შვილი დარეჯან არჩილის ასული.

ეღჩი ქაღები

თამარ, ასული მეფე ვახტანგ სჯულმდებელისა და მეუღლე თეიმურაზ მეორისა, ფრიად დაღონებული იჯდა თავის სამუშაო ოთახში. მამამისის ხელნაწერებს აწყობდა და იხილავდა. აგერ წერილი იპოვა, სადაც მამა ჭკუას არიგებდა, დედოფლის მოვალეობაზე მიუთითებდა. აგერ მეორე წერილიც, მამა ჯერ კიდევ თავის იმედებს დამარცხებულად არ თვლიდა. კიდევ მოელოდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის დიდი იმპერატორი პეტრე პირველი მას ჯარს მისცემდა საქართველოში წამოსაყვანად, ოსმალების განსადევნად.

ოსმალები ხომ საქართველოში ხან თავისი საკუთარი ძალებით, ხან დაქირავებული ლეკებით დათარეშობდნენ. კიდევ გახსნა წერილი, ამ წერილში უკვე გამოჩნდა მოხუცი—დიდი მოაზროვნე. „მოვხუცდი, შვილო, მოახლოებულ არს ჟამი ჩემი ამ ქვეყნიდან გადასვლისა, თან მიმყვება სევდა უკურნებელი ჩემი ქვეყნის ბედიღბლისა, სადაც ერი ჩემი არა მარტო ხორციელად განადგურდა, არამედ სულიერადაც დაკნინდა. არ არის ერთობა მამულიშვილთა შორის. ძლიერ მტანჯავს აგრეთვე ის მოვლენა, რომ ჩემის იმედით და ჩემის მეოხებით ქართველთა საუკეთესო ძალები, გონებითა და მამულის სიყვარულით აღჭურვილნი მოსწყდნენ მშობლიურ მიწას და არ ვიცი ჩემს შემდეგ რა გზას დაადგებიან, სად წაიყვანს მათ ცხოვრების ეტლი. ერთად-ერთი იმედი, რომელიც მე საფლავში მიმყვება, არის იმედი ძისა შენისა ერეკლესი. ჯერ ახალგაზრდა უკვე განთქმულია თავისი გამჭრიახობით და ვაჟკაცობით. მე ვგრძნობ ის საქართველოს არ დაღუპავს—გაიყვანს ფართე გზაზე. ხოლო შენ, მატარებელო დიდი თამარის სახელისა, მუდამჟამს ჩაუნერგავდე შვილიშვილს ჩემსას აზრებს წმინდასა და კაცთმოყვარეობას“.

ბრძენი მამის მოგონებამ, წერილებმა, სევდა მოჰგვარეს დედოფალს.

ამ დროს მოახსენეს ანუკი ბატონიშვილის სადარბაზოდ მობრძანება.

—ვაი, რომ ამ წუთშიდაც საქართველოს ცა ისევ მოღრუბლულია,—გაიფიქრა მან და წამოდგა.

თაშარ დაღვრემილი შევიდა დარბაზში. არც ანუკი ბატონიშვილი და სხვა სეფე ქალები გამოიყურებოდნენ მხიარულად.

ანუკა ბატონიშვილი, ცნობილი მწიგნობრობით, ჭკუითა და გონებამახვილობით, გონიერი თვალებით დააჩერდა დედოფალს, მორიდებით მოახსენა:

— დედოფალო, ახალი უბედურება რამ ხომ არ არის ჩვენ თავს, ამ რიგად რომ დაღვრემილხართ!

— უბედურება მეტი რა იქნება, ყაენს ქართლ-კახეთი თავისი ურდოების სათელად გაუხდია, ხარკს დღითი დღე უმატებს, ხალხი უღელქვეშ გმინავს. ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდა ქალები ხან აშკარად, ხან მოპარულად გაჰყავთ საქართველოდან, ოსმალთა და სპარსთა ჰარამხანების შესავსებად.

მზეს ჩვენთვის სიცოცხლის ძალა წართმევია, მთვარეს ნათელი, ისევ ბნელდება, სულ უნაყოფოდ მიდის მეფე თეიმურაზის შრომა და ჩემის ძის ერეკლეს ბრძოლა. მაინც ირანის ქვეშევრდომნი ვართ, მაინც მოხარკე-ყმები. ჩვენი ერისთავები და თავადები მხოლოდ იმის ცდაში არიან, რაიმე საპირადო გამორჩენა ჰპოვონ ქვეყნის არევის დროს.

— რაკი საქართველო ოსმალების ბატონობიდან განთავისუფლდა, არ ველოდი თუ კიდევ ასეთ დღეში ჩავვარდებოდით. — დინჯად წარმოთქვა ანუკამ.

— რა თქმა უნდა, სიძნელეები ახლაც არ გვაკლია, ბატონო ანუკა, მაგრამ შედარება არ შეიძლება მასთან, რაც ჩვენ ოცი წლის წინ გადაგვწყდა. გახსოვთ, მაჰმად-ყულიხანმა თბილისი აიღო. ააწიოკა, დაგვარბია. მახსოვს ახალგაზრდა ქალები გაგვხიზნეს, რამდენი ძალადობა იყო. — თქვა სეფე ქალმა.

— ის შემოსევა ხომ შაჰაბასის დროს აგონებდა მაშინდელ მოხუცთ. — ჩაურთო სიტყვა მეორე სეფექალმა.

— ბატონო ჩემო, — თქვა დედოფალმა,—ჩვენ, ქალები, უნდა დავეხმაროთ საქართველოს. უნდა ავაშოროთ ძნელბედობა. სანამდე უნდა ვიყოთ ასეთ მდგომარეობაში. მართალია, შაჰნადირი დარწმუნდა, რომ საქართველოს დამორჩილება არც ისე ადვილია, ქართველებმა თავიანთი გაუტეხელი ვაჟკაცობით მას გულში ჩაახედეს. ქართლ-კახეთის აჯანყებებმაც უქმად არ ჩაიარა.

— ყოველ შემთხვევაში მათ საქართველოს გათათრების იმედი დაკარგეს. ამ მიზანზე ხელიც აიღეს, ვფიქრობ, დედოფალო, კვლავ აღორძინდეს ჩვენი ქვეყანა, კვლავ ფეხზე დადგეს. — ჩაურთო ანუკა ბარათაშვილმა.

— ჩვენი ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება, ანუკა ბატონიშვილო, ვიდრე ქართლ-კახეთი არ გაერთიანდება, ქართლისა და კახეთის ტახტს არ დაიჭერენ ისეთი მეფეები, რომელნიც ერთმანეთის ჭირსა და ვარამს გაიზიარებენ.

— თავისთავად ცხადია, ასეთი მეფეები იქნებიან მეფე თეიმურაზი და ძე მისი ერეკლე მეორე, — ამბობს ანუკა. — ახლა უნდა მოხდეს ის, რაც მრავალ საუკუნეთ მანძილზე არ მომხდარა. თითქოს ორი საუკუნეა მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანული წესით მეფე არ ასულა, არ ღირსებია მას, ნებით კუთხეულ იყოს მამად და მწყემსად ქვეყნისა თვისისა.

— მართალს ამბობ ანუკა, დიდი ხანია დამტრიალებს ფიქრები, რა ვიღონოთ. მაქვს ერთი აზრი. ჯერ კიდევ ჩემს ხვაშიადს არც მეფესა და არც ძეს ჩემსას არ ვუმხელ. არ შემომწყრეთ, დღეს ვეოც თქვენ გაგიზიარებთ ძნელად გადასაწყვეტ აზრს.

ყველანი ადგნენ, მდაბლად თავი დახარეს მორჩილებისა და თანხმობის ნიშნად. მხოლოდ ერთ-ერთმა სეფე ქალმა ესეც მოახსენა:

— ოღონდ სისხლიდან დაცლილს ჩვენს სამშობლოს რაიმე წამალი მოვუძებნოთ და ჩვენ მზად ვართ მის სამსახურად, თუნდ ქეთევან დედოფალივით ტანჯვა-წვალება გველოდეს.

* * *

თამარ დედოფალი, ანუკა ბატონიშვილი, სამი სეფე ქალი მხლებელი მამაკაცებით და ქალებით ირანის გზით მიემართებოდნენ. გრძელი და სახიფათო გზა, მრავალი სიძნელეებით და გასაჭირით ეგებებოდა მათ. ყიზილბაშთა ურდოები ჯერ კიდევ საქართველოს შიგნითაც ბლომად იყვნენ. ხოლო თვით სპარსეთში, ყოველ ფეხის გადადგმაზე აჩერებდნენ მათ. ეკითხებოდნენ მოგზაურობის მიზეზს. იქვის თვალით უცქერდნენ. დარჩეულ მანდილოსანთ და მათ მხლებელთ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ქართველ ქალთა გარეგნობას განცვიფრებაში მოჰყავდა ისინი. აკვირვებდათ მათი სახე უპირბადო და ელვარე თვალები. საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნებით გაბრწყინვებული. დიდად განცვიფრებული რჩებოდნენ ქალების გმირული გაბედულებით სპარსნი. რომელთათვის ქალი მხოლოდ ჰარამხანის სამკაულს წარმოადგენდა.

ერთ-ერთ საგუშაგოზე თამარ დედოფალსა და მის მხლებლებს გაძარცვაც კი მოუნდომეს. ქართველებმა იარაღზე გაიკრეს ხელი, თვით ქალების ხელშიაც ალაპლაპდა ხანჯლები, თამარ და ანუკა მიიჭრნენ სპარსელებთან და ასე შეაგონეს:

— ჩვენ ვართ შაჰის სტუმრები, მისგან დაბარებულნი, თუ კიდევ წამოგცდებათ ერთი ზედმეტი სიტყვა. შაჰს მოვახსენებთ და ყველას თავებს დაგაყრევინებთ. — სპარსნი შეშინდნენ. გზა მისცეს მათ.

შაჰის საბრძანებელ ოთახში ხშირად შედიოდა უახლოესი ვეზირი და მოახსენებდა მისი სამფლობელოს ყოველი კუთხი-

დან მოსულ ამბებს. ამ წუთშიაც დაჩოქილი კარისკაცი აუწყებდა შემდეგს:

— დიდო შაჰო, გეახლებათ თქვენდა სანახავად დედოფალი, თამარ. გურჯისტანის მეფის თეიმურაზის მეუღლე თავისი ამალით. ისინი უკვე უახლოვდებიან სასახლეს, რას გვიბრძანებთ?

— ვბრძანებ მოასვენონ პატივითა და განცხრომით. ხოლო ჟამსა საღამოსა წარსდგებიან ჩემს წინაშე.

მსახური დაითხოვა შაჰმა. თვითონ, გაკვირვებული, ფიქრს მიეცა:

„რამ აიძულა თამარ დედოფალი მხლებოდა! ან რამ გააბედვინა ირანში მოგზაურობა!“ მრავალმა აზრმა გაურბინა. „იქნება მსევლები მოჰყავს გურჯისტანელ დედოფალს ჩემდა სასიამოვნოდ, სამაგიეროდ იქნებ რაიმე მოწყალებას მთხოვს“—ფიქრობდა ის.

ოცნებობდა შაჰი, რომ ამ წარჩინებული ქალებით თავის ჰარამხანას დაამშვენებდა. თვით დედოფალი თამარი თავისად მიიჩინა. ის არც ისე ხნიერიაო, — გაიფიქრა მან, გული ცდუნებითა და ბოროტებით აღევსო.

შაჰის დარბაზის იატაკი მთლიანად ირანული ნოხებით იყო მოგებული. კედლები. აბრეშუმის ფარდაგებით დაფარული. დიდი მუთაქები და ბალიშები, ძვირფასი ქსოვილებით შემკული, უხვად ეყარა ოთახში. ყველაზე განათებულ და მძიმე მუთაქებით მორთულ კუთხეში შაჰი მიწოლილიყო, ნარგილს ეწეოდა, ხოლო ხუთმეტი წლის თვალწარმტაცი გარეგნობის გოგონა იქვე იყო ჩაჩოქილი შაჰის სასამსახუროდ. რათა ნარგილი არ ჩაჰქრობოდა მის ბატონს.

შაჰი მოუთმენლად ელოდებოდა საქართველოდან ჩასულ სტუმრებს, რომელთა მიღების დასტური უკვე გაცემული ჰქონდა.

შაჰის მდიდრულად მორთულ ოთახში მოკრძალებულად შეეიდნენ ქართველი ქალები. შაჰი მათ ორი ნაბიჯის წადგმით მიეგება. ანუკა ბატონიშვილს ოქროს ლარნაკი ეპყრა ხელში. ლარნაკზე მრავალი ძვირფასი ნივთი ეწყო. მან მდაბლად თავი დაუკრა შაჰს და ლარნაკი მიაწოდა. შაჰმა თავაზიანად ჩამოართვა საჩუქარი და მოწიწებით მადლობა გადაუხადა.

შემდეგ დედოფალი წარსდგა შაჰის წინაშე და ასე მოახსენა:

— დიდებულო შაჰო, ნუ გაგაკვირებთ ხილვა ჩვენი თქვენს კარზე. ნურც კადნიერებად ჩამოგვართმევ, მოუწვეველად ჩვენს აქ მოსვლას. ადამიანი როგორიც ძლევამოსილი არ იქნეს, ის იშვების დედისაგან. დედას—ქალს თვით ბუნება აძლევს უპირატესობას—იყოს გაბედული, როდესაც მის შვილებს მოელის უდროოდ სიკვდილი ან განადგურება. ჩვენ ამ სიშორით მგზავრობა გაგვაბედინა ჩვენმა მოვალეობამ და იმედებმა, რომ თქვენ ჩვენს გრძნობებს და გულის ტკივილს მართლად აწონ-დაწონით.

თვით მოგეხსენებათ, ქართველ ხალხს რამდენი უბედურება დატეხია თავს. ჩვენი შვილები მუდამ ომს მოუმწიფებელი, ზრდადაუსრულებელი ეთხოვებოდნენ მდიდარსა და შემკულ სამშობლოს.

ამ წუთშიაც ლეკები საშველს არ გვაძლევენ, გვანადგურებენ ქონებრივად, ახალგაზრდობა იღუპება ტყვეობაში, ჩვენ თქვენი მოხარკენი ვართ. საიდან შევასრულებთ ჩვენს ვალდებულებას, თუ თქვენ მფარველობის ფრთას არ გადაგვაფარებთ.

საკმარისია თქვენი ერთი სიტყვა, რომ საქართველომ ღონე მოიკრიბოს, თავისუფლად ამოისუნთქოს. გააერთიანეთ ქართლ-კახეთი, იხსენით ხალხი დიდგვარიანთა შფოთისა და აშლილობისაგან. ქართლსა და კახეთს მიეცით ისეთი მეფეები, რომელთ მიზნები იყოს მხოლოდ საქართველოს გაერთიანება, აღდგენა და არა საპირადო ზრახვები.

დედოფლის რიხიანმა, მიმზიდველმა, სამართლიანმა ლაპარაკმა შაჰის გული მოინადირა. მან გაიღიმა. ეს იგრძნო დედოფალმა. მას ძალა მოემატა. თავისი აზრი ახლა უფრო აუღელვებლად და მკაფიოდ გამოთქვა.

— დიდებულო ხელმწიფევ, განა შენ მტერი არა გყავს? არ გეჭირვება ერთგული, ძლიერი მოყვარე და მეზობელი გყავდეს? აივსე გული საქართველოსადმი ნდობით. გააერთიანე ქართლ-კახეთი, ხოლო მათ მეფეებად დაამტკიცე მეუღლე ჩემი თეიმურაზი და ძე ჩემი ერეკლე. ჩვენ, აქ თქვენს წინაშე მდგომნი ქალები, გაძლევთ მტკიცე სიტყვას, მუდამ ყამს ძმად გიწამოთ, ვიყოთ თქვენი ერთგული, როგორც დედა, როგორც და. ერწმუნეთ ჩვენს სიტყვას—ჩვენს წმინდა ლეჩაქს ნათქვამი დაეჯერება. — თქვა მან და ერთდროულად ყველამ ლეჩაქები გადაიწიეს, მდაბლად თავი დახარეს, ამით გამოხატეს თავისი თხოვნა-ვედრება.

შაჰის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მას აკვირვებდა თამარ დედოფლისა და მის მხლებელ ქალთა ეგზომ ჭკუა-გამჭრიახობა, კდემამოსილება, ის ძალა და სიდიადე, რომელიც მოსჭვიოდა დედოფლის ყოველ სიტყვაში. თუნდა მანდილების შერხევით სპარსეთის მბრძანებლის თაყვანისცემაც იმრიგად შეასრულეს. ერთ წუთს თავი არ დაუმცირებიათ. აოცებდა მას და ხიბლავდა ქართველ ქალთა გარეგნობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ელჩი ქალები ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ სინატიფეს გადაცილებული იყვნენ, მაინც, უზომო მშვენიერებით შემკულნი, ანცვიფრებდნენ ირანის შაჰს.

შაჰი ახლა მათ ფიზიკურ სილამაზეზე აღარ ფიქრობდა. ის მოხიბლა მათმა ზეადამიანურმა ღირსებებმა, მისი ველური გრძნობები შესცვალა ახალმა შეგრძნებამ. მან მხოლოდ ახლა განსაჯა, ქალი ისეთივე ადამიანია, როგორც მამაკაცი.

შაჰი ჩაფიქრდა და გაუკვირდა, რომ ქალში მისთვის უცნობი თვისებები აღმოაჩინა. მას ქალი მუდამ თავის გასართობ საგნად მიაჩნდა: მოცეკვავედ, მომღერლად, ჰარამხანების დამამშვენებლად. და თურმე ქალი რა ყოფილაო, — გაიფიქრა მან.

აი რატომ არიან ერთი მუჭა გურჯნი ძლიერნი... რითი გამკლავებიან ისინი ურიცხვი მტრის თავდასხმას მრავალი საუკუნის მანძილზე.

ასეთიც უნდა ყოფილიყვნენ ეგზომ დიადი დედების მემკვიდრენი.

მან ელჩ ქალებს დაჯდომა შესთავაზა, ხოლო თითონ დედოფალი თამარის წინადადებას ჩაუფიქრდა. მართალია მოიხიბლა ქალების მიერ მიღებული შთაბეჭდილებით, მაგრამ თავისი მიზნები ერთ წუთს არ გაუშვია მხედველობიდან. ამ ქალების თხოვნის შესრულება თავის სასარგებლოდ დაინახა. მან ქართლ-კახეთი, სულ მოკლე ხნის წინ გამოსტაცა თურქეთს... მის შენარჩუნებას ამ ქალების თხოვნის შესრულება ხელს ძლიერ შეუწყობდა. ირანსა და ოსმალეთს ყოველთვის ის აბარებდათ, თუ საქართველოს მოღვაწეები მათ დახმარებისათვის მიმართავდნენ. ასეთი თხოვნა მათ იმედს აძლევდა, რომ საქართველო რუსეთის დახმარებას აღარ ეძებდა. სიჩუმე რომ არ გაგრძელებულიყო, მან ქალებს ასე მიმართა:

— თქვენი თხოვნა შესრულებული იქნება. მე ჩემის მხრით დავძენ, რომ საქართველოს მოეკლოს ხარკი. ახლა კი ნება მიბოძეთ თქვენს სასიამოდ შემოიყვანონ გამრთობნი.

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში შემოვიდნენ დამკვრელ-მოცეკვავენი. ერთი მეორეზე მშვენიერნი, მომხიბვლელნი ახალგაზრდა ტანწერწეტა ქალები. ისინი თავდავიწყებით ცეკვავდნენ, რათა შაჰის ყურადღება დაემსახურებინათ.

ქართველი ქალები კი დაღვრემილი აკვირდებოდნენ განწირულ ქალებს და ფიქრობდნენ: „ვინ იცის, საიდან არიან მოტაცებულნი და ნაყიდნი, ვინ იცის, მათ დედებს დღესაც ცეცხლად სწვავთ შვილების გულიდან მოგლეჯა?“

მხევალთა შორის განირჩეოდა ერთი კეკლუცი, ყველაზე ახალგაზრდა ასული. ძლიერ დაღვრემილს ეტყობოდა ძალდატანებით ცეკვავდა. მის ლამაზ თვალებში დაულეველი სევდა, ხშირად ცრემლიც კი გამოკრთოდა. ის თვალს არ აშორებდა საქართველოდან ჩამოსულთ. ასეთი ქალები მას არა ერთხელ ენახა ექვსი-შვიდი წლის წინათ. მაშინ თვითონ ცამეტ-თოთხმეტი წლის თუ იქნებოდა. მას ოჯახში — საქართველოში თინას ეძახდნენ, აქ კი გულნარა დაარქვეს რატომღაც. ოხ, რა რიგად ეჯავრება ეს აბრეშუმის სამოსელი, კისერზე დაკიდებული ძვირფასი ამბარჩა, ბაჯაღლოს ბეჭდები და ქინძისთავები. რა სიამოვნებით გადაყრიდა

ყველაფერს. დახეული ჩითის კაბით ქვეითად გაეკიდებოდა დედოფლის ცხენს.

ცეკვა-თამაშის შემდეგ დედოფალი და მისი ამალა სასტუმრო ოთახებში წაიყვანეს მოსასვენებლად.

თამარმა ისურვა ქართველი ქალები მის ოთახში მოეთავსებინათ.

მიზანმიღწეულ დედოფალს თავისი ამალით ტკბილად ეძინა.

მათ იგრძნეს, ოთახში ვიღაც დადის. დედოფალმა თვალი გაახილა. უნდოდა დაეძახნა მეკარისათვის, რომ პატარა ხელი მის ფეხებს შეეხო; მოეფერა დაჩოქილი და კოცნა მოუნდომა, თან ქართულად მოახსენა:

— დედოფალო, ნება მომეცით თქვენ ფეხთა ალერსით დავტკბე. თქვენმა ლაპარაკმა და თქვენმა იერმა დედაჩემი მომაგონა, რომელიც. შვიდი წელიწადია არ მინახავს. — თან ცრემლებს ღვრიდა უბედური გოგონა. ის უამბობდა, როგორ მოიტაცეს ლეკებმა და როგორ მოიყვანეს შაჰის კარზე. რამდენი ცემა-წვალება და დამცირება გამოუვლია. აი ახლაც, რომ შეიტყონ მისი აქ შემოსვლა, ჰარამხანის მეკარეს თავს მოკვეთენ, ხოლო მას ერთ წელიწადს დაამწყვდევენ და სასტიკ სასჯელში ამყოფებენ.

დედოფალი დაიბნა.

— რა ვქნა, შვილო, დიდი საქმისათვის ვარ მოსული, არ მინდა შაჰი განვარისხო.

ანუკას გაღვიძებოდა, ყურს უგდებდა უბედური ქალის აღსარებას.

— დედოფალო, მიხსენით, დამაბრუნეთ სამშობლოში.

— დედოფალო, მაგ საქმის მოგვარება მხოლოდ აგრე შეიძლება: საქართველოში რომ დავბრუნდებით, ფულით დავიხსნათ ეს საცოდავი გოგო. — წასჩურჩულა ანუკამ.

— რა გქვია, ქალიშვილო?

— სახლში თინას მეძახოდნენ, ბატონო, და აქ გულნარა დამარქვეს.

— შენთან ქართველი ქალები ბევრი არიან? — ჰკითხა ანუკამ.

— არიან ჰარამხანაშიც. მოგახსენებენ, სპარსეთში ძლიერ ბევრი არიანო.

— შენ იცი რა უნდა ქნა? ჩამოგვიწერე სახელები და გვარები ამ ქალებისა, რომელთ შენ იცნობ. აგრეთვე აღნიშნე იმათი მამის სახელი. საცხოვრებელი ადგილი. დედოფალი ამჟამად დიდ სახელმწიფო საქმეს აგვარებს. ახლა ტყვეებზე ლაპარაკი შეუძლებელია. დავბრუნდებით საქართველოში და მოვაგვარებთ საქმეს. შაჰს ისევ თხოვნით და მუდარით გამოვსთხოვთ თქვენს თავს. თუ სხვა ქართველი ქალები კარის კაცებს ან ჩვეულებრივ „აღას“ ჰყავს, იმათ ფულით გამოვისყიდით.

— როგორ მოახერხებ, გოგონა, ისევ ჩვენთან მოსვლას და სიის მოტანას, — დაეკითხა დედოფალი.

— ისევ ამ გზით, დედოფალო, როგორც ამაღამ გეახელით. მეკარეს ფულს ვაჩუქებ.

ანუკამ და დედოფალმა თინას ხელში ბლომად ჩაუყარეს ოქროსა და ვერცხლის ფულები. თინამ სასწრაფოდ დატოვა ოთახი.

დაღონებული დედოფალი და ანუკა, გაღვიძებულ სეფე ქალებს უამბობდნენ საიდუმლოდ მოსული ქართველი მხევალი ქალის ამბავს.

დედოფალი და მისი თანამგზავრი ქალები გახარებული დაბრუნდნენ საქართველოში. შაჰმა მათ დანაპირი შეუსრულა: თეიმურაზ მეორე ქართლის მეფედ დასვა და ძე მისი ერეკლე მეორე — კახეთისა...

გაერთიანებული ქართლ-კახეთი მოსულდგმულდა. სამშობლოს ცაზე დროებით მაინც აკიაფდა ვარსკვლავი, გადაიარა ავდარმა. მტრებიც დაფრთხნენ. მიწა დოვლათით აივსო. მადლიერი ხალხი თამარს ლოცავდა. ეღირსათ უშიშრად სამუშაოზე გასვლა. უშიშრად ქვეყნისა და ოჯახის სამსახური. ქვეყანამ აგრეთვე იგრძნო ხარკის შემცირება. წელში გაიმართა ოდნავ...

დადგა დრო, დედოფალსა და ანუკა ბატონიშვილს სპარსეთში ტყვედ ჩავარდნილ ქალებზე ეზრუნათ. მათ მოითათბირეს, ჩუმად და დაუღალავად ემუშავნათ. თინას მიერ მოცემული სიით მათ მრავალი ტყვე ქალის შშობლები მოსძებნეს. თვითონ ანუკა მივიდა ბევრთან, მშობელთა შორის უმეტესობა გლეხობა იყო. სავსებით ამ საქმის განხორციელებისათვის საჭირო იყო ერთგული, ლმობიერი და მოქნილი პირი, რათა წინააღმდეგობა აღარ შეხვედროდა შაჰისაგან, დათანხმებოდა ტყვეების განთავისუფლებას. ანუკამ გადაწყვიტა ისევ თვითონ წასულიყო ამ საქმეზე.

ის ირანს გაემგზავრა. რამდენი შრომა და წვალება გამოიარა, ვიდრე მიზანს მიაღწევდა. თითქმის ექვსი თვე დაჰყო იქ.

შაჰმა ახლაც ყურადღებით მიიღო ანუკა ბატონიშვილი. ბრძანა დახმარებოდნენ ტყვედ ჩავარდნილი ქალების აღმოჩენაში. ანუკის პატივისცემის გარდა საქართველოდან ჩამოტანილი თანხები და ძვირფასი საჩუქრებიც ტკბილად განაწყობდა ყაენს და მის კარისკაცებს დახმარებოდნენ საქმეში ანუკის და ერთხელ კიდევ მოეჩვენებიათ თავი ქართველისადმი ლმობიერ ადამიანებად.

* * *

რამდენიმე ათეული ქალი, ტყვეობიდან განთავისუფლებული, და მათი დამხსნელი ანუკა ბატონიშვილი საქართველოში შემოვიდნენ.

ხულ სხვა რიგად აძგერდნენ მათი გულები, მშობლიური მიწა ტკბილად ეჩვენათ, თითქოს მიწა მათ ტერფებს ეალერსებოდა და

ჰკოცნიდა. თითქოს ყოველი ხის ტოტი, ფოთოლი სიამით თავს ხრიდა და ესალმებოდა მათ, მშობლიურ ნიავს მზის სხივები შეჰქონდა მრავალჯერ დამცირებულ და გამოფიტულ გულებში. სასიცოცხლო ნაპერწკლებით ავსებდა მათ, რომ ბნელეთი ისევ გაეშუქებია.

ოდესღაც სპეტაკი დედები და ქალწულები, ოჯახის პატრონები, კერის დარაჯი ქალები, დღეს ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილნი, ისევ სიცოცხლეს უბრუნდებოდნენ. ანუკი ხშირად საუბრობდა ქალებთან. უგდებდა ყურს მათ საუბარს, გაკვირვებული იყო იმ სულიერი სიმდიდრით, რომელსაც ქალები ამჟღავნებდნენ. თითქოს ბინძური გზა, რომელიც მათ გამოიარეს ჰარამხანებში და მხეევლებად, ზოგმა უბრალო მოახლეებად ხანების სასახლეებში, ქალების ხალასსა და წმინდა ბუნებას არ შეხებოდა.

ანუკიმ ახლა თითქმის ყველას თავგადასავალი იცოდა, ხშირად შიშიც შეიპყრობდა: ვაი თუ ამ ქალებმა ვეღარ აუღონ ალღო საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ მათ მართალ, ძლიერ თვალებს რომ ჩახედავდა, ისევ იმედი მიეცემოდა.

საქართველოს გულს უახლოვდებოდნენ. თბილი, მთვარიანი ღამე იყო. ქალთა ბანაკი მინდვრად გაიშალა მოსასვენებლად. დიდხანს გაისმოდა ქალების ჩურჩული. ანუკის ეძინებოდა. მან ყური მოჰკრა ასეთ საუბარს:

— ოჰ რა საზიზღარი ქალი იყო ჩვენი ჰარამხანის ზედამხედველი, ყველაზე უხუცესი ცოლი ყაენისა,—ამბობდა ერთი,—არაფერს შენს ნებაზე არ გაგაკეთებინებდა, სულ თვალებში ჩაგვრიტინებდა. მე ძლიერ მიყვარს ხელსაქნარი, ქარგვა-ქსოვა. როგორც კი შემისწრებდა ასეთი რამეების კეთებაზე, ყველაფერს წამართმევდა. „შენ გინდა თითები გაგიფუჭდეს, ვინ გაბედა აქ ნემსის და საზოგადოდ რკინეულის შემოტანა“, დაიწყებდა ყვირილს, „ეხლავ თავს გავაგდებინებ მეკარესო“.

— ალბათ მიტომ კრძალავდნენ ნემსებისა და ყაისნაღის შემოტანას, ეშინოდათ ვინმეს თავი არ მოეკლა. განა ცოტაჯერ დაგვდგომია ისეთი დღე, რომ თავის მოკვლა გადაგვიწყვეტია და ვერ მოგვიხერხებია იარაღის და ბაწრის უქონლობის გამო,—უპასუხებდა მეორე.

— ვითომ ჩვენი სიყვარულისათვის გვინახავდნენ ასე სასოებით, ფლიდები, ყველაფერს თავისი სიამოვნებისათვის სჩადიოდნენ, რომ მოვხუცდებოდით, შემდეგ ვინ იცის, მთლად პირუტყვივით გავეყვანეთ შავ სამუშაოებზე. — ამოოხვრით თქვა პირველმა.

— მე გაგიჟებით მიყვარდა ბავშვობიდანვე მიწის მუშაობა, ყვავილების რგვა, ბოსტანი, ყანა. სულ სამი წელია, რაც მამუდხანის ჰარამხანაში ვარ. გული სულ ბაღისკენ მიწევდა. ერთხელ ჩავიპარე ბაღში, იქ კაცები მუშაობდნენ. ერთს თოხი გამოვართვი, დავიწყე თოხნა. გულმა ისე გაიხარა, თავი ჩემს ოჯახში მეგონა—

საქართველოში. გავიხედე გამოვარდა ჩვენი ზედამხედველი მოხუცი საჭურისი. თოხი წამართვა, ერთი რიგიანად მიმბეგვა. მთელი კვირა ცუდად მკვებავდნენ, მზის სინათლეს არ მაჩვენებდნენ. — ჩაერია ლაპარაკში მესამე.

ახალგაზრდა ქალებს ჩაეძინათ, ხოლო ანუკიმ ისინი თავის გონებაში უკვე მეურნეთა და მოხელესაქნარეთა სიაში შეიტანა.

თინა ანუკის არ შორდებოდა, მისი ჭიკჭიკისა და საუბრის გამო ანუკის მთელი მგზავრობის მანძილზე დაღლაც არ უგრძვნია.

ქალები ესასოებოდნენ თინას. ახლა ყველამ იცოდა, რომ თინას წყალობით იხილავდნენ ისინი მშობლიურ მიწას.

ქალების საერთო სულისკვეთება და მიზანი ერთი იყო: სამშობლოს სამსახური, მისთვის თავის განწირვა, მისთვის სარგებლობის მოტანა.

დედოფალი თამარი მათ დედასავით შეეგება. თითოეულ მათგანს გულში იკრავდა. სიხარულის ცრემლებს ღვრიდა. ქალები კაბის კალთას უკოცნიდნენ. ტყვედნამყოფი ქალების მრავალი მშობელ-ნათესავი მოგროვილიყო.

შემთხვევითი ხალხიც ბევრი მოსულიყო ამ დასაფასებელი და სასიხარულო ამბის საყურებლად.

თამარ დედოფლის თვალში საქართველოს მზე თითქოს უფრო ბრწყინვალედ დაჰყურებდა იმ დღეს გახარებულ დედაქალაქს.

ქეთევან—რძალი ერეკლესი

ნარიყალას სასახლე ამაყად და მშვიდად გადმოყურებდა მოდუდუნე მტკვარს.

მუდამ მშფოთვარე სასახლეში სიწყნარე გამეფებულიყო.

მეფე და მისი თანამებრძოლნი სასახლიდან გაკრეფილიყვნენ, მხოლოდ სახლთუხუცესი და მსახურნი შერჩენოდნენ მეფის ჯალაბობას.

დედოფალი ქალ-რძლით და სეფე ქალებით ჰმუნვას მოეცვა. თვე ერთი არ გაივლიდა, რომ მეფე ერეკლე თავის ვაჟებიანად და დიდებულებით არ გამგზავრებულიყო ლეკთა, სპარსთა ან ოსმალთა ურდოებთან საომრად.

დაჯავრიანებული დარეჯან დედოფალი მიუბრუნდა სეფე ქალებს:

— ლეკნი კიდევ არ იშლიან ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებას.

— მიუხედავად შიშისა, ჩვენი დიდი მეფის წინაშე. როგორც კი დაიგულვებენ მეფეს სასახლიდან გასულს, თავს გვესხმიან. მართალია, მეფე ყველას უმკლავდება, მაგრამ ლეკიანობა მაინც ვერ მოვსპეთ. — ჰკადრა ხნიერმა სეფე-ქალმა დედოფალს.

დედოფალმა გაიხსენა, თუ რა სასტიკად დაამარცხა მეფე ერეკლემ ხუნძახის კადნიერი ბატონი ნურსალ-ბეგი.

— რა გონივრულად მოიქცნენ აწ განსვენებული მეფე ქართლისა თეიმურაზი და მეფე ერეკლე, რომ ხალხი გახიზნეს ციხეებში ტყეებსა და გამოქვაბულებში.

— ლეკთა ურდოები დაძრწოდნენ ქართლის სოფელ-ქალაქებში, ადამიანის ნასახს ვერ პოულობდნენ. — თქვა დედოფალმა.

ახალგაზრდა ქალ-რძალი ყურადღებით უსმენდნენ უფროსების ბაასს.

— მე კიდევ, მწყალობელო დედოფალო, საკვირველი, რამ მსმენია ერთ უბრალო გლეხის ქალზე—ქრისტინე მჭადიჯვრელზე, — ამბობს სეფე ქალი.

— არ მახსოვს, გვიამბე, მე კი სიამოვნებით მოვისმენ გმირი ქალის ამბავს, ახალგაზრდებმაც მოისმინონ, მაგათ ხომ ბევრი რამ არ იციან, რაც ჩვენს სამშობლოს გადახდენია თავს.

ახალგაზრდა ქალთა შორის. ერთს ეტყობოდა, ყველაზე მეტი გულისყურით უსმენდა უფროსების საუბარს. ის უფრო ახლოს მოუჯდა მოსაუბრეთ.

— გვიამბეთ, ბატონო, გვიამბეთ. — მორიდებით თხოვა მან თავის დედამთილს ხნიერ სეფე ქალს.

— არც ისეთი დიდი ამბავია, ჩემი თავი დაგენაცვლოს. განა ქართველი ქალისთვის უჩვეულო რამ იყო, მაინც მოგახსენებთ ქრისტინე მშვიდიჯვრელის თავგადასავალს, და დაიწყო თხრობა:

ქრისტინე მჭადიჯვრელი

ომებით განადგურებული სოფლები ათასში ერთხელ სიამოვნებას მოინდომებდნენ. მოიყრიდნენ თავს სადმე ტრიალ მინდორზე, ზოგი ქვეითად, ზოგი კი ცხენებით. გაიმართებოდა ჭიდაობა, ხშირად ბურთიც გაბზრიალდებოდა, ხან ცხენოსნობაში შეჯიბრება, თამაში და რბენა.

ცხენოსან ვაჟკაცთა შორის ხშირად ტან-კენარი, ომახიანი ლამაზი ქალი გამოერეოდა. გამოჩნდებოდა თუ არა ცხენოსანი ქალი, ხალხში შეძახილები ატყდებოდა.

— ქრისტინე მღსულა, აბა, ბიჭებო, ყოჩაღად იყავით, ქალიშვილი არ მოგერიოთ, თორემ თქვენ ვინღა გამოგყვებათ ცოლად, ვისაც გყავთ, გაგექცევათ.

ქრისტინე ცხენს იქვე ხეზე მიაბამდა, თითონ ხალხში გაერეოდა, ჯერ ცეკვა-სიმღერაში მიიღებდა მონაწილეობას. ახალგაზრდა გოგო-ბიჭებში ჩამდგარი ქრისტინე გატაცებით უკრავდა ტაშს და ყველას ახალისებდა.

ჩუ, თოფის ხმა მოისმა. ქრისტინე შეკრთა. მტერთან საბრძოლო გასაფრთხილებელი თოფის სროლა ეგონა, გამოვიდა წრიდან, მიმოავლო თვალი იქაურობას და დაინახა ვაჟებს ყაბახი მოეწყოთ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქრისტინე მის ცხენთან მივიდა, უნაგირზე მიკრული თოფი ჩამოიღო და მსროლელთ შეუერთდა.

ვაჟებს გაგონილი ჰქონდათ ქრისტინეს ნიშანში სამაგალითო სროლის ამბავი, თვალით კი არ ენახათ, ამიტომ დიდი ცნობისმოყვარეობით და გატაცებული ყურადღებით დაუწყეს ცქერა.

ქრისტინემ ათჯერ გაისროლა და ათივეჯერ ტყვია ნიშანს მოახვედრა, გაკვირვებულ ვაჟებს სურვილი გაუჩნდათ ცხენოსნობაშიც შეჯიბრებოდნენ ყოჩაღ ქალიშვილს. აქაც ისახელა თავი ქრისტინემ, გაუმკლავდა ვაჟებს და ერთხელაც არ ჩამორჩა მისი ცხენი მათს.

ჯარიანობის ცეკვა-თამაში დაიშალა. ქრისტინეს ცხენოსნობამ მიიპყრო ყველას ყურადღება და ყველა იქეთ მიილტვოდა, ყველას თანაგრძნობა ახალგაზრდა გოგოსაკენ იხრებოდა.

სამი ცხენი ოფლში გათქვირული ერთად გაჩერდა დანიშნულ ადგილზე. ერთ მათგანს ლამაზი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქრისტინე ამშვენებდა. დანარჩენნი მათ ვერ დაწეოდნენ.

— ყოჩაღ ქალო — ერთხმად შესძახეს ქალებმა.

ქრისტინე, როგორც მრსალოდნელი იყო, კარგი მებრძოლი კაცის მეუღლე გახდა. შვილებიც სამშობლოს მოყვარულნი დაზარდა.

ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ბედნიერება. საქართველოში გაუთავებელმა ომებმა შეიწირა ქრისტინეს ქმარ-შვილი. სამშობლოსა და საკუთარი ოჯახის უბედურებამ ის ეთხანს წელში გატეხა. გარეგ ძვირად გამოდიოდა. მთელი თავისი ყურადღება ახლა მისმა მწუხარებით განადგურებულმა გულმა დაჭრილ მეომრებზე გადაიტანა. აგროვებდა სამკურნალო ბალახებს, მცენარეების ძირებს, რათა შინაური წამლები მოემზადებია და ხალხისათვის დახმარება გაეწია. სოფელიც მას დიდი პატივით და სიყვარულით ეექცეოდა.

მეთვრამეტე საუკუნის სამი მეოთხედი გასული იყო.

ნურსალბეგმა, რომელიც ხუნძახის მმართველი იყო, მოინდომა ქართლ-კახეთი გაენადგურებია. ამ მიზნით მან გადაიბირა და გააერთიანა გაბნეული ურდოები, აგრეთვე მოიმხრო ხანებიც.

ის დიდძალი ჯარით საქართველოს თავს დაესხა, იჩქაროდა მალე აეღო გორი, რის შემდეგ მთლიანად ქართლის აღება გაუადვილდებოდა. შემდეგ კი მიზნად კახეთის აღებას ისახავდა, თავდამსხმელნი მჭადიჯვრის გზას დაადგნენ.

თვით ხუნძახის ბატონმა ციხის ბოლო ჭალაში გააკეთებინა სანგარი. მრავალი ლეკი მოჰკლეს და დიდათაც გულმამაცად იყვნენ ციხის კაცნი.

ნურსალბეგი შეუბრალებლად აბრძოლებდა თავის ჯარს, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. ციხეში ვაჟკაცებთან ერთად განსაკუთრებით იბრძოდა მოხუცი ქალი, რომელიც ახალგაზრდასავით ტრიალებდა. ციხის ყოველ მხარეს ფრიალებდა მისი მანდილი. ის ხან მოკლულებსა და დაჭრილებს პატრონობდა, ხან ციხის სათოფურებიდან თოფს დააგრიალებდა, შემოსეულ მტრებს ერთიმეორესთან აწვენდა. ხშირად თეთრ დალალებჩამოშლილი ხან მუდარითა და ხან მრისხანედ იძახოდა: „გავწყდეთ და მტერს ციხე არ დავანებოთო“.

როდესაც ციხეში საქმე გასჭირდა, ქრისტინეს შეეშინდა, მეომრები მტერს არ დანებდნენო და მათ ასე მიმართა:

— მე კი, იცით, ამ ქვეყნად დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მაქვს, მოვხუცდი, მე ერთი განადგურებული დედაკაცი ვარ, ქმარ-შვილ დაკარგული, გამიშვით. სამშობლოსთვის და პირად თქვენთვის თავი გავწირო, მტერს ისეთი საქმე დავმართო, თავს იწყეველიდესო. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, მე უპატრონო დედაკაცი უქელეხოდ არ დამტოვოთ, თან არ დამივიწყოთ.

საცოდავი ქალი, — ჩაიქროლა ჩურჩულმა ქალებში, შეიარაღებული ქრისტინე, საუბრის შემდეგ ციხიდან გამოვიდა. მტრის მეომრებს სასაცილოდ არ ყოფნიდათ შეიარაღებული მოხუცი ქალი. როდესაც ქრისტინემ სამი წინამძღოლი ტყვეთით განგმიოლი ერთმანეთს მიაწვინა და მტერს სიცილი ტირილად შეაცვლევინა, ისინი დაიბნენ, ხოლო ქრისტინემ თავი ისევ ციხეს შეაფარა. მჭადიჯვრელები გამხნევდნენ. მტერს უკან დაახევინეს.

— ბარაქალა, ქალო, — ამბობს დედოფალი. ქალების სახეზე სიხარულმა გადირბინა.

— შენი ჭირიმე ქალო, — ამბობს ერთი.

— აი, ქალიც ამას რქმევია და ლეჩაქიც მას ხურვია, — ჩაურთო ვიღაცამ.

ქრისტინე ვეღარ ისვენებდა. ის მთელი არსებით შურისძიებითა და ბრძოლის სურვილით გაიმსჭვალა. შუაღამისას ისევ გამოვიდა ციხიდან, მტერს შვიდი საფარი დაუწვა. მხოლოდ მერვე საფართან დაეწია მდევარი და სიცოცხლეს გამოასალმა.

ხალხმა ქრისტინე მჭადიჯვრელი სიყვარულით და პატივით გალექსა, ხოლო მესტვირეებმა ტკბილ მელოდიებში გამოხატეს ქრისტინეს გმირობა.

ყველაზე უფრო მეტად ღელავს და დედოფლისაკენ იწევს, თითქმის ეკვრის დედოფალს, ნარნარი სახის, მტკიცე გამომეტყველების ახალგაზრდა ქეთევანი, ბატონის რძალი. მისი დიდრონი, შავი, ვაჟკაცური თვალები სათნოებას გამოხატავდნენ.

— ერთი რამ უნდა გთხოვო, დედა ბატონო და დედოფალო ჩემო, — მიმართა მან მოკრძალებით დედოფალს.

— რა გინდა მთხოვო, ჩემო შვილო, ან რად ღელავ?

— მიმოციქულეთ მამა ბატონთან, დიდ მეფესთან, ნება დამრთოს, ქალთა რაზმი შევადგინო და იმ რაზმს მე ვუხელმძღვანელო.

არც დედოფლისა და არც სხვა ქალების სახეზე გაკვირვება და შეშფოთება არ გამოხატულა, პირიქით, ყველას ღიმილმა გადაურბინა.

დედოფალი და მისი ხანდაზმული სეფე ქალები მადლობითა და სიხარულით შეაჩერდნენ მეფის ახალგაზრდა და გაბედულ რძალს, ხოლო ქეთევანის პირადი მხლებელი ახალგაზრდა ქალები აღტაცებაში მოვიდნენ. ერთ წუთში წარმოიდგინეს თავი ცხენზე შემსხდარნი, ამორძალი ქალებივით ჩაცმულ-დახურულნი მტერს ებრძვიან და სასტიკად ამარცხებენ მას.

— მე ყოველივეს ვიღონებ, ბრძანებელმან ჩვენმან და მამამან შენმან, ნება გვყოს, შენი სურვილის შესრულებისა. ვფიქრობ, ის არ გახდება წინააღმდეგი.

— გავბედავ მოგახსენოთ, — შეესიტყვა ხნიერი სეფე ქალი, — დედოფალი და მეფე ნებას დართავენ ჩვენს უმრწემესს დედოფალს, ვინაიდან ეს საქმე საქართველოში უცნობი და აუგი არ არის.

თვით სულმნათი თამარი ჯერ კიდევ ექვსი საუკუნის წინ, თვით უძღოდა ჯარებს, ყავდა ქალთა რაზმები, რომლითაც მრავალ დახმარებას აძლევდა სახელმწიფოს.

ქეთევანი დედამთილს მუხლებზე მოეხვია და მოახსენა:

— მე ყველაზედ მეტად მაშინებს თქვენი ძისა და ჩემი მეუღლის გიორგის აზრი ამ საქმეზედ.

— ნუ სწუხარ, თუ მეფე ბატონი ნებას დაგრთავს, გიორგი არ წავა წინააღმდეგ. მხოლოდ ერთია საფიქრალი: მეფეს მუდამ ეამს მრავალი საზრუნავი აქვს, ქალთა ჯარის დაარსება მოითხოვს დიდ ხარჯებს: ცხენი თავისი შეკაზმულობით, ტანი, ფეხი, თოფ-იარაღი, ამას ყველაფერს თანხა უნდა.

— დედოფალო, მოგეხსენებათ, მე ბევრი ნივთი მაქვს. ოქროვერცხლი, თვალ-მარგალიტი, მრავალი ხალიჩა. ნება მომეცით, რაც აუცილებელი არ არის, გავყიდო, ამ საქმეს მოვახმარო.

— მწყალობელო დედოფალო, — მოახსენებს ერთ-ერთი ახალგაზრდა აზნაური ქალი, ქეთევანის მხლებელი, — ვინც ჯარში ჩავერიცხებით ხომ ცარიელი არ ვიქნებით, ჩვენც შევძლებთ თავი გამოვიწყოთ.

— შემდეგ, დედავ ბატონო, ჩვენც გაგვიჩნდება წყარო: ომებში ნადავლი, — ამბობს გულუბრყვილო ახალგაზრდა ქეთევანი, ყველას გაეცინა წინასწარ ოცნებაზე.

— შვილნო ჩემო, თოფ-იარაღის ხმარებასაც ხომ შესწავლა უნდა წინასწარ. დაგვიფაროს უფალმან, მაგარმ ამ საქმის უცოდინარნი პირველ ბრძოლაშივე რომ გაგვიწყვიტოს მტერმა?

— ბევრმა ვიცით, დედავ ბატონო, საომარი წესები, თოფ-იარაღის ხმარება, ვინც არ იცის, შევასწავლოთ.

— ახლა მომაგონდა. შენ ხომ კარგი მონადირე და მსროლელი ხარ, მგონი ყაბახზე გამართულ სროლაშიაც მიგიღია მონაწილეობა.

— კი, ბატონო, თვით მეფე ყოველთვის მამხნევებდა, როდესაც ჩემს მეუღლესა და სხვა ბატონიშვილებს გავეჯიბრებოდი სროლაში ხოლმე.

* * *

ერეკლე მეფის რძალი ქეთევანი უკვე დედა გახდა, შვილებისა და ოჯახის მოყვარული; ერთგული, მაგრამ თავისი სიყვარული საქმისათვის ერთ წუთსაც არ უღალატნია.

ქალთა რაზმი თანდათან განმტკიცდა, გაძლიერდა. საომრად წასული მამაკაცების მაგივრობას ისინი თავდადებულად ეწეოდნენ. ლეკების მიერ შევიწროებულ სოფლებს გუშაგად ედგნენ.

ახლა ლეკები საქართველოში ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიოდნენ, მხოლოდ ძარცვის მიზნით. დაესხმოდნენ სოფლებს, გაიტაცებდნენ

ადამიანებს, საქონელს, ოჯახებს ააწიოკებდნენ, თუ იქ რამეს იპოვიდნენ ძვირფასს, თან წაიღებდნენ. ძლიერ გაურბოდნენ ქართველებთან პირისპირ შებმას, მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ, როდესაც მეფე და ჯარი ახლო-მახლო არ ეგულებოდათ, გლეხები კი სამუშაოდ იყვნენ წასული. ხშირად სამუშაოდან დაბრუნებულ გლეხს ოჯახი განადგურებული დახვდებოდა ხოლმე.

ქალების რაზმი ჩუმად უთვალთვალებდა მათ იმ გზებზე, საიდანაც ისინი უნდა წამოსულიყვნენ.

ერთ დღეს ქეთევანი თავისი რაზმის თანხლებით ღართის კარის მიდამოებში იყო. ღართის კარის ორწოხებს აკვირდებოდა, მეტი საფრთხე აქედან იყო მოსალოდნელი.

ნატო[1] — მიმართა მან მის მოადგილეს, — რა უსიამო დღეა, ორწოხებს დუმილი შემოხვევია, დაბურული ტყეები დაფიქრებულა, სევდას დაუპყრია ფოთოლთა უდარდელი შრიალი, ასე მგონია ხეობა მტერს მოელის.

— თუ მოელის, მოვიდნენ, დედოფალო, დავხვდებით მამაცურად, — უპასუხა ნატომ — კახელმა გლეხის გოგონამ, რომელიც ჭირად გადაქცეოდა ლეკებს. მთელ მათ ასავალ-დასავალს გებულობდა. უშიშრად გადიოდა დაზვერვაზე, რომ ცხენის ფეხის ხმას არ გაეცა მისი მიახლოვება, ცხენს ფლოქვებზე ნაბადს შემოაკრავდა, ჩასაფრებულ ლეკებს მიეპარებოდა, სროლას აუტეხდა, ახლოს დაბანაკებულ რაზმს მოისწრებდა.

ქეთევან დედოფალი ძლიერ აფასებდა ნატოს, ბევრჯერ ეტყოდა ხოლმე: შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, ჩემს შემდეგ შენ უნდა უწინამძღვრო ქალთა რაზმსო.

ახლა ქეთევანი ასე ეთათბირა ნატოს: — ჩვენ იქით დავიწევით ტყისაკენ, შენ კი შენებურად აქაურობას თვალი გადააავლე, ასეთ მოღრუბლულ დღეში იციან ურჯულოებმა შემოპარვა.

რაზმი ტყეში მიიმალა, ხოლო ნატო ორწოხებისაკენ წავიდა ცხენით. მცირე ხნის შემდეგ ნატო ცხენს მოაქროლებდა ქალების რაზმისაკენ, მის დანახვაზე აშლილ რაზმს ნიშანი აგება, მტერთან შესამბელად განაწყო მთელი რაზმი.

ლეკები სრულიად დამშვიდებული ჩამოდიოდნენ, არ ელოდნენ საფრთხეს, მათი გამოჩენა და ქალების დარაზმვა ერთ წუთში მოხდა. ისინი მედგრად ეკვეთნენ ლეკებს, ჰკლავდნენ, სჭრიდნენ, ატყვევებდნენ.

მტერი იბნეოდა, გარბოდა.

ნატო რამდენიმე ქალით თან მისდევდა მათ, ყიჟინით აყრუებდა იქაობას.

---

1. ნატო გლეხის ქალი იყო, მამამისისათვის მეფეს ახნაურობა უბოძებია ჰამაცობისათვის.

ქალების სროლა-ყიჟინმა ხალხი ყანებს მოაშორა. გლეხი ქალები გარსშემოერტყნენ ქეთევან დედოფალს. თაყვანსცემდნენ, ლოცავდნენ.

— დაგვიხსენი, შენი ჭირი ჩვენ თავს. ბეჩავნი ვართ. ეს ოხრები გვაწიოკებენ, მუშაობას არ გვაცლიან. უშრომლად როგორ ვიქნებით? ბატონს სამსახური უნდა, ოჯახს სარჩო, მამაკაცებიდან ისედაც გაცლილია ჩვენი კუთხე, — ეუბნება მას ერთ-ერთი ყოჩაღი გლეხის ქალი.

აგერ შეამჩნია ქეთევანმა ღარიბად ჩაცმული გლეხის ქალი, ორი ბიჭი დაფლეთილი ტანისამოსით გვერდში აქეთ-იქით ამოდგომოდა, ორი წლის გოგონა, წვირიახ ვიწრო კაბაში ჩაცმული, ხელში ეჭირა.

— ქალებო, ხამსა და შალს თუ ქსოვთ?

— რაღას მოვქსოვთ, მწყალობელო, მატყლი აღარ გვაქვს, ცხვარს ლეკები და ბატონები მიერეკებიან, მინდვრადაც სამუშაოდ ვერ გავსულვართ, ბამბა მოვიყვანოთ იმდენი მაინც, რომ ოჯახს ეყოს, ძლიერ გვიჭირს, ბატონო.

ქეთევანი ჩაფიქრდა. შემდეგ საჩქაროდ ადგა, რაზმელ ქალებში გაერია. ნადავლს, რაც ჰქონდათ, თავი მოაყრევინა, ცოტა რამ რაზმელ ქალებს შესთავაზა, სხვა ყველაფერი სოფლელებს დაუტოვა—ცხენ-უნაგირი, ტანსაცმელი და იარაღი.

— ჰა, ქალებო, იარაღი მტრის მოსაგერიებლად გქონდეთ.

— ხომ გვხედავთ, ჩვენც ქალები ვართ, ოჯახები ჩვენცა გვაქვს, მაგრამ სამშობლოს დასაცავად ყოველ წუთს სიკვდილის პირად ვდგევართ. თქვენც დაისწავლეთ იარაღის ხმარება, გაუმკლავდით მტერს, ერთ-ორჯერ რომ მამაცურად დახვდებით, მერმედ ვეღარ გაბედავენ თავდასხმას. თქვენც არ დაბეჩავდებით.

მზე ჩასასვლელად იხრებოდა. ქეთევანმა აბარგება ბრძანა.

როდესაც დიდ ბატონს ერეკლეს თავისი რძლის ქეთევანისა და მისი რაზმელების ვაჟკაცობის ამბავი გაუგია, ასე უთქვამს:

— მე დიდი ხანია ვიცი, ჩვენს ჭირგადახდილ მიწაზე ქართველი ქალის მადლი დგას, ყოველი ქართველის გულზე უნდა ეწეროს დედათა სახელი.

მეფის თვალწინ გაიელვეს წარსულ ქალთა საგმირო საქმეებმა. მოაგონდა მას წამებული ქალები, ამოიხვნეშა და განაგრძო:

— ქართველმა ქალმა ბევრი ჭირი ზიდა, ბევრი ტანჯვა და ოხვრა ატარა გულით, სულით მაინც არ დაეცა.

ახლა ისიც მოაგონდა მეფეს, თუ წინა წლებში ქართველმა ქალებმა „ვეფხისტყაოსნის“ შენახვა-შენარჩუნებას რა ამაგი დასდეს.

რა შესაზარი ამბავი დახვდა ომიდან დაბრუნებულ მეფე ერეკლეს. თბილისში მისი არყოფნის დროს, ვიღაც ფანატიკოსების თაოსნობით, ბერმონაზნებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზოგი

მტკვარში გადაეყარათ, ზოგი ცეცხლში დაეწვათ. მას მოახსენეს თუ ქართველი ქალები როგორ ყოჩაღად და ჭკუიანად იცავდნენ უკვდავ წიგნს.

თავიანთ სამზითვო კიდობანებში შენახული წიგნები, ტყავებში გამოხვიეს, ზოგი ამოთხრილ მიწაში, ზოგი ქვევრებში დამარხეს. ყველა ამ მოგონებებმა მხცოვანი მეფის წინ სწრაფად გაიელვეს. ქართველი ქალები, სთქვა მან, თითონ წერდნენ, თუ დაწერილს გადაწერდნენ, კითხულობდნენ თუ სხვას ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მუდამ ჟამს იცავდნენ წიგნს. საშვილიშვილო საქმეს ემსახურებოდნენ. ქართველი ხალხის დიდების „ვეფხისტყაოსნის" დაცვაშიაც ასეთი მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ.

ზემოთქმული, შთაგონებით და წარმტაცად დაემთხვა მე-20 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტების ი. გრიშაშვილისა და გ. ლეონიძის ლექსებს „ვეფხისტყაოსანზე".

„სადაც კი იყო ქალაქს თუ მთა ველს,
სიმშვიდის ჟამს თუ ბრძოლის გუგუნში,
არ ივიწყებდნენ დამწვარ რუსთაველს.
ფერფლს ავგაროზად მალავდნენ გულში".

ი. გრიშაშვილი.

„გწვავდნენ და არ იწვებოდი
ცეცხლში დიდების მხვეჭელი".

გ. ლეონიძე.

მაშინ კი, თითქმის ორასი წლის წინათ, ომებით დაღლილმა მხცოვანმა მეფემ საუბარი ასე დაამთავრა: — სწორედ ასეთმა ქალებმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა მიწის პირიდან აღგვას.

საგულისხმოა მეფე ერეკლეს შეხედულება ქალზე. ის თითონ იყო მოწმე ქართველი ქალის ბრძოლისა და მოღვაწეობის, ქალის, რომელსაც სამშობლოსთვის სარგებლობა მოჰქონდა.

მეფე დაინტერესებული იყო ქვეყნის სიმშვიდით, მის გამდიდრებით, თავისი კლასობრივი ინტერესების განმტკიცებით. მოქიშპე ფეოდალებისა და ყმების გამყიდველებს იგი იმისთვის ებრძოდა, მოსახლეობა არ შემცირებულიყო, ქვეყანა მოღონიერებულიყო. მას კარგად ესმოდა, რომ სამეფოს ძალა მეომართა და მეურნეთა სიმრავლით, ე. ი. ეკონომიურ-პოლიტიკური სიმძლავრით განიზომება. რა თქმა უნდა, მარტო გლეხის სიყვარული არ აიძულებდა მას

თავადები დაეტუქსა და გლეხები დაეცვა. გლეხს ის უყურებდა, როგორც სამეფოს დასაყრდენს, მშრომელ ძალას, რომელიც უზრუნველყოფდა ფეოდალებს. იმავე დროს ის უკრძალავდა ფეოდალებს გლეხებისთვის მოეთხოვათ უდები.

* * *

მეთვრამეტე საუკუნეში ასეთი მებრძოლი ქალების გარდა საქართველოს მრავლად ყავდა პოეტი ქალებიც, როგორიც იყვნენ სასულიერო ჰიმნების ავტორი მარიამ მაკრინე, საინტერესო მოშაირე მანანა. საყურადღებოა აგრეთვე სალომე თავის ანბანთქებით, ანუ „სევდის წიგნით". ამავე ეპოქაში წერს მაია გაბიონი გამოცანებს ანბანზედ.

ამ ქალების პოეზიას ასულდგმულებდა სამშობლოს სიყვარული, რელიგია, მათი დამცველი მეფე ერეკლე, რომლის გადაჭარბებული გუნდრუკის კმევა სალოცავ კულტამდე ადიოდა.

პოეტური ნიჭით აგრეთვე ცნობილი არიან ერეკლე მეორის ქალები: მარიამ—დავი ფიფიშვილის მეუღლე; ქეთევან, მეუღლე იოანე მუხრან-ბატონისა; თეკლე, ყველაზე უმცროსი შვილი ერეკლე მეფის, მკვირცხლი და ნიჭიერი გოგონა. იგი მოხუც მამას ომებით და საქართველოს ჭირვარამით დაღლილს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებს უამებდა.

ვაჟური სიმარჯვით დაჯილდოებულ გოგონას მამამ თეკლაბიეი დაარქვა.

თეკლე მეცხრამეტე საუკუნეშიც ცნობილი იყო საზოგადოებრივი საქმიანობით. 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო. იყო გადასახლებული. იქედან დაბრუნებული საზოგადოებრივ ინტერესებს მაინც თავს არ ანებებდა. მან სამშობლოს მისცა ორი ნიჭიერი პოეტი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები.

ეს ქალები, ერთ გარემოში აღზრდილნი, მშობლიური მეფის ოჯახის დაქვეითების მოწმენი, სევდით სავსე პოეზიითაც ენათესავებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ შემთხვევაში მეთვრამეტე საუკუნის პოეტმა ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს მწერლობაში, რაც საყურადღებო შეიქმნა მეოცე საუკუნის მკვლევართათვისაც.

მეთვრამეტე საუკუნის პირველათეულ წლებს მრავალი კულტურული წამოწყება ახასიათებდა.

ვახტანგ VI ინიციატივით 1709 წელში გაიხსნა სტამბა, სადაც სასულიერო წიგნების გარდა იბეჭდებოდა საერო ნაწარმოები.

პირველად ამ სტამბაში ჩაეხვია დიდი რუსთაველის ქნარი ფოლადსა და რკინას, გაათბო და აამეტყველა ის.

იმავ ხანებში თბილისში დაარსებულ იქნა სემინარია, სადაც თვით ერეკლე მეფე სწავლობდა.

ყველა ამ წამოწყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოღონიერებისათვის.

უცქერდა რა მტერი საქართველოს გაძლიერების გზაზე დადგომას, ქართლ-კახეთის გაერთიანებას, ერეკლე მეფის გულადობას და სიძლიერეს, ცდილობდა საქართველოს შევიწროებას, მის დარბევას.

გარშემორტყმულ მტრებს არც ის დაემალათ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მტკიცე ურთიერთობა მყარდებოდა. ეს მტრებს აბრაზებდა. საქართველო მტრებისათვის უფრო საშიშარი ხდებოდა. ისინი შეუბრალებლად ანადგურებდნენ მას.

სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი, რამაც ერეკლეს გადააწყვეტინა რუსეთის მფარველობის მიღება.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში აღამაჰმადხანის შემოსვლამ, მის მიერ მრავალი ქართველის ტყვედ წაყვანამ, ააოხრა და გააჩანაგა საქართველო. იავარქმნილი გახდა ტაძრები, ქალაქები, სოფლები, ყველა კულტურული წამოწყება დაეცა და დაქვეითდა. იწვებოდა და იკარგებოდა საუკეთესო ეროვნული მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები.

დაეცა სწავლა-განათლების დონე.

ასეთ პირობებში საქართველოში ყოველგვარი კულტურა უნდა გადაგვარებულიყო.

ხალხი წერა-კითხვასაც უნდა გადაჩვეოდა და, თუ ასე არ მოხდა, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ ქალებს.

მეომარ და პოლიტიკოს ქალთა გარდა მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში არსებობდა კულტუროსან ქალთა ჯგუფი. ეს ქალები ეკუთვნიან როგორც მაღალ, ისე საშუალო და დაბალი წოდებას. მართალია, ისინი არ გვხვდებიან იარაღით ხელში, არ დადიან ელჩებად, არ წყვეტდნენ პოლიტიკურ საკითხებს, როგორც თამარი, დარეჯანი და სხვა, მაგრამ ერის გულის წიაღში ისინი ეწეოდნენ ხალხისათვის სასარგებლო მუშაობას. ისინი სწორუპოვრობით იცავდნენ ქართულ კულტურას და ამდიდრებდნენ მას.

პლატონ იოსელიანის თქმით, მეფე გიორგის აღმზრდელი ყოფილა ქვლივიძის ქვრივი ნინო, 'სოფელ კავთისხევიდან.

„დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვით და ბრძენი ჭკუით“. — ასე ახასიათებდა მას პლატონ იოსელიანი.

თუ კი უბრალო ქალი ცოდნით იმ ზომამდე იყო აღჭურვილი, რომ მეფის აღმზრდელად გამოდგა, თავადთა და დიდებულთა ქალები მით უფრო განსწავლული იქნებოდნენ იმ დროს შესადარად.

ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც მეცნიერი ისტორიკოსი, ლაკონიურად და ეპიური სიმშვიდით აღწერს ქართველი ქალების ღირსებებს. ამ ღირსებათა ჩამოთვლის დროს, გარეგნულ სიმშვენიერესთან ერთად დავიწყებული არ არის „ცოდნა“ ხელოვნების მოყვარეობა“, რომელიც ახასიათებდა ვახუშტის დროინდელ ქართველ ქალებს.

თავი რომ დავანებოთ მეცნიერული ეთიკით ნაკარნახევ მიუდგომლობას, ვახუშტის თხრობაში ქალის შესამჩნევი თავშეკავება აიხსნება უღვრო თანამემამულის მორცხვობით და თავმდაბლობით. განსაკუთრებულ ინტერესს ამ მხრივ იწვევს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების წიგნები და მოხსენებები საქართველოს შესახებ. ადგილები, რომლებიც ამ მოხსენებებში შეეხებიან ქართველ ქალებს; წარმოადგენს აღტაცებულ და უჩვეულო ხოტბას „მშვენიერთა სავანესი“.

არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო დელევალე, შარდენი იოსებ დელაპორტი, ქრისტეფორე კასტელი—ყველანი სოლიდარული არიან იმის მტკიცებაში, რომ „ქართველი ქალების უმეტესი ნაწილისთვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება“. მაგრამ ამასთანავე დასძენენ, რომ სხვა სიკეთესთან ერთად ქართველი ქალები არიან „მახვილი გონების, ზრდილნი და თავაზიანი“.

არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში 20 წელიწადი იცხოვრა საქართველოში, გვიამბობს, რომ ხშირი ომიანობისა და სხვა სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორთა წყალობით „ქართული წერა-კითხვა სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ ის. ასე რომ თუ ვინმეს სურს წერა-კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიებაროს“.

ქრისტეფორე კასტელს, რომელმაც მრავალი წელი დაჰყო საქართველოში და რომელსაც ზედმიწევნით შეუსწავლია საქართველოს ყოფა-ცხოვრება, კულტურა, მრავალი ქალი ყავს დახატული, აღწერილი.

ძველ ქალთა მხატვრულ ალბომში[1] ჩვენ გვხდება ქალების სურათები შემდეგის აღწერით:

ფომინისია ბერიძე, გურული კეთილშობილი დედაკაცი, პოეტი მეტად ნიჭიერი და დიდად საქები ქალი სხვადასხვა სათნოებით.

ოსან—მეუღლე პაპუნა ნაკაშიძის, მფარველი მისიონერების.

როდია მიქელაძე უკეთილშობილესი ქართველი ქალი—მამაკაცა ბასკაიას მეუღლე, მსატვარი, მომღერალი, უმაღლესად ნიჭიერი სათნოებით და კეთილზნეობით შემკული.

„ერთხელ პატარებს გზაში შეხვდათ ამაზონი ქალი, რომელსაც ჰკითხეს თუ რად იყო ეგრე შეიარაღებული, იმანაც უპასუხა:

—ეს მამაკაცთა შესაფერი ხმალი და მშვილდისარი იმიტომ კი არ მაქვს, რომ სხვას ვავნო, არამედ. მიტომ, რომ თავი დავიცვა, რადგან იძულებული ვარ ყოველდღე ამ უდაბურ ტყეში გავიარო“.

შეიარაღებული ქალის ტიპი ერთხელ კიდევ მაჩვენებელია, თუ რა ზომამდე გართულებული ყოფილა საქართველოს ცხოვრება იმ დროს.

ომიანობითა და ფეოდალების მიერ შევიწროებული ხალხის შვილები იძულებულნი ხდებოდნენ შეიარაღებულნი ევლოთ, რის გამო ისინი ხდებოდნენ კარგი მეომრები და საჭიროების დროს სამშობლოს მედგრად იცავდნენ. უნდა ითქვას ქრისტეფორე კასტელის აზრი ფრიად დადებითია ქართველ ქალზე. ის აღტაცებულია ქართველი ქალისა, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსითა და ზნეობით.

თ. ჟორდანიას მიერ შეკრებილ ხელთნაწერთა ისტორიაში მოხსენებულია XVI საუკუნის ქალი მანია ლიპარტიანისა, ის დიდად განსწავლული, წიგნს დაუფლებული, ყოფილა შემდგენი ლოცვანების.

ე. თაყაიშვილის ხელთნაწერთა ისტორიის პირველ ტომში ნახსენებია დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები, დაუყოფლად ლექსებზე, გადაწერილი ყოფილა ვინმე ბრძანებელი თამარისათვის.

ამავე გვერდზე სწერია „ჩემი ქალბატონის ერისთვის ასულის ბრძანებით დამიწერია მე ეს წიგნი“ და სხვ...

ამავე წიგნში ვნახულობთ შემდეგს: „ეს ხილის ქება დამიწერია ბერა თედორეს ქალს ბარბალეს. ვინც წაიკითხავს, დამწერს დღეგრძელობა, ოსტატს ცხონება უბრძანეთ“.

ყველა ეს ამონაწერები მოწმობენ ქალის სიახლოვეს და ინტერესს წიგნისადმი.

აქ ეს ბარბალე ქალი ალბათ გადამწერია.

ქართულ ძველ ნაწერებში ხშირია სახეები ისეთი ქალებისა, რომელნიც მფარველობდნენ მწერლობას. მათი გავლენითა და ბრძანებით იწერებოდა წიგნები, საისტორიო მასალები, აგრეთვე. იყვნენ გადამწერი ქალებიც, რომელთა კალიგრაფიიდან მოსჩანს მათი გულდადებითი შრომა და საქმისადმი სიყვარული, მარტო ბრძანების ძალით ასე დადებითი მუშაობა არ შესრულდებოდა. რომ ამ დაბალ წოდების ქალებშიდაც არ ყოფილიყო შეგონება ამ მუშაობის და უშუალო სიყვარული წიგნის წერისა.

ცნობილია აგრეთვე საქართველოში ის მოვლენა, რომ ქალებს კარგად ცოდნიათ კარაბადინი. ქართველი ქალები გულმოდგინეთ მუშაობდნენ კარაბადინის შევსება-გადაწერაზე.

მკურნალი ქალები სამშობლოს თავის დროზე დიდ დახმარებას უწევდნენ. მუდამ ყამს ომის ქარცეცხლში გახვეულ საქართველოს მეომრებს ძლიერ ეჭივრებოდათ იარების მოსაშუშებელი წამლები, რომლებიც, მათი დედებისა და ცოლების მიერ მომზადებული, ომში მიმავალთ გულჯიბაში ედოთ. საქართველოში მკურნალი და ავადმყოფის მომვლელი ხშირად ქალი იყო.

ხირიმი ღაპაჭრიაღა

თვალწარმტაცად გამოიყურებოდა ნარიყალას სასახლე, გარსშემორტყმული ბაღებითა და ხეივნებით. დილის ნიავი თავს ევლებოდა ციხე-სასახლეს. მზის სხივებით შემოსილი, ვერცხლივით ლაპლაპებდა მისი ქონგურები. ფართე აივნებზე, რომელნიც გარს ერტყა სასახლეს, გამოფენილიყო ერეკლე მეფის სახლობა, თავისი სეფე ქალებით, ამალით.

ხოლო ერეკლე მეფის სამუშაო ოთახს განცალკევებით ჰქონდა დიდი აივანი, სადაც ერეკლე მეფეს უყვარდა რიყრაყის შეხვედრა. მუდამ ყამს მტრების გარემოცვაში მყოფ მეფეს იშვიათად შეხვდებოდა მყუდრო დილის გათენება. იმ დილითაც მეფე აივანზე ბრძანდებოდა; ხან სეირნობდა, ხან მტკვარს გადაჰყურებდა, რომელზედაც პატარა ნავები და ტივები დასრიალებდნენ.

აქედან მეფეს აგრეთვე საშუალება ეძლოდა დაენახა თუ, რა ხდებოდა სასახლის ეზოში. მეფემ შეამჩნია, დიდ კარებთან მშვენიერი ბრგე ვაჟკაცი ტრიალებდა, იარაღით შეეურვილს, ხირიმის თოფი ეკიდა. მოხდენილ ახალგაზრდა უწვერულვაშო ჭაბუკს ეტყობოდა, მეკარე არ უშვებდა მეფესთან.

„დიდი საქმე მაქვს ძია“, ესმის მეფეს ვაჟის მტკიცე ხმა.

— მოიცა, ყმაწვილო, ჯერ ადრეა, მეფე როგორც არის ისვენებს, ერთი დღე მაინც შეხვდეს თვეში დასასვენებლად.

— განა მეფის შეწუხება მინდა, ორ სიტყვას მოვახსენებ და ისეთს, თითონაც არ ეწყინოს.

— გამოუშვი, ბერუკა, გამოუშვი,—გადასძახა მეფემ,—სამუშაო ოთახში მომგვაროს.—და მეფე ოთახში შებრძანდა.

შავთვალა ტანასხლეტილმა ვაჟმა მეფეს თაყვანი სცა.

— ვინა ხარ, ძმაო, რომელი კუთხიდან მოდიხარ?

— შორიდან გახლავართ, თქვენი კვნესამე, გლეხი ვარ ავკაცებიდან განაწამები, მინდა მიმიღო, ჩემი ხმალი თქვენს ერთგულებას მოვახმარო, თქვენის ბრძანებით დავიცვა სამშობლო გარეშე მტრებისაგან, ხოლო ქვრივ-ოხერი და ობოლი,—უსამართლო ბატონებისაგან.

მეფე ერეკლე დაკვირვებით შეჰყურებდა ვაჟს, მოსწონდა მისი სიტყვები, მტკიცე, ენერგიული მიმოხვრა და გონიერი საუბარი.

— შენი სახელი?

— მათე, ბატონო.

გვარს არ ამბობს, ვინ იცის რა მიზეზია. იქნებ ულამაზო გვარი აქვს. მეფე იმდენად განეწყო ვაჟისადმი აღარ ჩასდია კითხვებით.

— დარჩები ჩემთან!

იქვე გასცა განკარგულება მათე მის მხლებელთა რაზმში ჩაერიცხათ. იმ დღის შემდეგ მათე მეფის მხლებლად ითვლებოდა.

მათემ პირველ ბრძოლაშივე, რომელიც ლეკებთან მოუხდა ერეკლეს, გააკვირვა მეფე და მისი ლაშქარი თავისი სიმამაცითა და ბრძოლის ხერხების ცოდნით. გამარჯვების შემდეგ აღტაცებული მეფე გადაეხვია თურმე მათეს და ასე შესძახა:

— შენ გენაცვალე, ჩემო მათე! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია. — ეს პირველი გამოცდა იყო მისი ბრძოლისა და ვაჟკაცობის, ამას მოყვა მეორე შემთხვევა. საღანლულის სამარხებს თათარი თავს დაესხა.

მეფემ რჩეულ მეომრებთან ერთად მათეც გაგზავნა იქ.

ქართველთა რაზმმა იერიში მიიტანა მტრის რაზმზე, ბრძოლა გაჩაღდა.

მათე ყველასათვის მოულოდნელად მტრის შუაგულში შეევარდა, წინამძღოლს თავი ბააგდებინა, მტერი დაიბნა, გაიქცა, მრავალი თათარი აკაფეს ქართველებმა, ნადავლი წამოიღეს. მეფე ერეკლეს დაწვრილებით მოახსენეს მათეს ვაჟკაცობა, მისი ბრძოლის ილეთები. მეფეს უზომოდ გაუხარდა ახალგაზრდა მათეს ყოჩაღობა და ასე უთხრა:

— სახელოვანო ჭაბუკო! დღეიდან ნამდვილ შვილად მიმიჩნევიხარ, დღეიდან შენც მამა მიწოდე.

ამის შემდეგ მეფემ მათე ძლიერ დაიახლოვა, ყოველ დიდ საქმეს ენდობოდა და საბრძოლო დავალებებს აძლევდა, მაგრამ მათეს კიდევ სხვა მოღვაწეობისაკენ მიერჩოდა გული.

მას ბატონების მიმართ შურისძიება მტკიცედ ჩაკვროდა გულში. როდესაც ბატონის სამსახურიდან თავისუფალი იყო, იმ დღეს ის მოახტებოდა თავის ფეხმაგარ ცხენს, ხან ქართლისაკენ გასწევდა, ხან კახეთში. იქ გებულობდა ბატონების მოპყრობას გლეხებისადმი.

ყოველ სოფელში ყავდა სანდო ადამიანები, რა დაემალებოდა, გლეხები მას არ მოატყუებდნენ, და ვაი მისი ცოდვა, რომელ ბატონზედაც გაიგებდა, რომ ყმა გაუყიდნია, გლეხის ქალისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია. ასეთ ბატონს იმ წუთს მიუხტებოდა მოულოდნელად, დღისით იყო თუ ღამით, და აუწიოკებდა ოჯახს.

— შენ რას ფიქრობ, ბოროტო,—შეუტევდა მებატონეს,—არ გყოფნის, რომ გლეხის ხარჯზე, მისი ნაშრომით ფუფუნებაში ხარ,

ის კიდევ ნახევარჯერ მშიერია, კიდევ ბედავ გლეხი და მისი ცოლ-შვილი ცხოველივით გაყიდო, ურჯულო ლეკსა და თათარს ჩაუგდო ხელში, შენ ვახტანგ მეფისა და ერეკლეს კანონები არ გაგიგონია?!

დამაცადე, ისეთი საქმე გიყო, შენს ხორცს შენი ხელით იგლეჯდე. ეგერ რომ ქალიშვილი გეზრდება, მოგტაცებ, გაგიყიდი. მაშინ გაიგებ, თუ რა კარგია ადამიანის გაყიდვა, მშრომელი ოჯახის აოხრება.

მათე ლანძღავს და ემუქრება თავგასულ ბატონს, ხირიმის თოფს ატრიალებს და თან დასჭყივლებს. „არ გაინძრე, თორემ გაგათავებ! იძლევი თუ არა სიტყვას, კვლავ არ გაბედავ გლეხის შევიწროებას, მათ ქალების ნამუსის გათელას. და თუ ვინმემ გაბედა ასეთი რამე, შენ თვითონ შეებრძოლო უსვინდისო ადამიანებს“.

—ვიძლევით სიტყვას,—ამბობენ შეშინებული მებატონე და მისი ოჯახის წევრები, შემდეგ მსახურებს მიმართავს:

—რამ დაგაძაბუნათ, ვაჟკაცნი არა ხართ, ერთი კაცი როგორ მოგერიათ. ლეკვებივით რომ შვილებს გიყიდით, რად დაგიკრეფიათ გულზე ხელი, ესროლეთ, მოკალით, თოფი არ გაქვთ, ნაჯახი ხომ გაქვთ, ლაჩრებო!—შემდეგ მოახტებოდა ცხენს და გაქუსლავდა.

ის ბატონის ეზოს უკვე განშორდა, ქორივით გადაფრინდა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი. მებატონის ოჯახში შიში და დაბნეულობა დაასადგურა, ხოლო გლეხის გულში იმედი და სინათლე. ასეთი შემთხვევების შემდეგ ის მეფეს ეახლებოდა, დაწვრილებით მოახსენებდა, თუ რა საქმეებს ჩადიოდნენ ქართლ-კახეთის მებატონეები გლეხების დასაჩაგრავად, ჩამოთვლიდა მებატონეების სახელებსა და გვარებს.

—ნამდვილად იცი, ჩემო მათე, რომ ეს ყველაფერი მართალია.

—თქვენი რისხვა არ მომეცეს, ბატონო, კიდევ რამდენი ცნობა მაკლია, ყველას ვერ ვწვდები.

მეფემ ამოიხვნეშა, „როგორ ვერ ავლაგმე თავადები, რა ღონეს უნდა მიმართოს მმართველმა, თუ ადამიანებს სინდისი დაკარგვიათ, ანგარების მეტი აღარაფერი არ ახარებთ. ისევ სიმკაცრე, ისევ შიშით დამორჩილება. როგორ არ მინდა ყველაფერი ეს, მაგრამ სხვა გზა არ არის“,—ფიქრობდა მეფე, მათეს კი ლმობიერად უპასუხა:

—კარგ საქმეს აკეთებ, მხოლოდ არ გადააჭარბო, ბევრი მტერი არ გაგვიჩინო არც ჩვენ, არც შენს თავს, ჩამოთვალე შემჩნეულ ბატონთა გვარები.

—ზურაბ ვაჩნაძე, მწყალობელო, კოტე ციციშვილი, რევაზ ყიფიანი, მათი ყმა-აზნაურები: ბაქრაძე, ნოშრევანიშვილები და მრავალი სხვა:

—ოხ, ღმერთო, რა სისაძაგლეა, — თქვა მეფე ერეკლემ და უბის წიგნში ჩაიწერა მათი გვარები და სახელები.

მარტოდ დარჩენილი მეფე ისევ ფიქრებში ჩაიძირა: რა იხსნის ქვეყანას ამდენი უბედურებისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ მან

დაბეჯითებით იცოდა, ყმათა გაყიდვით მოვაჭრე თავად-აზნაურთა ნამოქმედარი, ახალ ბრძანებასაც კი გამოსცემდა.

თავადებს მაინც არაფერი შველოდათ, მიჩვეულ ხელობას ვერ სტოვებდნენ. თავადებმა გაიგეს, რომ მეფესთან მათ მათე აბეზ-ღებდათ. თავის გამართლების მიზნით, მეფის რისხვის ასაცილებ-ლად, მათეს მიერ აწიოკებული თავადები თავიანთი აზნაურებით შეიკრიბნენ, მეფეს ეახლნენ და ასე მოახსენეს:

— ბრძანებელო მეფევ, ჩვენ ვიცით, ვინც თქვენ ჩვენზე გულს გიტეხთ, განა იმას რამე დაეჯერება? როდესაც ის თქვენ მოტყუე-ბას გიბედავთ, ჩვენ რას დაგვინდობს...

— მე მათე მოტყუებას მიბედავს? როგორ გეკადრებათ, თა-ვადნო, ჩემი უერთგულესი მსლებელია.

ერთმა თავადმა ერეკლეს მოახსენა:

— მწყალობელო მეფევ, თქვენი მათე ვაჟი არ არის, ის ქალია.

მეფის დინჯ სახეს გაკვირვებამ გადაუარა.

— რას ბრძანებთ, არაფერი მესმის, მათე ქალია?

— დიახ, ბატონო, ქალია, შაქრო ციციანთ ყმის შვილი.

— მერმეთ ბატონმა რათ არ მოიკითხა მისი ყმა, თუ გაყიდული იყო და ტყვეობიდან გამოიქცა?—თავადები შეშფოთდნენ, თუ სი-მართლეს იტყოდნენ შაქროს ცუდი დღე დაადგებოდა.

— ასე დაწვრილებით არ ვიცი, ბატონო, თქვენი ჭირიმე, — ეუბნება ჭაღარა ციციშვილი, ჩემზე მოშორებით სახლობს შაქრო. მხოლოდ მათეს რომ სახელად მაია ქვია და დიდი ყაჩაღი ვინმეა, ვიცი. ის ფლიდია, თქვენს ძვირსაც ლაპარაკობს ხალხში, მას ერთ-ხაირად სძულს მეფეცა და თავადებიც. იქნებ კავშირიც აქვს მე-ფის ორგულებთან, ან ლეკებთან. ჩვენ რომ მოგვიხტება, ხოლმე, მუდამ ლეკებით გვაშინებს, იქნებ სულ თვითონ იტაცებს ქალ-ვა-ჟებს და ყიდის, შემდეგ კი ჩვენ გვაბრალებს.—ცბიერი თვალებით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეფის მოტყუილებაში, რითაც მას გულს უცრუებდნენ მაიაზე.

— ვაჟია თუ ქალია, მე ახალგაზრდებში მაგაზე კარგი მეომარი ბევრი არა მყავს. ბარაქალა, თუ ქალია და ასე ომობს, მე ამ სა-კითხს გავეცნობი და თქვენც ადამიანური ღირსებას ნუ დაჰკარგავთ. არ გეკადებათ უსინდისო საქმეები. თუ კიდევ რამე გავიგე თქვენ-ზე, მძიმედ დაგატყდებათ ჩემი რისხვა.—თავადები წავიდნენ.

მეფემ ბრძანა მათესათვის დაეძახათ. გული აუტოკდა მათეს. მან უკვე იცოდა თავადების მოსვლა მეფესთან. საშიშრად მიაჩნ-და, რომ მან დიდი მეფეს ტყუილი ჰკადრა, თავი ვაჟად გააცნო, მაშინვე არ უამბო ყველაფერი გულწრფელად.

ფერდაკარგული და თავდახრილი წარსდგა ის მეფის წინ. ვერ ბედავდა მეფის თვალის გასწორებას, შვლის ნუკრივით კრთოდა.

მეფემ მაშინვე შეამჩნია, რომ მისი საყვარელი მეომარი, რო-მელიც არა ერთხელ ყავდა გამოცდილი სასტიკ ბრძოლებში და

რომელიც პირველად ასე თამამად შემოვიდა მასთან, ახლა ვაქკაცს აღარ გავდა. შეებრალა გმირი ქალი. ლმობიერად შეეკითხა...

— მაია, რათ დამიმალე, რომ შენ ქალი იყავი, რად არ იკადრე ქალობა, განა ქალობა სირცხვილია?

მაია ფეხქვეშ ჩაუვარდა მეფეს და საშინელი ქვითინი გაისმა ოთახში. მაიას ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა და მეფეს კალთას უსველებდა. ის ლუღლუღებდა გულამოსკვნილი ბალღივით. მთელი ბოღმა, დაგროვილი ამდენი წლის მანძილზე, ერთად ამოხეთქილიყო გმირული გულიდან.

— ადექ, ჩემო მაია, ძალიან არ გინდოდა ქალობა, მაგრამ ხომ ხედავ სტირი, დიდია ძალა ბუნებისა, დაწყნარდი და ყველაფერი გულახდილად მიამბე.

— მეძნელება, მოწყალეო, გავბედო, გიამბოთ ის უბედურება, რაც მე გადამხდა; ღარიბი გლეხის ქალი გახლდით სოფელ წყნეთიდან. დედ-მამას ჩემს მეტი არა გააჩნდა, სიღარიბის კვალობაზე მანებივრებდნენ, თოფ-იარაღსაც ვეტანებოდი, ნადირობასაც. 16 წლის გახლდით, რომ ბატონმა მოურავი გამოგზავნა, სასახლეში წამიყვანეს ქალბატონის ხელზე მოსამსახურედ. მერე თქვენც მიხვდებით, მწყალობელო, ძვირფასო მეფევ,—და ქალმა ისევ ცრემლები გადმოუშვა.—მე იმ დღესვე გამოვიქეცი ბატონიდან, დედ-მამას ყველაფერი განვუცხადე, მამაჩემის ჩოხა ახალუხი ჩავიცვი, სახლი სამუდამოდ მივატოვე, აბა რაღა თვალი გამეღებოდა ქვეყანაზე. მალე გავიგონე საშინელება, დედა ჭკუაზე შერყეულიყო; ხოლო მამას თავი ჩამოეხრჩო. ასე ემსხვერპლა მშრომელი გლეხის ოჯახი და ჩემი ქალობა ბატონის აღვირახსნილობას. შემდეგ ყაჩაღობას მივყავ ხელი, რომ შური მეძია ვერაგ ბატონებზე. არ ვიყავ ყაჩაღად დაბადებული, გადავწყვიტე სამშობლოს დაცვისათვის შემეწირა თავი, თქვენ გხლებოდით. იმდენი გამბედაობა ვერასოდეს ვერ მოვიკრიფე, თქვენთვის ეს ყოველივე მომეხსენებია, თან მეშინოდა, ჩემს ქალობას გაიგებდით, დამითხოვდით, მე კი, ბატონო მეფევ, თქვენ მშობლებზე მეტად მიყვარხართ, ყოველთვის მზად ვარ თავი შეგწიროთ. — ისევ დაიჩოქა და ატირდა.

ერეკლე მეფეს ძლიერ შეეცოდა უსამართლობის მსხვერპლი ახალგაზრდა ქალი. თავზე ხელი გადაუსვა, ასე უთხრა:

— ადექი, შვილო, შენ შენი საქმე გააგრძელე, მე შენ ერთხელ გიბრძანე, ახლაც გიმეორებ, მიგულვე მამად და პატრონად. დრო და დრო ქალურად ჩაიცვი, გმირი ქალი კიდევ უფრო საპატიოა. — გახარებული მაია მეფეს განშორდა, გზაგზა ქალი კიდევ ცრემლებს იწმენდდა; ახლა უკვე ცრემლები სიხარულისა იყო.

გულგაგეხილი

დილით ადრე სასახლის კარიბჭეს ჩაუარა მაია წყნეთელმა, მოსული გლეხი დაინახა, იქვე ახლოს დიდ ქვაზე ჩამომჯდარი.

— გამარჯობა, ძია კაცო!

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს!

— საიდან ჩამოსულხარ და რა საქმეზე? — შეეკითხა მაია და იქვე გვერდით მოუჯდა.

— ცუდი საქმე დაგვემართა, თორმეტი ქალ-ვაჟი, ჯერ კიდევ ბავშვები, ჩააბარა წუხელ. მებატონემ სპარსელებს. ჩვენ ბეჩავნი და უიარაღონი ვართ, ვერ გავბედეთ დადევნება, აქეთ გამოვიქეცი, მეფე ბატონის ყურამდე მიმეტანა ეს ამბავი. ორი შვილიშვილიც ურევია ჩემი.

მაია თოფნაკრავივით წამოხტა და მოხუცს მიაძახა:—ამ ადგილს განეშორე, ხვალამდე უცადე ჩემს დაბრუნებას, მანამდე მეფე არ შეაწუხო—და სასწრაფოდ სასახლიდან გაქრა.

— ბიჭებო! რა მომხდარა, გაიგეთ? — მოხუცი გლეხის ნაამბობი გადასცა ამხანაგებს, ნახევარი საათიც არ დაუყოვნებიათ, რომ მაია და მისი ამხანაგები სპარსელებს უკან დაედევნენ.

— სად წაგვიხვალთ, თქვე ლაჩრებო! — დასჭყივლა მაიამ ვაჟკაცურად, ქორივით შეიჭრა შუაგულში და სპარსელებს კაფვა დაუწყო. მალე ამხანაგები წამოეშველნენ. დაჭრილ-დახოცილი სპარსელები იქვე დატოვეს და განთავისუფლებული ბავშვებითურთ პირდაპირ მეფის სასახლეში მივიდნენ. თითონ მაია მეფეს ეახლა და ასე მოახსენა:

— მწყალობელო მეფეო, გლეხების გაჭირვებას საზღვარი არა აქვს, თავადებმა სოფლები დააცარიელეს, როგორც მოგეხსენებათ, ყმებს განუკითხავად ყიდიან, ვინც ვერ გაყიდეს, მათ შრომით წელს წყვეტენ, ამას წინათ კალოში შებმული დედაკაცი იქვე გარდაიცვალა.

— მაია, შენ ერთი ცუდი ზნე გჭირს: ამბები ბევრი მოგაქვს, მხოლოდ დამამტკიცებელ საბუთებს ვერ ვხედავ—წარმოსთქვა მეფემ დინჯად.

— ნება მიბოძეთ, ერთ წუთს გარეთ გეახლოთ,—მოახსენა მეფეს მაიამ და ოთახიდან სწრაფად გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, თორმეტი აკანკალებული ბავშვი მოხუც გლეხთან ერთად მე-

ფესთან მოიყვანა, თან მოახსენა—აი, დასამტკიცებელი საბუთი. მწყალობელო ბატონო! მე ძლიერ ვერიდები თქვენს შეწუხებას, მაგრამ გული მიკვდება მებატონეების საქციელით. გარდა იმისა, რომ თვით ბოროტებას ჩადიან, ხალხს აწიოკებენ, მთავარი ბოროტება კიდევ ის არის, რომ თქვენ, გლეხების პატრონსა და ქომაგს, სახელს გიტეხენ, გლეხს ისღა დარჩენია იფიქროს, რომ მას მეფის მფარველობაც დაეკარგა.

—მართალს ამბობ, ჩემო მაია! — შემდეგ მოხუც გლეხს დაუძახა, დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე, ხოლო მაიას უბრძანა:

—წაიყვანეთ, მოასვენეთ ბავშვები და მოხუცი და ჩემს ბრძანებას ელოდეთ!—მეფეს მდაბალი თაყვანი სცეს და გავიდნენ. მაია ფიქრებში წასულიყო. დალოცვილი მთელ ქვეყანაში • ცნობილი სარდალია, ყველას მაგისი ეშინია—ლეკს თუ თათარს, ორასი და სამასი შებატონე კი ვერ მოუთოკავს, გლეხთა გაყიდვა როგორ ვერ აღკვეთა? — და საბოლოოდ დაასკვნა: მეფეს მისი გულკეთილობა დაღუპავსო.

* * *

მეფემ სასტიკად დასაჯა ის თავადი, რომლის საყმოდან ორმეტი ქალ-ვაჟი გამოიყვანეს სპარსელებმა, ჩამოართვა მას მიწა-წყალი, დაბეგრა, აღმოაჩინა მისი შემწეებიც, ყველას გადასახადი შეაწერა, უკანასკნელი გაფრთხილება მისცა. თავადებმა შემდეგში დანამდვილებით გაიგეს, რომ ყოველივე მაიას მიზეზით დაემართათ. გადაწყვიტეს მისი მოკვლა.

ერთ მთვარიან ღამეს მაია ცხენით მოდიოდა და თავის საყვარელ სიმღერას დაჰღიღინებდა:

„ქართლიდან გამოვეპარე ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგზლადა სევდა და ცრემლის ღვარიო“.

მოულოდნელად რამდენიმე შეიარაღებული კაცი შეეჩეხა. ერთურთისათვის სალამი ვერ გაიმეტეს... მიხვდა მაია, სასიკეთოდ არ იყო საქმე... შეიარაღებულმა ღრენით უთხრა მაიას:

—სასიკვდილოდ გაქვს საქმე, შენ რას ჰღიღინებ?

—აბა თქვენგან რას მოველი, ერთზე ათი მოდიხართ.

ეს სთქვა და ცხენზე გაენართხა. თვალის დახამხამებამდე შურდულივით ცხენი შეაგდო მათ შუა,—მე თქვენ!..—შესძახა და მამაცურად დაერია თავადებს, წინ, საფარად თითო ყოველთვის იყოლია და ზოგი დაჭრა, ზოგი გააქცია, მხოლოდ ერთი დაჭრილი შერჩა ხელთ. იარაღი აჰყარა და ასე უთხრა.

—უწმინდურო, ჩემი სიკვდილით აბა რას მოიგებდი?

გაიძვერა მებატონემ თავის გასამართლებლად იცრუა: შენი სიკვდილი თვით მეფე ერეკლეს დავალებით უნდა შეგვესრულებია, თვითონ სწადია შენი თავიდან მოშორებაო.

მაიას თავზარი დასცა ამ ამბავმა, მისი სათაყვანებელი მეფე, სიმართლის დამცველი, ნუთუ იკადრებსო ასეთ ცუდ საქმეს, გაიფიქრა და თითქოს სიცოცხლე შესძაგდა, ცხოვრებაზე გული გაუტყდა.

— გასწი, გამეცალე!—შესძახა მაიამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ,—შენი სისხლი მე არ მეპირვება.—გახარებული თავადი გაეცალა იქაურობას.

მაია სასახლეში აღარ დაბრუნებულა. განა სიკვდილის ეშინოდა? არა, მას გული გასტეხოდა დიდ მეფეზე. ახალგაზრდა ქალს ადამიანებისადმი რწმენა დაჰკარგოდა და ხალხს განშორებოდა. მან თრიალეთს მიაშურა. იქ მწყემსების ახლოს პატარა ბინა გაიჩინა. ქართლში მაია მკვდარი ეგონათ. მეფესაც უკვირდა და აწუხებდა მამაცი ქალის გაუჩინარება.

თანდათან ყველას დააივიწყდა იგი.

გულჩათხრობილი ქალი ხშირად ფიქრობდა მეფეზე — რად მომიძულა, რად გამიმეტა? იქნებ თავიც მოვაბეზრე, მუდამ გლეხების გაჭირვებაზე ლაპარაკით? მეფეს იმდენი საზრუნავი აქვს, კაცი მოხუცდა. რაც 14 წლის გახდა, მას აქეთ ხელიდან ხმალი არ გაუგდია, ერთი დღე, რა არის, არ დაუსვენია, ხან ტყეში სძინავს, ხან მინდვრად — უნაგირის თოქალთოზე თავმიდებულს, რამდენჯერმე თვით მიდარაჯნია ამ რიგად მისაძინებლად მიწოლილი მეფე ბატონისათვის. რა ბედნიერი ვიყავი მაშინ... მეფე გააგულისეს, შეაძულეს ჩემი თავი იმ ვერაგმა ბატონებმა, ნეტავ კი მელირსოს მათი გამწარება...

ცუდ გუნებაზე მყოფი, უდარდელი ბავშვობის მოგონებას მიეცა. აგერ წყნეთშია... მამისეულ გაპარტახებულ გომურში შეიხედეს სევდიანმა თვალებმა. მხოლოდ ხეები ღა დარჩენილა, რამდენი უთამაშნია აქ... სწრაფად წამოიშალნენ ბავშვობისას ნახული სურათები. მამის ალალი ვაჟკაცური სახე, ფართო ბეჭები... აგერ მამამ ვაშლის ხესთან მიიყვანა მაია, პაწია ხელებით ვაშლი მოაწყვეტინა, მისმა კეთილმა დედამ კი ჭრელი ხამის კაბა მოუქსოვა, არშიებით გაუწყო; მოგონების ფურცლებში ყველაზე მკაფიოდ ბებია თებრო გამოჩნდა, მაღალი, ბრგე, თეთრთმიანი დედაკაცი. რა მშვენიერი ზღაპრები იცოდა, მოყვებოდა ტარიელისა და ავთანდილის ამბებს, ან რა ქალები იყვნენ ნესტანი და თინათინი... დანარჩენი გმირების ცხოვრებაც მოიგონა მაიამ ბებიის ნაამბობიდან. სად იყო, რომ იმ ზღაპრებში ყოველთვის კეთილი ძლევდა ბოროტს? მე რა დავაშავე, ვიბრძოლე სამართლიანობისათვის, ვიბრძოდი—ბოროტმა კი დამძლია.

ასეთ ფიქრებში გართული მაია ძვირად თუ ვისმეს ინახულებდა. მეფე ერეკლე შემთხვევით იმ სოფელს ეწვია, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია მაია წყნეთელი შეჰკედლებია. სოფელმა მეფე დიდის ზეიმით მიიღო.

მაიამაც გაიგო მეფის მობრძანება. გული ბავშვივით აუტოკდა, კუთხეში მიგდებული ჩოხა-ახალუხი წესრიგში მოიყვანა, იარაღი დაფერა, ცხენი და უნაგირი გაასუფთავა, რათა სოფლიდან დაბრუნებული მეფისათვის შორიდან მაინც მოეკრა თვალი.

როდესაც მეფემ წასვლა ბრძანა, მას სოფლის რჩეული ახალგაზრდები, თოფ-იარაღ ასხმულნი, გასაცილებლად ეახლნენ.

მაიაც ერია იმ ვაჟკაცებში, რაღა თქმა უნდა, მეფემ ვერ იცნო გმირი ქალი, დროსა და შრომას თავისი კვალი დაეტოვებინა ოდესღაც სიცოცხლით სავსე სახეზე.

უეცრად მოთარეშე ლეკების რაზმი დაესხა თავს მეფეს და მის ამალას.

მაია ძველებურად აენთო, ვეფხვის ნახტომით მომხდური მტრის რაზმში მოექცა, თოფის სროლით გააყრუა მტერი, შემდეგ ხმლით დაერია, თან მჭექარე ხმით იძახოდა.

— მეფე გაიყვანეთ, მეფე არ დაგვიშავდეს, დანარჩენებმა მომყევით! — ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.

— ბარაქალა! რა კარგად იბრძვის.—გაიკვირვა მეფემ, როდესაც შავჩოხოსანი ვაჟკაცის თავგანწირული ბრძოლას უყურებდა.

ბრძოლა მტრის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. მეფემ თვალი შავჩოხიან მეომარს მიაპყრო. რაღაც ეცნაურა, ვერ მოიგონა კი. თავისთან იხმო.

— ვინა ხარ, შვილო, ასეთი გმირი? — მიმართა მან მეომარს. მაია მყისვე გადმოხტა ცხენიდან, თაყვანი სცა და ასე მოახსენა:

— ნუთუ ვერ მიცანით, დიდო ბატონო, მწყალობელო მეფეო, მე თქვენი მონა-მორჩილი მაია ვარ.

— აჰუ! ეს ვინ ვნახე! — შესძახა მეფემ. — ჩემო მაია ცოცხალი ყოფილხარ და როგორ კი გადაიკარგე, ქალო, ასე უნდა მამად წოდებულს მიტოვება?

— განა მე კი მიგატოვებდით, დიდებულო მეფეე?—და აქვე უამბო თავადის მიერ ნათქვამი.

— იმედდაკარგული, გულგატეხილი ამ კუთხეს მივეკედლე, სოფელში თქვენი მობრძანება რომ გავიგე, გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ დამენახეთ შორიდან მაინც. ახლა კი თქვენს ხელთა ვარ, გინდათ მომკალით, გინდათ დამარჩინეთ.

მეფე მოწიწებით უცქერდა ღვაწლმოსილ ქალს, გულში კი ფიქრობდა—რამდენ უსინდისობას იტანს ეს წუთისოფელიო.

— შენ, შვილო ჩემო, რაც შემცდარხარ და მოტყუებულხარ ისიც იკმარე. ნულარ დამშორდები, დაღლილი ხარ გეტყობა. სასახლეში დაისვენებ.

უკანასკნელი გაბრძოლება

ისევ დაიჭექა მეხმა საქართველოს ცაზე. კვლავ გაახსენდა ირანის მფლობელ აღა მაჰმად ხანს ლამაზი გურჯისტანი, მისი ძლევამოსილი მეფე ერეკლე მეორე, ყველგან იშვიათ სარდლად აღიარებული.

ირანის ყაენებს ყოველთვის იმისი შიში ჰქონდათ, რომ საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირს დაამყარებდა. ეს კავშირი ირანს ძალაუფლებას უზღუდავდა, მეზობელ სახელმწიფოებზე გავლენას დაუკარგავდა.

აღა მაჰმად ხანმა გადაჭრით მოითხოვა ერეკლე მეფეს, რუსეთთან დადებული ხელშეკრულება გაეუქმებია, ხოლო ქართლ-კახეთს ირანის ქვეშევრდომობა მიეღო.

ერეკლე მეფემ უარით უპასუხა, არ გასცვალა ერთ მორწმუნე, განათლების გზაზე დამდგარი რუსეთი ველურ სპარსეთზე.

ერეკლე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ ნაბიჯით საქართველოს ფართო გზაზე გაიყვანდა, ფიზიკურად ააღორძინებდა. აღადგენდა, გაამაგრებდა, კარს გაუხსნიდა ქვეყნის განათლებას, განვითარებას. ერეკლე მეორის პასუხს ირანის მფლობელმა საქართველოზე გამოლაშქრებით უპასუხა.

მედგრად გაისმა მეფე სარდლის ხმა სამშობლოს დასაცავად, კიდევ გააპო ჰაერი ლომის გრგვინვამ.

მეფე ერეკლე შეებრძოლა მტერს. კრწანისის ველზე გაშალა მან თავისი ჯარი, მტერს რისხვა და შიში გადააბნია, შესამჩნევად იბრძოდა მისი დამცველი რაზმი, რომელშიც მაია პირველ რიგში იდგა და საყვარელ მეფეს ერთი წუთსაც არ შორდებოდა.

პირველად ქართველები დადრკენ. მაგრამ ერეკლესა და მისი რაზმის გაბედულმა ბრძოლამ გაამხნევა ჯარი.

მტერი ისევ შავნაბადაზე შერეკეს, სულ ცოტა და მტრის დროშებს ხელთ იგდებდნენ.

მტერი შედრკა. გაიქცა. მეორე დღეს ბრძოლა გრძელდებოდა, ქართველნი ხერხით და გულადობით სჯობნიდნენ, მხოლოდ სპარსელების ჯარი უთვალავი იყო.

კრწანისზე საშინელი შიში ჩამოწვა. წუთი და ქართველები გატყდებოდნენ. მოულოდნელად ქართველ მეომართა რიგებში

სიხარულის ხმა შემოიჭრა: „მტერი ქალაქიდან გაიდევნა, თბილისი თავისუფალია“.

გახარებული ხალხი თბილისიდან ცეკვა-თამაშით მოდიოდა, მოიმღეროდა, გამარჯვებამ გაამხნევა მებრძოლნი. მაგრამ სიხარული ელვასავით გაქრა.

გასაქცევად გამზადებული მტერი ვიღაც სამშობლოს მოღალატემ შემოაბრუნა. მან გააპარა აღა მაჰმად ხანის ელჩი, რომელმაც ქართველი ჯარის სიმცირის შესახებ შეატყობინა ირანის მპყრობელს. მტერი ისევ გაბედული გახდა, დედაქალაქი აიღო, შემოეგ კრწანისის შემოერტყა, სარდლობასთან ერთად ჯარიც დარწმუნდა, რომ ომი წაგებულია.

ახლა მთავარი იყო, მეფე გაეყვანათ სამშვიდობოზე, ტყვედ არ ჩავარდნოდა მტერს. მაია წუნეთელი მეფის ნაკვალევს არ შორდებოდა, მეფისაკენ მიმართულ ხიფათს წინ ხვდებოდა ფარითა და შუბით. ის სხვა ერთგულებთან ერთად გზას უკაფავდა მოხუც სარდალს.

მაიამ მეფე რომ სამშვიდობოზე მიაცილა, უკან გამობრუნდა, მას აღარ ჰქონდა ღონე დატანჯული მეფისათვის ეცქირა. ერთად ერთი სურვილი, რაც მას კიდევ ასულდგმულებდა, იყო მტრის ელეტა. გმირი ქალი ცრემლებს ვერ იკავებდა, დამარცხებული სამშობლოსა და მოხუცი მეფის ნატანჯი სახის მოგონებაზე.

ხელჩართულ ბრძოლაში მაიას ცხენი მოუკლეს, ის ახლა ქვეითად უმკლავდებოდა მტრებს. მაგრამ თავს არ ანებებდა, „სჯობია მოკვდე ვიდრე ცოცხალი ჩაუვარდე მტრებს“, ფიქრობდა ის, არა თუ მე, ერთი საცოდავი დედაკაცი, არამედ დარწმუნებული ვარ, თვით მეფეც ეძებდა დღეს სიკვდილს, აკი არ გვნებდებოდა თავის გადასარჩენად, სულ ჩვენი რკალიდან გამოსვლას ლამობდა, არაგვიდან მოსული ვაჟკაცები როგორ გვეხმარებოდნენ მეფის გამოყვანის დროს, როგორ გმირულად იხოცებოდნენ. მაია ისე გაიტყუა ამ ფიქრებმა, ვერ შეამჩნია მოახლოებულ ყიზილბაშთა პატარა ჯგუფი, რომელიც დაღლილ და უძინარ მაიას შემოერტყა და დაატყვევა.

ტყვედ ჩავარდნილი მაია საშინელ წამებას განიცდიდა, მასთან ერთად მრავალი ქართველი ტყვე მიყავდათ სპარსელებს, პირუტყვივით მიერეკებოდნენ მათ, სცემდნენ, დასცინოდნენ.

მაია ვერ შეურიგდა ამ საშინელ ტანჯვა-წამებას, ის გზიდან გამოიპარა. ყოჩაღად იარა, ერევნის ბოლომდე ერთი არ დაუსვენია, აქ კი დაღლილობამ მოუსწრო.

მთვარიანი ღამეა, ბადრი მთვარე დაკაშკაშებს უკვე ჰაღარა მაიას. ის ხის ძირში ჩაჯდა, ცას ახედა, მშობლიური ზეცა მოაგონდა მწარედ ამოიხვნეშა.

„საქართველო მტრისაგან აოხრებული, საქართველო უმწეოდ დარჩენილი. მოხუც მეფეს, ვინ იცის, იქნებ სამშვიდობოში გასვლას სიკვდილი ურჩევნია. ის მახინჯი მაჰად ხანი ქვას ქვაზე არ დატოვებს, ქვეყანას ააოხრებს, მამა-პაპათა საფლავებს შეგვიბღალავს, ისე არ მოვკვდებოდე, შევიტყობდე, რა მოხდა კრწანისზე“.

ჩაფიქრდა, ომის ყოველი წვრილმანი მოიგონა.

„არა, უდავოდ სამშობლოს უღალატეს, მეფეს მოგებული ომი წააგებინეს, მტერი ხომ გაიქცა. მე დარწმუნებული ვარ, ისევ იმ ფლიდმა მებატონეებმა უღალატეს ქვეანასა და მეეფს. „ციხე შიგნიდან გატყდებაო“. მაცოდინა, ვისი ბოროტი ხელი გაერია ამ საქმეში, რა სიამოვნებით ავკუწავდი ქვეყნისა და მეფის მოღალატეს“. — ახლა თავისი ცხოვრებაც მოიგონა. ღრმად ჩაჰყვა ფიქრებს, გაიხსენა ახალგაზრდობის ლექსი, რომელსაც სევდა კვნესით დაამღერებდა ხოლმე. მისდა უნებურად იგი ხმამაღლა წარმოსთქვა:

„სოფლიდან გამოვეპარე ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგზლადა სევდა და ცრემლის ღვარიო“.

ეს იყო ოცდაათი წლის წინათ, მაგრამ რამდენი განსხვავებაა იმ მაიასა და ჩემს შორის. იმ მაიას სახე იმედით ბრწყინავდა, სიმართლის გამარჯვების იმედი ჰქონდა, მუხლებში სხვა ჯანი ედგა“ ერთი წამოიწია, რომ გზა გაეგრძელებია, ვერ შესძლო და ისევ დაჯდა, ზურგით ხეს მიეყრდნო. ამ ფიქრში ჩაძირულს ძილი მოერია, ჩათვლიმა.

განთიადისას მაიას მოულოდნელად ყიზილბაში მდევრები დაადგნენ თავს, შეპყრობა მოუნდომეს. მაია ვეფხვივით წამოხტა, სახელოში დამალული ხანჯალი გულში გაუტარა ერთ მათგანს, სხვებიც არ მოუშვა ხელების შესაკრავად. მოზღვავებულ ბოღმას მალამო უშოვა. ყიზილბაშებს ხოცავდა, ერთხელ კიდევ შეღება მიწა მათი სისხლით. მალე თითონაც დაეცა, ცის ფერი შავად მოეჩვენა. მოკვდა ახალგაზრდობისას ბატონიდან გამოპარული გოგონა. დიდი ვარამი წაყვა მის გულს, ეშინოდა: საქართველოს დროშა მტრებს არ შეებღალა, ფაფარ-აყრილ მოხუც ლომს კლანჭები არ დასცვეთოდა.

მისი ცხოვრებისა და სიკვდილის ამბავს ხალხი ლექსავდა, გლეხობის მეჭირვარამე მაია ისე ბრწყინავდა, როგორც ბნელში სანათურიდან შემოჭრილი სხივი.

თინა წავკისელი

მეგატონის სასახლეში დიდი აურზაურია. ქალების წიკვილ-კივილი იქაურობას აყრუებს, ზოგიერთები გარინდებული დგანან. მოხუც გამდელს ახალგაზრდა გოგონები შემოხვევიან, ზოგი ტირის, ზოგიც ყოჩაღად გამოიყურება. მოხუცი გამდელი აღელვებულია. კივილზე ხალხი მოცვივდა, მეზობელი მეგატონეები, გლეხები.

— რა მოხდა, რა ამბავია?. — კითხულობენ.

— დამღუპა, დამღუპა შეჩვენებულმა გოგომ, — იძახის აივანზე გადმომდგარი, თმა გაშლილ-გაწეწილი გაბაანთ ახალგაზრდა ქალბატონი.

— მომიკვდა ჩემი ლომივით ვაჟკაცი.

— ოხ, ეს რა მომხდარა. — უკვირდათ ახალმოსულთ. ფართოდ გაღებულ დიდ დარბაზში, შედის და გამოდის ხალხი.

— სატევრით მოუკლავს? სად არის მკვლელი?—ეკითხებიან ერთმანეთს გარეშე და შინაურები, რადგან, ჯერ არავინ იცის, როგორ მოხდა ეს ამბავი.

მკვლელი, თინა წავკისელი 17-18 წლის ქალიშვილი, გაბედულად დგას გოგო ბიჭებში. მის სახეზე სინანულისა და შიშის ოდნავი კვალიც კი არ გამოისახება.

— უნდა მომეკლა და მოვკალი,—ეუბნება ის ახალგაზრდებს.

— როგორ გაბედე, ხომ შენც მოგკლავენ. — ჩასჩურჩულებს ერთერთი ამხანაგი გოგო.

— თუ მომკლავენ მომკლან, შეურაცხყოფილ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. თქვენ მაინც მოგაშორეთ ეს ბოროტი, სხვა მეგატონეები შეშინდებიან, ვერ გაბედავენ თქვენს აბუჩად აგდებას. თქვენს გათახსირებას.

— როგორ მოხდა, მითხარით. — ეკითხება მოკლულის მეუღლეს ამ ამბით უზომოდ აღელვებული მეზობელი თავადი.

— არ ვიცი, ბატონო, გათენებისას ჩემი მეუღლის ოთახიდან საშინელი ხმაური მომესმა, შესვლას მოვერიდე, დერეფანში შევიცადე. ბატონის ოთახიდან ნახევრად შიშველი თინა სისხლიანი სატევრით გამოვარდა, მას ისეთი საშინელი სახე ჰქონდა, შევშფოთდი, ვერ მოვისაზრე, რაში იყო საქმე. ჩემთვის არც შემოუხედავს, გვერდი ამიარა.

— სად არის ახლა ის გოგო?

— აი, ეგერ დატყვევებულ გოგო ბიჭებში. ჩემი მაზლი ბოიანებს, ყველას ეცოდინებოდა თინას განზრახვა, ბატონის მოკვლის შესახებ, მარტო ვერ გაბედავდაო.

— სად ბრძანდება თქვენი მაზლი? — ეკითხებიან.

— ქვევით, ყმათა მყიდველი სპარსელები ყოფილან სოფელში. მოურავთან მოსულან ამ დილით ადრე, ისე ეს უბედურებაც მოხდა.

— ცუდი საქმეა, მთლად გაირყვნებიან გლეხი ახალგაზრდები, ადვილად გაბედავენ ყველაფერს. — ამბობს თავადი.

— სულ მეფის ბრალია, — ამბობს მეორე თავადი, — აუშვა, დალოცვილმა, გლეხები აამხედრა ჩვენს წინააღმდეგ, მისგან ზურგგამაგრებულნი, გათამამდნენ და რაც უნდათ, იმას აკეთებენ, აღარ გვეშორჩილებიან.

— ეხ, რამდენჯერ ვთხოვე ჩემს უბედურ მეუღლესა და მის ძმას: ნუ ხართ უდიერი ყმებთან, ნუ ხდით ნამუსს გლეხის ქალებს მეთქი, არაფერი გამივიდა. ახლა თავი უნდა ვიტირო, მეტი რა დამრჩენია.

სასახლეში თანდათან იკრიბებოდნენ გლეხები და თავადები. ყველას აინტერესებდა მკვლელი გოგოს ნახვა. თინას დაუძახეს.

— როგორ გაბედე, გოგო, ეს საქმე?

— უნდა გამებედა და გავბედე. ბატონი ბოროტი იყო. გვაწამებდა და გვამცირებდა ახლგაზრდა ქალებს, რამდენი მისგან გაუპატიურებული და შერცხვენილი გაიყიდა სპარსეთში. მე ის მტანჯავს, კეთილი ქალბატონი შეწუხდება, ის უღირსი ქმარი უყვარდა მას.—შემდეგ ის ქალბატონს მიუბრუნდა:

— თქვენ კარგი ხართ, მაგრამ მაინც თავადის ქალი ხართ, გლეხები ადამიანებად არ მიგაჩნიათ. თქვენ არ იცოდით, რამდენი უსინდისობა ხდებოდა თქვენს ოჯახში. თქვენი ქმარი არ არის ტირილის ღირსი. ის მხოლოდ იმის ღირსია, რაც დაემართა.

— ეს ნამდვილი აჯანყებაა! — გადაულაპარაკა ერთმა თავადმა მეორეს.

— კი, ბატონო, აჯანყებაა.

მოკლული ბატონის მეუღლე შეჰყურებდა თინას, მის მაღლად აყრილ კენარივით ტანს, გრძელი, აბურდული ნაწნავები მის სახეს ეშხს მატებდა, ამშვენებდა, ელვარე თვალები შთაგონებით ავსებდნენ მის სახეს, ხოლო ნაზ ბაგეებიდან ამოსულ მრისხანე სიტყვებს გონს მოყავდა ახალგაზრდა, გამოუცდელი თავადის ქალი.

ის დუმდა, რადგან ერთ დიდ უბედურებასთან ერთად მას მეორე უბედურებაც დაატყდა თავს. მოიგონა ქმართან გავლილი 5 წელი, მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ თინა მართალი იყო. ის გონების თვალით ხედავდა თავისი ქმრის უზნეო მოქმედებას, გარყვნილებას. მოაგონდა თავისი ხუთი წლის გოგონა, წარმოიდგინა, რომ ათი-თორმეტი წლის შემდეგ იგი თინას ოდენა გახდე-

ბოდა, შეებრალა უსამართლობის მსხვერპლი თინა და სასახლის ყმა ქალები. ამ ფიქრში იყო ახალგაზრდა ქალბატონი, რომ ოდნავ ჭაღარა შერეული მისი უფროსი მაზლი ოთახში შემოვიდა, ყველას თავი დაუკრა, ძმის სამძიმარი მიიღო, შემდეგ რძალი გაიხმო ოთახში და ასე უთხრა:

— ჩემო რძალო, რაც უბედურება დაგვემართა, ეს ჩვენ გვეყოფა სამწუხაროდ, მხოლოდ ქვეყნის საქმეც არ დავივიწყოთ. ის გოგო აქაურობას რაც შეიძლება მალე უნდა მოვაშოროთ. ბედზედ სპარსელები არიან აქ, კარგ ფასს იძლევიან, უფრო ქალების ყიდვა სურთ, თინასთან ერთად უნდა ავარჩიოთ სამი-ოთხი ლამაზი გოგო. გადახედეთ, ეგერ დგანან თავმოყრილნი. რამდენიმე ვაჟიც გაცაყოლოთ, ჩემი ძმა ხომ ღირსეულად უნდა დავასაფლავოთ. ყველაფერს ხარჯი უნდა.

ახალგაზრდა ქალს გული ჩაწყდა.

— თქვენი ჭირიმე, ჩემო მაზლო, — ნურაფერში გამრევთ, მე ჩემი ცეცხლი მეყოფა, ახლა ადამიანების გაყიდვა და ისიც სპარსელებთან. რა შეუბრალებელი ხართ, ბატონო ჩემო, მასეთმა სიმკაცრემ იმსხვერპლა თქვენი ძმა, ჩვენც იგივე არ დაგვემართოს. თუ მე მეკითხებით, მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი გაყიდვის. თქვენ კი როგორც გენებოთ. მე მხოლოდ იმასა გთხოვთ, უბრძანეთ ჩემი პატარა მანანა მომიყვანონ, ერთ წუთს ვერ მოვიშორებ, მეშინიან ისიც არ მომიკლან მოთმინებიდან გამოსულმა ყმებმა. უბრძანეთ მომგვარონ და დიდი გამდელიც მოიხმეთ.

— რა ძლიერ შეშინებულხარ, ჩემო რძალო. მე მაგათ ისე ავლაგმავ და ისეთნაირად ავინაზღაურებ ჩემი ხელით გაზრდილი ძმის სისხლს, რომ ჩემს სახლში კი არა, მთელს საქართველოშიაც ვერავინ გაბედოს ბატონების წინააღმდეგ ბრძოლა.

ღამდებოდა, როდესაც გაბაანთ სასახლიდან სპარსელებმა შესყიდული ტყვეები: თინა წავკისელი და რამდენიმე ახალგაზრდა გოგო ეზოს უკანა კარებიდან გაიყვანეს.

მოხუც გამდელს, მუდამჟამს ყმების დამცველსა და ლმობიერს, გარს ეხვეოდნენ გოგონები და ემშვიდობებოდნენ.

თინა გამდელს გამოეთხოვა და უთხრა:

— კიდევ გაიგონებ, ბებო, ჩემს სახელს, მე თუ თინა ვარ, ქართველის სისხლი თუ მაქვს ძარღვებში, კიდევ შენი წყალობით. ბევრს გავამწარებ, სანამ ცოცხალი ვარ, ამოვიყრი ბატონების ჯავრს, მტერს არ გავახარებ.

— ეხ, შვილო, თქვენს შემხედვარეს გულზე ცეცხლი მედება, მაგრამ რა შემიძლია უმწეო ადამიანს. მშვიდობით იარე, შვილო. ყოველი გასაჭირიდან ღმერთი გფარავდეს! — დალოცა თინა, თავის სადგომში შევიდა.

ფიქრები გარს შემოეხვია გადიას. აღონებდა და აწუხებდა ოჯახის უბედურება, გაყიდულთ ბედი.

— ეს ოჯახი გაჩანაგებულია, ვერ დარჩა დიდ ბატონს კარგი შვილები. — ამოიოხრა მან და ისევ გაყიდულ ახალგაზრდებზე გადაიტანა ფიქრი.

— როგორ ბუდიდან ამოყრილი წიწილებივით აგვაწიოკეს, როგორ ნახირივით მიგვერეკებიან, შვილებო, ის საზიზღარი ყიზილბაშები, რა მოგველის?

გაყიდულ ქალ-ვაჟებს, მართლაც, ნახირივით მიერეკებოდნენ, ლაპარაკის ნებას არ აძლევდნენ. თითქოს ბუნებაც თან მისტიროდა, ტირიფებს თავი დაეხარათ. მთვარე არ სჩანდა, ცა ღრუბლებით დანისლულიყო. მათ შორის ვარსკვლავები ოდნავ კრთოდნენ. ჩაფიქრებული ტყვეები ხმას არ იღებდნენ. ყველაზე გულმაგრად და გამბედავად ისევ თინა იყო, სანამ სპარსელებმა აღვირახსნილი ყმეღობა არ დაიწყეს.

თინა დარწმუნდა: ეს ველური ყიზილბაშები ჩვენს ქალობას ჩირქს მოცხებენო და სწრაფად თავისა და ამხანაგების ტყვეობიდან დასახსნელი გეგმა შეიმუშავა. ტყვე ქალებს ასეთი საქმე გაანდო:

— როდესაც ყიზილბაშები ჩვენს ალერსს მოინდომებენ, ჩვენ ნუ ვეწინააღმდეგებით, მოხერხებულად ხანჯლები ავართვათ და დავხოცოთ.—ამხანაგები დაეთანხმენ, ასედაც მოიქცნენ.

ქალების სიახლოვით დაბნეულ სპარსელებს ყელი გამოჭრეს, ვაჟებს ხელფეხი გაუხსნეს, ისინიც დაიხმარიეს, ყიზილბაშები ერთმანეთს დააკლეს. შესხდნენ მათ ცხენებზე და მთაბარი ჭენებით გადაიარეს, სიცილ-სიმღერით მოქუსლეს სამშობლოსაკენ. ახლა მათ ბუნებაც კი უღიმოდა, ბრწყინვალე მზის სხივები უხვად ეგებებოდა ტყვეობას გადარჩენილ ქალ-ვაჟებს, ფრინველნიც გალობა-ჭიკჭიკით ატკბობდნენ მათ სმენას. ყველანი აუწერელ ბედნიერებას გრძნობდნენ, რადგან იცოდნენ, მეფე ერეკლეს მიერ გამოცემული კანონი, რომლის თანახმად უცხოეთის ტყვეობიდან თავის ნებით და გარჯით შინ დაბრუნებული გლეხი თავისუფლდებოდა ძველი მებატონის ყმობისაგან. ამრიგად, თავისუფლად შეიძლებოდა თინა თავისი ამხანაგებით მეფეს ხლებოდა.

თინა პირდაპირ ერეკლეს სასახლისაკენ გაემგზავრა. იმდენი ეცადა, მეფემ ისინი იმ დღესვე მიიღო, ყველაფერი მოისმინა. თინას არაფერი დაუმალავს, მეფეს სიმართლე მოახსენა. ჭალარა მეფე-სარდალი აღტაცებაში მოიყვანა თინას ვაჟკაცობამ და გამჭრიახობამ, მისმა გულადობამ და გამბედაობამ. მაგრამ იმ წუთსავე მაია წყნეთელის შემთხვევა მოაგონდა. რაკი იმას ვაპატიე ეს გოგონები თავადებს გამიწყვეტსო გაიფიქრა და თინას მკაცრად შეუტია:

— ქალო, ხომ არ გაგიჟდი, ნუთუ თავის დასაცავად სხვა საშუალება ვერაფერი გამონახე. ასეთი „პატარა“ მიზეზებისთვის თუ თავადები გაკვლევინეთ, კარგად წავა ჩვენი საქმე.—მან ხმამაღ-

ლა დასჭექა: „შეჰკარით, შებოჭეთ, გაროზგეთ“. თინას თავზარი დასცა მეფის სასტიკმა, დაუნდობელმა განრისხებამ, შიშის კანკალმა აიტანა ის, დაიჩოქა, მისი ცრემლები იატაკს ასველებდა.

— მაპატიეთ მეფევ, მე ამდენი გაყიდული ახალგაზრდები დავიხსენი სამშობლოს დასაცავად. თქვენამდე იმედს მოვყავდით, რომ თქვენ შეგვიფარებდით თქვენი მოწყალე ქალთის ქვეშ.

ერეკლე ოდნავ მოლბა, მაინც მის მრისხანე თვალების გასწორებას ვერავინ ბედავდა. ის დუმდა. ახალგაზრდებს ათვალიერებდა. გულში ადამიანის და მეფის ზვიადობა იბრძოდა. „ამ ერთხელ ვაპატიებ, ხუმრობა ხომ არ არის, 8 კაცი შეეძინა სამშობლოს, ახალგაზრდა მებრძოლები“,—გაიფიქრა მან. თინა სასახლეში დატოვა თავის მხლებლად. სხვა ახალგაზრდებს სხვადასხვა საქმე მიუჩინა, ზოგი სახლში წავიდა.

მალე გავარდა ხმა თინა და მისი ამხანაგების ტყვეობიდან გმირულად თავის დაღწევის შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ მეფემ გაბაშვილები დაიბარა, დატუქსა, უბრძანა ავკაცობაზე ხელი აეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა ქონების ჩამორთმევითა და სამშობლოდან გაძევებით.

თინა მეფე-სარდალს ბრძოლებში ყოველთვის თან ახლდა. ის ვაჟურად იცვამდა, რომ ქალის ტანისამოსს ცხენზე ჯდომისა და იარაღის ხმარების დროს მისთვის ხელი არ შეეშალა.

თინა წავკისელი პირველი დიდი ბრძოლის მონაწილე გახდა მაშინ, როდესაც მხოლოდ ოცი წლის ძლივს იქნებოდა. ის მთელი ახალგაზრდული თავდავიწყებით იბრძოდა. ის სწორედ იმ რჩეულ ჯარში ირიცხებოდა, რომელსაც ერეკლე ხელმძღვანელობდა.

მეფეს თინა ვაჟკაცურად ედგა მხარში, რამდენ პატარა ბრძოლებში მიუღია თინას მონაწილეობა ლეკების წინააღმდეგ, თინაც ვერ ჩამოგითვლიდათ. მეფე მას ძლიერ აფასებდა, მეფემ მის მომავალ ცხოვრებაზედაც იფიქრა და ერთ-ერთ თავის ერთგულ მეომარ გლეხს მიათხოვა და დააბინავა.

ერეკლე მეფე თინას ოჯახს შემდეგშიც ეხმარებოდა.

თინა საჭიროების დროს გამოჩნდებოდა ბრძოლის ველზე და სასახლეში. ახლა თავის ოჯახსაც უვლიდა. მისი მეომარი ქმარი ხშირად არ იყო ოჯახში. ის სულ მეფეს ახლდა, ოჯახს თინა ამაგრებდა, შვილებს ზრდიდა, ასწავლიდა. დიდებული ოჯახი შექმნა, სუფთა, ბარაქიანი.

თუ მეფე სადმე იმ კუთხეში იქნებოდა, დასასვენებლად თინა წავკისელისას ჩამოხტებოდა. მაშინ თინა მთლად ბედნიერად გამოიყურებოდა. მეფე მამასავით უყვარდა, თავს ობლად არ გრძნობდა. ოდესღაც წამებული გოგონა მეფის მზეს იფიცებდა, მეფესაც ის შვილივით უყვარდა.

თინა სანიმუშო დედა და კარგი ცოლი იყო, მზრუნველი, მშრომელი; ოჯახი თანდათან ფეხზე დააყენა. თინა მეზობლებსაც დიდ შემწეობას აძლევდა.

საქართველო აღმავლობის გზაზე დადგა. იხსნებოდა დარიალის გზა. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას მოელოდა ხალხი. გაჰყავდათ გზები. ამუშავდა შაქრისა და მადნეულის ქარხნები. გაიხსნა სტამბა. გაჩნდა იმედი სკოლების გახსნისა. საქართველოს მაინც არ ასვენებდნენ მტრები. აგერ ლეკები გამოჩნდებოდნენ. სრულიად მოულოდნელად ომარ-ხანის შიშმა მოიცვა ქვეყანა. მან დალეწა ქარხნები. ერეკლე მეფეს წლიურად 5000 მანეთი დაადო ღალად.

— ღმერთო! ჩვენს მწყალობელს და სამართლიან მეფეს ისე ნუ მოჰკლავ თავის ქვეყნის ჯავრი საფლავში მიყვებოდეს, აცოცხლე დიდხანს და ისე დააწყობინე თავის ქვეყანა, როგორც მას უნდა და ეკადრება, — იტყოდა თინა და მწარედ ამოიოხრებდა.

თინას ახლა უკვე მოწიფული, დედის მიერ მტკიცე ადამიანებად და მეომრად აზრდილი შვილები ედგა გვერდში, თვითონ 45 წლის ქალი იყო, სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა. მისი მეომარი მეუღე მოხუცდა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად იყო, მხცოვან მეფეს იშვიათად შორდებოდა.

აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო. ქართლ-კახეთის უხვი ბუნება ქვეყანას კარგ მოსავლიან შემოდგომას უქადდა.

ბაღ-ბოსტნებს დასამწიფებლად გამზადებული ხეხილი ამშვენებდა. ყურძნის ზვარს ქარვის ფერი გადაკვროდა. სოფლად პურის ლეწვა კიდევ ვერ დაემთავრებინათ. მის დაფენილ ველებზე შეკრული პურის ზვინები ციხეებივით იდგნენ. იმჟამად ომიანობიდან ოდნავ დასვენებული სოფლები ის იყო ფეხს იდგამდნენ მშობლიურ მიწაზე, რომ კვლავ ქართლ-კახეთში შესაზარი ხმა შემოიჭრა: „მტერი თავს დაგვესხაო“, ამ მოულოდნელმა ხმამ სწრაფად მოიარა მინდორ-ველი, მშრომელებს ჩაუქროლა. მათ მუშაობაზე ხელი ააღებინა. კაცი კაცს, სოფელი სოფელს მხოლოდ ამას უძახოდნენ—აღა მაჰმად ხანი თავს დაგვესხა, აბა სამშობლოს უშველოთო. ყველანი შეიარაღდნენ ოჯახში თავდარიგს ტოვებდნენ, ჭირნახულ ქალებს ოჯახს აბარებდნენ. „ბღარტები არ დაგეხოცოთ, თუ საქმე გასჭირდეს გაიხიზნენით“. ყოველი კუთხით ოხვრა და კვნესა გაისმოდა, თინა წავკისელი ხალხში ჩამდგარიყო და მამაკაცებს ამხნევებდა:

— თქვენ მტერი გარეკეთ, ჩვენ აქაობას არას გაუჭირვებთ.

— მტერს არ გავახარებთ, მხოლოდ ეს რა ბედანაა. შენ ის იკითხე, დედი, რომ ეს ვერანი მტერი სწორედ იმ დროს დაგვესხმება თავს, როდესაც ჭირნახულს ვაბინავებთ, ან ვჭკით, ან ვთესავთ.

— სუ, ბიჭო, საყვირის ხმაა, ჩვენ კი დავემალებით მტრის შებმას?

— როგორ დავემალვით, მაშ მოხუც მეფეს იმ მოქიშპე თავადების იმედით დავაგდებთ? აღა მაჰმად ხანი კი უკვე უთვალავი ჯარით კალიასავით მოდებოდა დაბა-სოფლებს. ბატონიშვილები თავიანთ საუფლიწულებში ჩაკეტილიყვნენ, სამშობლოსა და მამის გაჭირვება გულთან ახლოს არ მიქონდათ. მეფეს ცოტა ჯარი აღმოაჩნდა, ხოლო შინაური მტრები ხალხს აშინებდნენ, რომ ომი უთანასწორო ძალების გამო მაინც წაიგება, სჯობია, დაიხიზნეთო. მხოლოდ ერთგულნი არ შორდებოდნენ მეფეს. მათ რიცხვში იყო თინა, თავისი ქმარშვილით. მეფის გვერდით ორი ვაჟურად ჩაცმული ქალი — თინა წავკისელი და მაია წყნეთელი თავგამოდებით ვაჟკაცურად იბრძოდნენ. კრწანისის ველზე 5 ათასი ქართველი 35 ათასი სპარსელის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ ქართველები მაინც გულმაგრად იყვნენ.

მოხუცი სარდლის ხმა იმედიანად გაისმოდა.

აგერ მოდის ხალხი სიმღერით, თბილისიდან მტერი გაიქცა. (შადიანის სიმღერა), ახლა მტერს კრწანისის ველიდან განდევნიან და საქართველო გამარჯვებული დარჩებოდა, მაგრამ სამინელი უბედურება დატრიალდა: კრწანისის ველს მტერი გარს შემოერტყა, იმ ადგილს შეუტია სადაც მეფე იბრძოდა. მეფე და მისი მებრძოლნი მტრის რკალში აღმოჩნდნენ. ახლა მეომრები მხოლოდ მეფის ტყვეობიდან გადარჩენას ფიქრობდნენ. ერთგულმა მეომრებმა სიკვდილს დანატრებული მხცოვანი ერეკლე ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. გზის გამკაფავთა შორის იყვნენ თინა და მაია, ისინი მეფეს გვერდში ედგნენ.

მაიას და თინას გზები შეიცვალა, როგორც მეფე სამშვიდობოზე იქნა გაყვანილი. გაცეცხლებული მაია გაიტაცა ბრძოლამ, მისდევდა ყიზილბაშებს, მუსრს ავლებდა. თინას ისე დაშორებოდა ვერც კი შეემჩნია, მათ ერთმანეთი დაჰკარგეს.

ამ არეულ და მძიმე წუთებში აღელვებულმა თინამ თვალი მოჰკრა თავის პირმშო ვაჟს, რომელიც ლომის ბოკვერივით იბრძოდა. მალე ისიც დაინახა, მისი ვაჟი წაიქცა. ის იყო შვილისაკენ გაქცევას ლამობდა, მაგრამ წაქცეულ მებრძოლთ გვამები ხელს უშლიდა. როგორც გზა იშოვა, ფეხს აუჩქარა, (ამ დროს მას მეფის მხედარი შემოეჩეხა, მეფის ცხენი მოჰყავდა, რათა მეფე სამშვიდობოზე გაეყვანათ) თინა შვილისაკენ მირბოდა, რაღაც დიდი ძალა უკან ახედებდა. ერთ წუთს შეჩერდა. მოჰკრა თვალი, რომ ცხენზე შემჯდარი მეფე სამშვიდობოს მიდიოდა, თითონ სირბილით მიუახლოვდა დაყრილ გვამებს, თავისი შვილის ძებნა დაიწყო. ქმარიც მოაგონდა. არსად მოუკრავს თვალი ძველი მეომრისათვის. თინა სულთმობრძავ ვაჟკაცთა გვამებს შორის ბორგავდა, კვნესა-გოდება სუფევდა კრწანისის ველზე. ცოცხალნი თავს შვე-

ლოდნენ, ველს შორდებოდნენ, მხოლოდ აქა-იქ თავგანწირული ადამიანები მოცელილ ვაჟკაცთა შორის ტრიალებდნენ, ცოცხლებს ეძებდნენ, რომ ბრძოლის ველიდან გაეყვანათ, სიკვდილს გადაერჩინათ. თინამაც მონახა სულთმობრძავი შვილი, თავთან მოუჯდა, აბჯარ-იარაღი მოაშორა, ჩოხა-ახალუხი გაუჭრა, იარა სისხლიდან გაწმინდა, ჯიბიდან ფხვნილი ამოიღო, სისხლის შესაჩერებელი წამლები დაადო, შემდეგ შეუხვია... ჩრდილში გადაიყვანა, დააწვინა, მოასულიერა. იმედი მოეცა, იქნებ არ მოკვდესო. სწორედ ამ დროს უცებ რამდენიმე ყიზილბაში თავზე დაადგა.

— სიკვდილი მოიგონე, შვილო! — ჩასძახა შვილს, თვითონ კი პირის ხოკვა დაიწყო. ყიზილბაშებმა ახედეს, ვაეი მკვდრად მიიღეს. თვითონ თინას კი დასტაცეს ხელი და წინ გაიგდეს. თინა მიხვდა, რომ ის ისევ სპარსელების ტყვე ხდებოდა.

— მხოლოდ ერთსა გთხოვთ, — მიუბრუნდა ის სპარსელებს— ნება მომეცით მკვდარ შვილს გამოვეთხოვო. ერთხელ კიდევ ჩავიკრა გულში. თქვენ შვილები არა გყავთ? არ გიყვართ? მომეცით ნება შვილი გამოვიტირო.

მისცეს ნება.

ის შვილს ჩაეხვია, ვითომ მოთქვამდა, ისე კი ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: — როგორც ვინმე დაინახო, თავი მოიმკვდარუნე, საღამომდის გაძელი. საღამოს ადგილი მოიცვალე, ტყეში შეხოხდი როგორმე, გამაგრდი, წყლული საშიში არ არის, — წამლები ჩაუდო მოხერხებულად. — ვინმე ღვთის კაცი გამოივლის, მოგივლის, მე ტყვედ ვარ ჩავარდნილი, ნუ შეგეშინდება თავს როგორმე დავიხსნი.

განშორდა თინა შვილს, ყოჩაღად მისდევს დამატყვევებელთ. აგერ სხვა ტყვეებს შეურიეს ის. ქართველთა შორის მაინც უფრო კარგად იგრძნო თავი. სულით მაინც არ დაეცა, მის გულში კიდევ იმედის სხივი კიაფობდა.

დამარცხებული ერეკლე აოხრებულ საქართველოში დარჩა: აღა-მაჰმად-ხანი კი, გაძღა რა ქართველთა სისხლით, ლამაზი და გაშენებული დედაქალაქის აოხრებით, მალე წავიდა საქართველოდან.

მოხუცი მეფე—სარდალი ისევ შეუდგა თბილისის აღდგენას, საქართველოს გაერთიანებას, რომელიც თავადთა შინააშლილობის გამო ქუცმაცდებოდა.

ყოველ დღე ახალ-ახალ დანაკლისს იგებდა მეფე, ვინ ემსხვერპლა კრწანისის ბრძოლას, ტყვედ ვინ ჩავარდა, ვინ უღალატა სამშობლოს, ლაჩრულად ვინ გაექცა ბრძოლის ველს.

მას მოახსენეს, რომ თინა წავკისელიც ტყვედ ჩავარდაო. მეფეს ძლიერ ეწყინა, დაიბარა თინას ქმარი და უსაყვედურა, რად არ შემატყობინეო. ფიქრებში წასულმა თქვა: — მეც რად ვერ შევამჩნიე, იმ უბედურების შემდეგ არსად მომიკრავს თვალი. — მეფემ ამოიოხრა.

—სად გეცალათ, ბატონო, ასეთი პატარა საქმისათვის, — მოკლედ უპასუხა გლეხმა, რადგან მეფის გულის ჭრილობის გახსნას ერიდებოდა.

—ეხლავ შეუდექით თინას გამოხსნას, რაც არ უნდა დაჯდეს! ფულით მე დაგეხმარებით,—პირად მდივანს უბრძანა, ყველა ზომა მიეღო, გმირი ქალის ტყვეობიდან დასახსნელად.

რამდენიმე თვის შემდეგ ტყვეობიდან გამოსულიყო თინა, ოჯახში მისვლამდე მეფეს ეახლა, მუხლები დაუკოცნა, თუმცა გმირი იყო, ცრემლები ვერ შეიკავა. ერეკლემ ააყენა თინა, შვილივით გულში ჩაიკრა და თითონაც ცრემლები მოერია.

თამრო ვაშლოვანელი

პატარა თამრომ მოხუცი გადიას ოთახში დილით ადრე გამოიღვიძა, მიიხედ-მოიხედა და, დედა რომ ვერ დაინახა, ტირილი დაიწყო. დედას დაუძახა, მის ხმაურზე, გადია მზისავარი ოთახში დაღვრემილი შემოვიდა.

— გაყუჩდი, გოგო, ნუ სტირი, დედაშენი მალე მოვა.

— სად წავიდა? მეც მასთან წავალ!

— გეუბნები მალე მოვა, ქალებთან ერთად სამუშაოდ წავიდა.

— მეც წავალ სამუშაოდ დედასთან. — ეტიტინებოდა ნამტირალევი თამრო გადიას.

მზისავარმა ჯიბიდან ნაზუქის ნატეხი ამოიღო. — ჰა სჭამე. მანამდე დედაც მოვა — გულში კი გაიფიქრა, მეტად არ მოსულიყოს სპარსელი ჩვენს მიწა-წყალზე, როგორც დედა-შენი აწი შენ ვერასოდეს ვეღარ ნახო. ბავშვს კი უთხრა:

— სიცივეა, შვილო, ჯერ იწექი. მე კიდევ მოგიტან კაკას. — გადია სამოახლოში შევიდა. მას ქალები შემოეხვივნენ:

— რას შვება საწყალი გოგო?

— გოგოს რა უჭირს, თქვენი ჭირიმე, ტკბილეულს და სათამაშოებს მივცემთ, მოვეფერებით და დედაც დაავიწყდება, ბალღია. თქვენ იკითხეთ, მისი საცოდავი დედა, დედამ უნდა იტიროს მის სიცოცხლეში.

— უბედურ დედას, სამშობლოს მოშორებულს, შვილის დამკარგველს რა დაამშვიდებს, — თქვა ერთმა მოახლემ.

— მაინც რა ბოროტია, რა ვერანია ჩვენი ბატონი, — ჩაურთო სიტყვა მეორე მოახლემ, — უბედური ქალი, რამდენი ევედრა, ან თან გამაყოლე ბავშვი, ან აქ მიმსახურეო, სამი კაცის შრომას გავწევო, არ გასჭრა მუდარამ. ვერ მოულბო გული ბატონს მისმა ვედრებამ.

— ვერ გაწევდა თუ? ახალგაზრდა არ არის თუ, მაგ ცოდვის შვილი. თამრო რომ გაუჩნდა, 18 წლისაც არ იყო.

— რა უბედურ საათზე ვართ დაბადებული, — განაცხადა მზისავარმა, — რანაირად ტრიალებს ყმა ქალის ბედი, ჯერ იყო და ქმარი ლეკებმა მოსტაცეს, თვითონ ფეხმძიმედ დარჩა. მაშინ ბატონსაც ეხვეწა, ქალბატონსაც შეუჩნდა, იქნებ გამოიხსნან ტყვეობიდან ქმარიო, მაგრამ ბატონს მაგისთვის სად ეცალა. შემდეგ თამრო შეეძინა. მას სულ უნდა ემუშავა. ბავშვს მე ვპატრონობდი,

ვუვლიდი. მშვენიერი გოგონა დადგა, 5 წლისა მოიყარა. აწი მაინც დავისვენებო, იფიქრა საწყალმა ქალმა და თავზე ახალი უბედურება დაატყდა. იმ შეჩვენებულმა სტუმარმა მაინცა და მაინც მას დაადგა თვალი, არ მისცა ბატონს საშველი, მომყიდე, მომეცი ეს ქალიო, რას არ დაპირდა: ცხენს, მეძებარ ძაღლებს, თოფს და ფულს, — რად გინდა, კაცო, ეგ ქალი, საწყალია, რაში გამოდგებაო. უპასუხებდა ჩვენი ბატონი.

— რატომღაც თვალში მომივიდა, შესამჩნევი ქალია, უპასუხა იმ ბოროტმა. ცოტა ხანს ჩემთან გავაჩერებ ვაპატივებ, გამოკეთდება. ლამაზი ქალების შეკვეთა მაქვს ირანიდან. იმათში გავურევ, მე და ჩემმა ღმერთმა, ერთი ქალიც ვერ აჯობებს ხანის ჰარამხანაში.

— მართალია! ამ ქალს `პატარა გოგო ყავს, მასზედ ლამაზი, ცოტა რამე დამიმატე და ორივე წაიყვანე. უთხრა პირშავმა ბატონმა სტუმარს.

— არა, გეთაყვა, ბავშვები რა ოხრად მინდა. ბავშვი შენ გყავდეს, გაიზრდება და ფული ეღირება.

— მეფე ერეკლემ რომ გამიგოს ყმების გაყიდვა, სასტიკად დამსჯის.

— რას გაიგებს, მეფე რომ ყველაფერს გებულობდეს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სათავადოც აღარ იქნებოდა,—სთქვა სტუმარმა და ორივემ გულიანად გაიცინეს.

დედა-შვილის ბედი გადაწყდა. ისინი სამუდამოთ ერთმანეთს დააშორეს.

— ოი, შვილო თამრო, — ჩაერია ერთი ხნიერი დედაკაცი ლაპარაკში, — რა დღე მოელის შენს ლამაზ დედას იმ ურჯულოთა ხელში. რამდენი წვალება უნდა აიტანოს, რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა. ალბათ არც შენ მოგელის უკეთესი დღე. ვინ იცის სად გაგყიდიან და ვის ხელში ჩავარდები,—და ცრემლები გადმოღვარა.

ქალებმა თანაგრძნობით გადახედეს მას. ყველას მოაგონდა მისი მწუხარება, რომ სამი შვილიდან არცერთი არ ყავდა ცოცხალი.

ქმარი და ვაჟი ომში მოუკლეს, ხოლო ორი, ერთი მეორეზე უკეთესი გოგონა, მოურავმა სპარსელებს მიყიდა. ბოგანოდ დარჩენილი დედაკაცი კი პურის მცხობლად წამოიყვანეს სასახლეში.

— ამნაირად ქრება გლეხის ოჯახი, რა ვქნათ, ბეჩავნი ვართ,— ამბობს მზისავარი, — ვენაცვალე ჩვენს მეფეს, ვერ აუვიდა ამათ ბოროტებას.

პატარა თამროს, მართლაც, დაავიწყდა დედა, მზისავარის მადლიანი ხელი მას სითბოსა და სიტკბოში ზრდიდა. ჯანღონით სავსე, ლამაზი გოგო დადგა თამრო. 10 წლის თამრო ისეთი ღონიერი იყო, რომ არა თუ თავის ტოლებს, მასზე უფროსებსაც სჯობნიდა ჭიდაობაში. თამროს მესაქცევად ახალგაზრდებს ჭიდაობა გა-

ამართვია. როგორც ბატონი, ისე სხვები დიდად გააკვირვა თამროს გარეგნობამ და ძალღონემ.

— ხომ დავიღუპებოდით, ეს გოგო რომ დედამისთან ერთად გამეყიდა. ამაში დიდ ფასს ავიღებ, ჯერ გაიზარდოს, დამოწიფულდეს. გაიფიქრა მან და მზისავარს უბრძანა, თამრო პატივში ყოლოდათ.

თამრო ჭიდაობას გარდა. თოფის სროლასა და ფარიკაობაშიაც დიდ მიდრეკილებას იჩენდა.

— გოგო, შენ ბიჭად უნდა დაბადებულიყავი, ტუქსავდა მზისავარი, — რა ქალის საქმეა, რასაც შენ აკეთებ! სირცხვილია.

— ეხ, ბებო, თამრო გენაცვალოს, ჩვენ, ქალებს, უფლება ვინ მოგვცა. სინაზე და მორცხვობა რა გლეხი ქალის საქმეა. დედაჩემი თავადის ქალივით ნაზი და ლამაზი ყოფილა, მერმეთ რა გააკეთა მისმა სინაზემ? კრავივით წაიყვანეს და გაჰყიდეს, ერთიც არ გაუბრძოლებია, მე რომ ვყოფილიყავი მის ადგილს, ყველას ერთმანეთს მივასრესდი, ჩვენს ბატონსაც და იმ ურჯულოებსაც.

— თამრო, სრულებით არ გახსოვს დედის სახე?

— ძლივს, ბებო, სიზმარივით, ოხ, როგორ მომინდება ხოლმე მშობლიური ალერსი. სიყვარული, როცა ჩემს ტოლებს დედებთან დავინახავ, გული დამეთუთქება, ტირილი მომინდება. ნეტავი, სად არის ახლა დედაჩემი და მამა, ნეტავი თუ ცოცხლებია, მინდა ისეთი ღონიერი გავხდე, გლეხის მტრები ლეკი, თათარი და მებატონე ერთიანად გავწყვიტო. ისინი ვინც მე მშობლები წამართვა, ვინც ამდენი უბედურება მოგვიტანა. შენ კარგი გჭირს მაგათ ხელიდან? ყველას, ყველას ბატონები ტანჯავენ, ლეკებზე უარესნი არიან, ყიზილბაშებზე უარესნი.

— კარგი, შვილო, არავინ გაიგონოს, ჯერ ბავშვი ხარ, ცხოვრება გაუტანელია, მოგთრგუნავს, დაგიმორჩილებს.

— არასოდეს, არასოდეს, ბებო, — და თამრო ბებოს გადაეხვია, გულში ჩაიკრა.

— გოგო, როგორ აიშვი ტანი, ჩემზედ მაღალი ხარ, — ეუბნება მზისავარი თამროს და სიყვარულით შესცქერის მის გაბადრულ სახეს, ჯანღონით სავსე მკვრივ ტანს.

„როგორ უციმციმებს თვალები, როგორ შემოგრაგნია მის მაღალ შუბლს ხვეული თმები, — ვაიმე შვილო, ვინ შეგარჩენს მაგ სილამაზეს და სითამამეს“, — გაიფიქრა საწყალმა მზისავარმა და ოთახიდან გავიდა.

* * *

— ეს როგორ ერთობ თავხედია, ამაყია, — უთხრა სოფელ ვაშლოვანის ბატონმა მოურავს, — ასეთი გულადი და შეუპოვარი ყმა სხვა ახალგაზრდებს გაგვითამამებს, გაგვირყვნის.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო, მაგ ბარტყი, შემდეგში ძნელი დასამორჩილებელი იქნება. რამდენჯერ შევესწარი, ჩაჯდება გოგო-ბიჭებში და ყველას თქვენს წინააღმდეგ ამხედრებს. ჩემს დანახვაზე საქმეზე გაიქცევიან, ეს კი შეუპოვრად დამიდგება წინ, თვალს თვალში გამიყრის და ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის.

— ო, როგორ გათავხედებულა, ეს გომბიო! — შენ რას ფიქრობ, მოურავო! მაგისი გაყიდვაც გაძნელდება, ისეთი ვაივაგლახს შექმნის, ქვეყანას შეყრის, ამ ამბავს მეფის ყურამდე მიაღწევინებს, მთლად დაგვღუპავს.

— მართალია, მაგას სხვა რამე უნდა მოვუხერხოთ, ფრთხილად ვიმოქმედოთ. ჰო, მართლა, ბატონო, რა მომაგონდა, ქართლში რომ განთქმული ყაჩაღია, ის მოგვიგვარებს ამ საქმეს, ისე გააქრობს, რომ კაცი ვერ გაიგებს ვერაფერს.

— ვიცი, ვიცი ვიზედაც ამბობ. კარგი ვაჟკაცის სახელი აქვს. ჰო, ის თუ დაიმორჩილებს მაგას, შემდეგ ან ლეკებს მიჰყიდის, ან თათრებს. შენ იცი, მოურავო, შეარჩიე დრო. როგორმე მომაშორე თავიდან ეს ქალი, მთლად იაფ ფასშიაც ნუ დაკარგავ.

ასე უბრალოდ და მარტივად გადაწყდა თამროს ბედი. სულ მოკლე ხანში იგი ბატონის ოჯახს დიდი მანძილით იყო მოშორებული. მეორეჯერ მოგლიჯეს მშობლიურ კერას, ჯერ ხომ მშობელ დედას მოაშორეს სამუდამოდ და ახლა გამზრდელ საყვარელ გადიას.

თამრო ვერ შეეგუა ყაჩაღის ბატონობას, მის მბრძანებლობას, გამოეპარა მას და ისევ ვაშლოვანში გაჩნდა. მან ერთ კვირაში ყველა მეზობელი სოფელი: ატენი, კირწნისი-მარანა, შრიარა, მოიარა, გორშიაც ბევრჯერ ავიდა.

ახლა თავისუფალი იყო, ბატონი არ ყავდა. მისი ოცნება და მიზანი იყო ლეკ-თათრებისაგან დაეცვა დაბეჩავებული გლეხობა, აელაგმა მებატონეები. იშოვა კიდეც მომხრეები—გლეხის ქალები.

— ამომიდექით, გოგოებო, მხარში, შევკრათ ქალთა რაზმები, დავიცვათ ჩვენი სოფლები მოთარეშე ლეკებისაგან. მეფე-ბატონს ვთხოვოთ დახმარება, იარაღს მოგვცემს. ხომ გაგიგონიათ, როგორ ეხმარებოდა ის მაია წყნეთელსა და თინა წავკისელს.

თამრომ მალე მოაგროვა თანამგრძნობი გლეხი ქალები. მეფის ბრძანებით თოფ-იარაღიც მიიღო და ვაჟკაცებივით შეაიარაღა ისინი.

— ჩვენ, გლეხის ქალებმა, უნდა მივბაძოთ მაიას, თინას, მეფის რძალს ქეთევანს, რომლებიც ვაჟკაცივით იბრძოდნენ. ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ თავდადებით, ვიხსნათ მტრისაგან აწიოკებული გლეხობა!

მას თვითეულ სოფელში ყავდა 10-15 ქალისაგან შემდგარი რაზმი, მორიგეობით კვირაში ერთხელ ჩამოუვლიდა მათ და წვრთნიდა, ბრძოლისათვის ამზადებდა.

ერთხელ ვაშლოვანს მოთარეშე ლეკები დაესხნენ თავს, თამარმა თოფ-იარაღი აისხა, სოფლებში კაცი აფრინა და სანიშნო სროლაც ასტეხა—მაღლობიდან ზედიზედ ხუთჯერ გაისროლა. ამით ის მეზობელ სოფლებს ნიშანს აძლევდა, საბრძოლველად მოემზადეთ და დანიშნულ ადგილზე შეიკრიბეთო.

განუწყვეტელ ნაკადათ მიედინებოდა ხალხი შესაკრებ ადგილისაკენ. მოდიოდნენ, ვის როგორ შეეძლო ცხენით, ფეხით, რომ ეხსნათ მშობლიური კერა მოთარეშეებისაგან.

ყველგან გაისმოდა თამარის ვაჟკაცური ხმა, ბრძოლის წყურვილს უღვიძებდა ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას.

ამ ქალის უნარიანმა სარდლობამ და ხალხის თავგანწირულობამ გადასწყვიტა ბრძოლის ბედი. ლეკები არ ელოდნენ ასეთ ერთსულოვან წინააღმდეგობას და მცირე მსხვერპლის გაღებისთანავე გაიქცნენ, ქართლის საზღვარი დატოვეს.

გამარჯვებულმა თამრომ აუარებელი ნადავლი, ცხენი და იარაღი წაართვა მოთარეშე მტერს, ის ამ ნადავლს რაზმის წევრებსა და ქვრივ ობლებს აძლევდა. გლეხები თამროს ქება-დიდებაში იყვნენ, მის მზეს ფიცულობდნენ.

კიდევ უფრო დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა თამრომ ოსმალებთან ბრძოლაში. ეს ის დრო იყო, როდესაც ადარბადაგანის ხანები ერეკლე მეფეს გადაუდგნენ და ოსმალთა სამსახურში შევიდნენ. ისინი წვრილ-წვრილ თავდასხმებს აწყობდნენ, ქართველთა მიწა-წყალზე დათარეშობდნენ.

თამარი თავისი რაზმებით მოთარეშე ოსმალებს ანადგურებდა, მათთან ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

გლეხობას თავის მოსარჩლე თამრო უყვარდა, მაგრამ ის ბატონებს ეჯავრებოდათ. თუმცა არა ერთი და ორი მებატონე გადაურჩენია თამროს და მის რაზმელებს ლეკების აწიოკებისაგან, ლეკები ხომ ბატონების ოჯახებსაც ეტანებოდნენ სათარეშოდ. ეს გმირი გლეხის გოგო მაინც თვალში ეჩხირებოდათ, მისი კიდეც ეშინოდათ, ვერ შერიგებოდნენ მის ვაჟკაცურ გამბედაობასა და გამჭრიახობას.

— ჩვენს გლეხებს ძალიან უყვართ ეგ გოგო, პირდაპირ აღმერთებენ, მისი სიტყვა ხალხისათვის კანონია, ერთ მშვენიერ დღეს, რომ მოისურვოს ჩვენი ოჯახების ამოწყვეტა, ხალხი სისრულეში მოიყვანს მის გადაწყვეტილებას. — შესჩიოდა ატენის მებატონე ვაშლოვანისა და სხვა მეზობელი სოფლების თავადებს.

— ნამდვილი მეამბოხე ქალია, ბატონო, — დაემოწმა მოსაუბრეს მეორე თავადი, — თუ გაიგო ყმის დასჯა ან გაყიდვა, ერთ ალიაქოთს ასტეხს, იმ წუთში მეფეს აცნობებს. მოურავებს ჩვენზე უფრო თამროსი ეშინიათ.

— არა, ამ ქალს რაიმე უნდა მოვუხერხოთ, თავიდან უნდა მოვიშოროთ, თორემ ხალხს აგეიჯანყებს, აგვაწიოკებს.

— მართალი ბრძანდებით, ყოველთვის მეფესაც ვერ ვუყურებთ თვალებში, თორემ ამ გომბიოს როგორ ვეფეროთ.

— აბა აწყენინე, თუ ვაჟკაცი ხარ, — განაგრძო საუბარი ატენის მებატონემ, — ოჯახს გადაგიბუგავს, გლეხებს აამბოხებს. სულ თამროზე შეთხზულ ლექსებს მღერიან, მას ადიდებენ. თავიდან უნდა მოვიშოროთ, მაგრამ როგორ? გაყიდვით ვერ გავყიდით, მეფე დაგვსჯის.

— რა თქმა უნდა დაგვსჯის, ძალიან ეხმარება მეფე.

— ვერც მოვკლავთ, მეფე ყოველივეს გაიგებს, აგვყრის, ყველაფერს წაგვართმევს.

თავადების გონება ვერ ჩაწვდომოდა იმ აზრს, რომ მათი საქციელი, მათ კლასობრივ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

მეფე ერეკლე იმდენად მფარველობდა თამრო ვაშლოვანელს და მის მიმდევარ გლეხობას, რამდენადაც მათი საქციელი ემთხვეოდა თვით ერეკლესა და თავადების კლასობრივ ინტერესებს. ჭკვიანმა მეფემ კარგად იცოდა, გლეხების მიზიდვით ის სახელმწიფოს ამაგრებდა. გაჩანაგებული და ხალხისგან დაცლილი სოფლებით სახელმწიფოს ვერ გაამაგრებდა. ხოლო ეს ნიშნავდა ფეოდალური წესწყობილების დასუსტებას.

ვაშლოვანის, ატენისა და სხვა სოფლების მებატონეებმა გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ გლეხობის მოსარჩლე, მეამბოხე ქალი, რომელიც ხალხის მხარდაჭერით ვაჟკაცურად იბრძოდა როგორც ლეკ-თათრების, ისე მებატონეთა წინააღმდეგ.

ეს საქმე მიანდვეს ერთ-ერთი მეზობელი სოფლის მებატონეს, რომელსაც ისე უნდა მოეგვარებინა საქმე, რომ მეფეს არ გაეგო თამროს მოკვლა და მებატონეებიც გლეხების რისხვასაც აცდებოდნენ.

მთვარიანი ღამე იყო. თამრო მტკვრის პირას იდგა იქ, სადაც მტკვარს ლიახვი უერთდება, დაღლილი იყო, დაჯდა ხის ძირას და ღრმა ფიქრებს მიეცა.

გატაცებით უსმენდა მდინარის შხუილს—მოლიკლიკე პატარა ზვირთებს. ატკბობდა ბუნების იდუმალება და სიმშვიდე, რომელსაც მხოლოდ ლიახვის შხუილი არღვევდა, მტკვარს შეერთებული დუდუნად იქცეოდა, დედაქალაქისაკენ მიედინებოდა.

ბუნების სიდიადემ თამრო ფიქრებში ჩაძირა. ბუნებასთან შედარებით უღონოდ და პატარად იგრძნო თავი.

მას მოაგონდა თავისი ცხოვრების განვლილი გზა, ობლობა, დედის გაყიდვა, ტლანქ და უსულგულო ყაჩაღთან ცხოვრება და იქიდან გამოქცევა. მხოლოდ მამულის დაცვა და ხალხის სამსახური უამებდა მოგონებას. ახლა იმაზედაც დაფიქრდა, ერთგულმა გლეხებმა როგორ გააფრთხილეს: — ბატონები მოკვლას გიპირებენ, ფრთხილად იყავი, ქვეითად და მარტო ნუ ივლიო.

— ვერაფერსაც ვერ დამაკლებენ ბატონები. და თუ რამე ცუდი დამმართეს, ჩემი რაზმელები და ერთგული გლეხები ჩემს სამაგიეროს გადაუხდიან.

თამრო ადგა, ფიქრებისგან გამოერკვა. მდინარის ნაპირს გაჰყვა. ფონს ეძებდა, წყალში შესვლა დაეზარა და ისევ ვაშლოვანის გზას დაადგა. უცებ სამი შეიარაღებული ცხენოსანი წინ გადაუდგა.

— გაჩერდი, თორემ გაგათავე! — შესძახა ერთმა და მკერდზე თოფის ლულა მიაბჯინა.

— რამ შეგაშინათ, თქვენ ლაჩრებო, გაჩერებული ვარ, ვერ მიცანით? თამრო ვარ ვაშლოვანელი.

— სწორედ შენ გვინდოდი, შენ გეძებდით! — ამ სიტყვებით ორი მათგანი ცხენებიდან სწრაფად ჩამოხტა და თამროს ხელები გაუკავეს. თამრო მიხვდა, რასაც უპირებდნენ და თავგანწირვით გაიბრძოლა, მომხდურებს ხელიდან გაუსხლტა და ცხენისაკენ გაექანა, მაგრამ ხელმეორედ დაიჭირეს, მიწაზე დასცეს და ხელფეხი შეუკრეს.

— აი, შე ეშმაკის კერძო, ვერ გაძეხი ჩვენი სისხლით, მაგრამ ამაღამ გაგაძღებთ მტკვრის წყლით. სად არიან შენი ერთგული გლეხები? ახლაც მოგეხმარონ, გიხსნან, როგორც შენ იმათ ექომაგები! — ეუბნებოდა ერთი მათგანი და შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

— თქვე ქალაჩუნებო, ლაჩრებო, სად გაგონილა, სამი ერთზე მივიდეს ბრძოლაში, თათრები ხართ თუ ლეკები, ამას ჩემმა მზემ ისინიც არ იკადრებენ, თქვენ კი ქართველის სახელს ატარებთ, შერცხვეს თქვენი ვაჟკაცობა! აბა მობრძანდით თითო-თითოდ.

— ენა ჩაიგდე, დედაკაცო, შენი სიცოცხლის წუთები დათვლილია, სჯობია, სული უფალს შეახვედრო.

— შე გლახა, ლაჩარო, ერთ ქალთან საბრძოლველად ფარულად სამი ვაჟკაცი მოსულხართ, ღმერთსაც იმოწმებთ, თქვენ ღმერთი სად გყავთ, ან სინდისი ვინ მოგცათ, სამშობლოს მოღალატენო, მეფისა და ერის შემრცხვენნო.

— ასწიეთ, ასწიეთ! — დაიძახა ერთმა, — მაგას თუ ვაცალეთ, მთელი ღამე. ილაქლაქებს.

— ამწიეთ, ამწიეთ თუ ბოლოს არ დაგიმძიმდათ თქვენი ნამოქმედარი:

სამი კაცი ძლივს მიათრევდა ხელფეხ შეკრულ გმირ ქალს.

თამროს ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა. არც შიში უგრძვნია, არც ვედრება, არც ქედის მოხრა. როდესაც მდინარის პირას მიიყვანეს, ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ წყალში უპირებდნენ გადაგდებას.

— ფუ, სირცხვილო, რა უღირსი შვილები ჰყოლია ჩემს სამშობლოს, თქვენ ქართველის სახელს არცხვენთ, ლაჩრებო, სულ-

მდაბალნო... — მეტის თქმა თამროს აღარ აცალეს, მაღლა ასწიეს და მტკვრისა და ლიახვის ზვირთებში გადაისროლეს.

მისი გვამი ხალხმა მოსძებნა, თრიალეთის დიდ საყდარში წაიღო და იქ დაასაფლავა. დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. ხალხი ღელავდა, ბობოქრობდა! რაზმელები შურისძიებით იმსჭვალებოდნენ. ბევრი მებატონე თამარის დასაფლავებას არ დასწრებია, ეშინოდათ ხალხის რისხვისა.

ხალხმა თამროს საბედისწერო სიკვდილი ახალი ლექსით შეამკო:

„ეს გმირი ქალი ქვეყანას, ასე ემსხვერპლა ზვარაკად
მისი უკვდავი სახელი დღეს ხალხში დარჩა არაკად,
ხალხის სიმღერად გადიქცა, ხალხის სიკეთის მოყვარე,
გომურის კარზე გაზრდილი, მშრომელი გლეხის მოგვარე,
მაია, თინა და თამრო ერთი ოჯახის დებია,
მათი სახელი მუდამჟამს, სამშობლოს შედედებია.
სულ მტკიცდებოდეთ, მხნეობდეთ, მათი გმირობის მნახველი!

მ ა დ ი ნ ა

აფხაზი მანჩა ჯონუა კარგი გარეგნობის ახალგაზრდა ვაჟი იყო, ჩინებული ცხენოსანი, მომლხენი, შრომისმოყვარე.

არა ერთი თანასოფლელი გოგონას გული აუძგერებია მის სიმღერას, ცეკვა-თამაშს.

როდესაც ის მარულას შემდეგ ჯარიანობაში ხმლებით ცეკვას დაიწყებდა, ან ცეკვის დროს, ციბრუტივით. დატრიალებული, მოულოდნელად „ყირიმს“ ისროდა, ყველანი სახტად რჩებოდნენ, მისი მოქნილობითა და სიმკვირცხლით გაკვირვებულნი.

რა რიგ ეხერხებოდა საგმირო სიმღერები. მისი მაღალი მორაკრაკე ხმა გულში წვდებოდა ნარნარ აფხაზ ქალებს.

მანჩა კარგად ამჩნევდა ლამაზმანების ეშხიან თვალებს, გულის მწველ ისრებს, მაგრამ არ იმჩნევდა, უყურადღებოდ სტოვებდა.

ჰეშმარიტად „სხვაგან ქროდა“ მისი გონება, სხვას ეკუთვნოდა მისი გრძნობა.

რამდენი სცადა მანჩამ იმ გულცივი ქალიშვილის — მადინას სახე გულიდან ამოეგდო, ვერ მოახერხა. ჭაბუკობაში ჩანერგილი სიყვარული თანდათან იზრდებოდა. მანჩას ის აგერ უკვე კაცობაში შეჰყოლოდა, იქნებ სადმე მადინასათვის თვალი მოეკრა, მასთან ახლოს ყოფილიყო. თუ ბედი გაუღიმებდა, ერთ საზოგადოებაში მოხვდებოდნენ, მანჩა მაშინ უფრო კარგად ცეკვავდა, ხალისიანად მღეროდა.

არც მადინა იყო ვაჟისადმი გულგრილი. მხოლოდ თავის გრძნობის გამოჩენას ის ვერ ბედავდა. თუ როდისმე თავს ვერ შეიკავებდა, ვაჟს თვალს მიაპყრობდა და მანჩა ამ მზერას დაიჭერდა, ქალი თავს დახრიდა, გრძელი წამწამების ტევრს ცისფერ თვალებს ჩამოაფარებდა, რომ ვაჟს მისი თვალებიდან სიმართლე არ ამოეკითხა.

მადინას შვიდი ძმა ჰყავდა, კარგი ვაჟკაცები, იშვიათი მონადირენი.

მანჩა დიდხანს ვერ ბედავდა ვაჟებისათვის მოციქულები გაეგზავნა. მით უფრო, რომ სოფელში მას გაგონილი ჰქონდა: არც თვითონ მადინას და არც მის ძმებს არ ეჩქარებოდათ დის გათ-

ხოვება. სასიძოებს ზრდილობიანი უარით ისტუმრებდნენ: ერთი და გვყავს, ცოტა ხანი ქალიშვილობაში გაატაროსო.

ველარ მოითმინა მანჩამ და ქალის ძმებს სოფლის თავკაცები გაუგზავნა მოციქულებად — ღირსი გამხადეთ, თქვენი მეორე ძმა გავხდეო.

ძმებმა ითათბირეს.

თათბირს მათი წესისამებრ მადინა არ ესწრებოდა. გული კი ქალიშვილს შიშით გავსებოდა. წინაგრძნობა უთხრობდა, ის თათბირი მას ეხებოდა. და ვაი, თუ ისეთ ვინმეს მისცეს დასტური, რომელიც მას ეჯავრება. მხოლოდ ამ წუთში იგრძნო უსწავლელმა ახალგაზრდა ქალიშვილმა, რა ძნელი ხვედრი იყო ქალისათვის უუფლებობა. დაღონებული მადინა ფიქრს მიცემოდა...

აივანზე თოფი გავარდა. აღელვებული, ფერდაკარგული მადინა ზეწამოიჭრა. მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ასეთი თათბირის დროს თოფის გასროლა.

გამათხოვეს ნამდვილად, — გაიფიქრა მან. ნეტა ვიცოდე ვისზე? და სრულიად მოულოდნელად უცებ მანჩას სახემ და აღნაგობამ გაუელვა თვალწინ.

— არა, სჩანს არ ვუყვარდი. მოვტყუებულვარ. სად იყო ამდენ ხანს, რად მოასწრო სხვამ მოციქულების გამოგზავნა? — დაღონებული ქალი კედელს მიეყრდნო. უცებ კარები გაიღო. უფროსი ძმა — ოჯახის თავი კაცი შემოვიდა. დას ასე მიმართა:

— საყვარელო დაო, ხომ გაიგონე თოფის ხმა, კარგ კაცზე გაგათხოვეთ!

ქალი ქანდაკებასავით იდგა, თავი დაეხარა, გრძელი ნაწნავები წინ გადმოჰყროდა, ხმას არ იღებდა, სათქმელად გამზადებული საწინააღმდეგო სიტყვები ყელიდან ამოხეთქას ლამობდნენ.

ძმამ შეამჩნია დის მღელვარება, ასე გაიფიქრა: „რცხვენია გათხოვების, მიტომ ღელავს". მას კი, დედ-მამით ობოლს, მშობლიური გულთბილობით უთხრა:

— შენი საქმრო ისეთი კარგი ვაჟკაცია, ჩვენ გვჯობია. ნუთუ შენ არ იცნობ ქალიშვილების მომჯადოებელ მანჩა ჯონუას?

ქალი შეკრთა, გაწითლდა, უმალ თავი შეიკავა, მაგრამ ძმის გამოცდილ თვალებს რობდი გამოეპარა, რომ ქალის მღელვარების მიზეზი სიხარული იყო და არა მწუხარება.

— მაშ. ახლა დატრიალდი, სადილი გაგვიწყვე, მეზობელი გოგოები დაიხმარე. დასაკლავს ხირიპსი დაგიკლავს. საერთოდ ის ყველაფერში დაიხმარეთ.

ხირიპსი ყველაზე უმცროსი ძმა იყო.

— კი, ბატონო, ჩვენ ხომ ნანადირევიც ბევრი გვაქს, ყველაფერს მალე გავაკეთებთ!

მადინა მარტო დარჩა. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა ძვირფასი ყოფილა მანჩა მისთვის და სიტყვების უთქმელად როგორ დაუფლებია მის ამაყ და დაუპყრობელ გულს.

მსუყე შემოდგომა იდგა. შვიდი ძმის ჯონუების ეზო ხეებზე შერჩენილ ფოთლების ჩრდილით იყო დაფარული.

წკნელის სრულ სეფაში მასპინძლად ქცეული მეზობლები სუფრებს დგამდნენ. აქ-იქ ხის ძირას ახალგაზრდებს ცეკვა-თამაში გაემართათ.

ერთი ძველი ცაცხვის ძირში საქორწილო „თა

მხედრები ჭიშკართან გაჩერდნენ და სიკვდილის შემცხადებელი სიმღერით მანჩას ჭიშკარი გააღეს. ოჯახს მანჩას გმირულად დაღუპვა შეატყობინეს.

ჰადუ თითქოს გაქვავდა. გაფითრებულმა ლონე მოიკრიბა და მოსულებს შეეკითხა:

— როგორ მოკვდა! მითხარით, ტყვია გულში მოხვდა თუ ზურგში? თუ გაქცეულა, მე მის ცხედარს ეზოში არ შემოგატანინებთ.

დაამშვიდეს, დაარწმუნეს, რომ მანჩა ვაჟკაცურად მოკვდა.

ახლა ჰადუ, მხოლოდ მის მოსვენებაზე ფიქრობდა, საუკეთესო სასაფლაო ადგილი მიუჩინა მას.

ბრძოლა დროგამოშვებით შეწყდებოდა ხოლმე, ამით ისარგებლეს მანჩას ძმაკაცებმა და ცოლისძმებმა. ის თავის სახლში მიასვენეს, წინაპართა შორის მიაბარეს მიწას.

თუ ხანდაზმული დედა ასე მოიქცა, ახალგაზრდა მადინამ სულ სხვა გზა აირჩია სამშობლოს დასაცავად და შურის საძიებლად.

ქმრის დასაფლავების შემდეგ მას თითქოს ცხოვრების მიზანი დაეკარგა.

ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. მადინას შვიდი ძმა ჯერ უვნებელად იბრძოდა, ხოლო ბრძოლის ველიდან საზარელი ამბები გახშირდა. მტერი აფხაზეთს მუსრს ავლებდა.

მადინამ ციდობანიდან მანჩას ჩოხაახალუხი ამოიღო, დიდიხნის უხმარს ფერთხავდა და სწმენდდა. ეგერ-აგერ გარღვეულსა და სირმა აგლეჯილ ადგილებს ალამაზებდა. ძველი წუღა-მესტებიც გამონახა, გაწმინდა, არ მოეწონა. სადღაც კემუხტის ტყავები მოძებნა, ხანში შესულ მეზობლის ქალს მისცა შესაკერავად.

— რად გინდა, შვილო, ახლა ამის შეკერვა! ახალგაზრდა ხარ, სოფელი დაგცინებს, დედამთილს შენზე გული გაუტყდა, ქმრის ტირილის მაგივრად თავის გალამაზებაზე ფიქრობსო.

— რაც უნდათ ის თქვან, მე ასე მეჯირვება. შენ რასაც გთხოვ, ის გამიკეთე, თუ ჩემი ბიცოლა ხარ. კიდევ გთხოვ ერთ რამეს: შენს რძალს შემახვეწე, მოქსოვილი ხამი მქონდა, შეღებვა მინდა, მოდი ისიც შემიღებეთ და შარვალი შემიკერეთ.

— შენ, გეტყობა, რაღაც გიფიქრია, ნან, გირჩევ უფროსებს შეეკითხო. ის სამარვლე მომეცი, ჩემი რძლის ტანზე შევკერავ, ისიც შენი სიმაღლეა.

— კარგი, შენი ჭირიმე, მხოლოდ გთხოვ, არავისთან ერთი სიტყვა არ წამოგცდეს, ისე ჩუმად დამეხმარეთ. შემდეგ მე ყველაფერს გეტყვით, ყველას ვეტყვი, დასამალი რა მექნება, ვის გაუკვირდება ჩემი საქციელი.

საომრად გამზადებული მადინა ცხენს მიაგელვებდა და ბრძოლის ველზე სწორედ ისეთ დროს მივიდა, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებდა.

ქალი ყიჟინით ჯარში შეერია და გმირული ბრძოლა დაიწყო, რამდენიმე ოსმალო ერთი-მეორეზე მიაწვინა.

ვაჟკაცი ქალის გამოჩენამ ჯარი აღაფრთოვანა. თითქოს ყოველ მებრძოლს მკლავებში ახალი ძალა ჩაუყენა ქალის გამბედაობამ.

ძლიერი შეტევების შემდეგ მტერი უკან იხევდა. დაკავებულ ადგილებს ტოვებდა. გამარჯვებული აფხაზები ერთმანეთს ულოცავდნენ. მადინას შვიდი ძმა გარს შემოხვეოდა.

ᲐᲜᲐ

სადაც წულიში კონუსად აზიდულა სამეგრელოს მთიან სოფელ ჯვარში, ოდითგანვე ცნობილი ქვის საბადოებია. ცოტა მოშორებით იმავე მდელოზე ასამდე გლეხს მოეყარა თავი. მონგრეული ქვების გორაკები იზრდებოდა.

გორაკთან მდგომმა შუახნის ბრგე ვაჟკაცმა გლეხებს გადასძახა:

— აბა, ისე ჩამწკრივდით, რომ თქვენს შორის ერთი ნაბიჯის მეტი ადგილი არ დარჩეს!

სულ მალე ხალხი ასე დაირაზმა. პირველი ასეულის უფროსს ცხენოსანი კაცი დახვდა, რომელიც თავის ასეულს მწკრივში აყენებდა. სოფელ ჯვარიდან დაწყებული ადამიანთა მწკრივი თითქმის ოთხმოცი კილომეტრის მანძილზე იყო გადაჭიმული იმ ადგილამდე, სადაც ანაკლიის ციხის ჩამონგრეული კედლები ახლაც ამაყად გადმოჰყურებენ ენგურის შესართავის მიდამოებს.

საამშენებლო ქვა ხელიდან ხელში გადადიოდა და ასე განუწყვეტლივ ადამიანთა ხელები ქვებით ერთმანეთთან გადაჯაჭვული ანაკლიაში ჩადიოდა.

ასეთ აუტანელ პირობებში მუშაობა ხალხს უჭირდა, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი. ამ გზით აშენდა ანაკლიის ციხე-სიმაგრე, რომელიც სამეგრელოს ლამაზ კუთხეს მტრების თავდასხმისაგან იფარავდა.

ანაკლრის მიდამოები მდიდარი იყო თვალწარმტაცი ძველთა ძველი ტყეებით. ამ ტყეებით სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ გლეხებს. ვაი იმას, ვინც ტყეში ინადირებდა, ან ხეს მოჭრიდა. მას სამმაგ ტყავს ააძრობდნენ, თუ წინასწარ ბატონის მოურავი არ ეყოლებოდა მომადლიერებული.

იშვიათ შემთხვევაში დაისვენებდნენ ქვის მზიდავები. ანაკლიის დიდი ტყის შესავალთან, სადაც ის აკაფული იყო, ფართო ტოტებიანი ცაცხვისა და ჭადრის ქვეშ გაშლილი მწვანე მდელო იზიდავდა მათ.

პირაღმა გაწოლილი გლეხები ბუნების სიტკბოებით დამტკბარნი, წუთით ივიწყებდნენ თავიანთ დუხჭირ ცხოვრებას.

— ოჰ, ნეტავ ეს ხეები დამიდგა ეზოში. — ინატრა ახალგაზრდა ვაჟმა, რომელსაც ულვაში ძლივს აჩნდა.

— მერე რად გინდა, შე კაი კაცო, ისინი დაწყევლილია. ვინ იცის რამდენი გლეხი იქნება მაგ ხეებზე მიჯაჭვული და წამებული,—უთხრა დროულმა გლეხმა ამოოხვრით და ყალიონი გააბოლა.

— ბიჭო, ამ ხეებმა რომ ლაპარაკი იცოდეს, რას არ ვათქმევინებდი! — ჩაურთო სიტყვა მეორემ.

— იმაზე უარესს რაღას იტყვიან, რასაც თქვენ ამბობთ. მე ხაჯალურით დასჯა ჩემი თვალით ძინახავს. მეტს კიდევ რას დაუმატებთ, რაც ახლა ხდება.

— ბევრი რამ ვიცი ჩვენი ტანჯული ცხოვრებიდან. რომელი ერთი უნდა მოვიგონო? ხეზე მიჯაჭვამ გამახსენა ერთი ამბავი, ყური დამიგდეთ, მოგიყვებით,—დინჯად თქვა მოხუცმა გლეხმა.

— ორი ახალგაზრდა ყმა ჩხოლარიებმა ოსმალებს მიჰყიდეს. გათენებისას ყმებით მოვაჭრე უნდა მოსულიყო. გასაყიდი ვაჟები ღამით მოეყვანათ და ჯაჭვით მიებათ ხეზე.

დილით მოსულ მყიდველებს მიბმული ახალგაზრდები დასისხლიანებული და დასივებული დახვდათ—გველებს დაეგესლათ ისინი.

— ეხ, — გამოეხმაურა მეორე გლეხი, — შვილო, ჩვენც მოწმე ვართ, როგორ კიოდნენ აქ, ამ ტყეში, ბატონების მიერ გაყიდული ნამუსახდილი გოგოები. ეს კუთხე მთლიანად მორწყულია გლეხთა სისხლით, მიწა კი — მოკენჭილი ადამიანთა ძვლებით. ვინ არ დათარეშობდა ამ კუთხეში: ბერძენი, თათარი, ლეკი. ის იყო გლეხები მწარე მოგონებებში ჩაღრმავდნენ, რომ ასისთავის ხმა მრისხანედ შემოიჭრა ტყეში:

— სად ხართ, თქვე ოხრებო!

— მოვდივართ, მოვდივართ! — სწრაფად გამოეხმაურნენ გლეხები, თან ჩუმის ხმით წყევლა-კრულვა მიაყოლეს.

ასე აშენდა ანაკლიის ციხე, რომელიც გუშაგად ედგა სამეგრელოს. ვინ არ ეწაფებოდა აქ შემოსვლას, ვის არ ხიბლავდა ლამაზი და მდიდარი კოლხიდა. განა მართლა იქნებოდა ოქროს მატყლიანი ვერძი, რომელიც ლეგენდის მიხედვით არგონავტებმა გაიტაცეს? „ოქროს ვერძი“ იყო კოლხეთის სიმდიდრისა და სილამაზის გამომხატველი სიმბოლო.

ბევრჯერ აყვავდა ეს კუთხე და ბევრჯერ გაუკაცურდა. მკვიდრნი ესახლებოდნენ, აშენებდნენ, ხოლო შემოსეული მტრები ისევ ყველაფერს ანადგურებდნენ. ენგური, ბევრი რამის მოწმე, ერთგულად დარაჯობდა თავის მიერ განოყიერებულ ტყე-ველს, მხოლოდ მას არ უღალატნია უმწეოდ დარჩენილი კუთხისათვის.

როდესაც სოფლებს ზღვის მიზეზით უბედურება ეწვეოდა, ენგური ვერ შეებრძოლებოდა მის კალაპოტში ზღვიდან შემოჭრილ იალქნიან ხომალდებს, ის მრისხანედ მოიხედავდა უკან, ატორტმანდებოდა, მთებში დარჩენილ ღონიერ ტალღებსა და წყალ-

ვარდნილებს ეძახდა: — მოდით, მომეხმარეთ, კოლხეთში მტერი დაგვესხა გზა გადაუკრათ, არ შემოუშვათო.

ვერ წვდებოდა მთაში მომქუხარ ენგურს ბარიდან ასული ხმა. ბარში კი ბევრის მნახველი და გამოცდილი ენგური გმინავდა. კოლხი ვაჟკაცები მკერდით იცავდნენ მამა-პაპისეულ მიწა-წყალს, მათ ყოველთვის გვერდით ედგათ ქალებიც.

ვინ არ იცნობდა ანაკლიაში და მის ახლო-მახლო სოფლებში ანას, უჩარდიას ცოლსა და მეგობარს.

ანა და მისი ქმარი სამურზაყანოელი ზურაბ ანჩაბაძის ყმები იყვნენ. ლამაზსა და ახოვან ანას თვით ანჩაბაძე, მისი სტუმრები და მოურავიც ეტრფოდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ.

ანჩაბაძეს ვერ მოენელებინა, რომ ეს თვალშავა გოგო, მისი ყმა, უჩარდიას ცოლი ისე გახდა, მას არც კი გაუგია, თავისი უფლებით არ უსარგებლნია.

ანა არ იყო ისეთი მიამიტი და უნებისყოფო, ვინმეს მისი ნამუსი გაეთელა.

ანჩაბაძემ შეურაცხყოფილადაც იგრძნო თავი, რომ ასეთი „პატარა საქმე“ ვერ მოაგვარა. ძალადობას კი, რომელიც აურზაურს აუტეხდა, მოერიდა. ამიტომ გადაწყვიტა ქალი გაყიდვით დაესაჯა.

ანას ფხიზელმა გონებამ დასძლია ბატონისა და მოურავის ვერაგობას. მან გაიგო, რომ ბატონი ექადნებოდა. ქმარს გაუზიარა თავისი შიში, რის შემდეგ ისინი მუდამ მზად იყვნენ თავდასაცავად. ანა თავის პატარა შვილს, რომელსაც სახელად ნანია დაარქვა, ერთი წუთითაც თვალიდან არ იცილებდა, სათამაშოდაც არავის ანდობდა.

ერთხელ, მოულოდნელად, როდესაც ცოლ-ქმარს პატარა ნანიათი პატარა ქოხში ეძინათ, მათ თავს დაესხნენ, გააღვიძეს და ბატონის ოდაში აიყვანეს.

ანამ პატარა ნანია მოხუც გამდელს ჩააბარა და უთხრა:

— ბებია, ერთ საათს ბავშვი არ ამიტირო. ვგრძნობ, ამალამ კარგი არ მოგველის, შენ იცი, ჩემი შვილიც არ მიწამონ სასახლეში.

— ვაი ჩემს დღეს, რა უღმერთო და შეუბრალებელი კაცია ჩვენი ბატონი. კარგ დროს მოკვდა მაგის კეთილი დედა. მეც მაშინ მოვმკვდარიყავი, კარგი იყო, ამდენ ბოროტებას აღარ ვნახავდი,—ჩიოდა გადია.

ბატონის ოთახში ყმათა მყიდველი იჯდა.

ზურაბ ანჩაბაძემ ანას ახედ-დახედა და მიმართა:

— დედაკაცო, შენ ამ საათიდან შენი გომბიოთი ამ ოსმალოს ეკუთვნი. შენ კი, ყაძახო, წადი და ღორები მწყემსე, სასახლეში არ დაგინახო!

ამის თქმა და ორმა ხანჯალმა იელვა ოთახში. ანას მახვილი პირდაპირ გულში წვდა ბატონს, ხოლო მეორემ ოსმალო განგმირა.

სასიკვდილოდ განწირულების ყვირილზე, მოურავი და ყმები შემოცვივდნენ.

ანა მივარდა მათ და შეჰყვირა:

— თუ ხელი გაგინძრევიათ, ან ხმა ამოგიღიათ, ამათ გზას გაგაყოლებთ, გაგვიშვით, გზა მოგვეცით;

— ხანჯლებს ხომ ხედავთ? გლეხის პატიოსანი სისხლი თქვენ მაინც არ გიდუღთ? ცოდვას ნუ დაგვიმატებთ! შენ კი, აზნაურო, ხმა გაკმიდე, გეყოფა ცუღლუტობა, სხვისი ნაშრომით ცხოვრება, — თქვა ეს უჩარდიამ და კარებში დინჯად გავიდა.

ისინი იმ წუთსავე ბავშვიანად გაიქცნენ სამურზაყანოდან და გეზი თიქორის ტყისაკენ აიღეს. მათ გაეგონათ, რომ ამ მიდამოებში იყო კეთილი კაცი. ის თავადი არ იყო, მაგრამ ბევრი ყმა ჰყავდა შეხიზნული სხვადასხვა მებატონეებისგან, უსამართლობის მიზეზით გამოქცეულნი. ისინი აქ ესახლებოდნენ და მიწის ღალას შედარებით შეღავათიანად იხდიდნენ.

სწორედ განარჯია ხუფუნიას მიენდო ეს გაჭირვებული ოჯახი. მისივე დახმარებით დამკვიდრდნენ ისინი და ოჯახი ფეხზე დაუყენეს. ანა კიდევ ორი ვაჟის დედა გახდა. ვაჟები იზრდებოდნენ. ნანია კი თვალწარმტაცი ქალიშვილი დადგა.

ბიჭებმა თავიანთი თოხი და ბარი გაიჩინეს, ნანიაც შესაფერ სამუშაოზე შველოდა მათ. ოჯახი ღალასაც თავის დროზე იხდიდა.

გაუმჯობესებული ცხოვრების მიუხედავად ანამ მაინც ვერ დაისვენა. მის გულს ცეცხლად ედებოდა ის, რაც ანაკლიის სანაპიროებზე ხდებოდა, რომ ცხვრებივით იყიდებოდნენ ქართველი ახალგაზრდები; ყველაზე მოხერხებულ ადგილად ამ საქმისათვის ეს უბანი ითვლებოდა. ენგურით ჩამოყვანილი გასაყიდი ყმების დასამალი ტყეც ხომ იქვე იყო. ოსმალთა სანდლებიც მშვენივრად ადგებოდა სანაპიროს, ხშირად თვით ენგურშიაც შემოდიოდა.

ყველაფერი ეს ხელს უხსნიდა შინაურ და გარეშე მტრებს დიდძალი რაოდენობით გაეყვანათ ქართველი ახალგაზრდები სტამბოლის ბაზარზე. ესმოდა და იცოდა ყველაფერი ეს ანამ. გული უკვდებოდა, თვითონაც ხომ ახალგაზრდების დედა იყო, ეს კი ორპირ ცეცხლს აღვივებდა მის გულში.

ცხვრის ფარა ზაფხულობით თუ მთაში არ წავიდა, ცხვარი გაწყდება!!! ანაკლიის გაშლილ ველზე მებატონის ცხვრის ფარის ჩამორეკვას გაზაფხულიდან იწყებდნენ. იდგმებოდა დიდი კარავი მწყემსებისათვის, ფარეხები—ცხვრებისთვის.

მთელ ამ საქმეებს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მწყემსი ჯახუ, შავგვრემანი, ეშხიანი, ბრგე ვაჟკაცი.

ის თავისი მდგომარეობითაც უნდა გაცნობოდა და დაახლოვებოდა სოფელს. მართლაც, ერთ კვირაში ჯახუს მთელი სოფელი იცნობდა.

ქალიშვილებში ყველაზე უფრო ნანიამ დაიპყრო მისი ყურადღება.

ჯახუ თავისუფალ დროს სალამურს უკრავდა. შუადღეზე, როდესაც ფარა ჩრდილში ისვენებდა, ჯახუ და მისი ახალგაზრდა მწყემსები სიმღერა-ცეკვაში ატარებდნენ დროს. განსაკუთრებით ჯახუს სალამურის წკრიალს მთელი სოფელი მოჯადოებული ყავდა. ახალგაზრდა გოგონები, მოჰკრავდნენ თუ არა ყურს სალამურის წკრიალა ხმას, თავიანთი ქოხებიდან გამოცვივდებოდნენ და, ხეებს ამოფარებულები, დამალულად უსმენდნენ შავქოჩორა ჯახუს.

ჯახუმ თანდათან ნანიას გული დაისაკუთრა. დიდი ცაცხვის ძირი იყო მათი შეხვედრების ადგილი. საღამო ჟამს ჯახუ, როდესაც თავის საქმეებს მორჩებოდა, საქონელს დააბინავებდა, ფარას მორიგე მწყემსს მიუჩენდა, ძაღლებს აუშვებდა, ნანიას სახლს მიუახლოვდებოდა, დაბალის ხმით სალამურს ააკვნესებდა. სალამურის ხმაზე ნანია ბებერი ცაცხვის ძირში გაჩნდებოდა, რომ ჯახუს ალერსიანი სიტყვები გაეგონა. ასე მიდიოდა დღეები. სადაც იყო ფარაც მალე აიყრებოდა, ახალგაზრდების გული ღელავდა.

ერთ საღამოს ნანიამ ბევრი იცადა, სმენა გაამახვილა, მაგრამ სალამურის ხმა არ ისმოდა. ქალი შეშინდა, უბედურება რამე ხომ არ შეემთხვა ჯახუსო, და თავდავიწყებით ცაცხვისაკენ გაეშურა. იქაც არავინ დახვდა. ცაცხვის მაღალ ფესვზე ჩამოჯდა, ხელები თავზე შემოიდო და ფიქრს მიეცა. იქვის ჭია ღრღნიდა მის უმწიკვლო გულს.

მთვარიანი ღამე იყო. ქალს ვიღაცამ მძლავრად შემოაჭდო ხელები. მას პირველად ჯახუ ეგონა, გაბუტვას აპირებდა, მამაკაცს ახედა, ახედა და სატრფოს მაგივრად წვერულვაშაბურძგნული ოსმალოს ხელში მომწყვდეულად იგრძნო თავი, სასოწარკვეთით მიაკივლა. მეორეჯერ დაკივლება ვერ მოასწრო, თათარმა ჭუჭყიანი ჩვრებით აუხვია პირი.

ახალგაზრდა ქალი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა მას, მაგრამ პირველს მეორე ოსმალო მოეშველა. ქალი საჩქაროდ გათოკეს და ხის მორივით მხარზე გაიდეს.

ნანიას ყოველივე იმედი დაკარგული ჰქონდა, რომ უცებ სალამურის ხმას ყური მოჰკრა. ეტყობოდა, შეყვარებული დანიშნული ადგილისაკენ მიიჩქაროდა.

მთვარის შუქზე ჯახუმ შეამჩნია, ცაცხვთან მანდილი ეგდო. ხელში აიღო და იცნო, გულმა ცემას აუჩქარა, ნიშანი ცუდად ეჩვენა. სწრაფად მიმოავლო თვალი გარშემო და შეამჩნია ორასი ფეხის ნაბიჯის დაშორებით ვიღაცეები მიდიოდნენ, ფიქრის დრო არ იყო, შურდულივით დაედევნა უკან. ერთ ხელში შვინდის სახ-

რე ეპირა, მეორეში კი ხანჯალი. ტვირთიან ოსმალებს სირბილით დაეწია. მიხვდა ვინ მიათრევდნენ. თავი ვეღარ შეიკავა და მაგრად შესძახა:

— შეჩერდით, თუ სიკვდილი არ მოგნატრებიათ!

თათრები დაიბნენ. ვიდრე ისინი გონს მოვიდნენ, ჯახუ მათ ქორიკით დააცხრა, ჯერ ნადავლი მოაშორა, ქალს შეაჭრა ბაწრები, პირი აუხსნა, ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ დაბნეული აყაჩღები მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როდესაც ნანია ჯოხით ხელში და ჯახუ კი ხანჯლით მათ თავს დასტრიალებდნენ.

ჯახუმ საცოლე სახლამდე მიაცილა და იქ ასე უთხრა:

— ნანია, მე ამალამ შენს მშობლებს, რაც გადაგვხდა, უნდა უამბო და შენი თავიც გამოვთხოვო.

— უი ჩემს თვალებს, დედა თავს მოიკლავს, შენ ცაცხვის ძირში ვაეს როგორ ხვდებოდიო. — შემდეგ გაჩუმდა, მომდგარი ცრემლები მოიწმინდა და დაუმატა: — სიცრუე და ორპირობა არც მე მიყვარს, მერიდება მათი, როგორც ჯობდეს, შენ უფრო იცი.

ეზოში შესულ ახალგაზრდებს ანა წინ მიეგება. პატარა იჭვი წინათაც უკაწრავდა გულს. მის გამოცდილ თვალებს როდი გამოეპარა, რომ როდესაც მეზობლის გოგოები ჯახუს ყმაწვილკაცობასა და სალამურის რაკრაკს, ცეკვა-სიმღერას უქებდნენ, ნანიას ფერი ეცვლებოდა, ფითრდებოდა და უჩვეულოდ წითლდებოდა. ანა ქალიშვილის დაგვიანებას ამ ამბავს უკავშირებდა და ღელავდა.

ის ქალიშვილზე გულმოსული იყო, მაგრამ, როდესაც ნანიას გვერდით ბრგე ვაჟკაცი დაინახა, მასპინძლის ზრდილობა გაახსენდა, სტუმარს მიესალმა და სახლში მიიწვია.

— მართალია, ჩემს კაცს ძინავს, შენც გვიანი სტუმარი ხარ, მაგრამ სტუმარი ღვთისაა. — ცოტა ამრეზილად უთხრა ანამ.

— მეც ვიცი, ბატონო ანა, უდროო დროს მოვედი, მაგრამ დიდი საქმე მაქვს თქვენთან და კოჩობასთან, გთხოვთ ცოტა დრო დამითმოთ.

ერთი საათიც არ გასულა, ყველანი დაბალ სუფრას უსხდნენ და გემრიელ ელარჯს შეექცეოდნენ, ზედ არაყსა და ღვინოს აყოლებდნენ.

უკვე ყველაფერი ითქვა. სიმართლემ და ჯახუს კარგმა კაცობამ ყველანი მოხიბლა. ნანია დაინიშნა. გადატანილი შიში დავიწყებას მიეცა.

კოჩობა უჩარდიამ და ჯახუმ გადაწყვიტეს ამ დღეებშივე სოფლის საიმედო კაცებისთვის გაეზიარებინათ თავიანთი აზრი: ციხეში თავშეფარებული ტყვეთა მსყიდველი და მტაცებელნი იქვე ამოეწყვიტათ.

სანამ ამ თავდასხმას მოაწყობდნენ, ანას მოთმინება არ ყოფ-

ნიდა. ის დილაადრიან ადგა, აღმოსავლეთს თვალი მიაპყრო. ამო-მავალი მზე ჯერ კიდევ შუაზე გაჭრილივით ჩანდა, მაგრამ მისი შუ-ქი ისე ცეცხლივით მოსდებოდა ცის კაბადონს, კაცს ეგონებოდა, ცაზე ხანძარი აპირებს გაჩენასო. ანამ შეამჩნია, როგორ შემოვიდა ზღვიდან დიდი სანდალი მდინარე ენგურში და როგორ შეხვდა მას პატარა ნავი. ერთი წუთი და პატარა ნავი ისევ უკან გამობრუნდა, მას სანდალიც უკან მოყვებოდა.

ანა იმ წუთში ტყეში შევიდა, დიდ ცაცხვზე ავიდა და დაინა-ხა: რომ ტყისპირად მინდორზე ხელფეხშეკრული ახალგაზრდა ქალ-ვაჟები ეყარნენ, გრძელი ნაწნავებით ერთმანეთზე გადაბმუ-ლი გოგონები მტრედებივით ფართხალებდნენ, საუკუნოდ მონე-ბად განწირულები... მათრახებს ზუზუნი გაჰქონდათ, რომ გაყიდუ-ლი „საქონელი“ შიშის ქვეშ ყოლოდათ. მათი კივილი და ხმაური სოფლამდე არ აღწევდა. ისხდნენ ტყეში, ენგურის პირად ტყვეთა მყიდველები, სინჯავდნენ საქონელს.

ყოველივე ამ ამბავს უთვალთვალებს გლეხი ქალი ანა, სასო-წარკვეთილებაშია. არ იცის რით იხსნას განწირულნი, რა ხერხი მოძებნოს. ის კივის, გულშემზარავი, მეგრული მოთქმით აყრუებს მიდამოს.

მოვაჭრეთ ესმით ქალის წივილ-კივილი. ღელავენ, შიშობენ, მასპინძელი აზნაური ამშვიდებს:

— ალბათ, სოფელში მოკვდა ვინმე, ახლა ჩვენთვის ვის ეცლე-ბა. მყიდველნი ითვლიან ფულებს, და გამყიდველთ მისცეს.

უკან მოხედვაც ვერ მოასწრეს, რომ მათ წინ ხანშიშესული დედაკაცი აიმართა და ხმამაღლა დაჰკივლა. ტყიდან გამოცვივდნენ გლეხები თოფებით, ნაჯახებითა და წალდებით. მოულოდნელმა თავდასხმამ ოსმალნი შეაკრთო. მათი მასპინძელი, მეგრელი აზნაუ-რი მაშინვე ცხენისაკენ გაექანა. ძლივს მოასწრო ცხენზე შეჯდომა, რომ გზად დადევნებული ორი გლეხი დაინახა, იმ წუთს დამბაჩა მომართა და გლეხებს დასჭყივლა, — დაბრუნდით, თორემ ჩემი კარგი მამის სულს გეფიცებით, გაგათავეთო — გლეხები გამობ-რუნდნენ, ისევ იმათ მოსახმარებლად, ვინც ოსმალებს ებრძოდნენ და ტყვეებს ანთავისუფლებდნენ. ეს კივილი და ხმაური მწყემსე-ბამდეც მისულა. ჯახუ და მისი ამხანაგები გლეხებში გაერივნენ, იბრძოდნენ თავგანწირვით.

— აღა, ფული მაინც დაგვიბრუნე, ვიღუპებით — გლეხებმა დაიჭირეს ოსმალო და ხელფეხი შეუკრეს. გაძაგრულ ოსმალოებს ყველაფერი ჩამოართვეს. ზღვისაკენ წაათრიეს. ნავზე იალქნები აუგლიჯეს, შიგ თუ რამე ქონდათ, წაართვეს და ნავში ჩაჰყარეს, თან მიაძახეს:

— თქვენი ბინძური სისხლით ხელს არ გავისვრით, ხოლო თუ კიდევ გაბედავთ ჩვენს მიწა-წყალზე მოსვლას, ცოცხალი არ გა-დაგვირჩებით!

— ამ ახალგაზრდების მადლი გაცხონებს, ანა, რა მარგალიტივით გოგო-ბიჭებს გვართმევდნენ ეს ურჯულოები, — თქვა ერთმა გლეხმა.

— თქვენ ვერ ივარგეთ თვარა, ის წუპაკი კაცისპარია აზნაური უნდა მოგეკლათ. ხომ იცანით ვინ იყო?—შიმართა ანამ ხალხს.

— როგორ ვერ ვიცანით. არ ივარგებდა მაგისი მოკვლა, ბევრი ძმა ყავს შეჩვენებულს, მთელ სოფელს გადაბუგავდნენ, აგვაწიოკებდნენ. — მიუგო დინჯად უჩამ.

— კი მაგრამ დაგესიზმრა, ანა, რომ ტყვეებს ყიდდნენ, თუ რაფერ მიაგენი, თუ და ხარ,—შეესიტყვა მას ერთი ჭაღარა გლეხი.

— კი არ დამესიზმრა, შე კაცო. მე ერთხელაც შევამჩნიე ხალხით დატვირთული ნავი, ნაპირს მოშორებული, გულში გამკრა ფიქრმა, გაყიდული გოგო-ბიჭები არ მიყავდეთ თურქებს-მეთქი. მას მერე ხშირად ვზვერავ ამ ადგილებს. უკეთეს საქმეს რას გავაკეთებდი, ძმებო! ცოდვა არ არის, ალმასივით გოგო-ბიჭები რომ ურჯულოებს მიჰყავდათ მონებად. ის არგადასარჩენი ბატონებიც პირუტყვებივით ვაჭრობენ ადამიანებით, — შემდეგ ტყვეობიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს მოუბრუნდა,—თქვე გლახებო, როგორ ცხვარივით მისდევდით, რატომ თავი არ შეაკალით, როდესაც გასაყიდათ მიჰყავდით, თხები ხართ თუ ადამიანები. რამდენი კაცი მოგყვებოდათ და სად წავიდნენ?

— აზნაური ხომ ახლა გაიქცა, სხვები ადრე გაუშვა, და ასე დააბარა: — არ გაბედოთ იმაზე ლაპარაკი, რაც აქ ნახეთო.

— უნდა ჩამოგვეხრჩო მაგ წუპაკები. რისთვის, რა დავაშავეთ? მთელი ჩემი სიცოცხლე არ მომისვენია. მე და ჩემს კაცს სასთუმალში მუდამ დატენილი თოფი გვიდევს. თავი თუ როგორ დავიხსენით, ყველას გაგეგონებათ, მთელს ჩემს ახალგაზრდობაში პატარა სატევარი არ მომიშორებია, ოღონ დამალულად დამქონდა. ჩვენ აწი მივდივართ, მაგრამ რა იხსნის ჩვენს შვილებს... დღეს კიდევ ჩემი ბიჭები ხუფუნიამ წაიყვანა სადღაც ბოგირის საკეთებლად, კარგი იყო თქვენთან ყოფილიყვნენ, გაიწაფებოდნენ. ო, რა ძნელია ულონობა? რომ დავინახე ეს შეჩვენებულები, მე მარტო რას გავხდებოდი, ვიცოდი სად მუშაობდით, გამოვექანე თქვენკენ, ისიც ვიცოდი სად მეტი იყავით მთოხნელები. ავტეხე კივილი, ხალხი მოცვივდებათქო, კიდეც მოდით, აგაშენათ ღმერთმა.

კოჩობას და ანას ედგათ სუფთა ორთვალიანი წკნელის პატარა სახლი, რომელიც ტალახით იყო შელესილი და ისლით დახურული.

ცოტა მოშორებით ძრობისა და ღორის ფაცხები იდგა, იქვე სახლის ჯხლოს პატარა საქათმე, ყველაფერი ისლით დახურული, წკნელით ნაღობი. სუფთად დაგვილ-დასუფთავებული ეზო დიდი ხეებით იყო შემკული. თეთრი ქვებით მოკირწყლული გზა ჭიშკრიდან სახლამდე, შეპრილი ეზოს მწვანე მოლში, თვალს ახარებდა.

— შენი ჭირიმე. ქალო, ამ ეზოში შემოსულ კაცს გული გაუნათლდება, — მიმართა ანას ხანდაზმულმა მეზობელმა ბესამ. გლეხები კაკლის ხის ძირში გამართულ გრძელ სკამლოგინზე ჩამოჯდნენ, წინ რომ უბრალო ხის მაგიდა ედგა. ანამ სახლიდან სამფეხა ხის სკამებიც გამოიტანა.

— დაბრძანდით, ჩვენი სიღარიბე ნუ შეგაშინებთ, ნუ დამძრახავთ, სტუმარი ღვთისაა.

სტუმრებმა ცოტა შეიპატიჟეს, მაგრამ ანას უარი ვერ მოუხერხეს. ღარიბი სუფრა რამდენიმე წუთში აივსო საჭმელ-სასმელით; ღომი ხის ჯამზე დაგებული, სულუგუნით გაჩითული, ხილი, არაყი. ანამ მოშორებით ახალგაზრდებს მოლზე უფრო ბლომად დაუწყო საჭმელი. თან ეხრავდა: — ვაი შვილებო, ვინ იცის, თქვენი მშობლები ცხარე ცრემლებით სტირიან. დღეს დავასვენებ ამ საცოდავებს, გათენებისას ყველა დადიანს მიუყვანოთ. ჩემ კაცს ნუ წავიყვანთ. დადიანს მაინც ანჩაბაძე ურჩევნია ჩვენს თავს. კაცო, შენ რას იტყვი?

— ვნახოთ, მოვიფიქროთ! — უპასუხა ქმარმა.

— დადიანს ჩვენთვის სად სცალია, ნადირობას და ქეიფობას ანდომებს დროს, ესაა მისი საქმე. — შეესიტყვა მოხუცი გლეხი.

— ანა, დადიანთან ჩვენც წაგყვებით, მაგრამ დილით ძალიან ადრე უნდა წავიდეთ, რომ გათენებისას ზუგდიდს ვიქნეთ.

— ამდენი კაცი რად მინდა, ორი კაცი გამატანეთ. მაგრამ მე უნდა განვუცხადო დადიანს, ეს ახალგაზრდები ყმობიდან გაანთავისუფლოს, თავის მებატონეებს არ დაუბრუნოს.

— შენ იცი, რასაც იზამ, ჩვენ ვერ გაუბედავთ დადიანს მაგის თქმას.

— მე ვეტყვი, რას მიზამს, მეც ხომ ტყვედ ნამყოფი ვარ, გამოპარული, ხელს ვერავინ მომაკარებს, მომკლავენ? ლაჩრულად მაინც არ მოვკვდები. აწი თქვენ ეს იცოდეთ, ძმებო, ამ სანაპიროს მუდამდღე შემოვიარ, როგორც რამე საეჭვოს ვნახავ, კივილს ავტეხ, მტერი რას მიხვდება, მიცვალებულის პატრონი ვეგონები, თქვენ კი იცოდეთ, მტერია შემოსეული, საიდანაც არ მოგესმათ ჩემი კივილი, ყველამ ერთმანეთს გადაეცით, ჩემკენ გამოიჩქარეთ, არც მე და ჩემი ქმარ-შვილი ვიქნებით გულზე ხელდაკრეფილი თქვენს მოსვლამდე, ოღონდ ერთი კარგი თოფი ახლავე მომეცით ამ დილის ნადავლიდან.

— ინებე, შენი ჭირიმე, რაც კი მოგეწონება, შენ სული არ დაგეკავება.

— იცოდეთ კი, ბიჭებო, ვინც ჩემს კივილზე არ წამოვა და მტრის მოგერიებაში არ მოგვეხმარება, ის მხდალი და მშიშარა იქნება.

შემდეგ განთავისუფლებულ ახალგაზრდებს მიუბრუნდა, გამოკითხა, ვინ საიდან იყო. ზოგი ცხენიწყლის გაღმელი აღმოჩნდა, ზოგი ჯვარიდან, ზოგიც კურძუდან.

— ხედავ იმ საძაღლე აზნაურს, რამდენი დამხმარე ყოლია, ეს ტყვეები სულ სხვადასხვა სოფლებიდან შეუგროვებია!

— ძმებო და შვილებო! — მიმართა ანამ გლეხებს. ჩვენთვის ყველაფერი წამწარებულია, კი ხედავთ. მეზობლებს ისიც ვერ შეგატყობინეთ, რომ ჩემი გოგო ამ ყმაწვილზე დაინიშნა, — თქვა ანამ და ჯახუს ხელი გადახვია, ხოლო ნანია გაწითლდა, ტოლებს უკან ამოეფარა. — ჩვენ ამ დღეებში რაც გადაგვწყდა, იმასაც გეტყვით და აქვე ყველაფერი უამბო ნანიას შესახებ.

— იმ ღამეს პირობა დავდევით მეზობლებს მოვლაპარაკებოდით, ციხეში დამალულ თათრებს თავზე დავსხმოდით, ამოგვეჟეჟა ის ოხრები.

— მერე რა გვიშლის ხელს, აწი გავაკეთოთ ეს საქმე! — გაისმა გლეხებში.

ურჩარდიამ გლეხებს ასე მიმართა:

— კარგი იყო იმ ღამესვე გავკიდებოდით, მაგრამ ამ ბიჭმა რომ მოტაცებას გადარჩენილი გოგო შემოიყვანა, ამას ოჯახური ამბავი მოჰყვა, აწი მაინც ნუ გადავდებთ ამ საქმეს.

მოილაპარაკეს.

* *

დაბრუნდა თუ არა ანა ზუგდიდიდან, იქ მან მთავარიც ნახა და ტყვეებიც მშობლებს დაუბრუნა.

მეორე ღამეს ანა წინ მიუძღოდა ბრგე ვაჟკაცებს, რომელნიც ციხეს გარს შემოერტყნენ. თათრების ბუნაგს მიაგნეს. ხუთი კაცი ბრძოლაში დაიჭრა, რამდენიმე დაიხოცა.

სტამბოლში წასაყვანად გამზადებული სამი ახალგაზრდა ქალი და ორი თხუთმეტი წლის ბიჭი შიშისაგან კანკალებდნენ.

ანამ ისინი მაშინვე შეამჩნია.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა იმედიანად, — ყველას გაგათავისუფლებთ!

უმწიკვლოდ ასრულებდა ანა თავის სიტყვას. ის მთელ კუთხეს იფარავდა მოთარეშე ოსმალოთაგან. თუ რომელიმე მებატონე, ან მისი დამქაში გასაყიდ ყმებს დაახვედრებდა ოსმალოებს, ანა კივილით მთელს სოფელს შესძრავდა. ქალიან კაციანად გამოცვივდებოდა ხალხი. წალდით, ნაჯახით, კეტებით, თან ერთმანეთს ეძახდნენ: „ანა რკიანს, ანა რკიანს“.[1] ოსმალნი ასეთი კივილის

[1]) „ანა რკიანს ნიშნავს: ანა კივილ.

შემდეგ ნაყიდ ტყვეებზე აღარ ფიქრობდნენ, თავის შველას ცდილობდნენ, გარბოდნენ, ბევრჯერ დასწევია მათ სოფელი, ტყვეები წაურთმევიათ. წართმეული ქალ-ვაჟი კი თავისუფალ უბატონო გლეხებად უბრუნდებოდა სამშობლოს.

ანას ასეთი მოღვაწეობა მის ღრმა მოხუცებამდე გრძელდებოდა. რამდენჯერ სიცოცხლე გაუწირავს; უკვე მოხუცებული ხანხის კენწეროზე აცოცდებოდა, იქედან უთვალთვალებდა შავი ზღვის სანაპიროებს, ან მარტოსაც აუტეხია სროლა. მომხდურთ შეაშინებდა, სოფელსაც ატყობინებდა. თვით ტყვედ ჩავარდნილებიც გრძნობდნენ, რომ ანას კივილთან იყო დაკავშირებული მათი ბედიღბალი, მოუთმენლად ელოდნენ საიმედო ხმას.

ხალხმა ანა დედასავით შეიყვარა და რომ მისი ხსოვნა უკვდავეყო, სოფელს „ანარკია“ — დაარქვა. ამ სოფელს დღესაც მეგრულად ანარკიას ეძახიან. ქართულად კი ანაკლიას უწოდებენ.

ხალხურ ზეპირ სიტყვიერებაში კიდევ არსებობს ვარიანტი, რომ ამ კუთხის სახელწოდება მეგრულად „ანარკია“ წარმოდგა სიტყვა „ენარკია“-დან, რაც ნიშნავს „ანაკივლებს“.

ანასტასია ერისთავ - ხოშტარია

ანასტასია ერისთავი სოციალური წარმოშობით ფეოდალური წრის წარმომადგენელი იყო. მშობლები დიდკაცურ და ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეულნი, ქალიშვილსაც ბატონკაცურად ზრდიდნენ, გარსშემოხვეული გადიები და მომვლელ-მოსამსახურეები მის ნება-სურვილს უსიტყვოდ ასრულებდნენ.

ამ პირობებში გაზრდილი ბავშვი, მოსალოდნელი იყო გულცივი, გულზვიადი, ქედმაღალი და თავისთავზე დიდი წარმოდგენის იქნებოდა, მაგრამ პირიქით, მას ბავშვობიდან დაჰყვა სათნოება და სამართლიანობისადმი მიდრეკილება. მისი ხასიათი და სურვილები არსებითად განირჩეოდა მისი წრის თანატოლების ხასიათისაგან.

მას ბავშვობიდანვე წიგნი იზიდავდა, ებრალებოდა ტანსაცმელშემოფლეთილი, ფეხშიშველი გოგო-ბიჭები, რომელნიც სასახლეს შემორჩენოდნენ. ეს ბავშვები იყვნენ თავიდანვე უდედ-მამო, ზოგი მერე დაობლებული, ყმების შვილები, რომელნიც გაჭირვებულ ცხოვრებას ატარებდნენ ასეთ სასახლეებში. ვინ არ უპარტყუნებდა მათ თავში, ვინ არ ბრძანებლობდა მათ: — გაიქე, ბიჭო, ცივი წყალი მოარბენინე, — გაიქეცი პირუტყვი გადადენე, — აბა შეშა შემოიტანე და ასე ათასს რამეს ავალებდნენ ამ საცოდავებს და, თუ ყოველივეს არ შეასრულებდნენ, სცემდნენ, აგინებდნენ. მათი ტანჯვა-წვალების მოწმე ხშირად პატარა ტასოც ხდებოდა. მართალია, მას ამ გოგო-ბიჭებს არ აკარებდნენ, მაგრამ დაინახავდა თუ არა ცემისაგან ატირებულ გოგო-ბიჭებს, მაშინვე გადიასთან გაიქცეოდა, თავის გულისტკივილს გაუზიარებდა. გადია, თვით ასეთ გარემოცვაში აღზრდილი, ყველაფერ ამას შეჩვეული, ტასოს ამშვიდებდა:

— შვილო, ჩვენ ყველას ასე გვტუქსავდნენ, მაშ ბავშვი რომ თავის ნებაზე მიუშვა, ვინ იცის, რამდენ ცუდ რამეს ჩაიდენს.

— ჩემ დედ-მამასაც ტუქსავდნენ, განა?

— შენი დედ-მამა თავადებია.

— თავადები ცუდს არ ჩაიდენენ? მითხარი გადია, — ებვეწებოდა პატარა ტასო თავის გამდელს.

— მომშორდი, გეთაყვა, რა შენი საქმეა მაგების ცოდნა, გაიზრდები და შემდეგ გაიგებ ყველაფერს.

ასეთი საუბრების შემდეგ ტასოს კიდევ მეტი სურვილი უჩნდებოდა გაეგო თავადები ცუდ რამეს აკეთებდნენ თუ არა.

მის საბედნიეროდ, ის ზრდასთან ერთად თანდათან ერკვეოდა, თუ ვინ რას აკეთებდა მის გარშემო.

ანასტასია პირველად გორის პროგიმნაზიაში სწავლობდა. ქართულ ენას მას ჯერ ცნობილი ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი ასწავლიდა, შემდეგ ნიკო ლომოური. გასაგებია, ასეთი პატრიოტი და უანგარო საზოგადო მოღვაწეები თავიანთ მოსწავლეს ქართული მწერლობის პატივსა და სიყვარულს ჩაუნერგავდნენ.

შეგნებული და საკმაო ცოდნით აღჭურვილი, უკვე პროგიმნაზია დამთავრებული ტასო ოჯახში ბრუნდებოდა. მშობლების შემდეგ ის უკვე ღრმა მოხუც გადიას გადაეხვია და დაუწყო გამოჯავრება:

— ჩემო კეთილო ასმათ, ახლაც არ მეტყვი მართალს, ჩაიდენდნენ თუ არა თავადები რამე ცუდს? — გადია ეხვევა დაქალებულ ტასოს, სიცილით ეუბნება:

— მე რა გითხრა, ახლა შენ ჩემზე კარგად იცი ვინ როგორია, ჩემო მერცხალო.

გადიამ მართალი თქვა. ტასომ ახლა გადიაზე კი არა, ბევრ თავმომწონე თავადაზნაურზე მეტი იცოდა, ვინ რას ჩადიოდა. შეგნებული ქალიშვილი ახლა მეტად ამჩნევდა ხალხის დუხჭირი ცხოვრების მიზეზებს. ის ცდილობდა ამ მიზეზების მოსპობას ხალხის საკეთილდღეოდ, როგორც კალმით, ისე პრაქტიკული მოღვაწეობით.

რამდენი დრო შეალია მან სოფლის უვიცი ბავშვების აღზრდას. მთელი სოფელი მან ფეხით შემოიარა, დაათვალიერა გლეხის ოჯახები. თხოვა მათ ბავშვები გამოეშვათ მასთან ყოველდღე, რათა მათთვის ესწავლებინა წერა-კითხვა. უფრო რომ მოეზიდნა ბავშვები, წერა-კითხვის სწავლების შემდეგ მათ უტარებდა ცეკვა-თამაშობას და სიმღერას და განა მარტო ბავშვებს? ხშირად მშობლებსაც კი აიყოლიებდა წერა-კითხვის სწავლაში.

— განა ვერ ხედავთ, რა უუფლებონი ხართ! გაახილეთ თვალი, გამოიღეთ ხელი, ისწავლეთ წერა-კითხვა, ჭრა-კერვა, ქსოვა-ქარგვა, ოჯახის სისუფთავე. აბა რასა ჰგავს ასეთი ცხოვრება. სიღარიბე კი არ არის სირცხვილი, სირცხვილია უსაქმობა და უსუფთაობა.—ანასტასია მათთვის მასწავლებელიც იყო და მზრუნველიც.

სამწერლო ასპარეზზე ანასტასია ერისთავი 90-იან წლებში გამოვიდა. ის პირველად ჟურნალ „ნობათში“ იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ „კვალში“. იმხანად ის მეუღლე გახდა პოეტ დუტუ მეგრელისა (დიმიტრი თომას-ძე ხოშტარია). დიდი არისტოკრატული და ფეოდალური წრიდან გამოსული ანასტასია ერისთავის, ბაგრა-

ტიონის სახლთაშვილის, ხოშტარიაზე გათხოვება ბევრ ნათესავს არ მოეწონა, დიდი ხმაურიც გამოიწვია, მაგრამ თვით ანასტასია, ძლიერ შეყვარებული თავის მეუღლეზე, ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მას პოეტ დუტუ მეგრელთან დიდი სულიერი მეგობრობა აკავშირებდა. მართალია, ეს ბედნიერება ხშირად ირღვეოდა, ვინაიდან რამდენიმე წელი მათ უხდებოდათ საქართველოს გარეშე ცხოვრება. დუტუ მეგრელს საქართველოში ცხოვრების ნებას არ აძლევდნენ. ერთგული მეუღლე მას არ შორდებოდა. ორთავენი მწარეთ განიცდიდნენ საქართველოში გაჩაღებული საზოგადოებრივი მუშაობის შორიდან ცქერას.

ახალგაზრდა, შეყვარებული ანასტასია ჩუმად ცრემლებს ღვრიდა, ის თავის საყვარელ საქმეებზე მუშაობას ერთ წუთს ხელს არ უშვებდა. იმედიანად იცქირებოდა წინ, გულდაგულ ეწეოდა ლიტერატურულ შემოქმედებით მუშაობას. ის ილიასი და აკაკის ტრადიციების გამგრძელებელი იყო ქართულ ლიტერატურაში.

ეს ხანა აღსანიშნავია ახალი კლასის პროლეტარიატის ისტორიულ სარბიელზე გამოსვლით და მისი ბრძოლით თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ანასტასიას თვალისწინ იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა მუშათა კლასი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში დაიბეჭდა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიპულ გზაზე". რომანმა თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველებზე, ამას ადასტურებს გაზეთი „ივერია", რომელიც იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. იქ დაწერილი წერილების შინაარსი შეთანხმებული იყო თვით ილიასთან, — ილია იზიარებდა აზრს, გამოთქმულს რომანზე; გაზეთი წერდა: „ასეთი დიდი მოთხრობა თუ რომანი, თუ არ ვცდები ქართულ ენაზე პირველი მაგალითია, ისიც ორიგინალური, ქართველი ავტორისა ქართველის ცხოვრებიდან ამოღებული. „მოლიპულ გზაზე" იკითხება დიდი ინტერესით. რაკი დაიწყებთ კითხვას, არ ძალგიძთ არ ჩახვიდეთ ბოლომდის. გულის კანკალით ელით რა ბოლო ექნება ამ თქვენი გმირის ამბავს".

ჰუმანისტი ქართველი მწერალი ქალი გულწრფელად განიცდის გლეხის დუხჭირ ცხოვრებას, მის დამცირებულ ადამიანობას ოქტომბრის რევოლუციამდე.

მისი შემოქმედების მთავარ სტიმულს ყოველთვის მშრომელები წარმოადგენენ, ერთი მხრით, უმიწაწყლო გლეხები, მეორე მხრით, მემამულეები და მოხელეები. ყოველივე ამას ის ხატავდა რეალისტური ხერხებით, გულწრფელად და დამაჯერებლად. მის ნაწერებს დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება. მას კალამი ღრმა მოხუცებულობაშიც ხელიდან არ გაუგდია.

1907 წელს გამოვიდა ანასტასიას მეორე რომანი „ბედის ტრიალი". რომანებს მოყვა მოთხრობები: „ლუკმა პურისთვის",

„ეკლესიის გარშემო“, „მიწა“, „განთიადი“, „კამისია“, „ლაზარემ გადააჭარბა“ და სხვ.

რომანებისა და მოთხრობების სათაურებიც კი გვიჩვენებს, თუ რა საჭირბოროტო თემებისა და საკითხებისაკენ იყო მიმართული ანასტასიას გონება და გრძნობები.

პირველი რევოლუციის შემდეგ დამდგარმა რეაქციამ ვერ გატეხა სამშობლოზე მზრუნავი და ენერგიული ერისთავ-ხოშტარია. მისი გული და კალამი ეძებდა მოქმედების სარბიელს.

უკვე საცხოვრებლად გორში დაფუძნებულმა ანასტასიამ კიდევ უფრო მონდომებით დაიწყო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობა.

გორი ოდითვე მოწინავე ქართველების ბუდე იყო. ერისთავ-ხოშტარიას ოჯახის გორში დაბინავების შემდეგ მათთანაც ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწეები, რომელთ სამშობლოსი და ქვეყნის ბედ-იღბალი აინტერესებდათ.

გაზაფხულის საღამო იყო. გორის ციხე, ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული ამაყად გადმოჰყურებდა მრავალჯერ აწიოკებულ ქალაქსა და მის მიდამოებს.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახლის დიდი აივნის კიბეზე მრავალფეროვანი გარეგნობის ქალები ადიოდნენ. ქალებს თანდათან კიდევ ახალი ჯგუფები ემატებოდა. ქალები, რომლებიც გარკვეულნი არ იყვნენ, თუ რად მოიწვია ისინი მწერალმა „ქალბატონმა“, ერთიმეორეს ესაუბრებოდნენ.

ერთი უბრალოდ ჩაცმული ქალი ასე შეეკითხა მეორეს:

— რად მოგვიწვიეს, თუ იცი? ქა, ახლა განა კრებებზე სიარული შეიძლება?! დაავიწყდა იმ დალოცვილს, თუ რა დღე დაგვაყენეს სამი-ოთხი წლის წინ მაგეთი კრებებისათვის?

სანამ გზადაგზა ასეთი ლაპარაკი იყო, თვით ანასტასიას თავის დიდ სადარბაზო ოთახში გარსშემოეკრიბა გორის ინტელიგენტი და პედაგოგი ქალები, რომელთან ერთად მოწვეულ კრების გეგმას კითხულობდა.

— ქალებო, — მიმართა ანასტასიამ მათ. — კრება ძალიან ფრთხილად უნდა წავიყვანოთ. ხომ იცით, რეაქციამ როგორ დაამინა არა თუ ასეთი უსწავლელნი, მრავალი მოღვაწენიც, მთელი ტვირთი შრომისა და მატერიალური საშუალებანიც ისევ ჩვენ უნდა გამოვძებნოთ, რათა თანდათან მოვიხმაროთ შეუგნებელი ქალები.

— მართალი ბრძანებაა, — თქვა ერთმა პედაგოგმა ქალმა, — რომელ ღარიბ დედაქალს არ მიიზიდავს ჩვენი საქმე, თუ მის შვილს, სწავლის ფულისათვის დათხოვნილს, ჩვენ დავეხმარებით.

— ჩემის ფიქრით, საჭიროა, — განაცხადა მეორე ქალმა, — წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად ხელი მივყოთ ჭრა-კერვა, ქარგვა-ქსოვის სწავლებასაც.

— ეს ხომ ჩვენს წესდებაში გვაქვს, — შეესიტყვა ანასტასია და ერთხელ კიდევ გადაავლეს თვალი წესდებას.

სადარბაზო ოთახი უკვე ქალებით ავსებულიყო. ახალგაზრდა ქალებს დასაჯდომად დგამებიც აღარ რგებოდათ — ფეხზე იდგნენ.

კრებამ რიგიანად და საქმიანად ჩაიარა.

გორში დაარსდა საზოგადოება „მანდილოსანი", იმ ღამესვე არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა. გამგეობაში შეყვანილ იქნა სამი დიასახლისი ქალი.

საზოგადოების მიზანს შეადგენდა მატერიალური დახმარების გაწევა ხელმოკლე ქალთათვის. მატერიალური დახმარების გარდა აღნიშნული საზოგადოება მიზნად ისახავდა წერა-კითხვის გავრცელებას და ქალებისთვის ლიტერატურული საზრდოს მიწოდებას.

ქალთა საზოგადოება „მანდილოსნი"-ს მიერ გაწეულმა ჯაფამ მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში ფრიად სასარგებლო ნაყოფი გამოიღო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ანასტასია აღფრთოვანებით შეხვდა.

1924 წელს ჟურნალ „მნათობში" იბეჭდებოდა მისი რომანი „სალი". 1936 წელს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა მისი ნარკვევი „გორის შთაბეჭდილებანი".

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ჯერ კიდევ 1924 წელს გადაუხადეს 36 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე.

ანასტასია კალამს მაინც არ ღალატობდა. დროდადრო წერდა მოგონებებს ილიას, აკაკისა და სხვათა შესახებ.

1946 წელს თითქმის 80 წლის ანასტასიას დიდი ზეიმით გადაუხადეს 60 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე.

მისი სახელი დაკავშირებულია დიდ ქართველ კლასიკოსთა სახელებთან. ის მუდამ შერჩება ქართულ ლიტერატურას, როგორც მწერალი და ჰუმანისტი პატრიოტი ქალი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია პირნათლად გადმოყვა მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნეს, აქაც, ამ ახალ გარემოში, მას არ უღალატა ქართველი ქალის ინტუიციამ. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ის სიხარულით შეხვდა ახალ ხანას და ენერგიულად ჩაება მის ფერხულში.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია გარდაიცვალა 1951 წელს 85 წლის ასაკში.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ის გულისტკივილით მიაბარა მშობლიურ მიწას. ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და მხატვრული სიტყვის ოსტატებმა გულწრფელი გრძნობისა და მადლობის გამომხატველი სიტყვებით უკანასკნელი პატივი სცეს ღვაწლმოსილი ქართველი მწერალი ქალის ცხედარს.

სალონები

კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი, რუსეთის თვითმპყრობელმა მეფემ თავიდან უფრო იმისთვის მოიშორა, რომ ის მთავრობას ოპოზიციაში ედგა, ნაწილობრივ იზიარებდა დეკაბრისტების იდეებს და მათთან კარგ განწყობილებაში იყო. მართალია ის, როგორც თვითმპყრობელი მეფის მოხელე, მეფის პოლიტიკას ატარებდა, მაგრამ მაინც იჩენდა ლიბერალურ თვისებებს.

წიგნისმოყვარე ერმოლოვის მეოხებით ნებადართული გახდა ლიტერატურული შეკრებების მოწყობა. თვით ერმოლოვთანაც დაარსდა ეს თავშესაქცევი სალონი. მაშინ ვიწრო სალონების მოწყობაც სასარგებლო საქმე იყო.

ქართველთა შორის ლიტერატურული შეკრებანი და წრეები თანდათან გავრცელდა.

ერმოლოვმა მაღალი წოდების ქართველი საზოგადოება მიაჩვია ამ შეკრებებზე სიარულს, რასაც კულტურის წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

როგორც ჩანს, ქალები ლიტერატურულ სალონებში მონაწილეობას თითქმის არ ღებულობდნენ, ხოლო საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობის სურვილი მათ ძლიერ დიდი ჰქონდათ.

საჭირო იყო ვინმე დიდგვალენიან ქალს დაეარსებინა სალონი. ასეთი აღმოჩნდა მარიამ ორბელიანი.

მისი სალონი იყო პირველი, რომელსაც ქალი ხელმძღვანელობდა.

მარიამ ორბელიანის მაგალითმა შემდეგ სხვა დიდგვაროვანი ქალებიც წაახალისა.

მარიამი ფრიად განათლებული, რუსულ და ევროპულ ენებს დაუფლებული, განსაკუთრებული სილამაზისა და აღნაგობის მქონე ქალი იყო.

მისი გონებისა და მშვენიერების წინაშე მთავრობის წარმომადგენლებიც ძალაუნებურად ქედს იხრიდნენ და ეს გარემოება მან კარგად გამოიყენა მიზნის მისაღწევად. მისი ლიტერატურული სალონი მალე გახდა სახელგანთქმული არა მარტო ქართველ პოეტებსა და მწერლებს შორის, ამ სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ

რუსი და ევროპელი მოგზაურებიც, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ.

მარიამი თითონაც იწვევდა უცხო მწერლებს და მოგზაურებს. მის სალონში სუვოროვს მიუყვანია სტუმრად ინგლისელი კაპიტანი ვილბრეჰმი, რომელიც ქართველი ქალის სიმშვენიერით აღფრთოვანებულა, მოხიბლულა და დიდი აღტაცებული შთაბეჭდილებებით წასულა ორბელიანის სახლიდან.

დიდი ფრანგი რომანისტი ალექსანდრე დიუმა ასე ახასიათებს მარიამ ივანეს ასულს:

„ქნეინა ორბელიანი ახლა ორმოცი წლისაა. იგი, როგორც სჩანს, ერთი ულამაზესი ქალი ყოფილა თბილისში.

მე არასოდეს არ მქონია შემთხვევა მენახა ასეთი საპატიო და წარმოსადეგი შესახედაობის ქალი. თუ თქვენ შეხვდებით ფეხით მომავალ ქნეინა ორბელიანს, უნებურად მიესალმებით, თუ გინდ არ იცნობდეთ მას პირადად“.

ეს განათლებული ქალი სამოცდაორი წლის გარდაიცვალა. მას ბოლომდე შენარჩუნებული ჰქონია თავისი სილამაზე.

მარიამი მრავალ სასარგებლო საქმეს აკეთებდა ქველმოქმედებით. გონებრივად განათლებულმა ქალმა სხვა მაღალ წოდების ქალებშიაც გააღვიძა სურვილი ასეთი სალონების შექმნისა.

პარალელურად მარიამ ორბელიანის სალონისა, გაჩნდა მანანა ორბელიანის სალონი.

მანანა ორბელიანი

მანანა ორბელიანის სალონი იმჟამად იმით გახდა შესანიშნავი, რომ ის გადაიქცა ქართველი და უცხოელი პოეტებისა და მწერლების თავშესაყრებ ადგილად.

პირველად მანანას სალონში იკითხებოდა ლექსები, თარგმანები, ახალი წიგნები. ეს სალონი ტონს აძლევდა წაკითხულს. მთავარი შემფასებელი ყოველთვის მანანა იყო. ის ქართული მწერლობის ნამდვილი მეცენატი იყო. ლუკა ისარლიშვილის გადმოცემით პირველად მანანას სალონში დაბადებულა აზრი ჟურნალ „ცისკრის" გამოცემისა და ქართული თეატრის დაარსების შესახებ.

თემურხანშურაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი სინანულით სწერდა მანანას:

„თქვენი გაბრწყინვებული სალონი სავსეა ანგლიჩნებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით; ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ: ნეტავ მათ რიცხვში მეც ვიყო".

ცარიზმით უკმაყოფილო რუსი ინტელიგენტები, პოეტები, მოგზაურები, რომლებსაც საქართველოში უხდებოდათ ცხოვრება, სულის სიმშვიდეს მანანას სალონში პოულობდნენ. აქ ისინი ქართველ მოწინავე მამაკაცებთან ერთად ხვდებოდნენ გონებითა და გარეგნული სიმშვენიერით ცნობილ ქალებს: ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისას, ეკატერინე ჭავჭავაძეს, მაიკო ორბელიანს, ეფემია ბარათაშვილისას, მარიამ ივანეს ასულ ერისთავს, პოეტ ქალს ქეთევან შალვას ასულ ერისთავს, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძღვნა ლექსი „ქეთევან", ბაბალე თუმანიშვილ-ანდრეევსკისას (ბაბალე ანდრეევსკაიას ქალიშვილი ცოლად ჰყავდა მწერალ გიორგი წარვაშიძეს), ქეთევან ორბელიანისას, სალომე ორბელიანისას, ს. ი. სულხანიშვილისას, სალომე ორბელიანი—ჭავჭავაძისას (ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე), სოფიო ორბელიანს, მაია ორბელიანს, პრასკოვია ახვერდოვას და სხვებს...

ეს განათლებული ქალები დიდი ინტერესით ისმენდნენ იქ წაკითხულ ახალ ნაწარმოებებს, ახალ ამბებს, აქ კი ყოველთვის საინტერესოს კითხულობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ლუკა ისარლიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, მაღალაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები.

იმ დროს საქართველოში ჟურნალ-გაზეთები არ გამოდიოდა, მხოლოდ ასეთ სალონში თუ შეიძლებოდა ქართული და უცხოური ლიტერატურული ნიმუშების გაცნობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, შორი ქვეყნების ამბების გაგება.

ჩვენთვის მთავარია ჩავწვდეთ, თუ რა სარგებლობა მოჰქონდა ამ სალონებს საქართველოს კულტურის დასაცავად, რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მათს არსებობას, რუსეთთან, ევროპელებთან ჩვენი დაახლოების საქმეში, ურთიერთშორის მეგობრული დამოკიდებულების შექმნაში.

მეფის მოხელეების აზრით, საქართველო იყო აზიის ყოვლად ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელთანაც ძალმომრეობისა და ხიშტის გარდა საერთო ენის გამონახვის ვერავითარი საშუალება ვერ გასჭრიდა, და ამიტომ ასეთ სალონებს, გარდა იმისა, რომ მათ სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდათ საქართველოს დედაქალაქის თბილისის მდორე ცხოვრებაში, მეტად დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდათ.

სალონში ეცნობოდნენ ერთმანეთს საზღვარგარეთელი საუკეთესო მწერლები, მოგზაური სტუმრები. ქართველ საზოგადოებას ისინი აღტაცებაში მოჰყავდა თავისი გარეგნობით, ხასიათებით, კულტურით.

პოლიტიკით დაინტერესებული რუსეთის მაშინდელი მოწინავე ინტელიგენტები: გრიბოედოვი, ოდოევსკი, პუსინ-პუშკინი, ბესტუჟევი, ტორნაუ, ლერმონტოვი და სხვები,იმას გარდა, რომ აქ ბევრ ახალ ამბავს გებულობდნენ, თანაც მსჯელობდნენ, დიდი სიამოვნებითაც ატარებდნენ დროს მანანას სალონში.

ლერმონტოვმა აქ გაიცნო მაიკო ორბელიანი, მოიხიბლა მისი სილამაზით და მას უძღვნა ლექსი. ამ ფაქტს მკვლევარი ირაკლი ანდრონიკაშვილი შუქს ჰფენს. ის ამბობს: „იმ ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზედაც დაწერილია ლერმონტოვის ლექსი „როცა დავშორდი შორეულ საზღვრებს“, ლერმონტოვს საჩქაროდ წაუწერია ფანქრით: „მაიკო. მაია“. სარწმუნოა, რომ ეს მაიკო ქაიხოსრო ორბელიანის ასულის — ლამაზი მარიამის მოფერებითი სახელია. ამ სახელით იცნობდა მას მთელი საქართველო და თვით მისი დიდი მეგობარი, ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ სახელით იხსენიებს მას წერილებში.

ამ ქალისთვის 40-იან წლებში ლექსი უძღვნია აგრეთვე პოეტ პოლონსკისაც.

> გადადიოდა აზარფეშა ბაგით ბაგეზე,
> ასობით ხელი ტაშს გიკრავდა ერთი გზნებითა,
> როცა, მაიკო, მოხსიბლავ და მოალერსე
> ცეკვად იწვევდა ვისმე კეკლუც მეგობრებიდან.

საზოგადოებრივ საქმიანობაში ბეჯითობის გარდა მანანას პირადად ახასიათებდა მრავალი ღირსება: გულკეთილობა, ქველმოქმედება, შრომისმოყვარეობა. ის იმჟამად საქართველოში საუკეთესო მოხელესაქნარედ ითვლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მანანას დროს სხვა სალონებიც გაჩნდნენ, ის ღრმა მოხუცებამდე განაგრძობდა სალონის მართვას, გარს ეხვია მასზე უმცროსი ქალები, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ ამ სასარგებლო საქმიანობაში.

1870 წელს მანანა გარდაიცვალა[1] და ბევრი მისი თანამედროვეც ცოცხალი აღარ იყო. თუ ვინმე დარჩენილიყო, თბილისში აღარ ცხოვრობდა, როგორც ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა.

ძველ ქალთა მარაქა, რომელიც ასე გულდაგულ ემსახურებოდა საქართველოს კულტურის დაცვას, მომავალი თაობისათვის ნიადაგის მომზადებას, თანდათან ადგილს უთმობდა ახალ მოღვაწე ქალებს, რომელნიც ცხოვრების ფერხულში ჩაბმულიყვნენ, მათი საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზი იზრდებოდა. ცხოვრება ახალი და მჩქეფარე სურვილებითა და ქმედობით აღჭურვილ ქალებს თხოულობდა. ამ ახალ ქალებს პირნათლად უნდა გაეგრძელებინათ დედათა ძვირფასი თვისებები: შრომისადმი სიყვარული, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის თავდადება.

---

1. მანანა ორბელიანი, ქართველ ქალთა მარაქის უპირველესი წევრი, კუმისის ღვთისმშობლის ეკლესიაში განისვენებდა.

მელანია მამაცაშვილი—ბაღრიძისა

როგორც ვიცით, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ძლიერ ულიმლამო იყო ქართველი ქალებისათვის. მათთვის სკოლები არ არსებობდა. ეს ხანა იყო ქალის პიროვნების შეზღუდვის ხანა. ქართველ ქალს თითქოს ხელიდან გამოეცალა ყოველგვარი საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზი. ისტორიის ამ პერიოდში ალარ იყვნენ ქალები, რომლებიც თავიანთ წინაპარ ქალებს ჰგვანდნენ. ამ ხანაში მდიდარი მემამულე მამაცაშვილის ოჯახში დაიბადა მელანია.

მელანია, როგორც პირველი შვილი ოჯახში, ძლიერ განებივრებული იყო, მას ძლიერ ამსგავსებდნენ თავის დედის ბებიას მეფის ქალს მარინეს. ფიქრობდნენ, მელანია საქმიანობითაც მარინეს გამოემსგავსებოდა, რომლის ნაშენი ეკლესია ქართლში მელანიას პირადად უნახავს. მამაცაშვილის ქალს ჰყავდა ოთხი ძმა, ყველა მასზე უმცროსები. თითონ არ ყოფილა სკოლაში. (მაშინ საქართველოში სკოლები არ იყო). ეს გოგონა ბავშვობიდანვე განსაკუთრებული თვისებებით იყო დაჯილდოებული. მიუხედავად იმისა, რომ მას წერაკითხვის სწავლას არავინ აძალებდა, ექვსი წლისამ ქართული წერა-კითხვა უკვე საკმაოდ იცოდა, იცოდა აგრეთვე ხუცური. ჯერ კიდევ 7-8 წლის მელანია ცდილობდა ლექსების წერას,

მეზობლის ქალს მელანიასთვის თაიგული წაურთმევია. გოგონას გული მოსვლია და ეს ქალი გაულექსავს, რისთვისაც დედას ძლიერ დაუტუქსავს და მსახური ქალისათვის უბრძანებია ბავშვისათვის თვალ-ყური ედევნებიათ. ხელსაქნარიც ბავშვობიდანვე უსწავლია. 7 წლის თურმე უკვე ქარგავდა, თუმცა მაინცდამაინც არ იზიდავდა ეს საქმიანობა. ყველაფერზე უფრო მას იტაცებდა ენების შესწავლა. ბავშვი იზრდებოდა, თანდათან უძლიერდებოდა სურვილი წიგნის კითხვისა. თავისთავად ცხადია, ბავშვი კითხულობდა განურჩევლად ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. მას ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე მიეცა საშუალება რუსული წერა-კითხვა შეესწავლა.

მათ ოჯახში ხშირად დადიოდა ნათესავი ვაჟი, რომელსაც მოჰქონდა რუსული ანბანი და საერთოდ რუსული სასწავლო წიგნები. მელანია დედ-მამის ჩუმად, ამ ვაჟის საშუალებით, რუსულ წერა-კითხვას სწავლობს.

მელანია ხედავდა, რომ ძმების სწავლა-განათლებაზე მშობლები არ ზრუნავდნენ. ქალს ბევრი შრომა დასჭირდა, დედ-მამა ძლივს დაითანხმა ვაჟებისათვის განათლება მიეცათ. მან თვითონ ითავა მათი პაჟთა კორპუსში მოწყობა.

მელანიას გათხოვების შემდეგ მიეცა წიგნების კითხვის უფრო დიდი საშუალება. მეუღლის ოჯახში მას ბევრი წიგნი დახვდა, როგორც ქართული, ისე რუსული. წიგნსაცავში მან რუსულ-ფრანგული ლექსიკონიც კი ნახა. მაშინვე ფრანგული ასოებისა და სიტყვების შესწავლას შეუდგა, მაგრამ რას გახდებოდა. მისი ცოდნის დაკმაყოფილებას ხელი ძლიერ შეუწყო მათმა მსახურმა, რომელმაც კარგად იცოდა თათრული და არაბული. მელანიას მიეცა საშუალება ამ ენების გაცნობა-შესწავლის. ახლა ის ოთხი უცხო ენის რუსულის, ფრანგულის, თურქულის და არაბულის შესწავლით იყო გატაცებული. მელანიას ბიოგრაფიულ ცნობებში ოქროს ასოებით ბრწყინავს მისი სიყვარული და მეგობრობა ერთი რუსი ოჯახისადმი. მელანია იმ დროს, როდესაც ამ კარგ ადამიანებს გაეცნო, თავისი ქმრის სოფელში ცხოვრობდა. საქართველოს გონებრივ ცენტრს თბილისს დაშორებული ქალი ამ რუსის ოჯახს დაუახლოვდა. ისინიც მას მშობლიურად ეექცეოდნენ და მეგობრობდნენ. მათთან სიახლოვემ მელანიას გონებრივ განვითარების მხრივ დიდი სარგებლობა მოუტანა. მიეცა საშუალება ენას სავსებით დაუფლებოდა.

მელანიას მეგობარი რუსის ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. მალე მელანია მათთან ჩავიდა. მელანიამ თბილისი თითქმის ვეღარ იცნო, ისე გარდაქმნილიყო და გამშვენებულიყო. ის თვითგანათლებას უფრო დაეწაფა თბილისში. იწვებოდა შემოქმედების ცეცხლით, მოღვაწეობის სურვილით. მან იმ დროში ქალისთვის უჩვეულო საქმეს მოჰკიდა ხელი. დაიწყო თავისი მოთხრობების ბეჭდვა. დაიწყო და ისიც ძლიერ ორიგინალურად. ვინაიდან მაშინ ქართული ჟურნალ გაზეთები არ იყო, ის იძულებული გამხდარა თავისი მოთხრობა ქართული სიტყვებით და რუსული ასოებით დაეწერა. გასაგებია, რუსულ ენას ის იმდენად დაუფლებული არ იყო, მოთხრობა გაემართა, ხოლო ქართულად წერა ძლიერ ეხერხებოდა. მას ხომ არცერთი ქართული წიგნი, რომელშიც მაშინ ქართულ ოჯახებში მოიპოვებოდა, წაუკითხავი არ დარჩენია, ასეთმა შრომამ მას აუცილებლად მისცა საშუალება ქართული მოთხრობების წერის. ხოლო მის დასაბეჭდად რუსული ენის ცოდნა გამოეყენებინა, რომელიც მან არც ისე ცუდად იცოდა, ის ხომ ბევრ რუსულ წიგნსაც კითხულობდა.

მელანია მამაცაშვილის საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ სახით გამოსვლას იმ დროებით დიდი ენერგია და გამბედაობა უნდოდა. მელანიამ პირველმა გადალახა ის ჯებირი, რომელიც ქალს საზოგადო მოღვაწეობისაკენ გზას უღობავდა. უბადლო ნიჭით დაჯილდოებული მელანია ფრიად საინტერესო და უჩვეულო მოვლენა იყო მაშინდელი დროისათვის. ეს ქალი პირველი მერცხალივით შემოფრინდა ქალთა შეზღუდულ სამყაროში. მან და მისმა მოქმედებამ ნაუკეში ჩამწყვდეული ქართველი ქალი გააღვიძა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, თავის ქვეყნის ჭირ-ვარამის გასაზიარებლად. მისმა საქციელმა ბევრს ასწავლა, თუ როგორ შეიძლება საკუთარი ძალღონით ქალმა შესძლოს საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა. როგორ შეიძლება თვითონაც განათლდეს, თავისი სულიერი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს და ამავე დროს იყოს საზოგადოების სასარგებლო წევრი.

ეს ცდები იმ დროის შესადარად არ არის ინტერესს მოკლებული. თავის ნაწარმოებებში ის ხატავს იმ საზოგადოებრივ სულისკვეთებას, რომელიც მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კვებავდა.

ეს იყო ორი თაობის ერთიმეორეზე დაპირისპირება. ძველის მოთაყვანენი და ახალი დროით გატაცებულნი. ამ უკანასკნელთა რიცხვში გამოირჩეოდა მელანია. ის ცდილობდა ძმებისათვის განათლება რუსეთში მიეცა. რამდენიმე წლით ის საქართველოდან მიდის, დაბრუნების შემდეგ . აღტაცებულია ახალი კულტურით საქართველოში, ახალი გარდაქმნით, რომელიც თბილისში დახვდა. ეს ევროპული ყაიდით სახლების შენება და მოწყობა მას ახარებს, სცენაზე გამოსვლა ქართველი ქალების აღტაცებას გვრის. ამართლებს მუდმივ ბრძოლას ქალის პიროვნების განთავისუფლებისათვის და თვითგანათლებისათვის.

მელანია მედგრად შეებრძოლა ადამიანის უფლებების მოპოებას, მან ერთგვარი რესტავრაცია მოახდინა ქართველთა აზროვნებაში, მოაგონა მათ დავიწყებული ქართველი ქალის საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარიანობა. ის რაინდული სიმტკიცით ებრძოდა ჯერ თვითგანათლების მოპოებას და აგრეთვე ყველა იმ ცრუმორწმუნეობის გადალახვას, რომელსაც ქართველი საზოგადოების ფართო ფენებში ფეხი მაგრად ჰქონდა გადგმული.

მელანია ბადრიძის მსგავსი მოღვაწეები ჯერ კიდევ დაუფასებელი რჩებოდნენ, თანაგრძნობას ვერ იწვევდნენ ფართო საზოგადოებაში.

ქალის მდგომარეობას თანაუგრძნობდნენ საზოგადოების მხოლოდ მოწინავე წარმომადგენლები: მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მათ თავიანთ ნაწარმოებებში გამოჰყავდათ ქალების დაჩაგრული ცხოვრება. ისინი ქალის სახელს თვით მოთხრობის სა-

თაურადაც იყენებდნენ. რაფიელ ერისთავმა 1857 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილ მოთხრობას „ნინო“ უწოდა. მან გამოიყვანა სათნო და დადებითი მხარეებით აღსავსე ახალგაზრდა თავადის ქალი, რომელსაც განათლებული, მაგრამ დაბალი წოდების კაცი უყვარს, წოდებათა სხვადასხვაობა ხელს უშლის მათ შეუღლებას; დედამამა წინააღმდეგია, ნინო ვერ ძლევს ტრადიციას და მშობლების სურვილით მიყვება მოქეიფე ჭირვეულ თავადს. ეს თავადი ტლანქია, ნინოს ფაქიზ გულს ვერ აფასებს, სიყვარულით ვერ ათბობს. მისი მიზეზით ნინო დედად ვერ გახდა ნერვიულობის შედეგად. იჯავრა, დაავადმყოფდა და მოკვდა.

ამ ქალის ტიპის მოცემით ავტორმა ხაზი გაუსვა ორ მოვლენას თუ რა მავნებლობა მოაქვს წოდებათა განსხვავებას, ცრუ თავმოყვარეობას და მეორე იმ საკითხს, რომ ქალი მოკლებულია სიყვარულში თავისუფალ არჩევანს, ის იძულებულია მითხოვდეს ტლანქსა და უზნეო თავადს, ვინაიდან ასეთია სურვილი ოჯახის— საზოგადოების. ამ მოთხრობაში შეიძლება არა სრულიად გარკვეულად, მაინც სათანადო დასკვნისთვის აუცილებლად მოცემულია მასალა, ქალის პიროვნების განთავისუფლების აზრის განმტკიცებისათვის. „ცისკარში“ თანამშრომელი ქალებიც ჩნდებიან, 1858 წ. მოთავსებულია ეფემია ჯანდიეროვის (ჯანდიერი) ლექსი, გამსჭვალული სამშობლოს სიყვარულით:

„დღეს ვხედავ მამულს აოხრებულსა,
მშობელს სამკვიდროს გაუქმებულსა,
გლოვით და ცრემლით მტერთა ძლეულსა
ხეთაც და ქვათაც დანაცრებულსა“.

ეს ლექსი კვლავ პატრიოტული რომანტიზმის გამოძახილია. ეს გამოძახილი ქართულ ლიტერატურას დიდხანს გაჰყვა. ამ მოვლენასაც აუცილებლად ჰქონდა თავისი ისტორიული გამართლება, და ეფემია ჯანდიეროვისა ამ მიმართულებით სწერს, ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა ის მოვლენა, რომ „ცისკარში“ იბეჭდება ქალის ლექსი. რომ ქალები იჩენენ სურვილს ამდენი ხნის დუმილის შემდეგ კვლავ ჩაებან ლიტერატურულ ფერხულში და საზოგადო მუშაობაში.

ბარბალე ჯორჯაძე

თორმეტი წლის ბარბალე ერისთავი, უმცროსი და რაფიელ ერისთავისა, ეკლესიაში გვერდით ედგა ზაქარია ჯორჯაძეს, რომელსაც გულფიცხობის გამო სამხედრო კარიერის შექმნის იმედი დაჰკარგოდა და სოფელში დაეწყო ცხოვრება.

მათ ჯვარს სწერდნენ ეკლესიაში.

ბარბალეს დაგვირგვინების „ცერემონიალი" თამაშობა ეგონა.

მოულოდნელად კელაპტრებით განათებულ ტაძარში ღამურა შემოფრინდა. ბარბალეს ბევრი არ უფიქრია, მღვდელს მიმართა:

— ცოტა ხანს გაჩერდი, გეთაყვა, მგონი ჩემი დაკარგული იადონი შემოფრინდა, ერთ წუთს მას დავიჭერ.

არ ვიცით, გაუშვეს თუ არა პაწია პატარძალი იადონის დასაჭერად, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს მდიდარი ბუნების ნიჭიერი ქალი თავიდანვე ცუდ პირობებში ჩავარდა. მისი არანორმალური ქორწინება, ჯორჯაძიანთ დაქვეითებული ოჯახის პატრონობა, ზრუნვა მამულების შენარჩუნებისათვის, სამი შვილის მოვლა, მას ხელს უშლიდა საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა მიეღო. მატერიალურადაც ძლიერ შევიწროებული, უფრო ხშირად თავის სოფელში ცხოვრობდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ყურადღებამისაქცევი გარეგნობის მქონე ბარბალე ჯორჯაძე სამოციან წლებში სალიტერატურო ფერხულში ჩაება.

სამოციან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი. ესენი იყვნენ რუსეთში სწავლამიღებული ქართველი ახალგაზრდები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი და სხვ.

ამ ახალგაზრდებმა განათლება რუსეთში მიიღეს, დაუახლოვდნენ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, მათებრ განიმსჭვალნენ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით, და გამოვიდნენ გლეხთა ინტერესების დამცველად. ისინი ქართულ ლიტერატურაში ცნობილნი არიან „თერგდალეულების" სახელწოდებით.

მათი იდეური ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე.

იმ პერიოდის ლიტერატურაში დიდი იყო სანტიმენტალური ლიტერატურისადმი მიდრეკილება. მწიგნობრული ენა იყო მძიმე და გაუგებარი.

დიდი მოაზროვნე ილია გაბედულად ეკვეთა ქართულ ლიტერატურაში გამეფებულ ტრადიციებს. მიზნად დაისახა სამწერლო ენის—ხალხურ ენასთან დაახლოება, ლიტერატურაში ახალი სტილის გაბატონება.

გაჩაღდა ბრძოლა ამ საკითხის გარშემო.

საზოგადოების ერთი ნაწილი ვერ ურიგდებოდა ძველი ენის დათმობას, რომელსაც მედგრად შეუტიეს თერგდალეულებმა.

საზოგადოება გაიყო ორ ბანაკად — „მამებად“ და „შვილებად“, ამ ბრძოლაში ჩაება ბარბალე ჯორჯაძე, რომელმაც დაიკავა მამების მხარე. მისი გამოსვლა რეგრესიული იყო, მაგრამ ნუ დავიწყებთ, ბარბალე ერთი იმ კარჩაკეტილობის სფეროში აღზრდილი ქალი იყო, რომელთაც ანტონ კათალიკოსის კატეგორიებს აზეპირებდნენ, ძველ ნიადაგზე ზრდიდნენ.

ბარბალემ ზედმიწევნით კარგად იცოდა ძველი ლიტერატურა და მომხრე იყო ლიტერატურულ ენაში ძველი ტრადიციების დარჩენისა. ის გამოეკამათა ილია ჭავჭავაძეს — ძლიერ მოწინააღმდეგესა და დიდ ნიჭს. ბარბალე ამ ბრძოლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდა. ამ კამათს ერთი დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა: კამათმა სადაო საკითხი — ახალი ენა, თუ ძველი, გამქვირვალე გახადა.

ქალის მოკამათედ გამოსვლამ საერთო ყურადღება მიიქცია.

ქართული კულტურის საკეთილდღეოდ ახლებმა გაიმარჯვეს. ბარბალეს პიროვნების და ტემპერამენტისათვის დამახასიათებელია თავდავიწყებითი ბრძოლა, საუცბათოდ პოზიციების დაუთმობლობა.

თუ ლიტერატურულ საკითხებში ბარბალე თერგდალეულთ ებრძვის, ახლის წინააღმდეგია და ძველის მოტრფიალე, საჭირბოროტო საზოგადოებრივ საკითხებში ის მოწინავე ქალია.

მას სწამდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობა. უმთავრესად გლეხის განთავისუფლება, ბატონყმობის მოსპობა. ეს საკითხები აინტერესებდა და თავის ნაწარმოებში მათ გულწრფელად იხილავდა, ის დიდი მომხრეა სწავლა-განათლების. „სასოებს ნასწავლმა შვილებმა ჩაგრული მდგომარეობა გამოაკეთონ“.

ბარბალე სამოციან წლებიდან მოღვაწეობდა, მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა მაშინდელი პრესაში, ლექსები უფრო ხშირად „ცისკარში“.

მწერალი ქალი მომხრეა ქალთა ემანსიპაციისა, ქალის პიროვნების განთავისუფლება, მისი ფართო ინიციატივა საზოგადო საქმეებში, მას სიხარულს გვრიდა. ასეთი აზრის წერილები ბარბალეს კალმის ნაღვაწი ხშირია მთელი 35 წლის მანძილზე.

ბარბალე ჯორჯაძე არა მარტო პუბლიცისტი იყო, ის ბევრ ლექსებსაც სწერდა, აგრეთვე ძლიერ ეტანებოდა დრამატურგიას, მისი კომედიები დიდ ხალისს გვრიდა მაშინდელ საზოგადოებას.

ყველა ზემოთმოყვანილი მასალიდან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ბარბალე ჯორჯაძე დაჯილდოებულია ღრმა საზოგადოებრივი ინსტინქტით, გამსჭვალულია ცხოვრების საინტერესო საკითხებით, აღსავსეა ენერგიით. ის თვალსაჩინო ფიგურაა არა მარტო მე-19 საუკუნის ქალებში, არამედ საზოგადო მოღვაწე მამაკაცებშიც. თანამედროვე საზოგადოება კიდეც აფასებდა მას. 1860 წ. „ცისკარში" მოთავსებულია დიმიტრი ბაქრაძის წერილი, სადაც ის აღფრთოვანებით ეგებება ბარბალე ჯორჯაძის თანამშრომლობას. საერთოდ უნდა ითქვას ბარბალე ჯორჯაძე მკაფიო გამოხატულებაა იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივი ძალთა განწყობილებისა.

ცნობილია, თუ იმ ჟამად როგორი შეზღუდულობა იყო სკოლების უქონლობის გამო, ვინც მაღალ წოდებას ეკუთვნოდა, განათლების მიღების საშუალებაც მას ეძლეოდა, რა თქმა უნდა რუსულ ენაზე.

ამ შესაძლებლობამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე გააჩინა მრავალი მოღვაწე ქალი. ეს ქალები თავის ცოდნას, ენერგიას და ქმედობას საზოგადოებრივ მუშაობას, მის წარმატებას ახმარდნენ. ასეთ ქალების რიცხვში დიდი ადგილი უჭირავს: ეკატერინე გაბაშვილს, ანასტასია თუმანიშვილს, დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილებს, მარიამ დემურიას. მაღალი წოდების ქალებს: მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანს, ქველმოქმედი და საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესებულ, მწერალ ქალს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას. ქართველი ქალები განათლების მისაღებად უკვე რუსეთში და საზღვარგარეთ მიდიოდნენ.

ეკატერინე ღვინიაშვილი ბერლინიდან აგზავნიდა წერილებს ჟურნალ „მნათობში". ეს წერილები[1] არის ნათარგმნი ფონი ლევადის ორიგინალიდან. ამ წერილებში გაშუქებულია ქალის ეკონომიური მდგომარეობა გერმანიაში, პროსტიტუცია, როგორც შედეგი ეკონომიურად დუხჭირი მდგომარეობისა, დასაბუთებულია აუცილებელი საჭიროება ქალ-ვაჟს ერთნაირი განათლება მიეცეს, ერთად ისწავლონ.

ასეთი განათლების უქონლობით ხსნის მწერალი ქალი მდიდარი ქალების გონებრივ ჩამორჩენას. მათ ცოტ-ცოტა ყველაფერი იციან: მუსიკა, ფრანგული, ინგლისური. ფონი ლევადის აზრით, გერმანიაში დაბალი და საშუალო წოდებისა და ქონების ქალები გონებისა და დამოუკიდებლობის მხრივ უფრო მაღლა დგანან.

---

[1]) 1872 წ.

ვიდრე მდიდარი და მაღალი წოდებისანი. და ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ უმაღლეს წრეებში ფიქრობენ: თუ ქალს რამე ტალანტი გამოაჩნდა, ან ის მეცნიერებას დაეწაფა, მას სათნოება და ბიმზიდველობა აკლდებაო. ის სასტიკ პასუხს აძლევს პატრ პროტესტანტს, თვითონ კი ქალთა საკითხის გარშემო სამ მთავარ დებულებას აყენებს:

საჭიროა ქალებს მიეცეთ ისეთივე საშუალება განათლებისათვის, რომლითაც კაცები სარგებლობენ.

რომ მიეცეს ქალებს ნება თავისუფლად იხმარონ თავიანთი ბუნებრივი ნიჭი და შეძენილი ცოდნა, თავიანთ სარგებლობისათვის და საზოგადოების სიკეთისათვის.

რომ ქალებმა მიიღონ მონაწილეობა სჯულისმდებლობაში.

დაწვრილებით ძნელია ეკატერინე ღვინიაშვილის წერილის მოყვანა, მგონი აქ ამონაწერიც საკმაო ნათელს ჰფენს მის მიზანს. ღვინიაშვილს აუცილებლად სურდა ქალთა ემანსიპაციის ევროპული იდეები საქართველოს სინამდვილეში გადმოენერგა, საზოგადოებრივ ცხოვრებას დაშორებული, პასიური ქალები უნდოდა საკაცობრიო იდეალებით და საკუთარი ინტერესების შეგნებით გამოღვიძებინა.

ამ შინაარსის წერილებს; მოწინავე ნაწილი ქართველი ხალხისა და მათ შორის ეკ. ღვინიაშვილი უპირისპირებდა საქართველოში არსებულ წესწყობილებას, სადაც ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლებები შეზღუდული იყო. ფართო განათლება მამაკაცთათვისაც შეუძლებელი ხდებოდა, ვინაიდან არსებული სკოლები ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ქალის განათლება ხომ მეორე ხარისხოვან საქმედ ითვლებოდა. თვით მშობლებიც უმეტეს შემთხვევაში ქალების განათლებას ალმაცერად უყურებდნენ, განათლებას და ზნეობის დაცემას ერთი მეორეში ურევდნენ. თუ ღებულობდნენ სწავლას მაღალი წოდების ქალები, მათ ევალებოდათ კარგი მანერები, რუსულ-ფრანგულად ეღურტული, კეკლუცობა.

ისინიც გადაეჩვივნენ ცხოვრებისადმი სერიოზულ მიდგომას. საზოგადოებრივ საკითხებს ჩამოშორდნენ, მათი მსთფლმხედველობა „ბალებით“, „ვეჩერებით“, „მოდებით“ და ჭორებით განისაზღვრებოდა.

ამ მოვლენით აიხსნება, რომ ჩვენი დიდი მგოსნები ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი თანამედროვე ქალებს დაცინვითა და მწუხარებით უცქერდნენ და ქართველი ქალის იდეალებს წარსულ საუკუნეთა მებრძოლ ქალებში ეძიებდნენ. ილია ამბობს: „დედა ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“. აკაკი ხომ თანამედროვე ქალებს „მაშინკა“ და „პაშინკას“ უწოდებდა და ამ სახელებით მათ გადაგვარებას აღნიშნავდა.

რუსეთის მთელი აღმზრდელობით თვითმპყრობელური პოლიტიკა მიმართული იყო ერის გადაგვარებისაკენ, მისი საკუთარი ფიზიონომიის მოსპობისაკენ. მართლაც, ფუქსავატობამ და გადაგვარებამ ფეხი მოიკიდა საქართველოში და ეს სენი ყველაზე ადრე მაღალ წოდებას — ამ წოდების ქალებს მოედვა. თუ დაკვირვებით წავიკითხავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებს და შიგ დახასიათებულ მის ნაცნობ მეგობარ ქალებს, შევამჩნევთ მათ ფუქსავატობას და მხოლოდ საპირადო ინტერესებით ცხოვრებას.

ამ ბნელ მდგომარეობას ასხივოსნებდნენ გამონაკლისი ქალები, რომელთა მდიდარი გონება ვერ დამორჩილდა არსებულ ვითარებას.

პირველ ხანებში ასეთი ქალების რიცხვი არ არის დიდი, მაგრამ თანდათან ძლიერდება მათი ხმა, მათი პრაქტიკული ნაბიჯები. ისინი ცხოვრების მტკივან ადგილს უახლოვდებოდნენ. ხალხის გულის კარის გაღებას ლამობდნენ, მისთვის შესაფერი საზრდოს მიწოდებას. ქალების წერილები პრესაში გახშირდა.

ეკატერინე თარხან-მოურავი, შემდეგ გაბაშვილის მეუღლე, წერს წერილს „დროებაში" სათაურით „გლეხი კაცის აზრი სასოფლო სკოლაზე".[1]

ის აღნიშნავს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მან მიიღო სასოფლო კრების ჩატარების შედეგად: „ჩვენ მივუახლოვდით ჯგუფს, რომელნიც გაცხარებით ბჭობდნენ თავიანთ ჭირ-ვარამზე. იმათი სიტყვებიდან ჩვენ მივხვდით, რომ ისინი სასოფლო სკოლებზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ მოვინდომეთ გაგება ხალხის აზრისა ამ საგანზე და ამისთვის შევდექით იქვე და ბეჯითად ყური დავუგდეთ იმათ ლაპარაკს".

ზოგიც იმ აზრის ყოფილა, რომ სკოლის გახსნა ზედმეტი ხარჯია, რომ იქ ბავშვები ფუჭდებიან და ცუღლუტდებიან. ასეთ ჭორებს ხალხში ავრცელებდნენ სიბნელის მოციქულნი. ამ ჭორების პასუხად ერთ დედაკაცს უთქვამს: „უმე, გენაცვალეთ, თუ აგრეა მე ხვალვე კლდისწყაროს გავგზავნი ჩემს შვილს". ე. ი. აგზავნიდა სკოლიდან შორს, ბავშვი არ წახდებოდა. შემდეგ მოგვითხრობს ეკატერინე თარხან-მოურავი: მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობს გლეხი ნინიკა, რომელიც ხალხს უხსნის სკოლის გახსნის აუცილებლობას. განუმარტა ხალხს სწავლის დადებითი მხარეები. ნინიკას სიტყვებს გავლენა მოუხდენია ხალხზე, რომელიც უარყოფით იყო მიმართული სკოლისადმი, დაუდგენიათ სკოლის გამართვა. წაუკითხავთ ხელისმომწერთა სია. არც ერთი მოწინააღმდეგე არ აღმოჩენილა.

პუბლიცისტი ქალი, აგვიწერს რა სოფლის სიბეჩავეს და ჩამორჩენილობას, დასძენს თავის საკუთარ აზრს: „საჭიროა ხალხზე

[1]) „დროება" № 11 1870 წ.

ზეგავლენის მოხდენა, შეგნებული ელემენტების ხალხთან ახლოს ყოფნით". მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ხალხში ნინიკას მაგვარი შეგნებული მრჩეველი—ზეგავლენის მომხდენი ხშირი იყოს.

შეიძლება პუბლიცისტი ქალის თანამედროვეებს ასეთი დასკვნაც გამოეყენათ, თუ თვით ხალხში არ არის ნინიკები, ხალხს გარედან უნდა დახმარება, ყოველთვის შეიძლება რჩევით, ახსნა-განმარტებით, ხალხი კულტურულ მუშაობაზე დაიყოლიო; წაახალისო ის.

როგორც ზემოთაც ვთქვი, გლეხის საკითხი, გლეხის მეგობრობა 60-იან წლებიდან საქართველოში პოპულარული და საყვარელი თემაა და ქალი ბელეტრისტიც ამ საკითხის ახსნა-განმარტებას ეძებს, გლეხის დახმარებას ლამობს. ამ წერილს გამოეხმაურა დარია მამაცაშვილისა. მან გამოთქვა სიხარული, რომ ახალგაზრდა ეკატერინე თარხან-მოურავის ქალი დააინტერესა გლეხების აზრმა, გაუჩნდა სურვილი მათში განათლების შეტანის, მათი ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების.

მამაცაშვილის ქალი თითქო მოწოდების ხასიათს აძლევს წერილს, რომელსაც შემდეგი სიტყვებით ათავებს:

„დედანო და დებო! დროა გავიღვიძოთ, ჩვენზე არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატება და ბედი. თუმცა მამაკაცნი ჩვენ აღგვემატებიან ძალით, სწავლის ღონისძიებით, თავისუფლებით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმათი კეთილზნეობა, იმათი გონების მოძრაობის კეთილდღეობა ჩვენს ხელშია".

მართალია, ახლა ამ საკითხს პოპულარიზაცია არ ეპირვება, ის გადაჭრილია, ქალი განთავისუფლებულია, მაგრამ წარსულში ქართველ ქალს ამ საკითხის გარშემო ბევრი ბრძოლა გაუწევია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მაშინდელი მოწინავე მოღვაწეები ერთგულ დამხმარეთ ამოუდგნენ გვერდში დაჩაგრულ ქართველ ქალს, რომელიც პროგრესული იდეების მატარებელი იყო და მომავალი ახალი ყოფისათვის ნიადაგს ამზადებდა.

ქართველი ქალი საზოგადოებრივ მუშაობაში, თვით ბუნებით აქტიური, თანდათან მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა როგორც კულტურულ მუშაობაში, ისე არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაშიც.

უთუოდ, დედაკაცის ალღოიანობა, საზოგადოებრივი საკითხებისადმი მისი გულმოდგინე ინტერესი, ერთი მხრით, მეორე მხრით, ქართველი ხალხის ისეთმა დიდმა მოაზროვნეებმა, როგორიც იყვნენ 70-იან წლებში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნ. ინაშვილი და სხვ. ქალთა საკითხი წამოაყენეს, როგორც განსაკუთრებული პრობლემა და მის გაშუქება-გარკვევას საყურადღებო წერილები უძღვნეს. წავიკითხოთ ჯერ ნიკო ნიკოლაძის წერილი „ცოლქმრობით ვაჭრობა".

ამ ვაჭრობის ნაშთები ჯერ ოდნავ კიდევ გამოსჩვივიან და მაშინ ეს ალბათ საჭირბოროტო საკითხი იყო, რომელსაც ქალის უფლება უბრალო სათამაშო ნივთამდე დაჰყავდა. წერილს კომენტარები არ ეჭირვება, ვინაიდან ხელოვანი პუბლიცისტი ყველა მის თანადროულ საზოგადოების უარყოფითი მხარეს აშეღავნებს. წერილის შინაარსი ასეთია: „ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე ძლიერ ხშირი იყო ანგარიშით ქალის გათხოვება, ან შერთვა. ადამიდან დაწყებული ჩვენ მუდამ მზითევს და შემძლე ნათესავებს ვეძებდით, ან ვემოყვრებოდით. ქალის გულს კი ხასიათს და გრძნობას ერთ ბისტადაც არ ვაგდებდით. ეს სიყვარულის და გრძნობების ვაჭრული, ბაზრული ხმარება ყველას თვალწინ აქვს, მაგრამ თავის უხეირობით ის ჩვენ არ გვაკვირებს, არც გვაწუხებს. იმას ჩვენი თვალი გავუმაგრეთ და შევაჩვიეთ. ის ჩვენ ისეთი გარემოებით ან ცერემონიებით შევამკეთ, რომ იმის ბაზრულ ხასიათს ჩვენ სრულიადაც ვივიწყებთ“.

ნიკო ნიკოლაძეს მოჰყავს მრავალი მაგალითი. ცოლ-ქმრობის ვაჭრობის საქმე იმ ზომამდეც კი მისულა, რომ სასიძო ქალის დედ-მამას ვექსილებს ართმევს, ნაწილ ფულთან ერთად, რუსეთში მიემგზავრება სასწავლად, სამაგიერო ვექსილსაც კი ტოვებს, დაბრუნებულზე რამდენიმე წლის შემდეგ უსათუოდ შეირთოს მათი ქალი. მოყავს წერილში ასეთი შემთხვევებიც.

„ვაჟს ვინმე ლამაზ ქალს აჩვენებენ, ნამდვილი საცოლეს მაგივრად, ჯვარისწერის ღამეს კი გონჯზე სწერენ ჯვარს. იმ ღამესვე არის ვაჭრობა, თუ ქალის ჭირისუფალი ფულს — დანაპირს არ მისცემს, შეიძლება ქორწილი მთლად ჩაიშალოს“.

ნიკო ნიკოლაძე ხაზს უსვამს ამ წერილში ერთს მოვლენას, თუ როგორ დამცირებული უნდა იყოს ქალი, რომელსაც გასასყიდი პირუტყვივით ეპყრობიან, მის გარშემო ვაჭრობას მართავენ, როგორი ზნეობრივი და გონებრივი სალაროს პატრონია თვით საქმრო, ან როგორი ოჯახი უნდა შექმნას ასეთმა წყვილმა, რომელთაც ერთი-მეორის ხასიათი არ იციან, ერთმანეთი არ უყვართ, ერთმანეთს პატივს არ სცემენ. ეს საკითხი ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნია საზოგადოებრივ საკითხად, ოჯახურ უბედურებად, მკაცრად ებრძვის ქალის დამცირებას.

ნიკოლაძე საქართველოში ქალთა პიროვნების განთავისუფლების პიონერად შეიძლება ჩაითვალოს.

70-იანი წლების ნიჭიერი და ახალგაზრდა პუბლიცისტი ინაშვილი უფრო მეცნიერული საზომით მიუდგა ამ საკითხს, ის ამბობს: „ამ სიტყვებში, „ქალთა განთავისუფლება“ ისმის რაღაც ახალი, რომელსაც ჯერ ყური ვერ შეეჩვია, რომელიც პირველად ესმის კაცს. საჭიროა ხანგრძლივი მოქმედება ამ აზრისა, რომ კაცის გონება შეურიგდეს მას, რომ მან გასტანოს მის სისხლში და ხორცში და შეეთვისოს მას. ეს კითხვა არის მნიშვნელობის კითხვა,

რომელიც საზღვრავს ძველსა და ახალსა, რომელიც შემოიტანს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალს დასაწყისს... ჩვენ ვსასოებთ, მკითხველო, ჩვენის ცხოვრების განახლებაში, ჩვენ გვწამს ჩვენი ხალხის ხსნა და წარმატება, ამისთვის მოვამზადოთ ნიადაგი, რომელმაც უნდა აღმოგვიცენოს ცხოვრება, შემკული სიბრძნით, გონიერებით და სათნოებით. უკეთუ ახლა ვერ შევითვისეთ სრულიად მაღალს და წმინდა აზრებს, ჩვენი ცხოვრების გასამშვენიერებლად, მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ თავის დროზე ამ აზრებს ექნება თავისი სრული მოქმედება. ჩვენ ვერ ვიტყვით იმ კაცზე, რომელსაც ფეხები შეკრული აქვს, რომ მას სირბილი არ შეუძლიან. გაუხსენით ფეხები და იქნება სირბილში ის თქვენ არაფრით არ დაგივარდეთ, აგრეთვე ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ, რის შემძლებელია ქალი. გაუღეთ მას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქმნება ისეთივე გონიერი, კეთილ-საიმედო მოქალაქე, როგორც ერთი ჩვენთაგანი. უჩვენეთ იმას მოქმედების ფართო და თავისუფალი ასპარეზი და მერწმუნეთ მოიპოვებიან იმათშიაც ბრძენნი და გმირნი, რომელნიც გაგვინათებენ ჩვენს მსვლელობის გზას“.

ამ წერილებს ქართველი ქალი გატაცებით კითხულობდა და იზიარებდა მათში გამოთქმულ აზრებს.

ქართველი ქალის ფსიქიკაზე ალბათ დიდ გავლენას ახდენდა დეკაბრისტების ცოლების თავდადებული მოქმედება. ეს ნამდვილი ნიმუში ოჯახური სიყვარულისა, მათი თანაგრძნობა მეუღლეების იდეებისადმი თვალსაჩინო გახდა ყველასათვის.

ვის არ გაუგონია იმ ეპოქაში საფრანგეთის გმირი ქალების მოქმედება: ჟანა დარკი, ოლიმპიადა დეგუჟი, რომლებმაც ადამიანის უფლებების მოპოვებისათვის სიცოცხლე გილიოტინაზე გაათავეს.

ცნობილი გმირი ქალი სოფიო პეროვსკაია, რომელიც ვაჟკაცურად ავიდა გილიოტინაზე, არ დაეცა სულით, და თავის მეგობარ კიბალჩიჩს ამბორით გამოეთხოვა.

ჟორჟ სანდი, საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ქალი, ქალთა განთავისუფლებისათვის მედგარი მებრძოლი, ყველა ეს ქალები უკვე ცნობილი იყვნენ საქართველოს ოდნავ ინტელიგენტურ წრეებშიაც.

70-იან წლებში ქართულ პრესაში უხვად იბეჭდებოდა წერილები რუსეთისა და გარეშე სახელმწიფოების ქალთა მდგომარეობისა და უფლებების შესახებ.

ეკატერინე ჩიჩუა

საქართველოს კაშკაშა ცაზე ღრუბლები თავს იყრიდა. იმერეთის სამეფოდან სოლომონ მეორის განდგომას მოჰყვა სამთავროების დამოუკიდებლად მოქმედება. სამეგრელოს სამთავროს რუსეთთან დაახლოების შემდეგ, გურიის მთავარმა მამია გურიელმაც რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილი განაცხადა. იმ დროს რუსეთი ოსმალეთთან ომს აწარმოებდა. მამიამ ფოთის აღების დროს თავი ისახელა და მის გამო მიიღო პოლკოვნიკობა და დროშა, ხოლო რუსეთის მეფისადმი შემდგომი ერთგულებისათვის კი—გენერალ-მაიორობა.

მამიას მეუღლე სოფიო, წულუკიძის ქალი, ფრიად მოხდენილი და პირმშვენიერი იყო. იგი თავის მეუღლეს ყოველმხრივ ეხმარებოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მამიამ ვალახიიდან და მოლდავეთიდან ჩამოაყვანინა ფიგლიარები. რომელთა მიერ დადგმული კომედიების ხშირი სტუმარი იყო მამიას მთელი ოჯახი, განსაკუთრებით სოფიო. მამიამ ოზურგეთში სკოლაც დააარსა, ამ საქმეშიაც სოფიომ ქმარს დიდი დახმარება გაუწია. სოფიო და მისი ოთხი ქალიშვილი: ეკატერინე, კოჟიბროლა, სოფიო და ტერეზია სწავლობდნენ მუსიკას, ცეკვებს, ენებს, ხშირად ესწრებოდნენ „შესაქცევ შეკრებულებებს“. დებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეკატერინე, რომელიც 14 წლის ასაკში უკვე ამშვენებდა სასახლეს.

მამია გურიელის მოულოდნელმა სიკვდილმა ოჯახი კალაპოტიდან ამოაგდო. მამიას ერთადერთი ვაჟი საამთავროს მემკვიდრე დავითი იმ ჟამად მხოლოდ 9 წლისა იყო. მის მაგივრად დროებით მმართველად დანიშნეს დედა სოფიო, რომლის დასახმარებლად დაარსდა „მთავრობა“ „ექვსი წევრი რჩევისანის“ სახელწოდებით.

— ვერ გამიგია, — ეუბნებოდა სოფიო თავის ერთგულ ალექსანდრე მაჭუტაძეს, — რას მერჩის ეს გენერალი ერმოლოვი, მთავრისასაც აღარ მწერს ბრძანებებში. რად ვაქნევ ძე ტიტულს მაიორი კნეინა გურიელი! „ექვსი წევრი რჩევისან“-ში ჩემი ოჯახის მტერი ორი ერისთავი დანიშნა, ყოველნაირად შემზღუდა.

— რა თქმა უნდა ეს ყველაფერი საწყენია. საზოგადოდ სამთავრო ოჯახი აწ ყოველ ძალა-უფლებას კარგავს, მაგრამ, დედო-

ფალო, ყველაფერზე ცუდი ის არის, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ბრძანებები ჩვენი ხალხის ჩვეულებას ეწინააღმდეგება, ხალხს გაუჭირდება მათი შესრულება. ამის მიჩვევამდე ჩვენთან სულ არეულობა და უკმაყოფილება იქნება. სამთავროს შინაგანი და გარეშე მტრები ამ არეულობით ისარგებლებენ. სულ ადვილად შეიძლება დავითს ჩვენ სამთავრო ვერც შევუნარჩუნოთ.

— აბა როგორ შევუნარჩუნებ სამთავროს ჩემს დავითს, თუ ყველა საქმეს „წევრნი რჩევისანი“ ხმის უმრავლესობით გადაწყვეტენ. მე რა შემიძლია ხალხს გავუკეთო, თუ რუს ხელმწიფე თავის დაპირებას არ შეასრულებს, თუ ერმოლოვი ჩემი მტრების მიტანილ ენას დაუჯერებს, მე გასაქანს არ მომცემს, რისი გაკეთება შეიძლება?

— თქვენ, დედოფალო, კარგად უნდა გახსოვდეთ, ეს სულ შვიდი წლის ამბავია, მაშინ თქვენი მეუღლე ცოცხალი იყო, რა ამბავი მოჰყვა გურიაში ივანე აბაშიძის თავის შეფარებას.

— მას ხომ ქაიხოსრო გურიელი იფარავდა, ჩემი უბედური მეუღლის აღმზრდელი და ერთგული ბიძა.

— დიახ, ბატონო, ქაიხოსრო დიდი ვაჟკაცი და ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ თავადები არ უმადლოდნენ, აბეზღებდნენ მთავართან, ხოლო პუზირევსკი კი მის დასაჭერად სოფელ შემოქმედში წავიდა, მაგრამ იქ ვერავინ იპოვა, დაბრუნებულს გზაზე აჯანყებული გურულები შეხვდნენ. პუზირევსკი თავის ყაზახებითურთ მოკლეს, რის გამო გურიაში აუარებელი ჯარით შევიდა თვითმპყრობელობის გუშაგი სკორელსკი.

— ეს პუზირევსკი ხომ ის ოფიცერი იყო, რომელმაც ქუთაისში მიტროპოლიტები — ქუთათელი და გელათელი აწამა და დააპატიმრა.

— დიახ, ის გახლდათ, ააწიოკა გურია იმპერატორის ჯარმა. მე მგონია, არ შევცდები, თუ მოგახსენებთ ჩემს აზრს.

— თქვენს აზრს ყოველთვის ყურს უგდებდა და ანგარიშს უწევდა მეუღლე ჩემი.

მაპუტაძე ყოყმანობდა, ეტყობოდა, უჭირდა ლაპარაკის დაწყება.

— გისმენ, თავადო! — მოუთმენლად უთხრა სოფიომ.

— დედოფალო, მე ამ დღეებში ოსმალეთიდან ოსმან-ფაშას მეორე წერილი მივიღე.

— რატომ მეორე, პირველი ადრევე იყო? რისთვის არ მითხარი? შენც მღალატობ, მაშ ვის მივენდო?

— თქვენს მოღალატეს საღამომდე სული გაეცხოს, არ გითხარით მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს აღელვებას მოვერიდე და ამავე დროს, ის პირველ წერილში გარკვეულად არაფერს წერდა, მხოლოდ გვეპატიჟებოდა, მესტუმრეთო.

— ახლა რას გწერს?

— ყოველგვარ სიკეთეს, გვპირდება მფარველობას, გურიის სრულ თავისუფლებას, სამთავროს აღდგენას, გურიიდან რუსის ჯარის გაყვანას. ჩვენ მაშინ, რა თქმა უნდა, რუსეთთან თქვენი მეუღლის ხელშეკრულება უნდა გავაუქმოთ.—მან ამოიღო ჯიბიდან წერილი და სოფიოს გადასცა. თან დასძინა: — კარგად მოიფიქრეთ, რა გზას დავადგეთ.—ის გრძნობდა, ოსმან ფაშა, თავისი ხონთქრის ერთგული, დაინტერესებული იყო საქართველოს ლამაზი და მდიდარი კუთხე—გურია თურქეთის გავლენის ქვეშ მოექცია, გურიის ლამაზი ახალგაზრდებით თავიანთი ჰარამხანები აევსო.

მაჭუტაძე ჩაფიქრებული შეჰყურებდა პირმშვენიერ სოფიოს, დიდ იმედებს ამყარებდა მის სილამაზეზე. რუსხელმწიფეზე უკმაყოფილო, მისი გული და გონება ოსმალეთისაკენ იხრებოდა, ქალს სახეზე აკვირდებოდა, ლამაზი წარბები ხან შეიკმუხნებოდა, ხან სახეზე სიხარულის შუქი გადაირბენდა. სოფიომ კითხვა დაამთავრა. დადუმდა.

— თქვენ მისწერეთ მას რამე? — შეეკითხა ის მაჭუტაძეს.

— უთქვენოდ მე რას მივწერდი?

— ჩემი აზრი ასეთია: ჩვენს ერთგულებთან ერთად უნდა მოვითათბიროთ. თქვენ ჩემზე კარგად იცით, რა გააკეთოთ, მე თქვენ რჩევას ყოველთვის ყურადვიღებ.

— საჭიროა, დედოფალო, ვიცოდეთ, როგორი განწყობილებაა ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, იქაურებს უნდა მოველაპარაკოთ. აბა მარტო ოზურგეთი რას გახდება?

— ეს ყველაფერი თქვენი საქმეა, კიდეც მოელაპარაკეთ, კიდეც გადაწყვიტეთ, მართლადა, აუშვეს რუსეთის ჯარები ასე, გვაწამებენ, არ სჯობია, ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობა და სამთავრო შევინარჩუნოთ.

— გეთანხმებით, დედოფალო, მე გეახლებით ყველგან, სადაც მიბრძანებთ, ვიახლებ საიმედო კაცს.

— ვინ იქნება ასეთი?

— დოლიძე, უერთგულესი ყმა თქვენი.

— ჰო, ის კარგია, დაუძახოთ ახლავე—და ისევ წერილს მიუბრუნდა. — როგორც გენებოთ. — გულში კი მაჭუტაძემ გაიფიქრა: „ცეცხლია ეს ოჯახქორი, არა, ეს მეფექალად არის დაბადებული. რამდენი უძილო ღამე გამითენებია მაგის სიყვარულის გამო, ახლაც რა მასულდგმულებს, თუ არა მაგისა და მისი შვილების კეთილდღეობა... მისი ფიქრები დოლიძის შემოსვლამ შესწყვიტა.

— მოდი, ჩემო, შენ ხომ ისევ ის დოლიძე ხარ, მამია რომ გიყვარდა, ვხედავ მაზედ შავ ტანსაცმელს კიდევ ატარებ, მისი ჰატარა დავითისა და ოთხი ქალის ისევ ერთგული ხარ, როგორც მათი მამის. — და დაწვრილებით გააცნო თავისი გეგმა, გააცნო ოსმან ფაშას წერილების შინაარსი.

დოლიძემ გამგმირავი თვალებით გახედა მაჭუტაძეს. შემდეგ თავი დახარა, ხმას არ იღებდა.

— რას ჩაფიქრდი, ბიჭო! — რიხიანად მიმართა მაჭუტაძემ. — თქვი, რა აზრის ხარ?

— ჩემი აზრი რას წარმოადგენს იმდენს, მთავარია ხალხის აზრი.

— რომელი ხალხის აზრი?—შეეკითხა გაკვირვებული სოფიო.

— იმ ხალხის აზრი, დედოფალო, რომელიც გურიის ამაწიოკებელთ ხვდება და თავს სამშობლოს წირავს. ამდენი უბედურება გადაგხვდა თავზე. მართალია, ბევრი თავადიც დაიხოცა, მაგრამ ბევრიც დაწინაურდა. ხალხი კი დიდ გასაჭირშია, აქედან რუსეთის ჯარი აწუხებს, იქედან თათრები შემოგვიჩნდნენ, ჩვენს ქვეყანაში კიდევ მრავალნი არიან ისეთები, რომელნიც გლეხებს ყიდიან, ლამაზ ქალ-ვაჟს არ ტოვებენ.

მაჭუტაძე და სოფიო გაკვირვებული უსმენდნენ დოლიძეს. ამ ყოველთვის ჩუმ, მთავრის ბავშვების ერთგულ აღმზრდელ ლალას, რომელმაც კარგი ზღაპრების მოყოლა იცოდა... ისინი არ მოელოდნენ მისგან ასეთი გაბედული აზრის გამოთქმას.

— კი, ბატონო, ეს ყველაფერი ასეა და სწორედ მიტომ გვხიბლავს ჩვენ ოსმან ფაშას დაპირებანი! — დაარღვია სიჩუმე დედოფალმა.

— ჩვენ საქმეებში ხონთქარი არ ჩაერევა. მას ჩვენვე, როგორც საჭიროა, ისე მოვაწყობთ, სამთავროს შევინარჩუნებთ, შევინახავთ რჯულს, ენას. — დააწია საიმედო სიტყვები მაჭუტაძემ.

— ეს ყველაფერი კარგი დაწერილია. თქვენ ის თქვით. როგორ შესრულდება სინამდვილეში. თუ ერთმორწმუნე რუსეთმა არ შეგვისრულა პირობა, თათარი რას დაგვზოგავს, თათარი ახლა გვეფერება, ხელში რომ ჩაგვიგდებს, არ დაგვაყრის კარგ დღეს, ამის მეშინია.

— ახლა კი კარგ დღეში ვართ, დედოფალო! — ამოიხვნეშა მაჭუტაძემ.

— შენს მტერს ჩვენ რა დღეშიც ვართ,—თქვა სოფიომ და შემდეგ დოლიძეს მიმართა:

— წაყვები თავად მაჭუტაძეს და შენებურად ერთგულ სამსახურს გაუწევ!

— მესმის, ბატონო, — ყრუდ თქვა დოლიძემ და სოფიოს სამყოფელო ჩუმად დასტოვა.

* * *

ნოემბერი იყო. შემოდგომის მოწყენილი დღე იდგა. ტრაპიზონის ვიწრო ქუჩები არამიმზიდველად გამოიყურებოდა. დაფლეთილ ტანისამოსში გამოწყობილი ოსმალნი ქუჩებში უსიცოცხლოდ მიმოდიოდნენ.

რაღაც ინტერესით დაცქერებოდნენ ყველაფერს. პირახვეული ქალები თავიანთი ჩადრებიდან გაკვირვებული უკვრეტდნენ ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ კარგ თვალად ქალსა და კაცს, რომელთაც წინ ოთხი დიდი ეტლი მიუძღოდათ, ხოლო დანარჩენები ბარგი-ბარხანით სავსე ურმებს მიჰყვებოდნენ, ზოგი ცხენით და ზოგი ქვეითად. ცხენოსანი ასკერები მათ მცველებივით მოსდევდნენ.

ოსმან ფაშამ ჯერ კიდევ დილით მიიღო ცნობა, რომ გურიის დედოფალი სოფიო თავისი ამალით ტრაპეზონის კარებს მიუახლოვდა: ოსმან ფაშამ გასცა ბრძანება, რათა მათ ღირსეულად შეხვედროდნენ. რომ ყველანი კარგად დაებინავებინათ, სათანადო პატივი ეცათ. სოფიოს ამალა საკმაოდ დიდი იყო. მას ახლდნენ თავადები, აზნაურები, მანდილოსნები.

ოსმან ფაშა სტუმრებს მოუთმენლად მოელოდა. მას გაგონილი ჰქონდა სოფიოს მშვენიერება. ის ახლა ასე გზააბნეულს ხედავდა გურიის მთავრის მამიას ცოლშვილს, ხან სიბრალული შეეპარებოდა გულში, ხან სიამაყე, ხან დიდი იმედი, რომ ამ ოჯახის საშუალებით ის გურიაში გაბატონდებოდა.

ოსმან ფაშა უფრო და უფრო სასიამოვნო ოცნებას ეძლეოდა, გურიიდან ჩამოსულები დიდ პატივსა და ამაგში ჰყავდა.

სოფიოსაც თავი რიგიანად ეჭირა. დღითიდღე ელოდა სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნებას. არ გაუმართლდა მას იმედი.

რუსეთმა ერზრუმი აიღო, და სულ მალე მათმა ქვემეხებმა ტრაპეზუნდის ახლოს დაიქუხა.

სოფიო შეშინდა, სულით დაეცა. ოსმან ფაშა თვით დაეხმარა მას. ის თავისი ამალით დამალულად გაიყვანეს ტრაპეზუნდიდან შუა ანატოლისაკენ.

სოფიომ მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რა შეცდომა დაუშვა, ის ახლა მზად იყო თავისი შეცდომა მოენანიებია, დაბრუნებოდა სამშობლოს, ეთხოვა რუს ხელმწიფისათვის პატიება. დაღონებული სოფიო ცრემლებით სავსე თვალებით შეცქეროდა შვილებს, რომელნიც საკუთარ მიწა-წყალს მოწყვეტილი იყვნენ და ვინ იცის, რა ელოდათ, მას კიდევ მაჭუტაძის იმედი ჰქონდა.

— დავბრუნდეთ, თავადო ალექსანდრე, საქართველოში, რაც მოგვივა, ისევ იქ მოგვივიდეს. შვილებს მაინც ჩავაბარებ თავის ქვეყანას, თავის სანათესავოს. ვერ ვგრძნობ თავს კარგად. ნეტავ ეს ჩემი. შვილები იქ დამისხა, სადაც ჩემი ქალები არიან. სწავლა არ აკლიათ და პატრონობა და ეს სულ ერმოლოვის ბრძანებით. მე კი ვისულელე, თათრებს მივენდე, მაგრამ ერმოლოვის „პრიკაზებმა“ გადამწყვეტინა ეს საქმე. მან მე ამიგდო, დამამცირა.

— იცოცხლეთ, კარგი იქნება, მაგრამ აქედან გასვლა არ არის ისე ადვილი, როგორც შემოსვლა იყო. მე არა ერთხელ მიხმო ოსმან ფაშამ, თქვენზე ბევრი მელაპარაკა და შემეკითხა: რას აპირებს, თუ იცით, დედოფალო.

— თქვენ რა უპასუხეთ?

— რა უნდა მეთქვა, სიმართლეს ვერ ვიტყოდი, განრისხდებოდა. ყოველ პატივს მოგვაკლებდა. თქვენ გამაგრდით, თავს მოუარეთ, თქვენს სიკვდილს უფალი არ მომასწრებს, — წარმოსთქვა მაჭუტაძემ.

დაჯავრიანებულმა სოფიომ დიდხანს ვეღარ იცოცხლა, ის ტრაპიზუნდში მისვლის დაახლოებით ერთი წლის თავზე გარდაიცვალა.

15 წლის ეკატერინე და მისი 9 წლის ძმა დავითი ოსმან ფაშას ზრუნვის ქვეშ დარჩნენ.

ოსმან ფაშა საგონებელში ჩავარდა. სოფიოს ობლები და მათი ამალა მთლიანად კისერზე დააწვა. ასეთ ხარჯს აზრი აღარ ჰქონდა. აღარ იყო სოფიო, მისი სტუმართმოყვარეობის მთავარი სტიმული. მან საქმის გაკეთება ასე მოინდომა და ეს აზრი წინასწარ მაჭუტაძეს გააცნო:

— რას იტყვი, თავადი მაჭუტაძე, რომ მოხერხდეს და მშვენიერი ეკატერინე ხონთქრის ცოლი გახდეს?

მაჭუტაძეს ტანში სიხარულის ერუანტელმა დაურბინა. კვლავ აინთო მის გულში იმედის ცეხცლი, რომ გურიის სამთავროს აღადგენდა. მაინც თავი შეიკავა. ოსმან ფაშას თავისი სიხარული არ უჩვენა, მხოლოდ ეს უპასუხა:

— თქვენ უკეთ იცით ხონთქარის გემოვნება და ხასიათი.

— მე მხოლოდ ის ვიცი რომ ეკატერინეზე უმშვენიერესი ქალი ძნელი წარმოსადგენია.

— მე ერთხელ კიდევ მოგაგონებთ თქვენს დაპირებებს, ხონთქარზე გავლენა უნდა იქონიოთ ეკატერინესთან ერთად, რათა მან გურიის სამთავრო აღადგინოს.

— თუ ქალი მოეწონა, ხონთქარი ბევრ რამეს გააკეთებს სიყვარულის გავლენით.

სულ მალე გადაწყდა ეკატერინეს ბედი, ოსმან ფაშამ აცნობა ხონთქარს ეკატერინეს მშვენიერება და ახალგაზრდობა.

ხონთქარმა ეკატერინე და მისი ძმა დავითი ამალით კონსტანტინეპოლში დაიბარა. მაჭუტაძე აღაფრთოვანა ამ მისთვის სასიხარულო ამბის გაგებამ, გრძნობდა მიზანს უახლოვდებოდა და მიაღწევდა აუცილებლად. ხშირად გაუელვებდა შიში თვით ეკატერინეს მიმართ. იცოდა, რა მორწმუნე და მტკიცე ხასიათის იყო ეს თხუთმეტი წლის გოგონა. ნაბრძანები ჰქონდა ყველა მხლებლისათვის ხონთქრის სურვილი ახალგაზრდა ქალის ყურამდე არ მისულიყო და, მართლაც, ეკატერინემ არაფერი იცოდა. ქალიშვილი ლოცვად იდგა, როდესაც მაჭუტაძე და დოლიძე წინა ოთახში ისხდნენ და დაბალი ხმით საუბრობდნენ.

— როგორ ფიქრობ, დოლიძევ, ვითომ ვერ დავითანხმებთ ქალიშვილს ხონთქრის ცოლობაზე?

— მეეჰვება. ძალიან მტკიცეა ბატონიშვილი და იმავე დროს მლოცველი, სარწმუნოების დამცველი.

— მაინც დროა ვაჩვენოთ ხონთქარს, ის დღეს ელის მის ნახვას. — და მართლაც, ეკატერინეს აცნობეს, რომ ხონთქარს მისი ცოლად შერთვა სურს, რომ ის იქნება მისი პირველი ცოლი, ყოველი დიდებით ააავსებს და, რაც მთავარია, გურიის სამთავროს აღადგენს და დამოუკიდებლად აქცევს. როდესაც ეს ეკატერინემ გაიგონა, გაბრაზდა და გამზრდელებს უთხრა:

— დედაჩემი აქ ჩაკლეს ამ ურჯულოებმა, ახლა ალბათ ჩემი ჯერი დადგა, არასგზით არ გავხდები ურჯულო ხონთქარის ცოლი. ის მე და გურიასაც თათრებად გადაგვაქცევს. თქვენ მაცალეთ, მე მას არ მოვეწონები და ჩვენ ისევ სამშობლოს დავუბრუნდებით, იქ ჩემი დავითი ისწავლის, ალბათ სამთავროსაც დაგვიბრუნებენ, ყოველ შემთხვევაში, გვიპატრონებენ, აკი იქ არის ჩემი სამი და, ყველანი სწავლობენ ღვთის მადლით. მხოლოდ ხონთქართან მისასვლელად გამოწყობის დრო მომეცით.—მხლებლები გავიდნენ. ეკატერინემ დაიბარა ორი მოახლე ქალი და მიმართა მათ:

— გთხოვთ, ფერუმარული მიშოვოთ.

— რად გინდა, ბატონიშვილო! თქვენს მშვენიერებას რას შეჰმატებს ფერუმარული?

— კი შეჰმატებს, მე საქმეს ვაკეთებ. — გამოცდილი ქალივით თქვა ეკატერინემ. — ამას გარდა ძალიან გთხოვთ ძველი დაფლეთილი კაბები, უბრალო ჩუსტები და თავზე მოსახვევი უშნო რამე მიშოვოთ.

მოახლეებმა ყველაფერი იშოვეს და თან ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— ნეტა, რად უნდა ასეთი გამოწყობა ბატონიშვილს.

— ვაი, შვილო, — ამოიოხრა მეორე მოახლემ,—ალბათ, ხონთქრის საჩვენებლად მიჰყავთ, უნდა თავი შეაძულოს, რომ არ ისურვოს იმ ოხერმა მისი დაახლოება.

— როგორ ტყვილა იწვალებს თავს საწყალი ქალი. მაგათ ვინ მოატყუებს, იქნებ სულაც დასაჯონ, ვის გაუბედე მოტყუებაო.

ეკატერინე გარეგნობით სრულიად დამახინჯებული და ფეხებმოქცეული წარსდგა ხონთქარის წინაშე. ხონთქარი განრისხდა, ეს რა მომგვარეს, როგორ გაბედა ოსმან ფაშამ ჩემი მოტყუებაო.

თუ გურიელის ქალი, მართლაც, ასეთი მახინჯი აღმოჩნდა, როგორც მე მომეჩვენა, ფიქრობდა ის, ფაშა არ გადამირჩება, იქნებ რამე გურულების ეშმაკობას აქვს ადგილი. შეეამოწმებინებ, გადაწყვიტა მან და ეკატერინე ჩააბარეს ხოსრო ფაშის პირველ ცოლს, რომლის ზედამხედველობის ქვეშ ეკატერინეს მშვენიერება მალე გამოჩნდა.

ხონთქარს ბოროტი გული აუტოკდა. მიზნად დაისახა ეკატერინე სიყვარულით დაემორჩილებინა. მას მობეზრებოდა ნაძალა-

დევი ტრფიალება. უნდოდა ქალის გულში სიყვარული რაინდული თვისებებით ჩაენერგა. აუარებელი საჩუქრით აღავსეს ეკატერინე. ძმასთან ახლოს იყო, სრული უფლება ჰქონდა თავისი მხლებლების ნახვისა. ართობდნენ ცეკვებითა და სიმღერებით, ანებივრებდნენ, ყოველივე სურვილს უსრულებდნენ.

ქართველ მხლებლებს გარდა მას ხოსრო ფაშას პირველი ცოლი და სხვა ხონთქარის სასახლის წარჩინებული ქალებიც შეჩენილი ყავდა, დაერწმუნებიათ თავის ბედნიერებაში.

ყველაზე მეტად მაჭუტაძე იბრძოდა, ეკატერინესაგან თანხმობა მიეღო ხონთქარის ცოლობაზე. ყოველი ნახვის დროს ამ საგანზე ჩამოუგდებდა საუბარს:

—რად ჩადიხარ, შვილო, ასეთ საქმეს, რად გაჯიუტებულხარ! დაფიქრდი, შენი ეს ნაბიჯი როგორ იხსნის შენს სამშობლოს, შენს ერთადერთ ძმასაც მოუპოვებ სამთავროს. შენი ძმა პირველი კაცი გახდება არა თუ გურიაში, მთელ საქართველოში. ჩვენი დავითი ხონთქარს დიდად უყვარს, ხშირად მეუბნება: მას დიდი სწავლა უნდა მივაღებინოთ, ვინ იცის, ოდესმე მთელი საქართველოს მეფე გახდესო.

ეკატერინე ყურს უგდებდა მრავალჯერ გაგონილ სიტყვებს. წინათ ის არასოდეს პასუხს არ აძლევდა მაჭუტაძეს, მაგრამ იმ დღეს ვეღარ მოითმინა და მრისხანედ უპასუხა:

—და ყოველივე ამ სიკეთისათვის მე რჯული უნდა გამოვიცვალო?

—სჯულის გამოცვლა ორნაირია, ბატონიშვილო! ერთი, როდესაც შენს სჯულს ღალატობ იმ მიზნით, რომ განცხრომით იცხოვრო და ისე გიტაცებს ის ფუფუნება და პატივმოყვარეობა, გულში აღარ გრჩება არავითარი რწმენა და სიყვარული სჯულისადმი. მეორე საკითხია, გამოიცვალო სჯული სამშობლოს დასახსნელად, შენ სწორედ ასეთი სჯულის შეცვლა მოგიხდება. თავგანწირული ქართველი ქალები სამშობლოს სიყვარულისათვის რას არ სჩადიოდნენ, მსხვერპლად ეწირებოდნენ, ყოველ საპირადოს ტოვებდნენ. დარწმუნებულიც ყოფილიყვნენ, ჯოჯოხეთში ჩასცვივდებიან, მაშინაც არ იხევენ უკან.

—მე, თავადო, მაჭუტაძე, ასაკით პატარა ვარ, არც ნასწავლი, ჩემი დები იქ საქართველოში, თუ რუსეთში სწავლას ღებულობდნენ, მე და დავითი უბედურმა დედაჩვენმა და თქვენ ოსმალთ ხელში ჩაგვყარეთ. აბა დამისახელეთ რომელ კარგ ქართველ ქალს გამოუცვლია სჯული. მოიგონეთ ქეთევან წამებული, რას არ პირდებოდა მას შაჰ აბასი. განა უღალატა სჯულს? არა. რომელი ჭკვათამყოფელი კაცი დაუჯერებს მათ დაპირებებს! ოხ, რა საშინელნი არიან. მე ხომ ხალხში არ გამოვდივარ, აქედანაც ვიცი, რაც ხდება. დღე ისე არ გაივლის, სულ პატარა დანაშაულისათვის თვით ამ სასახლეში ერთსა და ორ კაცს მაინც არ მოკვეთონ თავი. ახლა

ვინ მოსთვლის რა ხდება სხვადასხვა საფაშოებში. თქვენ კი გჯერათ, თავადო, რომ ხონთქარი გურიის სამთავროს აღადგენს, ჩემს ძმას გააბედნიერებს! მე ეს არ მჯერა. ხონთქარი მძულს. ჩემი სარწმუნოება მიყვარს, არაფრით მას არ ვუღალატებ. — მაჭუტაძეს ნაცრისფერი გადაედო. ადგა და ისე მოახსენა:

— თქვენ თავსაც იღუპავთ და ძმასაც ღუპავთ. მეტი მოსაზრება გმართებთ, პატარა დავითი შეიბრალეთ, თუ ჩვენ არცერთი არ გებრალებით.

— მე სიბრალულის გრძნობა გულიდან ამომაგლიჯეს ამ მხეცებმა. ჩვენ ყველანი უნდა დავიღუპოთ. აწი გვიან არის ამაზე ფიქრი. ის კი იცოდეთ. ჩემი იმედი ნურასდროს ნუ გექნებათ. მე არასოდეს სულთანის ცოლი არ გავხდები. როგორ მეზიზღება მისი პირველი ცოლობა! ეს გაგრძელდება რამდენიმე დღეს და შემდეგ მომელის ჰარამხანებში სულის ამოხდენა. არა, არა, არასოდეს. მე ვილოცებ, ვილოცებ და ისე მოვკვდები. — თქვა მან და ქვითინით იქვე ბალიშზე დაეშვა. მაჭუტაძე შებრუნდა წასასვლელად, ძლივს მიაბიჯებდა, უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ ეკატერინე სერალში გადაიყვანეს. ყოველივე კავშირი გააწყვეტინეს ძმასთან და ქართველ მხლებლებთან. მას გულზე ეკიდა ჭეშმარიტის, ან როგორც ხალხში ეძახოდნენ, ნაწილებიანი ხატი, რომელსაც არასოდეს არ იშორებდა.

ერთ დღეს ეს ნივთი დავითს მიუტანეს და ასე უთხრეს:

— ეს ეკატერინეს აღარ ეჭირვებაო. — ყველას გაუკვირდა ეს ამბავი, მაჭუტაძემ კი გადაწყვიტა: ალბათ გათათრდა ეკატერინეო და მის გულში დასახული მიზნების განხორციელების იმედი კვლავ შეიჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო ეს ხატი უკან მოითხოვეს და დოლიძეს ნება მისცეს ეკატერინესთან შესულიყო. აგრეთვე ნება დართეს ეკატერინე ჩვეულებრივად გურული საჰმელ-სასმელით ეკვებათ. დოლიძე ცას ეწია სიხარულით, სიხარულითვე წაიღო საჰმელ-სასმელი, მაგრამ აჩრდილს დამსგავსებული ეკატერინესი ცნობაც კი გაუჭირდა. სულიერ წამებასა და შიმშილს ისე გამოეცვალა პირმშვენიერი ქალიშვილი, რომ დოლიძეს სიბრალულისაგან ტირილი წასკდა და ქალს მოეხვია.

— რა დაგემართა, ბატონიშვილო! რამ შეგცვალა აგრე?

— შენ ის მკითხე, ცოცხალი რატომ ვარ, ჯვარი მომპარეს, ჩემი ერთგული მოახლე—ალვისახარ გადაიბირეს: ის მე ყველა მოახლეებზე უფრო მიყვარდა. რა ერთგული იყო ჩემი და იცი როგორ აღალატებინეს ჩემთვის? — აავსეს საჩუქრებით, შეაშინეს წამების მუქარით, ვერ გაუძლო ცდუნებას და სჩანს სჯულს გადაუდგა.

დოლიძე განაგრძობდა ქვითინს, ცრემლების ღვრას და თან სთხოვდა:

— მითხარი, მითხარი ძვირფასო, საყვარელო ბატონიშვილო, ყველაფერი.

— რა გითხრა, ჩემო და ჩემი ძმის ერთადერთო ერთგულო და ნუგეშო, მრცხვენია კიდეც, ის საზიზღარი ხონთქარი იყო ჩემთან. როგორ მეზიზღება მისი ხსენებაც. შენ სთხოვე, თუ თვითონ მან შეგთავაზა ნება ჩემი ნახვისა?

— მე როგორ ვთხოვდი, ბატონიშვილო, ვინ მიმიშვებდა მასთან! თვითონ დამიბარა, დამპირდა ათას რამეებს, ოღონ შენ დაგიყოლიო, ნებით მისი ცოლი გახდე.

— ის დღე მას არ გაუთენდება. თავისუფლებავ, სადა ხარ? დედაჩემო, ეს რა გვიყავი, ვის ხელში ჩაგვყარე.

— მშობლის აუგად ხსენება ცუდია, განა მისი ბრალია? ჩვენი თავადები ვის არ გადაიყვანენ ჭკუიდან.

— კარგი მაგრამ, ჩვენო ერთგულო და კარგო, შენ რად დათანხმდი?

— რას ბრძანებ, ბატონიშვილო, მე ვინ მკითხავდა. ახლა, რაკი ასე წავიდა ჩვენი საქმე, ვარჩიოთ რამე, სიცოცხლე არ შესწირო ამ ნადირთ.

— სწორედ სიცოცხლეს შევწირავ და ბინძურ ხონთქარს არ შევაბილწვინებ ჩემს სჯულსა და ჩემს თავს.

დოლიძე დარწმუნდა ქალის სიმტკიცეში, რომ დიდ ხონქარსაც არ შეუძლია მასზე მოქმედება. ეკატერინეს კალთაზე ეამბორა და ოთახიდან გავიდა.

ერთ კვირაში ახალგაზრდა ეკატერინე ისევ მოსულდგმულდა, ისევ თვალწარმტაცი გახდა. მას იმედს გვრიდა ძმისა და დოლიძის ხშირი შეხვედრები, ხან ბავშვურად მღეროდა ძმასთან ერთად, ხან დედის მიერ დარჩენილ ხელნაწერებს და წიგნებს კითხულობდა. ხშირად ჭადრაკის თამაშით ერთობოდა და-ძმა.

დოლიძეც მათთან იყო განუყრელად. ზოგჯერ საინტერესო ზღაპრებსაც ჰყვებოდნენ.

ათმა დღემ გაიარა. ეკატერინეს აღარავინ აწუხებდა. ის ვარდივით იფურჩქნებოდა. დაუბრუნდა სიხალისე, მხიარულება, კისკისებდა ძმასთან, მოახლეებთან. ერთ დღეს მას ძმა არ აჩვენეს, არც დოლიძე. მსახური ქალებიდან მხოლოდ ერთი შემოდიოდა, საჭმელი შემოჰქონდა, მერე ისიც გადაიკარგა. ეკატერინეს გული ცუდს უთხრობდა. რა მოსდით? სადა არიან? ხან ხელსაქნარს მოჰკიდებდა ხელს, ხან კითხულობდა, სარკეშიდაც კი იხედებოდა, ვერაფრით ვერ მოისვენა. ისევ ლოცვას შეუდგა, თან საგალობელს აყოლებდა.

უეცრად კარებში ხონთქარი გამოჩნდა. ქალი შიშით შეეკრჟოლდა, გაფითრდა.

— რამ შეგაშინა, ჩემო მშვენიერო, დიდი ოტომანიის იმპერიის მომავალო დედოფალო! — ხელგაშლილი ხონთქარი ქალისა-

კენ წავიდა. ეკატერინე შვლის დამფრთხალი ნუკრივით შებტა ტახტზე, შეტრიალდა, იქით-აქეთ მიმოავლო თვალი, თითქოს თავშესაფარს ეძებსო, მაგრამ კარგად იცოდა ფანჯრები მაგარი ურდულებით იყო დახშული, კარი კი, საიდანაც ხონთქარი შემოვიდა, მას არ გამოადგებოდა, იქ ხონთქარს მრავალი მცველი ეყოლებოდა. ის გაჩერდა მრისხანე, ვეფხის ბოკვერივით მიაჩერდა ხონთქარს და გულგამგმირავი ხმით უთხრა:

— გამშორდით, რა გინდათ ჩემგან?

— შენი სიყვარული მინდა! — უპასუხა მან და ტლანქი ხელები მიიზიდა საალერსოდ.

ეკატერინემ გახეული გულისპირიდან ჯვარი მოიხსნა, განზე გაისროლა და დაუყვირა ხონთქარს:

— შენ მხოლოდ ჩემს მკვდარ სხეულს დაეუფლები!

ავხორცი ხონთქარი დასდევდა მას.

ეკატერინეს გულგამგმირავი წივილ-კივილი იქაურობას აყრუებდა. სირცხვილითა და რისხვით აღშფოთებული ხონთქარი ქალის ოთახიდან გამოვიდა. სასახლეში ყველა ღელავდა, ვის დაატყდებოდა მძვინვარე ხონთქარის რისხვა.

როდესაც გურულებს მისცეს ეკატერინესთან შესვლის ნება, ის მათ გონება შეშლილი დახვდათ. მას ჯვარი ხელში ეჭირა და ნერვიულად სულ ერთდაიმავეს გაიძახოდა: „ჰა ჩემი მკვდარი სხეული“. თანდათან აღგზნებულმა ხატი და ჯვარი მხლებლებს გადააყარა.

საშინელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ გურულები სათათრეთში. პატარა დავითი შეშინდა, მაჭუტაძე დარწმუნდა, რომ ბრძოლა წააგო, ხოლო დოლიძის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ის არ შორდებოდა ჭკუაზე შეშლილ ეკატერინეს. რა ზომებს არ მიმართა: მოფერებას, ზღაპრების მოყოლას, სიმღერას, მაგრამ ყოველივემ ფუჭად ჩაუარა. ის სულ ბორგავდა, ჰყვიროდა უაზრო სიტყვებს, ტანისამოსს იგლეჯდა, პირს იხოკდა, თავში მუშტებს იცემდა. ბოლოს ის შეჰკრეს...

მალე ბარონ როზენის შუამდგომლობით გურულები სამშობლოში დააბრუნეს, რის შემდეგ ნათესავებისა და მთავრობის დახმარებით ეკატერინე პეტერბურგს გაგზავნეს სამკურნალოდ. დავითი კი სასწავლებელში. ეკატერინე განიკურნა და მისმა ახლობელმა ნათესავმა — მართა დადიანმა ის ლევან ჩიჩუას მიათხოვა, მაგრამ მას ნერვები მაინც აშლილი ჰქონდა და ხშირად არანორმალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის ადრე დაქვრივდა. ეს მშვენიერი გარეგნობისა და მტკიცე ნებისყოფის უმწიკვლო ადამიანი უმსგავსოებისა და უგნურ ადამიანთა მოქმედების მსხვერპლი გახდა.

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი

მარიამ ვატხანგის ასული ხანდაზმული დახვდა მეოცე საუკუნეს. იმ საუკუნიდან მწარე მოგონებები თან მოჰქონდა. კარგად ახსოვდა თვითმპყრობელი მეფისა და მისი მოხელეების უსამართლო და სუსხიანი დამოკიდებულება ქართველ ხალხთან.

მარიამი, იმ დროის კვალობაზე, განათლებული ქალი იყო, ნაკითხი, განვითარებული, მას შემოვლილი ჰქონდა რუსეთი და ევროპის თვალსაჩინო ქალაქები. დაზიარებული იყო პროგრესულ იდეებს, მაღალ კულტურას. იმავე დროს ის თვითმპყრობელი მეფის რეჟიმისადმი დიდი პროტესტის გრძნობით იყო გაჟღენთილი. ის ვერ ურიგდებოდა საქართველოს უფლებების აბუჩად აგდებასა და ხალხის შევიწროებას.

მას ბავშვობიდან ესმოდა, თუ რამდენი ქართველი გადაასახლეს ციმბირში. მათ რიცხვში გადასახლებული ყოფილა მისი ახალგაზრდა მამა, აგრეთვე მათი ოჯახის მრავალი ნათესავი და მეგობარი.

ამ ძველ ამბებს მარიამს მისი აღმზრდელი ქეთევან მეჯვრისხეველი, გლეხის ქალი, გვარად გოგოლაშვილი უყვებოდა. ქეთევანი ჯერ მარიამის მამას ვახტანგს ზრდიდა, შემდეგ მის ქალიშვილს — მარიამს.

მარიამი თავის მოგონებებში აღნიშნავს თავისი გამზრდელი ქეთევანის კარგ თვისებებს, იგონებს მას ტკბილად და სიყვარულით.

ყოველგვარი საზოგადოებრივი მუშაობის გარეშე მარიამის ლმობიერება და კაცთმოყვარეობის სანიმუშოდ კმარა მისი დამოკიდებულება გლეხის ქალებისადმი, ქეთევანისა და საბედასადმი. როდესაც მის მოგონებებს ამ ქალებზე კითხულობთ, ყოველ მის სიტყვაში გამოსჭვივის მათი სიყვარული და პატივი.

მარიამი თავის გარეგნულ მშვენიერებას კოპწიობისათვის და თაყვანისმცემლების შეძენისათვის არ ხმარობდა. პირიქით, მას თვითმპყრობელი მეფის უხეშ მოხელეებთან თავი შეუვალად ეჭირა. თავისი დიდი ოჯახისშვილობის გავლენას საჭიროებისდა მიხედვით იყენებდა. მარიამის ჭკუასა და ადამიანობას ასეთი პატარა შემთხვევაც კი ახასიათებს:

ლამისყანას ერთხელ რაღაც პატარა დანაშაულისათვის მეფის უგვანო მოხელეებმა ყაზახ-რუსები მიუსიეს.

მამაკაცები ყანებში ყოფილან, ყაზახ-რუსებმა დედაკაცები დაიჭირეს და გორში ქვეითად წაყვანას უპირებდნენ. მარიამს გლეხის ქალებმა პატარა გოგოს პირით შეატყობინეს ეს უბედურება. მარიამი იმწამსვე მიეშველა სოფელს, სოფლის აწიოკების ხელმძღვანელი ოფიცერი მარიამის უკეთილშობილესმა და გამჭრიახი ჭკუის გამომხატველმა თვალების ძალამ შებორკა. ის მარიამს თავაზიანად შეხვდა.

მარიამმა მას შეუვალად განუცხადა გაენთავისუფლებია ქალები და თან დააყოლა: „ამ ძალმომრეობისათვის პასუხს მოვათხოვინებ თქვენგანო“.

ოფიცერმა თავიც იმართლა, ბოდიშიც მოიხადა და ქალები გაანთავისუფლა. რაღა ყაზახ-რუსების აწიოკება ეჭირვებოდა დაბეჩავებულ სოფელს, რომელსაც არც სკოლა ჰქონდა, არც საავადმყოფო, არც ექიმი ჰყავდა. მარიამს უხდებოდა ყველაფერზე ზრუნვა. „თბილისიდან მთელი აფთიაქი ჩამოგვქონდაო“, ამბობს ის თავის მოგონებაში.

მარიამის აღზრდა-განათლებას, რა თქმა უნდა, მარტო ქეთევანის მოყოლილ ამბებზე არ გააჩერებდნენ. მას და მის ძმას ბავშვობიდანვე გუვერნიორები და გუვერნატკები მიუჩინეს.

მარიამი ისე კარგად იყო დაუფლებული ფრანგულ ენას, რომ მოგონებებს უფრო ხშირად ფრანგულად წერდა, რომელიც შემდეგ თედო სახოკიას უთარგმნია. მარიამი თავის მოგონებაში ამბობს: „ათას რვაას სამოცდა ოთხ წელს ცამეტი წლისა ვიყავი, რომ თბილისში ხელოსანთა აჯანყება მოხდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომელთაც თბილისის ერთ-ერთ მოედანზე მოეყარათ თავი, გაეგზავნათ რაზმი და ისიც ქართველის მეთაურობით.

ამ ამბავმა თავზარი დამცა და გულამოსკვნილი ვთხოულობდი მოეცათ ჩემთვის თოფი აჯანყებულების დასახმარებლად. დიდის გაჭირვებით დამამშვიდეს, როდესაც მითხრეს, რომ დამსჯელი რაზმი უკან გაიწვიესო“.

ცამეტი წლის გოგონა უკვე აღსავსეა კაცთმოყვარეობით, ის ვერ იტანს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, ვერ იტანს ძალმომრეობას. ეს თვისებები თან შეეზარდა მარიამ ციხტანგის ასულს, თანდათან გაღვივდა და განმტკიცდა მის გულში კაცთმოყვარეობა, დაჩაგრულისადმი თანაგრძნობა, გაჭირვებულთა დახმარება. თავის ოჯახშიაც ის კარგ წრეში ტრიალებდა, მათი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, დავით ერისთავი—დრამატურგი და საერთოდ მაშინდელი მოწინავე ქართველები. თვით მამა მისი ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანი ფრიად განათლებული, დემოკრატიული მისწრაფებითა და შეგნებით იყო ცნობილი იმ ხანაში.

მარიამს მამის დასახასიათებლად მოყავს ერთი ფაქტი, რომელიც იმ დროს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ყოფილა. მარიამიც გვიყვება ამ ამბავს: „ყმების განთავისუფლებისას თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა აღაშფოთა ვახტანგის საქციელმა, როდესაც მან ყმების გამოსასყიდი ფულის აღებაზე უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ „ადამიანის სიცოცხლით მე არასოდეს არ მივაჭრიაო“.

მარიამ ვახტანგის ასულის მოღვაწეობა 1882 წლიდან უფრო სისტემატურ ხასიათს ღებულობს. იგი ამ წელს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის საზრუნველო კომიტეტის წევრად აირჩიეს. კომიტეტში შვიდ წევრთა შორის მარიამი ქალებიდან მხოლოდ ერთი ყოფილა.

კომიტეტის მრავალი საქმე ჰქონდა. მარიამსაც ბევრი დროს დათმობა სჭირდებოდა ამ საქმისადმი. მას კომიტეტში ოცდათხუთმეტი წელი უმუშავნია. მისი მთავარი სამუშაო იყო ღარიბ მოსწავლეებზე ზრუნვა, მათი მომარაგება ტანფეხსაცმლებით. შემდეგ მისივე ინიციატივით გაუხსნიათ ჯერ სკოლის გარეთ, შემდეგ თვით სკოლაში უფასო სასადილო მოსწავლეებისათვის.

მარიამი იმავე წლებში იქნა არჩეული „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში“ და სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტში, რომელიც ძლიერ ღარიბი იყო. და მასზე ზრუნვა უშუალოდ მარიამს დააწვა. კომიტეტი მართავდა ლექციებს, სალიტერატურო საღამოებს, კონცერტებს და ყველა ამ საქმის მოთავე მარიამ ვახტანგის ასული იყო. ის იხმარიებდა ქართველ მოწინავე ქალებს და მრავალ საქველმოქმედო საქმეს აკეთებდა. მას ასეთი ფართო მოღვაწეობის დროს ბევრი უსიამოვნება შეხვედრია, რადგან მთავრობა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას იჭვის თვალით უყურებდა. მარიამი მათ ქედს მაინც არ უხრიდა, ენერგიულად განაგრძობდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ის არათუ თბილისში, ლამისყანაშიც ახერხებდა წარმოდგენების გამართვას, ხალხისათვის. გონებრივი საზრდოს მიწოდებას. ამ საქმეებში მას დიდ დახმარებას უწევდა დრამატურგ გიორგი ერისთავის შვილიშვილი ელისაბედი (დავით ერისთავის ქალიშვილი), რომელიც ახლაც ცოცხალია და ყოჩაღადაა. მასთან საუბარი ადამიანს დაატკბობს. ოთხმოცდახუთ წელს მიახლოებული ქალი მომხიბვლელად მოგიყვებათ სამოცდაათი წლის ამბავს, იქვე გაჩვენებთ ჯგუფად გადაღებულ სურათებს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა, პოეტთა და მომღერალთა. გგონიათ ის ჩაიძირა წარსულის მოგონებაში, გგონიათ ის თანადროულობას ჩამოშორებულია, მაგრამ ერთი-ორი წუთი და მოგონებებით დაღვრემილი თვალები უმალ უბრწყინდება, იწყებს ლაპარაკს და მსჯელობას თანამედროვე მოღვაწეებზე. ის იმდენად

გარკვეულია ამ საკითხებში, გიკვირთ და აღტაცებაში მოჰყავხართ მის საღსა და დინჯ მსჯელობას.

მისი გულთბილი შეხვედრა დაუვიწყარი რჩება თქვენს გულში.

მისი ოთახი დამშვენებულია მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა პორტრეტებით, გიორგი ერისთავის საყვარელი საწერი მაგიდით, რომელიც შემკულია გიორგის ნახმარი საწერ-კალამით და მრავალი, შემოქმედი ადამიანისთვის, ძვირფასი საჭირო სამკაულით. ელისაბედი ამ მაგიდას თავის ნივთებით სასოებით შეცქერის და უვლის.

მარიამი ვახტანგის ასული თუ ზაფხულს ლამისყანაში ატარებდა, იქ სოფელს ყოველგვარ დახმარებას აძლევდა, შემოდგომის მიწურულიდან ისევ თბილისსა და თავის საქმეებს დასტრიალებდა თავს. ის გადატვირთული იყო სხვადასხვა კომიტეტებში მუშაობით. ის თანაბარი ერთგულებითა და გულწრფელობით ემსახურებოდა ქართულ სათავადაზნაურო სკოლას, სამუსიკო სასწავლებელს, მასწავლებელთა საზოგადოებასა და მისი სკოლის ქართულ, რუსულ, სომხურ სექტორებს.

ასეთი გამძაფრებული ენერგიით მუშაობდა ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც.

ეკაჯერინე გაბაშვილი

დედით დაობლებული ხუთი წლის კატო და მისი ძმა სოსიკო მამამ—რევაზ თარხნიშვილმა, სიდედრს ჩააბარა აღსაზრდელად. ამასთან ერთად ოჯახის მთლიანად ხელმძღვანელობა და მამულის მართვა გამგეობაც, რადგან სიდედრი მისი იყო ფრიად გამჭრიახი ჭკუა-გონების, ენერგიული და მუყაითი ქალი.

კატო ხუთი წლიდანვე ბებიას ოთახში დააბინავეს, ხოლო მომვლელად და შემქცევად მას მიუჩინეს დედის პირადი მოახლე.

უკვე შვიდი წლის გოგონა კატო ერთ დილას ბებიას ხმამაღალმა ლაპარაკმა გააღვიძა.

გაბრაზებულ ნახევრად ჩაცმულ დიდედას ფანჯარა გაეღო და ვიღაცას მრისხანედ უყვიროდა.

— შე საძაგელო, ეს რა ამბავია, მოურავის ცხენი რომ კოინდარში აგიშვიათ, იქაურობა გაუოხრებია და გადაუთელავს? გეძინათ თუ რა ღმერთი გაგიწყრათ. ან თითონ სად გდია! მთვრალი მოეთრეოდა უთუოდ, უნაგირიც არ მოუხდია. მთელი სოფელი სამუშაოდ არის გასული. ჩვენს მოურავს ალბათ ძინავს. მებეგრე გლეხებიც არ იქნებიან მოსული. ვინ არის გამკითხავი უპატრონო ოჯახის. — უკვე თავისთვის განაგრძო მან. — რამდენ შრომას და ჯაფას ვწევ. ჩემი სიძის მიერ განებივრებული შინაყმები ვერ მოვარჯულე. ის დალოცვილი ჩემი სიძე უფრო მეტ დროს ან თბილისში ატარებს, ან წიგნების კითხვაში. ასე ოჯახი არ მოეწყობა. დამაცადეთ, ჩამოვიდე მანდა, გაჩვენებთ თქვენ სეირსა, მეხი კი დაგაყარეთ მაგ ორგულ თავზე.

პატარა კატო ისმენდა ყოველივე ამას და გაკვირვებული ფიქრობდა: „რად აგინებს დიდედა ძია გაბოს. ცხენიც ხომ ცოდვა იყო, მაშ თუ მოშივდა, საჭმელი არ უნდოდა?“ საერთოდ კატოს დიდედასი რაღაც არ მოეწონა ამ დილით, მაგრამ მთლიანად ვერ გაერკვა, რა აწუხებდა, რა არ მოწონდა. და როდესაც ბებია მისი შემობრუნდა, ბავშვმა გახელილი თვალები მოხუჭა, თავი მოიმძინარა.

კატოს მალე ეზოდან ხმაური შემოესმა, მან ფეხშიშველმა მიირბინა ფანჯარასთან, საიდანაც დაინახა, თუ როგორ აწიოკებდა მისი ბებია ახლად გამოღვიძებულ, სიმთვრალისაგან გაბრუებულ

მოურავს და მის გარშემო მდგარ გლეხებს, რომელთათვის სავალ-დებულო იყო კვირაში განკუთვნილი დღეები ბატონისთვის „ემუ-შავნათ.

— უი, მეხი კი დაგაყარეთ თავზე, გახედეთ ცას, მზემ ქვეყანა მოიარა, თქვენ კი ახალა იღვიძებთ. ეს მხოლოდ მისთვის, რომ ბატონის ყახებს თესავთ, თქვენი რომ ყოფილიყო, იალონზე აქ იქნებოდით. თქვენ რა უნდა მოგთხოვოთ უგუნურებს, როდესაც მოურავი არ გვზოგავს. მაგის ცხენს მთელი ეზო გაუოხრებია. ალ-ბათ გაგიყდით, რევაზისთანა მებატონეს მასე ეკადრება. მე მხოლოდ ეს მიკვირს, რომ თქვენ მშვენივრად იცით, ამ ოჯახისა და მამუ-ლის მართვა ჩემმა სიძემ მე გადმომაბარა. მე თქვენ ცუღლუტობის ნებას არ მოგცემთ. ქვეყანა ჩალით არ არის დახურული.

ბატონი და ყმა თვით ღმერთის გაჩენილია. თქვენ ასე თქვენს ნებაზე ვერ მიგიშვებთ. — ქოთქოთობდა კატოს ბებია.

კატო მხოლოდ მაშინ მოშორდა ფანჯარას და ისევ ლოგინში ჩაწვა, როდესაც ბებიამისი გლეხებსა და მოურავს მოშორდა. თა-ვისი ვერცხლით მოჭედილი ჯოხი ხელში ეჭირა, გზადაგზა შენიშ-ვნებითა და მკაცრი ხმით ტუქსავდა ყმა ქალებს და ყველა გოგო-ბიჭს.

გოგონას ეს ყველაფერი ესმოდა. მთელი დღე დაღვრემილი იყო. გაურკვეველი უსიამოვნების გრძნობა დაეუფლა მის პაწია გულს.

კატოს აღზრდისა და სწავლის საქმე ვერ მიდიოდა კარგად. რევაზს უნდოდა ქალიშვილი თბილისში წაეყვანა. თუ სკოლაში არა, კერძო ოჯახში მაინც მოეწყო, რომ შემდეგში ინსტიტუტში შეეყვანა. სიდედრი კი ამაზე არასგზით არ დაეთანხმა.

— როგორ?! ჩვილი ბავშვი სადღაც გადვისროლოთ, არ ეყოფა დედის გულს მოგლეჯილია, მეც შორს ვყავდე, გადიაც. არა გეთა-ყვა. ან რა აუცილებელია ქალიშვილის სკოლაში წოწიალი. წერა-კითხვას აქაც კარგად შეისწავლის. მათი ტანცი-მანცი და ფრანცი-ზული თავში იხალონ, რაში გვეპირვება, გეთაყვა — ეუბნებოდა ის სიძეს.

განათლებული რევაზი, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებოდა სი-დედრს, უსიამოვნების ასაცილებლად ერთი გამოსავალიღა ჰპოვა: იმავ სოფელში ერთი ხანში შესული ქალი, ვიღაც მოხელის ქვრი-ვი ბავშვებს ასწავლიდა. რევაზი და სიდედრი შეთანხმდნენ კატო-საც ევლო ამ ქალთან სასწავლად.

კატო ჭკვიანი, მგრძნობიარე და გონიერი გოგონა ხდებოდა. ახალ მასწავლებელთან მას ბევრი რამ არ მოეწონა. მასწავლებე-ლი ბავშვებს ძლიერ უხეშად ექცეოდა: აგინებდა, ცემდა. ერთხელ სრულიად პატარა ცელქობისათვის მან სამი ბავშვი ცივ და ნაგა-ვიან ბოსელში დაამწყვდია უჭმელ-უსმელი. იმ საღამოს აღელვე-ბულმა კატომ ბებიას ასე მიმართა:

— რა ცუდია ჩვენი მასწავლებელი, სრულიად არაფერს არ გვასწავლის. ძველი ფსალმუნი აქვს ერთი და რიგ-რიგობით იმას გვაკითხებს მხოლოდ.—შემდეგ ბოსელში დამწყვდევის ამბავიც მოუყვა ბებიას.

— თუ არაფერს გასწავლის კარგი ჭკუა უქნია, ფსალმუნიც გეყოფათ. ქალმა ხელისმოწერა იცოდეს, მეტი რა უნდა, ონავარები რომ დაუსჯია. ისიც კარგი უქნია—მეორედ არ იცელქებენ. ჭკუას ისწავლიან.

კატოს ბებიასი და მასწავლებლის საქციელი გულში უკმაყოფილების გრძნობას უღვიძებდა. ბებიას მიერ შეწუხებული გლეხებიცა და მასწავლებლის მიერ დასჯილი და ნაცემი ბავშვებიც ერთნაირად ებრალებოდა.

კატოს პირველი მასწავლებლისაგან არავითარი ცოდნა არ შეუძენია. ის შემდეგ მამამ თბილისში წაიყვანა.

სწავლის საქმე არც იქ ეწყობოდა, ვინაიდან სწავლა მაშინ იშვიათად თუ იყო სადმე კარგად დაყენებული. მამამ კატო ინსტიტუტში ვერ მოაწყო, ისევ გორში წამოიყვანა და 12 წლის გოგონა ქუცნა ამირაჯიბის ცოლს მიაბარა.

ეს ქალი პირველი მასწავლებელი იყო, რომელიც კატოს ადამიანურად მიუდგა, თავის ცოდნას გოგონასთვის არ შურავდა. საკვალალო ის იყო, რომ თვითონ, ეს პატიოსანი ქალი არ იყო სათანადო ცოდნით აღჭურვილი, რასაც თვითონაც გრძნობდა. მან გოგონას გულწრფელად განუცხადა:

„მე იმდენი სწავლა არა მაქვს, რომ შენ გიხელმძღვანელო. ამიტომ შენ სადმე კარგ პანსიონში უნდა შეხვიდე, წადილს მიაღწიო, თორემ უსწავლელი დარჩები და სინანულში იქნები“.

მამამ კატო მალე ფაბრის პანსიონში შეიყვანა, რომელიც კატომ 1868 წელს დაამთავრა და ისევ თავის დიდედასთან გორში დაბრუნდა, დაამთავრა ქართული სკოლა.

კატოს ძალიან უყვარდა პედაგოგიური სარბიელი. ის ყველგან, თავის ოჯახში, თუ მეზობლებში, თავს მოუყრიდა წერა-კითხვის უცოდინართ და გულმოდგინეთ ასწავლიდა მათ.

სტუმრადაც რომ სადმე წასულიყო, ქალაქში ან სოფლად, ნათესავებში, იქაც კი გამოძებნიდა წერა-კითხვის უცოდინართ, მოისვამდა გვერდით, მათ სწავლას შეუდგებოდა.

კატო თითონ მოძრავი სკოლა იყო.

1870-იან წლებში კატო იწყებს სალიტერატურო მოღვაწეობას. ჯერ გაზეთ „დროებაში“ იბეჭდებოდა მისი წერილები საზოგადოებრივ საკითხებზე, შემდეგში კი ის მოთხრობებს აწვდიდა მკითხველებს. მისი ნაწარმოებები განსაკუთრებით საყურადღებო იყო გლეხობისათვის.

ის ჩაწვდა გლეხის სულისკვეთებას, სარკესავით დაანახა მკითხველს ჭირვარამით სავსე გლეხის გული.

განა მარტო მწერლობით ხასიათდებოდა ეკატერინეს მოღვაწეობა.

არც ერთი საზოგადოებრივი საქმე არ გაკეთდებოდა, რომ მისი მონაწილეობის გარეშე დარჩენილიყო.

მან თბილისში დაარსა ჭრა-კერვის სასწავლებელი.

ეკატერინე მოხუცობაში შედიოდა, თავზე თოვლივით თეთრი თმები ეყარა, მაგრამ გული შემოქმედების ცეცხლით უღვივოდა. მის მიერ დაარსებული სასწავლებელი მრავალ ახალგაზრდა ღარიბ ქალს აყენებდა შრომის გზაზე, აძლევდა ელემენტარულ განათლებას, ის განსაკუთრებით მფარველობდა იმათ, რომელთათვისაც სკოლის კარები დაკეტილი იყო.

ეკატერინე, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძობდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და მწერლობას.

1953 წლის ჟურნალ „მნათობის" № 11-ში ეკატერინე გაბაშვილის გარდაცვალების წლის თავზე მოთავსებულია ანა ღვინიაშვილის წერილი.

ამ წერილში დაზუსტებულია ეკატერინეს ბავშვობა, სწავლის პერიოდი, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. მისი ჰუმანიური გრძნობების გამოსამჟღავნებლად საკმარისია შემდეგი ფაქტი:

ეკატერინე რომ ფაბრის პანსიონის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ზემო ქართლში, თავისი მამის მამულში. მამულს ისევ მისი მკაცრი დიდედა განაგებდა. მან ახლა კიდევ უფრო შეგნებულად ჩახედა დიდედის დამოკიდებულებას გლეხების მიმართ. იმდენი ემუდარა მამას, რომ დიდედა ოჯახისა და მამულების მართვა-გამგეობას ჩამოაშორებინა.

ეკატერინე გაბაშვილი, ჯერ კიდევ ქალიშვილი, მწერალთა საზოგადოებაში პირველად სამოცდაათიან წლებში მოხვედრილა. მან გიორგი წერეთლის ოჯახში გაიცნო ილია ჭავჭავაძე, რომელსაც იმ საღამოს იქ უნდა წაეკითხა თავისი ლექსები.

ეკატერინე შემდეგ დაუახლოვდა ალექსანდრე გაბაშვილის ცოლს, რომელსაც საზოგადო საქმეები ძლიერ იზიდავდა. თვითონ ალექსანდრე გაბაშვილიც დიდი თანამგრძნობი იყო საზოგადოებრივი მუშაობისა.

პირველ რიგში ეკატერინე გაბაშვილის მუშაობა აღსანიშნავია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ის თორმეტი წლის განმავლობაში ამ საზოგადოების გამგეობის წევრი იყო და თავდადებულად მოღვაწეობდა მისი გაფართოებისა და პრაქტიკული მუშაობის წინსვლისათვის.

ეკატერინე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლს დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

მოწინავე საზოგადოებისაგან ქალისადმი მეტ ყურადღებას გაბედულად მოითხოვდა, თავის შეხედულებებს პრესის საშუალე-

ბით ანვითარებდა, ხოლო პრაქტიკულად ქალთა წრეებს თავს დასტრიალებდა. ის „ქალთა ამხანაგობის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა დიმიტრი ყიფიანის ოჯახში მოწინავე ქალების ინიციატივით.

ცნობილია, რომ ამ წრის საშუალებით მრავალი სახალხო, პოპულარული წიგნი იქნა გადმოთარგმნილი და მრავალი კულტურული საქმე მოგვარებული.

მართალია ანა ღვინიაშვილი, როდესაც ამბობს: „ეკატერინე გაბაშვილმა მთელი თავისი ნათელი ცხოვრება განვლო ორი მიმართულებით მხატვრული შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობით“.

ეკატერინე გაბაშვილი ცნობილია საბავშვო მოთხრობებით. მისი მოთხრობები შესამჩნევი შეზავებით არის დაწერილი. ამ მოთხრობებში ყოველი გლეხის ბავშვი პირდაპირ დაინახავდა თავისი ოჯახის გაჭირვებასა და სიდუხჭირეს.

მოთხრობა „ღვინია გადაიჩეხა“ სოფლის რომელ პატარა მეხრეს არ აუდუღებდა გულს, რომელი პატარა სოფლელი ბიჭი არ ოცნებობდა იმ დროს, ჰყოლოდა თავისი ღვინია. და ამ დროს მის ამხანაგს ღვინია დაეღუპა.

ასევე გლეხის დუხჭირ ცხოვრებას გადმოგვცემს მისი „მაგდანას ლურჯა“. დაუვიწყარია მაგდანას ქანცგამწყვეტი შრომა წვრილი ოჯახის დასარჩენად.

ყველა მისი საბავშვო მოთხრობა გამსჭვალულია მაღალი იდეებით, პატრიოტული გრძნობებით. ეს მოთხრობები მან რეალურ საფუძველზე ააგო. უჩვენა პატარებს ჩვენი წარსული საზოგადოებრივი უსამართლოებანი.

ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებების მნიშვნელობას ადიდებს და სრულ ღირსებიანად ხდის ის მოვლენა, რომ ყველა მისი მოთხრობის მთავარი ძარღვი გამოხატავს სოციალურ უსამართლობას ისეთ მხატვრულ ფორმებში, რომლებიც მკითხველს დააინტერესებს და განაწყობს დაჩაგრულთა თანაგრძნობით.

ნორჩ მკითხველთა არსებაში იღვიძებდა სურვილი ასეთი უსამართლობის მოსპობისა. ახალთაობას უნვითარებდა რწმენას, რომ საჭიროა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომ სამართლის მოპოება მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა.

აღწერდა რა ქართველი გლეხობის ეკონომიურად და უფლებრივად შეზღუდულ ვითარებას, მწერალი ქალი მხატვრული სიტყვებით გამოდიოდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედება ქართველი გლეხობის ცხოვრების პანორამაა. მის მოთხრობებში მოცემულია სიღარიბითა და უუფლებობით შეწუხებული ქართველი გლეხის კვნესა-ტირილი.

ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული ინტერესი არ დაკმაყოფილდა ზოგადათ გლეხების მდგომარეობის ჩვენებით.

მწერალი ამ სოციალური თემის გახსნაში უმთავრესად ქალის ბეჩავ მდგომარეობას აღნიშნავდა.

ოღლა გურამიშვილი

გურამიანთა ოჯახში ქალიშვილი შეეძინათ. როგორც მიღებულია, ახლობელნი პატარა გოგონას თავს დასტრიალებდნენ, მის გარეგნულ სილამაზეზე მსჯელობდნენ.

ოლღამ ბავშვობა ფუფუნებასა და სილაღეში გაატარა. მოხუცი გადია ციე ნიავს არ აკარებდა მას. სამზარეულოში ჩასვლის ნებას არ აძლევდა, მაგრამ მოძრავი და ენერგიული ოლღა ახერხებდა სამზარეულოში ჩასვლასაც, სასახლის გოგო-ბიჭებში გარევას და თამაშობას.

როდესაც ის ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში მიჰყავდათ, მას გული წყდებოდა სოფელზე, თავის პატარა ამხანაგებს კი პირდებოდა არ დაგივიწყებთ, ყველაფერს ჩამოგიტანთ, თან გულდაგულ ეთხოვებოდა ყველას.

ინსტიტუტს ოლღა ძლივს შეეჩვია. წამდაუწუმ აგონდებოდა სოფელი, გლეხების გოგო-ბიჭებთან აკრძალული თამაში. ვერც ინსტიტუტში გამეფებულ მოთხოვნას შეეგუა ის: როგორ დაეჭირა ხელები, თავი, ან რეგერანსი როგორ გაეკეთებია. აწუხებდა შენიშვნები არ ელაპარაკა მშობლიურ ენაზე. და შეძახილები „ილაპარაკეთ ფრანგულად". არ ეხერხებოდა ცეკვა, რის გამო უსადილოთაც ხშირად ტოვებდნენ.

ოლღა უკვე მეხუთე კლასში იყო, როდესაც ზაფხულის არდადეგები საგურამოში გაატარა. ბავშვობიდან ოლღას ოცნება იყო „ცხრამუხა" ენახა; ბავშვობიდან სმენია თუ ოთხმოც ომჩატარებული ერეკლე მეფე როგორ ისვენებდა იქ. ახლაც ვერ აიღო დედამამისგან ნებართვა იქ წაჰყოლოდა სოფლის თანატოლ გოგო-ბიჭებს. იცოდა, რომ იქ ჯარიანობა იყო. ის უკითხავად დაედევნა ჯარიანობაში მიმავალთ და საღამოს დიდად ნასიამოვნები სახლში დაბრუნდა.

ყველაზე წინ გოგონას გადია შეხვდა, რომელიც ჭიშკარზე გადასულიყო და უთვალთვალებდა შეგებებოდა ბატონის ქალს.

—ეს რა გაბედე, ოლიკო! დაუკითხავად მარტო როგორ წადი ასე შორს! რომ იცოდე, რა გაბრაზებულია დედა! კიდევ ჩვენი ბედი მამა თბილისშია, წუთიწუთზე ველით და მალე წამოდი სახლში...

* * *

თექვსმეტი წლის ოლღამ ინსტიტუტი დაამთავრა.

ახალგაზრდა და ნიჭიერი ქალი არ კმაყოფილდებოდა იმ ცოდნით, რასაც მაშინდელი ინსტიტუტი აძლევდა ახალგაზრდებს.

როგორც არისტოკრატიულ წრეებში იყო მიღებული ინსტიტუტ დამთავრებული ქალიშვილის საზოგადოებაში გრძელი კაბით გამოყვანა და გაცნობა, იგივე მოუნდომეს ოლღას. უკერავდნენ გრძელ კაბებს, თხოვდნენ არ დავიწყებოდა ევროპული ცეკვები, რომელნიც ოლღას არ უყვარდა და არც კარგად იცოდა. სულ სხვა მისწრაფებისათვის უძგერდა მას გული. ოცნებობდა საზღვარგარეთ წასვლაზე და უმაღლესი სწავლის მიღებაზე.

ბევრ მოწინავე ინტელიგენტთან ერთად ხან თბილისში და ხან საგურამოში გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე ოლღას მამის ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ოლღას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი ყურადღებით ისმენდა მათ მსჯელობა-ბაასს.

ერთ დილას თბილისში მიმავალ მამას ოლღა მორიდებულად მიუახლოვდა და აღელვებით უთხრა:

— მამა, უნდა დამრთო ნება საზღვარგარეთ წავიდე, უმაღლესი სწავლის მისაღებად. მე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, როდესაც თქვენ, მოწინავე მოაზროვნეები, შეიკრიბებით, მსჯელობთ, ბაასობთ მეცნიერულ საკითხებზე და მე კი არ ძალმიძს მივიღო მონაწილეობა, რადგან ვერ ვერკვევი თქვენს საუბარში.

მამამ ქალიშვილს მრისხანედ გადმოხედა.

— ასე საჩქაროდ მაგის პასუხს ვერ მოგცემ. ისე კი, მართალი გითხრა, სურვილი არა მაქვს ქალიშვილი ასე უპატრონოდ გაგიშვა საზღვარგარეთ.

ოჯახში ბრძოლა გაჩაღდა. მშობლები წინ აღუდგენ ქალიშვილის სურვილს და სასტიკად შეებრძოლენ მას. შექმნილი მდგომარეობა ახლომეგობრებმაც გაიგეს.

ნიკო ნიკოლაძე ისედაც დიდი ინტერესით და სიმპათიით იყო გამსჭვალული ოლღასადმი. გასაჭირში მყოფი საყვარელი არსების დახმარება მოინდომა. თავისი აზრი გიორგი წერეთელს გაუზიარა, რომელიც მასთან ნათესაური კავშირითაც იყო დაახლოებული. თვით გიორგი დიდათ აფასებდა ახალგაზრდა ოლღას და მის სურვილს, რომ სწავლა გაეგრძელებია.

საგურამოდან თბილისში ახლად ჩამოსული ოლღა გიორგი წერეთელს შეხვდა. მისალმების შემდეგ მან მორიდებულად უთხრა გიორგის:

— ბატონო გიორგი, მე დღეს თქვენთან ხლებას ვაპირებდი, სათხოვარი მქონდა დიდი.

—მითხარ გენაცვალე, ოლიკო, რითი შემიძლია გემსახურო— და ალერსით ხელი დაადო ქალიშვილს მხარზე.

—ამ დღეებში, ბატონო, მამაჩემს გავუცხადე ჩემი ევროპაში წასვლისა და სწავლის გაგრძელების სურვილი.

დამპირდა, პასუხს მოგცემო, პასუხი ჯერ არ სჩანს და დარწმუნებული ვარ, მამა მე ამის ნებას არ დამრთავს, მე თქვენზე უკეთესს მოციქულს მამასთან ვერვის ვიშოვი და თუ თქვენმა რჩევამაც არ გასჭრა, უნდა დამეხმაროთ როგორმე სხვისი პასპორტით გავიდე საზღვარზე.

—ჯერ თანხმობის მიღების გზით ვცადოთ, ჩემო ოლიკო, და შემდეგ კი პასპორტსაც მოვახერხებთ, ამ საქმეში ყველაზე მეტად ნიკო ნიკოლაძე დაგვეხმარება, — უთხრა ესა და ქალიშვილს ოდნავი ეშმაკური ღიმილით გადახედა.

მეგობრების ვერავითარმა რჩევამ ვერ იმოქმედა ოლღას დედამამაზე.

მალე ოლღა გიორგისა და ნიკოს დახმარებით ჟენევაში გაემგზავრა. იქ ოლღა რუს ემიგრანტებს ტკაჩოვს, ვერა ფიგნერსა და სხვებს დაუახლოვდა. იმ დროს ჟენევაში არსებობდა ქართველი ახალგაზრდობის წრე „უღელი“.

ოლღა მალე გახდა ამ წრის წევრი.

ჟენევაში ოლღას საზოგადოებრივი მუშაობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ხალხოსან ნიკოლოზ როზოვს თავის წიგნში „ჩემი ცხოვრების მოთხრობა“-ში შეუტანია.

ოლღა გურამიშვილმა რამდენიმე წელი დაჰყო ჟენევაში, იყო ციურიხშიდაც. შემდეგ ის დაბრუნდა სამშობლოში და ხელი მიჰყო პედაგოგიურ მუშაობას. იმავე დროს ახლო მონაწილეობას ღებულობდა გაზეთ „ობზორის“ გამოცემა-მუშაობაში: ამ გაზეთს ნიკო ნიკოლაძე რედაქტორობდა. მისი რედაქტორობა უსიამოვნოდ დამთავრდა, თვითმპყრობელურ მეფის ცენზურამ გაზეთი დახურა, ხოლო მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე გადაასახლა.

ოლღა პეტერბურგში წავიდა გაზეთის საქმეებზე და იქ დარჩა, ვიდრე მისი მეუღლე ნიკო გადასახლებული იყო.

ოლღა პეტერბურგშიდაც არ ისვენებდა, ეწეოდა კონსპირაციულ მუშაობას რევოლუციონერ ქალ ნადეჟდინასთან ერთად.

ოლღა ახლო მონაწილე იყო შეთქმულებისა, რომელიც მიზნად ისახავდა ალექსანდრე მეორის მოკვლას, ამიტომ პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს. ის ისევ საქართველოში დაბრუნდა მეუღლესთან ერთად. აქ იგი ეწეოდა საზოგადოებრივი მუშაობის ჭაპანს.

გარდა საზოგადოებრივი მუშაობისა ოლღა იყო შესანიშნავი დედა. მან საუკეთესოდ აღზარდა ორი ქალი და ერთი ვაჟი: თამარ, რუსუდან და გიორგი.

საუბედურო, თამარი და გიორგი ადრე მოწყდნენ მეცნიერულ მუშაობას, ხოლო რუსუდანი ახლაც მეცნიერული მუშაობით ემსახურება საყვარელ სამშობლოს.

როგორც ჩანს, თვალსაჩინო მოღვაწე მშობლების მემკვიდრეობითი თვისებები შვილებს დედის რძესთან ერთად კარგად შერგებიათ.

ოლღა გურამიშვილი ჭავჭავაძე, მეუღლე დიდი ილიასი უახლოეს კავშირში იყო ამ ოჯახთან. თავისთავად იგულისხმება, რომ ილიას მეუღლე დაინტერესებული იქნებოდა საქართველოს კულტურით, მისი ჭირ-ვარამის მოშუშებით.

ოლღას ჯერ კიდევ საგურამოდან მოსდევდა ქართველი ქალის ტრადიცია და ალღო ყოფილიყო ქველმოქმედი, საზოგადოებრივ საქმეებზე მზრუნველი. ის ეკუთვნის იმ მოღვაწე ქალთა პლეადას, რომელნიც ენერგიულად იბრძოდნენ საქართველოს კულტურის აყვავებისათვის, დაუღალავად ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას როგორც სკოლების გახსნის, ისე ხალხის ფართო მასებში განათლების შეტანის საქმეში.

საქართველოს ისტორია სავსეა მისი ავბედობის ფაქტებით როდესაც დედაკაცს ხან ხმალით ხელში ვაუკაცივით უხდებოდა ბრძოლა, ან მოკრძალებულად ასრულებდა საოჯახო საქმეს, როგორც იტყვიან: ჩეჩავდა შატყლს, „თუ იგი მამულს უზრდიდა შვილს“, თუ იცავდა სამშობლოს კულტურას, მტრის დარბევის დროს ინახავდა წიგნებსა და ამკობდა ტაძრებს და მონასტრებს თავის ხელსაქნარით, ის ყოველთვის იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, რათა დაეცვა ის ფიზიკურად და გაემხნევებია სულიერად.

საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელებისა და გაძლიერების მიხედვით პროპორციონალურად იზრდება ქალთა საკითხის გაშუქება და რკვევა-ძიება ქართულ პრესაში.

ამრიგად მეცხრამეტე საუკუნეში დედაკაცი თანდათან გამოდიოდა კარჩაკეტილი ცხოვრებიდან, ებმებოდა საზოგადოებრივ მუშაობაში.

საქართველოში თავიანთი ბუნების უშუალობით დიდად აღსანიშნავი არიან უსწავლელი გლეხის ქალები.

ერთი ასეთთაგანი იყო ვაჟა-ფშაველას დედა.

ვაჟა-ფშაველას დედა

ვაჟა ფშაველას დედა გულქანი, ივრელი ქალი იყო სოფელ ხოვლიდან, გვარად ფხიკაშვილი, სათემო გვარი კი გაბადოური.

ფშავში იმ დროს ოჯახებში ასეთი წესი ყოფილა. უფროსი რძალი განაგებდა და თაოსნობდა ოჯახის საქმეებს, ხოლო დანარჩენი რძლები მას ექვემდებარებოდნენ. ოჯახის შემოსავალს თანასწორად ხმარობდნენ, თუ რამე გადარჩებოდა ოჯახის ხარჯს, გაყოფდნენ თანასწორად.

შვილების ჩაცმა დედის მოვალეობას შეადგენდა. ოჯახის მთავარი შემოსავალი იყო მატყლი. ქალები ქსოვდნენ ჩოხას, ფაფანაკებს, აკეთებდნენ ფარდაგებს, ბარდნის შალებს.

ვაჟას დედას სხვა ღირსებაც რომ არ ჰქონოდა, ისიც ეყოფოდა მისი ქალობის კარგ მაჩვენებლად, რომ იმ ბნელ დროში მან ასეთი კარგი და სასახელო შვილები გაზარდა, როგორიც იყვნენ თვით ვაჟა, მისი ძმები: გიორგი, თედო და ბაჩანა. მის ვაჟებს უხვად გამოყოლიათ დედის ნიჭი.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას დედამ წერა-კითხვაც არ იცოდა, ის დიდ ნიჭს ამჟღავნებდა ზეპირსიტყვიერებაში. მისი დედის ძმა ყოფილა ხალხური მოლექსე. ოჯახში არავის წერა-კითხვა არ სცოდნია. თვით ვაჟა თავის მოგონებებში დედას ასე ახასიათებს:

„დედაჩემი იყო ლამაზი, გულკეთილი, მგრძნობიარე და ბუნებით პოეტი“.

მას ცოდნია მრავალი საგმირო ლექსი, ზღაპარი, ლეგენდა. ის თავისუფალ დროს პატარა შვილებს გარსშემოიკრებდა, თითონ წინდებს ქსოვდა, ან მატყლს ართავდა, ეს ხელს არ უშლიდა, რომ შვილებისათვის მოეთხრო მომხიბვლელი ზღაპრები და ლექსები. ეს მშრომელი დედა ოჯახში განურჩევლად ასრულებდა როგორც კაცის, ისე ქალის სამუშაოებს. მთელ ღამეებს ათენებდა მატყლის ჩეჩა-რთვასა და ქსოვაში.

დედა რაზიკაშვილებს ბავშვობიდანვე ნამუსიანობასა და შრომისმოყვარეობას უნერგავდა, ხოლო ზღაპრებით, ლეგენდებითა და ლექსებით წიგნის სიყვარულსა და ცოდნისმოყვარეობას უღვიძებდა.

ვაჟას დედისთვის დამახასიათებელი თვისება იყო სტუმარ-მოყვარეობა. გამვლელ-გამომვლელს აუცილებლად დაასვენებდა, დააპურებდა, ისე არ გაუშვებდა. ის მთელი სოფლის გულკეთილ მეზობელი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო მას უყვარდა ღარიბთა გაკითხვა, რისთვისაც მის ოჯახში ჩვეულებრივ სტუმრებს გარდა, ღარიბი და საწყალნი გამოულეველი იყვნენ.

ვაჟას დედას თავისი გულკეთილობისა და გულუბრყვილობის შედეგად პატარა მარცხი მოუვიდა.

ერთ დღეს ფშავში ბოშაქალების და მათი ბავშვების ჯგუფი ამოვიდა. ყველანი ცუდად ჩაცმულნი იყვნენ, დაფლეთილი ტანი-სამოსიდან ტიტვლად გამოიყურებოდნენ, თან მშივრების შთაბეჭ-დილებას ტოვებდნენ.

ქაოს ისინი შეებრალა, მაშინვე სახლის წინ ხეების ჩრდილში სუფრა გაუწყო. განსაკუთრებით ბავშვებს ელოლიავებოდა. სანამ დიასახლისი სტუმრების პატივისცემაში იყო გართული, ორი ბო-შაქალი სახლის უკანა კარისკენ გაპარულიყო, კარები გაეღოთ, იქ ოთახში კიდობნიდან 400 მანეთი ამოეღოთ, ისინი უკანვე სუფ-რასთან მოსულიყვნენ და არც ჭამა-სმისათვის დაუკლიათ ხელი.

გვიან საღამოს გაიგო ვაჟას დედამ ფულის დაკარგვა. ეწყინა, მაგრამ განა მარტო ფულის დაკარგვა? არა, მას ეწყინა ადამიანის უსინდისობა. გულდაწყვეტილად მოუყვა ქმარ-შვილს ფულის და-კარგვის ამბავი.

მეუღლემ და შვილებმა არაფრად ჩააგდეს ოჯახის დანაკლისი, ხოლო დედის გულუბრყვილობა დიდხანს საოხუნჯოდ დარჩა, რო-გორც ოჯახს ისე მეზობლებშიაც.

ეკატერინე იაკობის ასული ნიკოლაძე

ქვემო იმერეთში იაკობ ნიკოლაძის ოჯახი დიდ საპატიო ოჯახად ითვლებოდა. სასიამოვნო სანახავი იყო სოფელ ჯიხაიშში ზაფხულის არდადაგებზე იაკობ ნიკოლაძის ფართე ეზო მაღალი მწვანე კოლინდარით მოფენილი, რომელსაც ამაყად გადმოჰყურებდა დიდი, მრავალოთახიანი და ფართოაივნიანი ოდა-სახლი ამწვანებულ ხეებში ჩაფლული.

აივნის გასწვრივ გაკეთებული იყო თვალწარმტაცი კეკელბანი („ბესეტკა"), რათა არდადეგებზე ჩამოსულ შვილებს მეცადინეობის დროს ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ.

ლაღად იზრდებოდნენ და ლაღადვე ატარებდნენ ზაფხულს იაკობის შვილები. მათთან ერთად იზრდებოდა ახალი გრძნობები და სურვილები. თუ წინა წლებში მოსავლისთანავე ბაღ-ვენახებს მოედებოდნენ, ხილის კრეფას ვერ აუდიოდნენ, უკვე, უფროს კლასებში მყოფნი, თავიანთ ოჯახს ახლა სხვა თვალით უყურებდნენ, საკუთარ ცხოვრებას ღარიბი მეზობლის ცხოვრებას ადარებდნენ, ამის მიზეზს უკვირდებოდნენ. მრავალ გარეშე წიგნებს კითხულობდნენ. ზოგს ცალ-ცალკე, ზოგს ერთად. დები ძმებს თავს დასტრიალებდნენ.

ძმებში თავიდან გამოირჩეოდა ნიკო, ნიჭით, ენერგიითა და გამბედაობით.

ნიკოს დები ეკატერინე, ეფროსინე და ოლიმპიადა საქართველოში ცნობილი მოღვაწეები იყვნენ. დედა-ქალაქში ცხოვრობდნენ, ქუთაისში თუ პროვინციაში ყოველგან საზოგადოებრივი მუშაობის სტიმული შეჰქონდათ.

დებში ეკატერინე განირჩეოდა თავისი ნიჭით და საზოგადოებრივი მუშაობისადმი ალღოიანობით. იაკობის ოჯახში მთელი მაშინდელი მოწინავე საზოგადოება იკრიბებოდა. ეკატერინეს ოჯახური მდგომარეობა ხელს უწყობდა თავისი სურვილები უბრძოლველად შესრულებოდა, ამიტომ მისი მშობლები სიამოვნებით შეხვდა მის გადაწყვეტილებას, როცა მან უმაღლესი სწავლის მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრება განაცხადა.

თვითონ კატო მკვირცხლი ბუნების ქალი იყო. მას უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდეც აინტერესებდა საზოგადოებრივი საკითხები და მოღვაწეობა.

ჟენევასა და ციურიხში მან რამდენიმე წელი დაჰყო. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საზოგადოე-

ბრივ საქმეებს, რომლის მოთხოვნილება იმჟამად საქართველოში ფრიად იგრძნობოდა. ის საზღვარგარეთ ყოფნის დროს უცხო ენების (ფრანგულ და გერმანულ) დაუფლებასთან ერთად საფუძვლიანად გაერკვა სოციალ-რევოლუციონურ მსოფლმხედველობაში. ის ხშირად იყო ემიგრანტთა წრეში, რომლებიც მოწინავე იდეების ხალხში გავრცელების გამო დევნილი გამხდარიყვნენ სამშობლოდან. ახალი მეგობრები დიდი პატივით ეპყრობოდნენ მას.

გარდა ქართველი სოციალისტური ჯგუფისა იმ დროს ჟენევაში არსებობდა სომეხთა ჯგუფი. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს იმ ზომამდე დაუახლოვდა, რომ ურთიერთშორის დასდეს პირობა ერთად ემუშავნათ თავიანთ სამშობლოში თვითმპყრობელური მეფის წინააღმდეგ. ამ პირობას ეკატერინე ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა მოაწერეს ხელი.

სამშობლოში დაბრუნებული ეკატერინე ყოველგვარ კულტურულ მუშაობას ეტანებოდა გარსშემოიკრიბა ქუთაისის მოწინავე ქალები: ბაქრაძის, ხელთუბლიშვილის, კერესელიძის, ქორქაშვილის, მესხის. გამოსცემდნენ საინტერესო წიგნებს, გამართეს საკვირაო სკოლა, ღარიბ მოსწავლეთათვის პანსიონი, იმ სკოლაში გამეფებული იყო თავისუფალი სკოლის პრინციპი.

ეკატერინე სათავეში ჩაუდგა დაზარალებულ სოფლელებისათვის ფულადი და სურსათით დახმარების წამოწყებას.

ეკატერინეს თამამად შეეძლო ყოველ საღამოს გულმოსვენებულად ეფიქრა, რომ დღეს მან სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდა. მეორე დღისთვის მას ახალი გეგმა ჰქონდა. მან სცენის მოყვარეთა დასიც კი დააარსა. აწყობდა უფასო წარმოდგენებს, სად არ მიწვდებოდა მისი მადლიანი მარჯვენა. რამდენი ადამიანი დაუყენებია მას სწავლისა და სიმართლის გზაზე.

1905 წ., როდესაც რევოლუციამ იფეთქა, ეკატერინე მასწავლებლობდა. უკვე ხანში შესული, სახე დაღარული და სუსტი შეხედულების ეკატერინე ბარიკადებზე ყოჩაღად იდგა თავის მოწაფეებთან ერთად და ციბრუტივით ტრიალებდა.

პირველი რევოლუციის დამარცხების შედეგად გამეფებული რეაქციას იგი მრუდე თვალით უყურებდა. კატო ნიკოლაძის ბინა არაერთხელ გაუჩხრეკიათ.

კატო თანდათან ხუცდებოდა, ქრებოდა, მაგრამ საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინტერესი არ შენელებია.

ეკატერინეს ჰუმანური ხასიათი თანაბრად წვდებოდა როგორც საზოგადოებრივ მუშაობას, ისე ოჯახზე ზრუნველობას. ის დიდ უურადღებას უთმობდა თავისი ძმისა და დის შვილების აღზრდა-განათლებას.

მიუხედავად მრავალი საზოგადოებრივი და ოჯახური უბედურების განცდისა, კატო ცხოვრებაში ოპტიმისტი, პატრიოტი ქალი იყო, ის მომავალს იმედით სავსე თვალით უცქეროდა.

სარჩევი

ავტორისაგან . 3
პატარაც ასეთი იყო . 5
ოქრომკედი . . 21
ზვავი 31
ძვირფასი სტუმარი . 38
ქეთევან წამებული . . 45
ალმოჩენილი განძი . 59
შალიკაშვილის ქალი . 62
თინათინ გურიელი 65
მარიამ ბატონიშვილი . . . 68
დარია—არჩილ მეფის ასული 82
ელჩი ქალები 86
ქეთევან—რძალი ერეკლესი . 96
ქრისტინე მეადიჯვრელი . . 98
ხირიმი დაატრიალა . 110
გულგატეხილი 115
უკანასკნელი გაბრძოლება . 119
თინა წავკისელი . . 122
თამრო ვაშლოვანელი . . 131
მადინა 139
ანა 144
ანასტასია ერისთავ-ხოშტარია 155
სალონები . . . 160
მანანა ორბელიანი 162
მელანია მამაცაშვილი-ბადრიძისა . 165
ბარბალე ჯორჯაძე . 169
ეკატერინე ჩიჩუა 177
მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი . 188
ეკატერინე გაბაშვილი . 192
ოლღა გურამიშვილი . 198
ვაჟა ფშაველას დედა 202
ეკატერინე იაკობის ასული ნიკოლაძე . . 204

რედაქტორი ირ. ახალაია.

ტექრედაქტორი მ. ხახმიგური. კორექტორი პ. ჭითანავა.

ეი 00171. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19 III — 57 წ. ნაბეჭდ ფორმათა
რაოდენობა 13. შეკვეთა № 5119. ტირაჟი 2000.

საკავშირო გამომცემლობის ლენინის სახ. სტამბა. ქ. სოხუმი, ლენინის ქ., № 8